ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

# შრომები

# XVII

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**
**Faculty of Humanities**

**Institute of Georgian History**

# Proceedings

# XVII

თბილისი
**Tbilisi**
2021

უაკ(UDC)94(479.22)
ს–323

**რედაქტორები:**
თედო დუნდუა
ალექსანდრე ბოშიშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**
აპოლონ თაბუაშვილი
ქეთევან გოჩიტაშვილი
ლერი თავაძე
შალვა გლოველი
აკაკი ჩიქობავა
ემილ ავდალიანი
ეკა კვირკველია
ნათია ფიფია
ჰიროტაკე მაედა (იაპონია)
ფარჰად ჯაბაროვი (აზერბაიჯანი)
მიხაილ ჩორეფი (რუსეთი)
ალირეზა სოლეიმანზადე (ირანი)
გუნტის ზემიტისი (ლატვია)
რიმვიდას პეტრაუსკასი (ლიეტუვა)
ანჯეი პუქშტო (ლიეტუვა)
ალექსანდერ ბურშე (პოლონეთი)
იულიან მოგა (რუმინეთი)
მირჩა პადურარუ (რუმინეთი)
იაროსლავ პილიპჩუკი (უკრაინა)
პოლ კრეგო (აშშ)
გოჩა ცეცხლაძე (დიდი ბრიტანეთი)
მირჩა-კრისტიან გენგა (რუმინეთი)

**Editors**:
Tedo Dundua
Alexander Boshishvili


**Editorial Board:**
Apolon Tabuashvili
Ketevan Gochitashvili
Leri Tavadze
Shalva Gloveli
Akaki Chikobava
Emil Avdaliani
Eka Kvirkvelia
Natia Phiphia
Hirotake Maeda (Japan)
Farhad Jabbarov (Azerbaijan)
Mikhail Choref (Russia)
Alireza Soleymanzadeh (Iran)
Guntis Zemītis (Latvia)
Rimvydas Petrauskas (Lithuania)
Andžej Pukšto (Lithuania)
Aleksander Bursche (Poland)
Iulian Moga (Romania)
Mircea Păduraru (Romania)
Yaroslav Pylypchuk (Ukraine)
Paul Crego (USA)
Gocha Tsetskhladze (UK)
Mircea-Cristian Ghenghea (Romania)

http://geohistory.humanities.tsu.ge
e-mail – geohistory@tsu.ge

შემდგენლები: თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი
ავტორთა სტილი დაცულია

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021

ISSN 1987–9970



ივანე ჯავახიშვილი – 145

# შინაარსი
# CONTENTS

*მარიკა მშვილდაძე*
ღვთაება დემეტრას კულტი იბერია-კოლხეთში..... 9

***Marika Mshvildadze***
Cult of Demeter in Iberia-Colchis (Summary)..... 23

***Михаил Чореф***
К вопросу об атрибуции северопонтийских монет с буквосочетанием ΣΑΥ на реверсе..... 24

***Mikhael Choref***
On the Question of Attribution of North Pontic Coins with Letter Combination ΣΑΥ on the Reverse (Summary)..... 33

***Tedo Dundua,***
***Natia Phiphia***
Imitations of the Roman Coins in "Transcaucasian" States..... 35

*ნინო სილაგაძე*
რამდენიმე მოსაზრება მეფეთა გამოსახულებების შესახებ სასანური მხატვრული ვერცხლის ნაკეთობებზე..... 48

***Nino Silagadze***
Some Issues About the Royal Images on the Sassanian Silverworks (Summary)..... 65

***Marcin Wieczorek***
War at the Eastern Border of Late Ancient Lazica According to *De Bellis* of Procopius of Caesarea. Several Questions..... 67

*აკაკი ჩიქობავა*
მიწის ყიდვა-გაყიდვის პოლიტეკონომია ფეოდალურ საქართველოში.... 79

***Akaki Chikobava***
Political Economic Aspects of Land Alienation (Summary)..... 107

*მამუკა წურწუმია*
1110 წლის სამშვილდის ოპერაცია..... 109

***Mamuka Tsurtsumia***
Samshvilde Operation of 1110 (Summary)..... 121

*ნიკო ჯავახიშვილი*
გამყრელიძეთა საგვარეულოს ისტორიიდან..... 123

***Niko Javakhishvili***
From the History of Gamkrelidze Family (Summary)..... 196

*აპოლონ თაბუაშვილი*
ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა 1774-1782 წლებში..... 197

***Apolon Tabuashvili***
Kartli-Kakheti Kingdom and the
Russian Empire in 1774-1782 (Summary)..... 220

*დიმიტრი შველიძე*
საქართველოს დამფუძნებელი კრება – ნოე ჟორდანიას კონცეფციის მიხედვით..... 222

***Dimitri Shvelidze***
The Constituent Assembly of Georgia According to Noe Jordania's Concept (Summary)..... 232

*გიორგი სოსიაშვილი*
სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ქრისტეფორე ციცქიშვილის ცხოვრების უცნობი ფურცლები..... 233

***Giorgi Sosiashvili***
Unknown Pages of the Life of Christephore Tsitskishvili – Catholicos-Patriarch of All Georgia (According to the Documents from the Gori Archive) (Summary)..... 245

*თენგიზ სიმაშვილი*
გერმანული დესანტი კახეთში: ქართველები მეორე მსოფლიო ომში.... 247

***Tengiz Simashvili***
The German Landing in Kakheti:
The Georgians in the World War II (Summary)..... 284

***შალვა კიკალიშვილი***
ქართული სამხედრო შენაერთების მონაწილეობა ერაყის
საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში (2003-2008)..... 286

***Shalva Kikalishvili***
Participation of Georgian Military Forces in International Iraq Peace
Building Operation (2003-2008) (Summary)..... 305

***Mircea-Cristian Ghenghea,***
***Iulian Moga***
Anthimus of Iberia. Memory and (Re)presentation within the
Contemporary Romanian Society..... 307

## საერთაშორისო პრეზენტაცია
## International Conferences

***Tedo Dundua***
Rulers on Money: Case of Georgia..... 326

International Scientific Conference "The Battle of Didgori – 900".
Report by ***Tedo Dundua***, ***Natia Phiphia*** and ***Leri Tavadze***..... 341

***Tedo Dundua***
Georgian and European Armies in Action..... 344

***Leri Tavadze***
Some Details on the Biography of David Agmashenebeli..... 349

***Natia Phiphia, Ketevan Tsimintia***
Commensality in the Age of David Agmashenebeli and Queen Tamar... 354

## რეცენზია

*ელენე გოგიაშვილი*
რეცენზია წიგნზე „ანა ჭეიშვილი, ანა მარგველაშვილი. ემილ ლევიეს მოგზაურობა კავკასიაში. თბილისი: „გამომცემლობა ვაზი“, 2020, 155 გვ. ISBN – 978-9941-8-2399-2“..... 361

## იუბილე

თედო დუნდუა/Tedo Dundua – 60
პუბლიკაციების სია/Works..... 366

## ბიბლიოგრაფიული ცნობარი

ისტორიული მეცნიერების განვითარება საქართველოში
სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ.
დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები
(1993-2006 წლები)..... 424

## ანგარიში

*ალექსანდრე ბოშიშვილი, ლერი თავაძე,*
*ეკა კვირკველია, აკაკი ჩიქობავა*
კვირიკე რანთა და კახთა მეფის ასულის ელენეს ეპიტაფია..... 453

***Aleksandre Boshishvili, Leri Tavadze,***
***Eka Kvirkvelia, Akaki Chikobava***
Epitaph of Elene, Daughter of Kvirike King of Rans and Kakhs
(Summary and English Translation of Epitaph) ..... 474

## ხსოვნა

გიორგი ოთხმეზური..... 476

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII
თბილისი. 2021

*მარიკა მშვილდაძე*
ასოცირებული პროფესორი, თსუ

# ღვთაება დემეტრას კულტი იბერია-კოლხეთში

ანტიკური ხანა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს საქართველოს ისტორიაში, სადაც გავლენის მოსაპოვებლად ერთმანეთს უპირისპირდება ორი დიდი სახელმწიფო. ერთი მხრივ რომის იმპერია, ხოლო მეორე მხრივ პართია, ახ.წ. 326 წლიდან კი სასანიანთა ირანი. საკუთარი გავლენის გავრცელების თვალსაზრისით მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს რელიგიური ფაქტორი, რაც კარგად ესმით ზემოაღნიშნული სახელმწიფოების მმართველებს. შესაბამისად, იბერია-კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელებას იწყებს როგორც ანტიკური წარმართული კულტები, ისე მაზდიანობასთან დაკავშირებული ღვთაებები და რელიგიური სიბოლოები (განსაკუთრებით სასანიანთა ირანის პერიოდიდან მოყოლებული).

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს იმ ფაქტის გარკვევა, თუ რამდენად იყო გავრცელებული ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღვთაების – დემეტრას კულტი საქართველოს ტერიტორიაზე.

დემეტრა (ძვ. ბერძნული – Δημήτηρ, ასევე – Δηώ „დედა-მიწა", ლათინური – Demeter ) ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ღვთაება კრონოსისა და რეას მეორე ქალიშვილი, ერთ-ერთი ყველაზე თაყვანსაცემი და გავრცელებული ღვთაება იყო ანტიკურ სამყაროში. იგი ნაყოფიერებისა და მიწადმოქმედების მფარველი (მიწადმოქმედების დამაარსებელი) ქალღმერთია, რომელსაც მიწის სამუშაოების დაწყებისას მიართმევდნენ ძღვენს. დემეტრა სიცოცხლიმომცემელი ღვთაებაა, რომელიც გამოისახებოდა შავი მოსასხამით, მიწის ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ატრიბუტებით: ყვავილებით, ხილით, ხორბლის თავთავით, **ყაყაჩოს ყვავილებით**... იგი მაღალია, წარმოსადეგი, სქელთმიანია.[1] მან მისცა ელევსინის (ბერძნ. – Ἐλευσίς, Ἐλευσῖνος) მეფე კე-

[1] А. А. Тахо-Годи. Греческая мифология. Москва. 1989, გვ. 165-167.

ლეოსის (ბერძნ. – Κελεός) ახალგაზრდა შვილს ტრიპოლემოსს (ბერძნ. – Τριπτόλεμος, ლათ. – Triptolemus) ხორბლის მარცვლები, რომელმაც პირველმა სამჯერ მოხნა და დათესა მიწა. შემდეგ კი ყველას ასწავლა მიწადმოქმედება. დემეტრა იმავდროულად, არის დედა, რომელიც განიცდის შვილის დაკარგვას. იგი ეძებს თავის ქალიშვილს – პერსეფონეს (ბერძნ. Περσεφόνη, ლათ. Proserpina).[2] შესაბამისად, დემეტრას ასევე გამოსახავდნენ პერსეფონესთან ერთად... მოგვიანებით დემეტრა კანონმდებლობის, ოჯახისა და ქორწინების მფარველიცაა.

ანტიკურ სამყაროში ღვთაება დემეტრას პოპულარობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მას ხშირად ვხვდებით სხვადასხვა ქალაქების მონეტებზე. მაგალითად, ქალაქ ამისოს მონეტებზე, რომელიც შემდეგში ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ემბლემა გახდა. ამისო – მილეტისა და ამისო – ნიკეის სამოკავშირეო მონეტებზე ეს ქალღმერთი ქალაქ ამისოს განსახიერებას წარმოადგენდა.[3] დემეტრა იყო გამოსახული აგრეთვე, ქალაქების ტირასა და ოლბიის მონეტებზეც.[4]

ბერძნების ამა თუ იმ ქვეყანაში შესვლისთანავე დემეტრა გაიგივებული იყო ადგილობრივ ქალღვთაებებთან. მაგალითად, ეგვიპტეში ისიდასთან. ჰეროდოტე ჯერ კიდევ ძვ. წ. V საუკუნეში აღნიშნავდა, რომ ელინთა ენაზე ისიდა დემერტაა (Herod., II, 59). ისიდა (დემეტრა), აღნიშნავდა იგი, მიწისქვეშეთს მფარველობდა (Herod., II, 123). ოქსირინქოსში აღმოჩენილი რელიგიური ხასიათის წერილების მიხედვით, ისიდას „მრავალი სახის მქონე“ ეწოდებოდა, რომელსაც სხვები დემეტრას, სილენას და ჰერას უწოდებდნენ...[5] მცირეაზიის ტერიტორიაზე დემეტრა გაიგივებული იყო ფრიგიულ ღვთაება ღმერთების დიდ დედასთან (Magna Mater)...

ელინისტურ პერიოდში, როდესაც დასავლური და აღმოსავლური ღვთაებების ერთმანეთთან შეერთება-შერწყმის პროცესი მიმდინარეობდა, დემეტრა

---

[2] დედა-ბუნებისა და მიწის წიაღის დიდი ქალღმერთი, ჰადესის ცოლი, აჩრდილთა და ურჩხულთა მრისხანე დედოფალი. ჰომეროსთან მიცვალებულთა სამყაროს მბრძანებელი (ოდისეა, X, 491; XI, 217). პერსეფონე ჰადესთან ერთად ზის ბნელეთის ტახტზე, ისმენს სულთა საჩივრებს და აღასრულებს ქმრის განაჩენს. ჰესიოდესთან პერსეფონე სამყაროს დასალიეს ცოვრობს (თეოგონია, 767-768). რომაელებთან იგი პროზერპინაა (ლათ. Proserpina).

[3] М. И. Максимова. Античные города Юго-Восточного Причерноморья. Москва-Ленинград. 1956, გვ. 315.

[4] А. Н. Зограф. Античные монеты. МИА. №16. Москва-Ленинград. 1951, გვ. 67.

[5] N. Lewis. La Mémoire des Sables. La vie en Égypte sous la domination romaine. Préface et traduction de Pierre Chuvin. Paris. 1988, გვ. 91.

ასევე ერწყმის ანალოგიური დანიშნულების სხვადასხვა ქალღვთაებებს. მაგალითად, რომაულ ქალღმერთ ცერერას.

არტეფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დემეტრას კულტი საქართველოს – კერძოდ, კოლხეთის ტერიტორიაზე ადრე ანტიკური პერიოდიდან შემოდის, რაც დიდი ბერძნული კოლონიზაციის შედეგს წამოადგენდა.

დემეტრას 4 ტერაკოტული ქანდაკება აღმოჩენილია ქობულეთ-ფიჭვნარის სამაროვანზე. მათგან სამი შედარებით კარგად არის მოღწეული. ხოლო მეოთხე სამარხიდან ამოღებისას დაიშალა (შემორჩენილია მხოლოდ თავის ფრაგმენტი). ყველა ფიგურა გამოსახავს ტახტზე მჯდომ ქალღმერთს გამოკვეთილი ატრიბუტიკის გარეშე[6] (არქეოლოგები არ გამორიცხავენ აღნიშნული ფიგურების ღმერთების დიდ დედასთან – კიბელესთან გაიგივებასაც). დემეტრას ერთი ფიგურა დაფიქსირდა 1998 წელს ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ბერძნულ სამაროვანზე ჰუმუსოვან ფენაში. ტერაკოტულ ფიგურას აკლია ქვედა ნაწილი და მარჯვენა მხარი. კეცი მოყვითალო-მოყავისფრო (შემორჩენილი ფიგურის სიმაღლე 7,9 სმ). სტატუეტი ღრუა, დამზადებულია ყალიბში... სტატუეტს არ აღენიშნება სავარძლის ზურგი, იმის გამო რომ არსებობს უზურგო საკარცხულზე მჯდომი ღვთაებების გამოსახულებები, მეცნიერები აღნიშნულ ტერაკოტას ტახტზე მჯდომი ქალღმერთების რიგს მიაკუთვნებენ. ფიგურა ძვ. წ. V საუკუნის შუახანებით თარიღდება. ერთი ტერაკოტული ფიგურის ფრაგმენტი ნაპოვნია ძვ. წ. IV ს-ის სააღაპო-სარიტუალო მოედანზე (შემორჩენილი ფიგურის სიმაღლე 4,2 სმ). კეცი ღია მოყვითალო ფერის. ანალოგიების მიხედვით, ანტიკური ნაწარმი უნდა იყოს. ორი ფიგურა აღმოჩნდა 2000 წელს №195-ე და №206-ე (სამარხიდან ამოღებისას დაშლილი) სამარხებში. №195-ე სამარხში დაფიქსირებული ქანდაკების (სიმაღლე 19,5 სმ) კეცი ნარინჯისფერში გარდამავალი ყვითელი, ყალიბშია შესრულებული, ღრუა, დაბალ პოცდამენტზე დგას, აკლია კვარცხლბეკისა და სავარძლის ნაწილი. ფიგურა შემოსილია სადა, ტერფებამდე დაშვებული ქიტონით, გამოწვეისას ზურგზე მართკუთხედის ფორმის ჭრილი აქვს გაკეთებული, სავარძლის ზურგს მომრგვალებული შვერილები აქვს გაკეთებული. თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის მეორე მეოთხედით.[7]

[6] ნ. ძნელაძე. ტერაკოტები ფიჭვნარიდან. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები. I. 2000, გვ. 26, (25-32), ტაბ. I$_2$; ნ. ძნელაძე. დემეტრეს კულტთან დაკავშირებული ფიგურები. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. 2006, № 17-18, გვ. 152 (151-154).

[7] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ფიჭვნარი I. ბათუმი-ოქსფორდი, 2004, გვ. 74, სურ.136, 167; ნ. ძნელაძე. დემეტრეს კულტთან დაკავშირებული ფიგურები, გვ. 151-152 (151-154), სურ. 1-2, 3.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში დიდი ბერძნული კოლონიზაციის შედეგად გაჩნდა ბერძნული (მილეტული) ახალშენები – ფაზისი (ფოთი), გიენოსი (ოჩამჩირე), დიოსკურია (სოხუმი). მოგვიანებით კი პიტიუნტი (ბიჭვინთა). ბერძნული ახალშენი იყო ქობულეთ-ფიჭვნარის ტერიტორიაზეც. ნიშანდობლივია, რომ ფიჭვნარში ანტიკური ხანის ნაქალაქარზე ერთმანეთის გვერდით არსებობდა კოლხური და ბერძნული თემების სამაროვნები. დემეტრას ტერაკოტული გამოსახულებები ნაპოვნია ბერძნულ სამაროვანზე. ტერაკოტები ატიკურ იმპორტს წარმოადგენს. დემეტრას ფიგურების წარმომავლობისა და აღმოჩენის ადგილის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი ბერძნული მოსახლეობის კუთვნილებას წარმოადგენდა, რომლებმაც ბერძნული წარმართობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღვთაება დემეტრა თავიანთი განსახლების ახალ ადგილას შეიტანეს, მაგრამ ადგილობრივ – კოლხურ მოსახლეობაში დემეტრას კულტის გავრცელების დამადასტურებელი არქტეფაქტები, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, არ ჩანს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ფიჭვნარის სამაროვანზე აღმოჩენილი წითელფიგურიანი კრატერის (ბერძნ. κεράννυμι – ვურევ, ვაზავებ) შესახებ, დემეტრასა და პერსეფონეს გამოსახულებით. კრატერი დამზადებულია ატიკაში, დაახლოებით ძვ. წ. 450 წელს. მისი მომხატველია ე.წ. ნიობიდების მხატვარი, რომელიც წითელფიგურიანი ვაზათმომხატველობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია და მონუმენტური ვაზათმომხატველობის ფუძემდებლად ითვლება.[8] აღნიშნულ კრატერზე დემეტრას გამოსახულება, ჩვენი აზრით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე არა ამ ღვთაების კულტის გავრცელებას, არამედ ბერძნულ სამყაროსთან პოლიტიკურ და სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობებს შეგვიძლია დავუკავშიროთ.

დემეტრას კულტთან აკავშირებენ არქეოლოგები 1986 წელს ციხისძირის ტერიტორიაზე №158,159-ე სამარხებში აღმოჩენილ ღორის (ტახის) ტერაკოტულ ფიგურებს. ღორი, როგორც ცნობილია, დემეტრას წმინდა ცხოველს წარმოადგენდა და დიდ როლს თამაშობდა ღვთაების კულტთან დაკავშირებულ რიტუალებში (თესმოფილიები). №158 სამარხში ღორის სამი ტერაკოტა აღმოჩნდა. №159-ე სამარხში კი ერთი. კეცი მოყავისფრო-ნარინჯისფერი. ტერაკოტების ზედა ნაწილი ყალიბშია შესრულებული, ქვედა კი ხე-

[8] ა. კახიძე. ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ნეკროპოლი). ფიჭვნარი II. ბათუმი-ოქსფორდი. 2007, გვ. 80. სურ. 23-24.

ლით არის მოსწორებული. ფიგურებს მუცლის არეში აქვთ ჭრილი. დიდი ნაწილი დაზიანებულია. ტერაკოტები ძვ. წ. V საუკუნით არის დათარიღებული.[9]

ელინისტური პერიოდით – ძვ. წ. III-II საუკუნეებით თარიღდება ვანის I უბნის კვადრატ №36-ის აღმოსავლეთ ნაწილის ტერიტორიაზე აღმოჩენილი დემეტრას ტერაკოტული თავის ქანდაკება.[10] ეს არც არის გასაკვირი თუ ელინისტური პერიოდის ვანის ქალაქობის ისტორიას გავიხსენებთ – დიდი სატაძრო ქალაქი, კონტაქტი ანტიკურ სამყაროსთან, სადაც ძვ. წ. III-I საუკუნეებით დათარიღებული არაერთი არტეფაქტია აღმოჩენილი.

არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შედეგად, მკვლევართა ნაწილი არ გამორიცხავს, რომ ელინისტური პერიოდის ბოლოს დემეტრას კულტი ცნობილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვისაც. კერძოდ, დემეტრას გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს უფლისციხის[11] ნაქალაქარის ცენტრალურ უბანზე, განძში აღმოჩენილი თიხის მჯდომარე ფიგურა[12] (სურ.1)(გ. ყიფიანი აღნიშნულ ფიგურას მუზად მიიჩნევს[13]) და ძვ. წ. II-I სს-ით დათარიღებული ქალის ნიღბის ნატეხი (დამზადებულია ყალიბში, სუფთა განლექილი თიხისაგან) სარკინეს ნაქალაქარის ცენტრალური ტერასიდან, რომელსაც შემორჩა შუბლის, მარჯვენა თვალის, თმის ტალღური ვარცხნილობა და თავზე აღმართული კოშკის მაგვარი თავსაბურავი.[14]

საქართველოს ტერიტორიაზე დემეტრას კულტის გავრცელებასთან დაკავშირებით, სრულიად განსხვავებული სიტუაციაა გვიან ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, რაც ჩვენი აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე არსე-

---

[9] G. R. Tsetskhladze, N. V. Vashakidze. Terracotta Figures of Animals from Colchis. Dialogues d'Histoire Ancienne. 20.1. 1994, გვ. 109-125. Fig. 4. https://www.persee.fr/doc/dha_0755-7256_1994_num_20_1_2148; 6. ძნელაძე. დემეტრეს კულტთან დაკავშირებული ფიგურები, გვ. 152-153 (151-154), სურ. 5.

[10] ქ. რამიშვილი. ტერაკოტები ვანიდან. ვანი II. თბ. 1976, გვ. 191-193 (191-204), სურ. 145.

[11] უფლისციხე ძვ. წ. IV-III სს-ში უნდა ყოფილიყო იბერიის მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური და რელიგიური ცენტრი, რომელსაც მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონია კოლხეთთან, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ირანის სახელოსნო ცენტრებთან (დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე. I. 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბ. 1964, გვ. 69).

[12] თ. სანიკიძე. ტერაკოტა უფლისციხიდან. საქ. ხელოვნების სახ. მუზეუმის IX სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები. თბ. 1987, გვ. 6-7; თ. სანიკიძე. მცირე პლასტიკის ერთი ნიმუში უფლისციხიდან. ჟურ. „ხელოვნება“. №4-6. თბ. 1994, გვ. 53-61.

[13] გ. ყიფიანი. უფლისციხის კლდოვანი სამარხის ინვენტარი. არქეოლოგიის ჟურნალი. I. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბ. 2000, გვ. 74-95, სურ. 1.

[14] ალ. ბოხოჩაძე. სარკინის ნაქალაქარი. „ძეგლის მეგობარი“. №33. თბ. 1973, გვ. 36-45.

ბული პოლიტიკური სიტუაციის შედეგს წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ პერიოდში ღვთაების გამოსახულებები გვხვდება ძირითადად გლიპტიკურ ძეგლებზე, რაც ბერძნულ-რომაულ ღვთაებათა პანთეონის, კერძოდ დემეტრას კულტის გავრცელების დამადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან გემა არის თანადროული ისტორიული დოკუმენტი, რომელიც სინათლეს ჰფენს როგორც ამა თუ იმ პერიოდის სოციალურ, კულტურულ განვითარებას, ისე რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს. ჭრილაქვებზე არსებული გამოსახულებანი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ იმ ეპოქის მატერიალური, რელიგიური და სულიერი კულტურა რომლის დროსაც იგი იქმნებოდა.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დემეტრას გამოსახულებიანი ინტალიო დაფიქსირდა ბიჭვინთის სამაროვანზე. ინტალიო რვაწახნაგა ლუქისებრი იასპისა ვერცხლის ბეჭედში ღვთაება დგას თავით პროფილში მარჯვნივ. მას გრძელი სამოსი აცვია. მარჯვენა ხელში კვერთხი უჭირავს. მარცხენაში მცენარის ტოტი (შესაძლოა თავთავი).[15]

ბიჭვინთის სამაროვნის ტერიტორიაზეა აღმოჩენილია, აგრეთვე, დემეტრას კულტთან დაკავშირებული ნაყოფიერების სიმბოლოიანი ჭრილაქვები: 1. ოვალური ფორმის ინტალიო მოყავისფრო ფერის სარდიონისა ვერცხლის ბეჭედში. პირზე გამოსახულია მაღალფეხიანი ლარნაკი ხორბლის ორი თავთავითა და ყაყაჩოს ყვავილით (ბუნების ზამთრის ძილის სიმბოლო. დემეტრას (ცერერა) რომაულ მონეტებზე სწორედ ხელში თავთვებითა და ყაყაჩოს ყვავილებით გამოსახავდნენ) და 2. ოვალური ფორმის ინტალიო ლუქისებრი იასპისა, ვერცხლის ბეჭედში. პირზე გამოსახულია ხორბლის ორი თავთავი. ორივე სიუჟეტი საკმაოდ გავრცელებულია ანტიკურ ხანაში.[16] ბიჭვინთის ინტალიოები დიდ მსგავსებას პოულობენ ჩრდილო შავიზღვისპირეთში დაფიქსი-

[15] ბიჭვინთის სამაროვნი. 1989 წ. 04 თხრილი, №442 ორმოსამარხი ხსნარიანი, ინვენტარიანი, ინვ. №1429, ინტალიოს სიგრძე – 10 მმ, სიგანე – 8 მმ. ინტალიოს სიმაღლე – 4 მმ. ბეჭდის სიმაღლე – 21 მმ, დმ – 19 მმ. ახ.წ. III საუკუნე (მ. მშვილდაძე. რომაული ხანის ბიჭვინთის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ. 2012, გვ. 141-142, №5, ინვ. №1429, ტაბ. IX, სურ. 5).

[16] 1. 1984 წ., სამაროვანი, სამარხი №211, ორმოსამარხი ინვენტარიანი. ინვ. №1417, ინტალიოს სიგრძე – 8 მმ, სიგანე – 6 მმ. ბეჭდის დიამეტრი – 19 მმ. ახ.წ. III საუკუნე; 2. 1989 წ., სამაროვანი, სამარხი №443, ორმოსამარხი ხსნარიანი, ინვენტარიანი, ინვ. №1430 ინტალიოს სიგრძე – 5 მმ, სიგანე – 4 მმ. ბეჭდის სიმაღლე – 16 მმ. დიამეტრი – 17 მმ. ახ.წ. III საუკუნე (მ. მშვილდაძე, რომაული ხანის ბიჭვინთის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, გვ. 53, 128-129, №4, ინვ. №1417, ტაბ. VIII, სურ.4; გვ. 142-143, №17, ინვ. №1430, ტაბ. IX, სურ. 6).

რებულ გემებთან (მაგ. ოლბია – ხორბლის ორი თავთავი).[17]

ხორბლის თავთავები ძველი აღმოსავლური და ანტიკური მითოლოგიის მიხედვით, ნაყოფიერების ღვთებებთან – ისიდა, დიდი დედა კიბელე, დემეტრა – არის დაკავშირებული. ანტიკური მითოლოგიის მიხედვით ხომ, სწორედ დემეტრაა მიწადმოქმედების დამაარსებელი ქალღმერთი.

ბიჭვინტის სამაროვანზე აღმოჩენილი დემეტრას კულტთან დაკავშირებული ჭრილაქვები ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ საშუალებას გვაძლევს დავინახოთ პიტიუნტის ციხე-ქალაქობის მეორე მხარე. როგორც ცნობილია, პიტიუნტი ახ.წ. II საუკუნის შუა ხანებიდან რომის საგარნიზონო ქალაქს წარმოადგენდა. დემეტრას გამოსახულებიანი ჭრილა ქვების აღმოჩენის შედეგად კი ჩანს, რომ ქალაქში რომის XV ლეგიონის ლეგიონერების გარდა ცხოვრობდნენ მიწადმოქმედებიც, რაც თავის მხრივ, ემთხვევა არქეოლოგიურ აღმოჩენებს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დგინდება, რომ ბიჭვინთაში რომაულ კასტელუმთან ერთად წარმოიქმნა საქალაქო დასახლება კანაბე, რომელიც პიტიუნტის ციტადელს ეკვრის წრიული მოყვანილობის გალავნით და კოშკით. მისი საერთო ფართი 4,5 ჰექტარს არ აღემატება. ამ ფორმის საქალაქო დასახლებები – უშუალოდ ციხესთან მიბმული აღმოსავლეთ შავიზღიპირეთისთვის იყო დამახასიათებელი,[18] სადაც გადმდგარ ჯარისკაცებთან ერთად, როგორც ეს ადრიანესეულ ფასისში[19] იყო, ადგილობრივ მოსახლეობასაც უნდა ეცხოვრა.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დემეტრას გამოსახულებიანი ინტალიოები დაფიქსირებულია ურბნისის, ჟინვალის, ქუშანაანთ გორის II (მაგრანეთი), სამთავროს სამაროვნებზე. ურბნისი ანტიკური იბერიის (ქართლი) ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა.

---

17 Т. В. Кибальчич. Южнорусские геммы. Берлин. 1910.

18 25 წლის კარგი სამსახურისათვის რომაელი ლეგიონერების პროვინციული ჯარი (აუხილია) რიგ შემთხვევაში რომის მოქალაქეობას და მიწის ნაკვეთს იღებდა, ხშირად სამხედრო ბანაკის შემადგენლობაში. სვერუსებიდან მომდინარე ახ. წ. II ს-ის ბოლოსა და III ს-ის დასაწყისში ჯარისკაცებს არა მარტო მიწის ნაკვეთის დამუშავების უფლება მისცეს, არამედ დააკანონეს მათი შერეული ქორწინება ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებთან. ახ. წ. III ს-ში რომაული სამხედრო ბანაკები მიწადმოქმედთა დასახლებად იქცნენ. ასეთი პროცესები უშუალოდ ბიჭვინთაშიც მიმდინარეობდა (გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ. 1991, გვ. 47, 69).

19 ფაიუმში აღმოჩენილ II ს-ით დათარიღებულ პაპირუსის ფრაგმენტზე (აფსაროსიდან გაგზავნილ წერილში) მოხსენიებულია იქ მდგარი კლავდიუსის სახელობის II კოჰორტის ვეტერანი.

ანტიკურ ხანასა და ადრეშუასაუკუნეებში ქალაქზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომლის მეშვეობითაც ურბნისი მჭიდროდ იყო დაკავშირებული გარესამყაროსთან. შესაბამისად, ქალაქზე მნიშვნელოვანწილად აისახებოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებები.

ურბნისის სამაროვნის ტერიტორიაზე დემეტრას გამოსახულებიანი ორი ინტალიოა აღმოჩენილი: 1. ინტალიო ოვალური ფორმის მოწითალო-ყავისფერი, შავი წინწკლებით სარდიონისა. ზურგი და პირი ამობურცული, ინტალიოს პირზე გამოსახულია ზეზე მდგომი დემეტრა (ცერერა) გრძელი ქიტონით შემოსილი. მარცხენა ხელზე ლანგარი უდგას, მარჯვენა ხელში თავთავი უჭირავს; 2. ინტალიო ოვალური ფორმის მოწითალო-ყავისფერი სარდიონისა რკინის ბეჭედში. ინტალიოს პირზე გამოსახულია ზეზე მდგომი დემეტრა (ცერერა) გრძელი სამოსით შემოსილი, მარჯვენა ხელით კვერთხს ეყრდნობა, მარცხენაში თავთავი უჭირავს.[20]

ურბნისის სამაროვანზე გვხვდება, აგრეთვე, დემეტრას კულტთან დაკავშირებული სიმბოლოების (ხორბლის თავთავები, ყაყაჩოს ყვავილი) გამოსახულებიანი რამდენიმე ჭრილაქვა: 1. ინტალიო ოვალური ფორმის ბაცი ცისფერი გამჭვირვალე მინისა, ბრტყელი, რკინის ბეჭედში. პირზე გამოსახულია ხელი, რომელსაც კონად შეკრული ყაყაჩოები და თავთავები უჭირავს; 2. ინტალიო ოვალური ფორმის რძისფერი ქალცედონისა, რკინის ბეჭედში. პირზე გამოსახულია კონად შეკრული ოთხი თავთავი; 3. ინტალიო მრგვალი ფორმის მწვანე, გამჭვირვალე მინისა ბრინჯაოს ბეჭედში. პირზე გამოსახულია ორი თავთავი; 4. ინტალიო ოვალური ფორმის მოწითალო-ყავისფერი სადიონისა, ბრინჯაოს ბეჭედში. პირზე გამოსახულია კრატერი, რომელშიც თავთავები (?) დევს; 5. ინტალიო ოვალური ფორმის მოყვითალო-ნარინჯისფერი სარდიონისა ბრინჯაოს ბეჭედში. პირზე გამოსახულია ხელი, რომელსაც თავთავები უჭირავს; 6. ინტალიო ოვალური ფორმის, მოწითალო-ყავისფრი სარდიონისა, ბრტყელი, ბრინჯაოს ბეჭედში; 7. ინტალიო ოვალური ფორმის მოწითალო-ყავისფერი სარდიონისა, ბრტყელი, რკინის ბეჭედში, პირზე გამოსახულია ორი თავთავი; 8. ინტალიო ოვალური ნარინჯისფერი სარდიონისა, რკინის ბეჭედში (ძალზედ დაზიანებული). პირზე გამოსახულია

[20] 1. 1962 წ. სამარხი №258, ინვ. №1094, ინტალიოს სიგრძე – 16 მმ, სიგანე – 12 მმ. ახ.წ. II საუკუნე; 2. 1960 წ. სამარხი №191, ინვ. №1049, ინტალიოს სიგრძე – 13 მმ, სიგანე – 10 მმ. ბეჭდის დიამეტრი –19მმ. ახ.წ. II საუკუნე (ქ. ჯავახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ. 1972, გვ. 53-54).

კალათა, რომელშიც პურის თავთავები და დაყაყაჩოს ნაყოფებია ჩადგმული. კალათის მარჯვნივ და მარცხნივ სიუხვის ყანწები დგას.[21] ნიშანდობლივია, რომ ურბნისის სამაროვნისთვის უცხო არ არის სინკრეტული ღვთაებების, მათ შორის დემეტრას კულტთან დაკავშირებული სინკრეტული ღვთაების დადასტურების ფაქტი. ხორბლის თავთავებთან სიუხვის ყანწების გამოსახვა, ჩვენი აზრით, სწორედ დემეტრას სიმბოლოს ტიხე-ფორტუნას სიმბოლოსთან სინკრეტიზაციის მაჩვენებელია.

ურბნისის სამაროვანზეა დაფიქსირებული სინკრეტული ღვთაების ნიკა-ფორტუნა-ათენა გამოსახულებიანი გლიპტიკის ნიმუშები: 1. ოვალური ფორმის ინტალიო თეთრი გამჭვირვალე მინისა, რკინის ბეჭედში; 2. ინტალიო ოვალური ფორმის ორფენიანი ხელოვნური სარდიონ-ფრცხილისა, რკინის ბეჭედში.[22]

ჟინვალის სამაროვანზე დემეტრას გამოსახულებიანი ერთი გემაა აღმოჩენილი №355 ორმოსამარხში (12.VII.1980. სამარხში დაკრძალული იყო ორი (40-50 წლის) კიდურებმოკეცილი მამაკაცი მარჯვენა გვერდზე). ინტალიო ოვალური ფორმის ღია მწვანე ფერის მინისა, ბრინჯაოს ბეჭედში (09-XXV-80-368, რკალის დმ – 2,5 სმ; თვალის დმ – 1.3 სმ). №330 ორმოსამარხში კი დაფიქსირდა სინკრეტული ღვთაების დემეტრა-ტიქეს გამოსახულება სიუხვის ყანწითა და თავთავით. ინტალიო სარდიონის რკინის ბეჭედში (დაჟანგებული, დაშლილი) (25.VII.1980. სამარხში დაკრძალული იყო ორი – მამაკაცისა და დედაკაცის (40-45 წლის) (09-XXXV-80-123).[23]

---

[21] 1. ინვ. №1043. 1960 წ. სამნარხი №189, ინტალიოს სიგრძე დაახლოებით 11 – მმ, ბეჭდის დმ – 17 მმ. ახ.წ. I-II ს-ის დასაწყისი; 2. ინვ. №1028. 1960 წ. სამარხი №172, ინტალიოს სიგრძე 12 – მმ, სიგანე – 10 მმ. ახ.წ. I-II ს-ის დასაწყისი; 3. ინვ. №1064. 1961 წ. სამარხი №205, ინტალიოს დიამეტრი – 4მმ, ბეჭდის დმ – 17მმ, სიმარლე – 19მმ. ახ.წ. I-II ს-ის დასაწყისი; 4. ინვ. №982. 1958 წ. სამარხი №73, ინტალიოს სიგრძე – 8 მმ, სიგანე – 7 მმ ბეჭდის დმ – 17 მმ. ახ.წ. II საუკუნის მიწურული და III საუკუნის დასაწყისი; 5. ინვ. №1079. 1961 წ., სამარხი №231, ინტალიოს სიგრძე – 9მმ, სიგანე – 8მმ. ბეჭდის დმ. – 18მმ, სიმაღლე 20მმ. ახ.წ. II საუკუნე; 6. ინვ. №982. 1958 წ., სამარხი №73, ინტალიოს სიგრძე – 7მმ, სიგანე – 5მმ. ბეჭდის დმ. – 17მმ, სიმაღლე 20მმ. ახ.წ. II საუკუნის მიწურული-III საუკუნის დასაწყისი; 7. ინვ. №1089. 1962 წ. სამარხი №248, ინტალიოს სიგრძე – 7მმ, სიგანე – 6მმ. III საუკუნე; 8. ინვ. №1027. 1960 წ. სამნარხი №172, ინტალიოს სიგრძე დაახლოებით 12 – მმ, სიგანე 10 მმ. ახ.წ. I-II ს-ის დასაწყისი (ქ. ჯავახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, გვ. 26, 29, 34-35, 57, 65, 76).

[22] 1. ინვ. №1063. 1961 წ. სამარხი №205, ახ.წ. I-II ს-ის დასაწყისი; 2. ინვ. №1084. 1961 წ. სამარხი №234, ახ.წ. II საუკუნე (ქ. ჯავახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, გვ. 35, 50).

[23] ვ. ჩიხლაძე. ჟინვალის სამაროვანი. თბ. 2015, გვ. 26, 30.

ჟინვალის სამაროვნისთვის უცხო არ იყო დემეტრას კულტთან დაკავშირებული სიმბოლოებიანი ინტალიოებიც: 1. ინტალიო სარდიონისა ხორბლის ორი თავთავის გამოსახულებით, რკინის ბეჭედში. (ბეჭედი დაზიანებული, 09-XXV-81-245ა); 2. ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (09-XXV-77-387), რომელზეც სქემატურად ამოკვეთილია თავთავები ლარნაკში (?) ან კალათაში; 3. ინტალიო სარდიონისა ხორბლის ორი თავთავის გამოსახულებით, ვერცხლის ბეჭედში (09-XXV-83-177).[24]

ჟინვალის სამაროვნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი დემეტრას კულტთან დაკავშირებული მასალის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ გვიან ანტიკური ხანის ჟინვალი ვახუშტი ბაგრატიონის აღწერისა არ იყოს, მართლაც „ძველი ქალაქია“. რომ იგი უკვე გვიან ანტიკურ ხანაში წარმოადგენდა საქალაქო დასახლებას, სადაც ინტენსიური აღებ-მიცემა – ვაჭრობა მიმდინარეობდა და რომლისთვისაც უცხო არ იყო ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობა, რაც აისახა კიდეც აქ გავრცელებულ ღვთაებებზე.

ფეხზე მდგომი კვართით შემოსილი დემეტრას გამოსახულებიანი სარდიონის ამობურცული ოვალური ინტალიო რკინის ბეჭდის ფრაგმენტში იქნა აღმოჩენილი 1966 წელს ერწოს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ქუშანაანთ გორის II (მაგრანეთი) სამაროვანზე №5 სამარხში (სურ.№2).[25] ღვთაებას თავი მარჯვნივ აქვს მიბრუნებული. მარჯვენა ხელით კვერთხს ეყრდნობა, ხოლო წინ გაწვეულ მარცხენა ხელში თავთავებისა და ყაყაჩოს კონა უკავია.[26]

ტახტზე მჯდომი დემეტრაა გამოსახული ოვალური ფორმის მოწითალო ფერის სარდიონის ინტალიოზე, რომელიც ახალციხეში შემთხვევითი მონაპოვარია (სურ.№3)(შეძენილია 1945 წლის 27 დეკემბერს ვინმე ვ.კ გვარამიძისაგან[27]). ღვთაებას წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში პურის თავთავები

[24] 1. 12.VIII.1981. ორმოსამარი №408. სამარხში დაკრძალული იყო 30-40 წლის დედაკაცი კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე; 2. 21.VI.1983. ორმოსამარხი №156. სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული ერთმანეთის პირისპირ კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში. ერთი მარცხენა გვერდზე, ხოლო მეორე მარჯვენაზე (დედა-შვილი. დედა-30-35 წლის, შვილი 10-12 წლის ბეჭდის დმ – 2სმ); 3. 29.VI.1983. ორმოსამარხი №521. ბეჭდის რგოლის დმ. 2,2 სმ (ვ. ჩიხლაძე. ჟინვალის სამაროვანი, გვ. 69, 125, 147).

[25] ინტალიო ინახება ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმში. გადაცემულია 1976 წლის 12. 02. ინვ. №1230.

[26] ინტალიოს სიგრძე – 15სმ, სიგანე – 11მმ, სიმაღლე – 4,5სმ (რ. რამიშვილი. ერწოს ველი გვიანანტიკურ ხანაში. თბ. 1979. გვ. 46).

[27] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდის დავთარი.

უჭირავს. მარცხენა ხელი არ ჩანს (ინტალიო დაზიანებულია).[28]

დემეტრას კულტთან დაკავშირებულ სიმბოლოს – პურის ორ თავთას ვხვდებით, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ფ. ბაიერნის მიერ სამთავროს ტერიტორიაზე 1870-1877 წლებში მოპოვებულ გლიპტიკურ მასალაში, რომელიც თავის დროზე შეისწავლეს და სისტემაში მოიყვანეს მ. მაქსიმოვამ და მ. ლორთქიფანიძემ (მასალის ნაწილი მოსკოვის ისტორიული მუზეუმისა და სახელმწიფო ერმიტაჟის კუთვნილებას შეადგენს). ოვალური ფორმის მუქი ფერის სარდიონის ინტალიო, ბრტყელი, რკინის ბეჭედში.[29]

ამრიგად, კვლევის შედეგად დგინდება, რომ დემეტრას კულტის შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე (აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი) ხდება ადრე ანტიკური ხანიდან დიდ ბერძნული კოლონიზაციის შედეგად. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ პერიოდში ღვთაების გავრცელება ადგილობრივ მოსახლეობაში არტეფაქტების საფუძველზე ნაკლებად ფიქსირდება. დემეტრას ძირითადად ბერძენი კოლონიზატორები სცემენ თაყვანს. ელინისტური პერიოდიდან მოყოლებული დემეტრას კულტი ცნობილია როგორც დასავლეთ (ცენტრალური კოლხეთი), ისე აღმოსავლეთ საქართველოში, რაც ანტიკურ სამყაროსთან პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის შედეგს წარმოადგენს. განსხვავებული სიტუაციაა გვიან ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც დემეტრას გამოსახულებები გვხვდება ძირითადად გლიპტიკურ ძეგლებზე. ჭრილა ქვების დანიშნულებიდან გამომდინარე, ყოველივე, ჩვენი აზრით, რომის იმპერიასთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობების მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. გვიან ანტიკურ ხანაში კოლხეთის შავიზღვისპირეთი რომის იმპერიის პროვინცია პონტოს შემადგენელი ნაწილია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო – იბერია (ქართლი) რომის მეგობარი და მოკავშირე (კლიენტი) ქვეყანა, სადაც გავლენის მოსაპოვებლად ერთმანეთს უპირისპირდება ორი დიდი სახელმწიფო. ერთი მხრივ რომის იმპერია, ხოლო მე-

[28] ინვ. №178, ინტალიოს სიგრძე – 13სმ, სიგანე – 11მმ, სიმაღლე – 3მმ. ზ.წ.II-III სს. (მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. III. თბ. 1961, გვ. 56).

[29] ინვ. №311, ინტალიოს სიგრძე – 6მმ; სიგანე – 4მმ, ბეჭდის დიამეტრი – 13მმ, სიმაღლე – 20მმ, ბუდის სიგანე – 11მმ. სამთავრო, ძველი ნომერი 2045. სამთავროს, ძველი ნომერი 2045. ახ.წ. III საუკუნე (მარ. ლორთქიფანიძე. 1870-1877 წლებში სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული გემების კატალოგი. „იბერია-კოლხეთი“. 2014, №10. გვ. 99-100 (96-110), სურ. №8).

ორე მხრივ პართია, ახ.წ. 326 წლიდან კი სასანიანთა ირანი. საკუთარი გავლენის მოპოვების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს რელიგიური ფაქტორი, რაც კარგად ესმით ზემოაღნიშნული სახელმწიფოების მმართველებს. შესაბამისად, იბერიიის ტერიტორიაზე გავრცელებას იწყებს როგორც ანტიკური წარმართული კულტები, ისე აღმოსავლური ღვთაებები და მაზდიანობასთან დაკავშირებული რელიგიური სიბოლოები (განსაკუთრებით სასანიანთა ირანის პერიოდიდან მოყოლებული).







***Marika Mshvildadze***
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## CULT OF DEMETER IN IBERIA-COLCHIS

Summary

Demeter – Goddess of the harvest, agriculture, fertility was one of the most worshipped Goddesses in the world of antiquity. From the moment of the appearance of the Greeks in other countries Demeter was identified with the local Goddesses. The given work involves the studies and analyses of the artifacts connected with Demeter's cult discovered on the territory of Georgia. The results of the study prove that the cult of Demeter was introduced on the territory of Colchis from the period of early antiquity (four terracotta statues were discovered at the Greek necropolis of Kobuleti-Pichvnari and terracotta figurines of pigs, Demeter's sacred animal were found were found in burials #158,159 of Tsikhisdziri tombs. This is a direct result of the Great Greek colonization since no artefacts proving the existence of cult of Demeter among the local Colchian population have been encountered yet.

The sculpted terracotta head of the Goddess (dated by III-II cc. C.C.) is found at Vani archaeological site, in Hellenistic layers. By the end of the Hellenistic period the cult of Demeter becomes familiar for the population of Eastern Georgia as well (seated terracotta figure is discovered in the hoard of Uplistsikhe, a fragment of a spirelike woman with the covered head is found on the central terrace of Sarkine former city site.

From the late Antiquity Demeter's cult is widely spread on the territories of both East and West Georgia, which is a result of the existing political situation. It is noteworthy that the images of the goddess are mostly encountered on the glyptic monuments. On the territory of Western Georgia intaglios with symbols connected with Demeter and her cult are mostly found at Bitchvinta necropolis while in East Georgia they are present at the necropolises of Urbnisi, Zhinvali, Kushanaant gora II (Magraneti), Samtavro. They are also encountered in the glyptic materials obtained by F. Baiern on the Samtavro territory,

***Михаил Чореф***
Научный сотрудник,
Нижегородский государственный университет
им. Н.И. Лобачевского, Россия

# К вопросу об атрибуции северопонтийских монет с буквосочетанием ΣΑΥ на реверсе

Уже не первое столетие идет дискуссия по поводу определения нумизматических артефактов, изображения которых приведены[1] на рис. 1. Проблема в том, что все еще нет единой точки зрения по вопросу о прочтении легенд их реверса. К сожалению, все эти монеты – малого диаметра, так что надпись на оборотной стороне не отчеканена полностью. Приведем их описания:

**Тип I**

Л.с.: Голова Гелиоса в лучевой короне вправо.

О.с.: Голова быка вправо. Перед ней неясное изображение[2]. Над головой животного различимо ΒΑΣΙ, под ней читается ΣΑΥΜ (рис. 1: *1-6*).

Есть основания для выделения двух их подтипов. Для монет первого характерны частые лучи, расходящиеся от головы божества (рис. 1: *1, 2*). На лицевой стороне выпусков второго выбивали голову Гелиоса с редкими лучами (рис. 1: *3-6*). Для наглядности приводим реконструкции монет этих подтипов, предложенные А. фон Заллетом[3] (рис. 1: *1*) и П.О.

[1] Изображения монет на рис. 1 опубликованы А. фон Заллетом (A. von Sallet. Zur griechischen Numismatik // ZfN. 1876. Bd. III. S. 58), П. О. Бурачковым (П.О. Бурачков. Общий каталог монет, принадлежащих эллинским колониям, существовавшим в древности на северном берегу Черного моря, в пределах нынешней Южной России. Ч. I. Одесса: Типография А. Шульце, 1884. табл. XXV, *37*), А. В. Орешниковым (А. Орешников. Экскурсы в область древней нумизматики черноморского побережья. М.: Синодальная Типография. 1914. табл. I, *1-3*), К.В. Голенко (К.В. Голенко. О монетах, приписываемых Савмаку // ВДИ. 1951. № 4. табл. I, *1, 2, 5*), а также Т. и Г. Дундуа (T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi: Meridian Publishers. 2018, p. 89, 92, 95).

[2] Вполне возможно, что это монограмма или тамга. К сожалению, разобрать это обозначение на известных нам экземплярах не представляется возможным.

[3] A. von Sallet. Zur griechischen Numismatik S. 58.

Бурачковым[4] (рис. 1: *3*).
Судя по публикациям[5], монеты этого типа (4 экз.) чеканили в биллоне или в бронзе. Вес от 1,04 до 1,65 г. Они хранятся в собраниях Берлинского музея (рис. 1: *1, 2*) и ГИМ (рис. 1: *3-6*)[6].

**Тип II**
Л.с.: Голова Гелиоса в лучевой короне вправо.
О.с.: Цветок граната. Над ним читается ΒΑΣΙΛ. Под изображением различимо ΣΑΥ (рис. 1: *7-9*).
Монеты этого типа (2 экз.) известны в серебре[7]. Их вес 0,98 и 1,7 г. Они хранятся[8] в собраниях Берлинского музея (рис. 1: *7*) и Музея Вани (рис. 1: *8*). Для наглядности приводим реконструкцию монеты этого типа, предложенную Т. и Г. Дундуа (рис. 1: *9*).

**Тип III**
Л.с.: Голова Гелиоса в лучевой короне анфас.
О.с.: Крылатая молния. Выше ее – ΒΑΣΙ, ниже – ΣΑΥ (рис. 1: *10, 11*).
Монеты этого типа чеканились из меди и, возможно, серебра[9]. Известные экземпляры весят 1,75 и 1,83 г. Они хранятся[10] в собраниях Берлинского (рис. 1: *10*) и Британского музеев (рис. 1: *11*).

Процесс изучения этих монет начался в конце XIX в. Так, монету первого типа ввел в научный оборот А. фон Заллет. Ученый полагал, что в нижней строке легенды ее реверса можно читать ΣΑΥΛ или ΣΑΥΜ.

[4] П. О. Бурачков. Общий каталог монет…, табл. XXV: 37.
[5] По данным В.А. Анохина, «точный анализ» сплава, из которого были изготовлены монеты этой группы, не проводился (В.А. Анохин. Монеты Савмака и Савлака // Монеты Северного Причерноморья и царей Колхиды: Сб. статей. Киев: Стилос. 2016, с. 133). Так что сведения о материале, пошедшем на их производство, неточны, и, вполне возможно, будут уточнены в обозримом будущем.
[6] В. А. Анохин. Монеты Савмака и Савлака, с. 131, № 1; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics, p. 88.
[7] Проба также не установлена (В.А. Анохин. Монеты Савмака и Савлака, с. 133).
[8] В. А. Анохин. Монеты Савмака и Савлака, с. 131, № 2; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics, p. 92.
[9] Эти данные приведены в публикациях (T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics, p. 95). Хотя изучение состава сплава не проводилось (В.А. Анохин. Монеты Савмака и Савлака, с. 133). Надеемся, что эти данные будут уточнены в ближайшем будущем.
[10] В. А. Анохин. Монеты Савмака и Савлака, с. 131. № 3; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics, p. 95.

Причем он не счел возможным атрибутировать и датировать этот артефакт[11]. В том же номере «Zeitschrift für Numismatik» вышла статья А. фон Гутшмидта[12], заключившего, что эта монета могла быть выпущена неизвестным колхидским царем Савлаком, по его мнению, правившем во II в. до н.э., одноименным государю, о котором писал Г. Плиний Секунд[13]. Р. Вейль, развивая эти гипотезы, допустил, что последней различимой буквой в нижней строке легенды реверса является «М». Ученый заключил[14], что изученная им монета могла быть выпущена от имени Савмака[15], известного по херсонесскому декрету в честь Диофанта[16]. Но этот вывод не принял А. В. Орешников, считая его преждевременным[17]. В свою очередь, К.В. Голенко привел доводы в пользу предположения А. фон Гутшмидта[18]. Его выводы принял Д.Г. Капанадзе[19]. Однако А.Н. Зонраф[20] и В.Ф. Гайдукевич[21] заключили, что на реверсе монет, опубликованных А. фон Заллетом и А.В. Орешниковым читается ΣΑΥΜ. К.В. Голенко согласился с этим выводом и допустил, что на монетах изучаемой группы возможны как ΣΑΥΜ, так и ΣΑΥΛΑ, ΣΑΥΛΤ и

[11] A. von Sallet. Zur griechischen Numismatik, S. 58-59.

[12] A. von Gutschmid. Saulakes, König von Kolchis // ZfN. 1876. Bd. III, S. 150-153.

[13] Ограничимся приведением фрагмента текста Г. Плиния Секунда, в котором упомянут царь Колхиды Савлак: «iam regnaverat in Colchis Saulaces Aetae suboles, qui terram virginem nactus plurimum auri argentique eruisse dicitur in Suanorum gente, et alioqui velleribus aureis incluto regno. et illius aureae camarae, argenteae trabes et columnae atque parastaticae narrantur vicate Sesostri, Aegypti regi tam superbo, ut prodatur annis quibusque sorte reges singulos e subiectis iungere ad currum solitus atque ita triumphare!» (Plin. NH., XXXIII, 52). Т.е. этот государь являлся современником и противником некого фараона Сесостриса. Очевидно, что речь идет о собирательном образе правителя Египта, ведшего завоевательные войны. Подробнее о Сесострисе см: (А.И. Иванчик. Античная традиция о фараоне Сесострисе и его войне со скифами // ВДИ. 1999. № 4, сс. 4-3). Сведения о позднейшем Савлаке отсутствуют в античных источниках исторической информации.

[14] R. Weil. König Saumakos // ZfN. 1881. Bd. VIII, S. 329-333.

[15] К такому же выводу пришел П.О. Бурачков, изучив монету из своей коллекции (П. О. Бурачков. Общий каталог монет, с. 220, № 13, табл. XXV, *37*). В свою очередь, А. Л. Бертье-Делагард заметил, что на реверсе этой монеты «надписи не приметны» (А. Л. Бертье-Делагард. Поправки общего каталога монет П. О. Бурачкова. М.: типография О. О. Гербек, с. 27).

[16] IOSPE[3] III. № 8.

[17] А. Орешников. Экскурсы в область древней нумизматики черноморского побережья, с. 6.

[18] К.В. Голенко. О монетах, приписываемых Савмаку, сс. 199-203; К. В. Голенко. Еще раз о монетах, приписываемых Савмаку // ВДИ. 1963. № 3, сс. 69-81.

[19] Д.Г. Капанадзе. Несколько добавочных замечаний по поводу статьи К. В. Голенко «О монетах, приписываемых Савмаку» // ВДИ. 1951. № 4, сс. 203-204.

[20] А.Н. Зограф. Античные монеты. М.; Л.: АН СССР. 1951, с. 185, табл. XLII, *27-29*.

[21] В.Ф. Гайдукевич. Боспорское царство. М.; Л.: АН СССР, 1949, с. 585, табл. II, *43*; В.Ф. Гайдукевич. Еще раз о восстании Савмака // ВДИ. 1962. № 1, сс. 2-23, рис. 2, 3.

ΣΑΥΛΥ[22]. В тоже время ученый не сомневался в их колхидском происхождении[23]. Он настаивал на том, что объекты его изучения выпускались по стопе «колхидок». К.В. Голенко полагал, что по той же причине на их реверсе разместили характерное для выпуском Колхиды изображения голов Гелиоса и быка[24]. Решающее значение он предавал[25] факту обнаружения трех из них в кладе из окрестностей Сухуми[26]. Ученый писал, что вряд ли Савмак мог за непродолжительный период времени – менее года выпустить два типа монет, да еще и с признаками «деградации пробы металла»[27].

Важный вклад в разрешение проблемы внесли Г.Ф. Дундуа и В.А. Анохин. Первый из исследователей поддержал точку зрения В.Ф. Гайдукевича, заметив, что рассуждения К.В. Голенко производят «впечатление искусственно осложненного вопроса»[28].

В свою очередь, В. А. Анохин хоть и не отнес изначально эти монеты к выпускам государей Боспора[29], в своих позднейших работах[30] изложил весьма веские доводы в пользу этого заключения. Так, ученый справедливо заметил, что «аргументацию К. В. Голенко нельзя признать объективной и убедительной»[31]. В. А. Анохин начал с того, что стопа монет этой группы характерна для боспорских выпусков последней трети II в. до н.э.[32]. Ученый заключил, что изучаемые монеты – одного номинала[33]. Причем нет никаких оснований для отнесения их к чекану Колхиды. Ведь ее правители тогда чеканили только золото – т.н.

---

[22] К. В. Голенко. Еще раз о монетах, приписываемых Савмаку, с. 71.
[23] К. В. Голенко. О монетах, приписываемых Савмаку, сс. 202-203; К.В. Голенко. Еще раз о монетах, приписываемых Савмаку, с. 79.
[24] К. В. Голенко. О монетах, приписываемых Савмаку, с. 202.
[25] Ibid.
[26] А. Орешников. Экскурсы в область древней нумизматики черноморского побережья, сс. 6-8, табл. I, *1-3*; Е.А. Пахомов. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Вып. IV. Баку: АН АзССР, 1949, с. 13, № 1117.
[27] К. В. Голенко. О монетах, приписываемых Савмаку, с. 202.
[28] Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тбилиси: Мецниереба, 1987, с. 103.
[29] В. А. Анохин. Монетное дело Боспора. Киев: Наукова думка, 1986.
[30] В. А. Анохин. История Боспора Киммерийского. Киев: Одигитрия, 1999, сс. 101-102; В. А. Анохин. Дополнения к Каталогу «Античные монеты Северного Причерноморья». Монеты Северного Причерноморья и царей Колхиды: Сб. статей. Киев: Стилос. 2016, с. 84, № 1286а-б-в; В.А. Анохин. Монеты Савмака и Савлака, с. 130-140.
[31] В. А. Анохин. Монеты Савмака и Савлака, с. 132.
[32] В. А. Анохин. Античные монеты Северного Причерноморья. Киев: Стилос. 2011, № 1078, 1087, 1101-1103; В.А. Анохин. Монеты Савмака и Савлака, сс. 137-138.
[33] В. А. Анохин. История Боспора Киммерийского, с. 101.

«кавказские подражания» статерам Александра и Лисимаха[34], последние серии которых, поступившие в обращение в конце II в. до н.э., были оформлены, не в пример рассматриваемым монетам, в нарочито варварском стиле. Что же касается «деградации металла», то, как заметил исследователь, «точный анализ» состава сплава не проводился. Причем как раз для регулярной, длительной чеканки было бы характерно сохранение пробы или же ее плавное снижение[35].

В. А. Анохин не обошел вниманием и сообщение об обнаружении трех монет первого типа в кладе, найденном близ Сухуми[36]. Он заметил, что одна из них, заинтересовавшая К. В. Голенко (рис. 1: *4*), ранее хранилась в коллекции П.О. Бурачкова. Так что есть все основания предполагать ее таврическое происхождение[37]. Учитывая все эти обстоятельства, ученый пришел к выводу, что привлекшие наше внимание монеты были выпущены боспорским правителем, по-видимому, Савмаком[38].

Однако сравнительно недавно в научный оборот были введены сведения о весьма интересной монете[39] (рис. 2), на реверсе которой явственно читается ΣΑΥΛΑΚΟΥ. Приведем ее описание.

Л.с.: Голова Афины в коринфском шлеме вправо;
О.с.: (ΒΑΣΙ)Λ(Ε) ΣΑΥΛΑΚΟΥ. Развернутая влево лежащая птица, голова которой обращена назад (рис. 2).
Монета отчеканена из «биллона или низкопробного серебра», ее вес – 1,6 г, диаметр – 1,1 см[40].

[34] В. А. Анохин. Монеты Савмака и Савлака, с. 139.
[35] Ibid, с. 133.
[36] А. Орешников. Экскурсы в область древней нумизматики черноморского побережья, сс. 6-8, табл. I, *1-3*; Е.А. Пахомов. Монетные клады Азербайджана и других республик, с. 13. № 1117.
[37] В. А. Анохин. Монеты Савмака и Савлака, с. 137.
[38] В. А. Анохин. История Боспора Киммерийского. Киев: Одигитрия. 1999, сс. 101-102; В. А. Анохин. Дополнения к Каталогу «Античные монеты Северного Причерноморья», с. 84, № 1286а-б-в; В.А. Анохин. Монеты Савмака и Савлака, сс. 130-140.
[39] Ее изображение опубликовано в (А.В. Гаврилов, И.В. Шонов. Монета Савлака с укрепления Куру Баш близ Феодосии // XIV Всероссийская нумизматическая конференция, Санкт-Петербург, Гатчина 16-21 апреля 2007 г.: Тез. докл. и сообщ. / Отв. ред. В.А. Калинин. СПб.: Государственный Эрмитаж, с. 31; В. А. Анохин. Монеты Савмака и Савлака. рис. 1; И.В. Шонов. Монетная чеканка правителей Боспора VI-I вв. до н.э. Симферополь: ИП «АРИАЛ». 2019, рис. 255.
[40] А. В. Гаврилов, И. В. Шонов. Монета Савлака с укрепления Куру Баш близ Феодосии, с. 31.

Артефакт был найден в 2006 г. на селище Куру Баш неким жителем Феодосии и опубликован А. В. Гавриловым и И. В. Шоновым. Исследователи не разобрали первую строку надписи реверса. Действительно, видна она довольно плохо. Зато они прочли вторую строку, на основании чего отнести монету к чекану Савлака. Исследователи допустили, что она могла «попасть на Куру Баш как с воинами Диофанта, когда ему силой пришлось взять Феодосию и укрепления в ее округе[41], так и несколько позже, во время дислокации здесь понтийского гарнизона». И пришли к выводу, что раз их монета была выпущена от имени Савлака, то и артефакты на рис. 1, были отчеканены от имени этого же правителя. Хотя ничего общего в их оформлении не просматривается. И титул Савлака на монете они не разобрали. Ничего более оригинального А.В. Гаврилов и И.В. Шонов не сформулировали[42].

В. А. Анохин обратил внимание на эту публикацию[43]. И высказал замечания, опустить которые мы не имеем права. Во-первых, ученый уточнил легенду реверса, указав, что в первой строке было размещено указание на титул правителя, при котором была отчеканена изучаемая монета[44]. Во-вторых, ученый допустил, что эта монета могла быть выпущена в северной части Колхиды, а, точнее, в Диоскурии, причем в последние годы правления Митридата VI Евпатора Диониса (121-63 гг. до н.э.), когда «царь уже был на Боспоре и не мог реагировать на самоуправство Савлака, либо была санкционирована Митридатом в благодарность за какую-либо помощь»[45].

Сразу же заметим, что мы находим мысли В.А. Анохина безусловно логичными и перспективными. Заметим только, что сам факт обнаружения монеты Савлака в Восточной Таврике и ее исключительная редкость не позволяет нам принять последний тезис уважаемого исследователя. Вряд ли Савлак отчеканил так мало монет, что они не сохранились в Колхиде, но при этом обращались в Таврике, где в результате постоянной деятельности денежных дворов не ощущали дефицита в платежных средствах. Также нет оснований полагать, что «ослабленная, предостав-

[41] IPE I, № 352.
[42] А. В. Гаврилов, И.В. Шонов. Монеты Савлака с укрепления Куру Баш близ Феодосии, сс. 31-33.
[43] В. А. Анохин. Монеты Савмака и Савлака, с. 130-140.
[44] Ibid, с. 130.
[45] Ibid, с. 140.

ленная только своим силам»[46] Диоскурия осмелилась тогда выпустить серебро без санкции римских властей, да еще и от имени царя Савлака. Ведь, в противном случае, сам факт его царствования был зафиксирован в римских письменных источниках, чего мы, как уже было сказано выше, не наблюдаем. Зато известно, что на пути в Колхиду Помпей разгромил царей албанского царя Ороза и иберийского Артока, которых, вместе с правителем колхов Олтаком, он провел в своем триумфе[47]. Если верить Л. Аннею Флору, он подчинил тогда и царя колхов Ороза[48].

Попытаемся развить наш тезис. Полагаем, что единственно возможным его следствием является констатация того факта, что монета, изданная А.В. Гавриловым и И.В. Шоновым, является фантазийной, а, точнее, современным новоделом. Ее изготовили с учетом высокого спроса на «уникумы» у незадачливых коллекционеров.

Чтобы совершенно убедиться в этом, обратим внимание на легенду реверса, а, точнее, на передачу слова ΣΑΥΛΑΚΟΥ. Хорошо видно, что его буквы не ограничены точками. Что не характерно для античных монет, в т.ч. и для выпусков Савмака (рис. 1). Далее, весьма примечательна форма «Υ». Ее наклонные составляющие переданы как сегменты окружностей. Что также не характерно для почерков резчиков штемпелей той эпохи. Складывается впечатление, что буквы этой надписи не прорезали, а небрежно процарапали по мягкому и податливому материалу. В результате чего они получились неординарно тонкими и неаккуратными. Но, как ни странно, они довольно хорошо сохранились, в отличие от рельефных, и, по-видимому, тщательно прорезанных изображений головы Афины и птицы. Полагаем, что изделие было протравлено для предания ему вида под старину, причем нижнюю строку надписи лишь слегка задели, повредив только ее последние буквы, чтобы не лишить изделие привлекательности для собирателей[49].

[46] Ibid.
[47] App. Mithr., 103, 114, 117.
[48] Flor. XL, 27.
[49] Следует обратить внимание на следующее обстоятельство. А. В. Гаврилов, публикуя в 2010 г. нумизматические материалы из селища Куру Баш, не счел необходимым упомянуть привлекшую наше внимание монету (А. В. Гаврилов. Нумизматический материал селища Куру Баш (лагерь) и некоторые вопросы истории Феодосии конца II-I вв. до н.э. // Stratum plus. 2010. № 6, сс. 141-157). Что может быть следствием или невероятной и недопустимой забывчивости, или тем, что он не уверен в ее подлинности. Что, как нам кажется, куда вероятнее. Только этим обстоятельством можно объяснить тот факт, что исследователь не сослался на совместную с И. В. Шоновым публикацию «монеты Савлака», хотя

В любом случае, у нас нет оснований полагать, что некий легендарный Савлак, царь Колхиды, выпустил монеты, изображения которых приведены на рис. 1. Их могли отчеканить только по приказу Савмака. Причем развитие типов его выпусков было столь же быстрым[50], что и бронз Пантикапея и Фанагории, отчеканенных в период краткого правления Скрибония (21/20-17/16 гг. до н.э.), после его гибели, а также в начале царствования Полемона I (14/13 гг. до н.э. - 9/10 гг. н.э.).

Что же касается фактов обнаружения монет Савмака в восточной части Боспорского государства, то, полагаем, что жители его окраин отдавали предпочтение привычным денежным знакам, даже если они выпали из обращения в Центре или на территориях государств-эмитентов[51]. Так что не случайно монеты Савмака нашли вместе с «колхидками»[52]. Определенно, их продолжали ценить за содержащийся в них драгоценный металл.

Подчеркнем, что мы не считаем наше исследование завершенным. Рассчитываем, что будут уточнены сведения о сплаве, из которого отчеканили выпуски Савмака. Так же надеемся на то, что удастся в обозримом будущем выявить монету первого типа с различимым обозначением перед головой быка на реверсе.

## Список сокращений

ВДИ – Вестник древней истории. Москва.
НСб. – Нумизматический сборник. Москва.
МАИАСП – Материалы по археологии и истории античного и средневекового Причерноморья. Нижневартовск.
МИА – Материалы и исследования по археологии СССР. Москва; Ленинград.
ZfN – Zeitschrift für Numismatik. Berlin.

процитировал позднейшие статьи, вышедшие в 2008 и в 2009 гг. (А.В. Гаврилов. Нумизматический материал селища Куру Баш, с. 141, прим. 1). В свою очередь, его соавтор повторил все их соображения в своей монографии (И.В. Шонов. Монетная чеканка правителей Боспора VI-I вв. до н.э., с. 253, рис. 255).

[50] М. М. Чореф. Монеты Пантикапея и Фанагории третьей четверти I в. до н.э. как источник исторической информации // МАИАСП. 2020. № 12, сс. 710-733.

[51] М. М. Чореф. Звездовидная надчеканка I в. до н.э. на боспорском оболе III в. до н.э. как свидетельство межэтнических контактов населения Боспора и аспургиан // Русин. 2019. № 55, сс. 34-43.

[52] Е. А. Пахомов. Монетные клады Азербайджана и других республик, с. 13, № 1117.




Рис. 1. Монеты Савмака: *1-6* – первого типа; *7-9* – второго типа; *10, 11* – третьего типа



Рис. 2. Гипотетическая монета Савлака

***Mikhael Choref***
Researcher,
Lobachevsky State University of Nizhni Novgorod, Russia

## ON THE QUESTION OF ATTRIBUTION OF NORTH PONTIC COINS WITH LETTER COMBINATION ΣΑΥ ON THE REVERSE

Summary

Our attention was drawn to antique coins from the Northern Black Sea region with the letter combination ΣΑΥ on the reverse. On the obverse of these artifacts, a bust of Helios is imprinted in profile or full face, and on the reverse is the head of a bull to the right, a pomegranate flower or winged lightning. The debate on their attribution is still ongoing. These coins are attributed to the minting of Saumakos or Saulakos.

Indeed, the second point of view looks quite convincing. After all, most of these artifacts were found on the territory of Colchis. However, we believe that there are no grounds for attributing them to the issues of local dynasties. Indeed, in Colchis at that time only golden imitations of staters were minted.

We believe that the coins with the letter combination ΣΑΥ on the reverse were minted at the Bosporan mints during the Saumakos uprising. They could enter Colchis both during his time and after his defeat. The fact is that the inhabitants of the outskirts of the ancient world preferred their usual coins, even if they fell out of circulation in the territories of the issuing states.

As for the possibility of their release on behalf of Saulakos, who allegedly ruled in Colchis in the second half of the 2nd century or in the third quarter of the 1st century BCE, there is no information about him in written sources. Let us take into account that Saulakos, known from the "Naturalis Historia" by G. Plinus Secundus, was a contemporary and opponent of a certain pharaoh Sesostris. And the rulers of Colchis were no longer named in his honor, at least until the 2nd century BCE. We insist that his name was not honored even later. The fact is that we know about the Caucasian dynasts who resisted Pompey during his campaign against the Bosporus. And we do not know anything about the sovereign named Saulakos.

In the process of substantiating this thesis, we studied the so-called Saulakos coin, found in recent years near Feodosia, on the territory of the village of Kuru Bash. We believe that there is no reason to unite it into one group with the Saumakos releases. We judge by the fact that not the head of Helios is imprinted on its obverse, but a bust of Athena in a Corinthian helmet, and the image of a bird is placed on the reverse.

In addition, we have good reason to doubt the authenticity of this coin of Saulakos. After all, the inscription on its reverse, judging by the style, could not have been designed in the era of antiquity. Judging by the fact that the lines of its letters do not end with dots.

We assume that the so-called Saulakos coin, on the territory of the Kuru Bash settlement, is not a genuine artifact. Most likely, this is a skillfully aged remake, made to deceive unlucky collectors.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII
თბილისი. 2021

***Tedo Dundua***
Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

***Natia Phiphia***
Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

# Imitations of the Roman Coins in "Transcaucasian" States

There were four states in Classical Antiquity Southwards from the Caucasian Range and Eastwards from the Black Sea: Colchis/Lazica (modern West Georgia), Kartli/Iberia (modern East and South Georgia), Albania (modern Azerbaijan) and Armenia. All of them, more or less influenced by the Roman Empire, had Roman money in circulation. Provincial silver of Caesareian issue, denarii struck in greater quantity by Eastern, e.g. Syrian mints, municipal copper of Trapezus and Imperial copper money, struck predominantly at the mints of Antioch and Asia Minor, circulated in Lazica. In its Eastern provinces Caesareian issues were mixed with denarii of Augustus and late Roman gold imported from Iberia http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=26. Aurei and Augustan denarii formed a bulk of the money in circulation in Iberia. Then they were imitated http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=28. Now in details, first, the empiric level.

1) Imitation of Philip I's aureus. GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №9156. Weight – 4 gr. From Armazi necropolis (East Georgia).

Obverse: Bust of Philip I, laureate, cuirassed, r. Legend IMP M IVL PHILIPPVS AVG distorted.

Reverse: Mars standing l., holds spear in r. hand, l. hand rests on a round shield.

Distorted legend. If this is ANNOI (ANNONA), yet another prototype was used.[1]

2) Imitation of Philip I's aureus. GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №9155. Weight – 3,45 gr. From Armazi necropolis (East Georgia). (1) and (2) are struck by the same dies.[2]

3) Imitation of Philip I's aureus. GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №12181. Weight – 3,87 gr. From Maghraneti necropolis (East Georgia). The same dies were used (Pl. I №1).[3]

4) Imitation of Trajan Decius' aureus. GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №9158. Weight – 3,73 gr. From Armazi necropolis (East Georgia) (Pl. I №2).

Obverse: Bust of Trajan Decius, radiate, draped, r. Distorted legend, still ANVS DEC is well traced.

Reverse: Concordia standing l., sacrificing out of patera in r. hand at altar and

[1] Д. Г. Капанадзе. Ауреусы армазского некрополя. Советская археология. Москва. 1957. №3, p. 165; Л. Н. Казаманова, В. В. Кропоткин. Подражания римским золотым монетам II-III вв. н.э. Вестник древней истории. Москва.1964. №1 (87), pp. 142-143; К. В. Голенко. Заметки об обращении римской монеты в Закавказье. Вестник древней истории. Москва. 1971. №4 (118), for the imitations v. pp. 68-72; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=28

[2] Д. Г. Капанадзе. Ауреусы армазского некрополя. Советская археология. Москва. 1957. №3, p. 165; Л. Н. Казаманова, В. В. Кропоткин. Подражания римским золотым монетам II-III вв. н.э. Вестник древней истории. Москва.1964. №1 (87), pp. 142-143; К. В. Голенко. Заметки об обращении римской монеты в Закавказье. Вестник древней истории. Москва. 1971. №4 (118), pp. 68-72; also v. Д. Г. Капанадзе. Монетные находки мцхетской экспедиции (1937-1948 и 1951 гг.). Вестник древней истории. Москва. 1955. №1 (51), pp. 170-171; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=28

[3] Д. Г. Капанадзе. Новые находки подражаний римским ауреусам в Грузии. Вестник древней истории. 1970. №4 (114). Москва, p. 84, for all the types v. pp. 81-92; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=28

holding cornucopiae in l. hand. CONCORDIAE EXERCITI slightly distorted.[4]

5) Imitation of Hostilian's aureus. GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №9157. Weight – 4,8 gr. From Armazi necropolis (East Georgia) (Pl. I №3).

Obverse: Bust of Hostilian, laureate, r. Distorted legend. Scholars mostly see the name of Hostilian.

Reverse: Annona standing l., holds corn-ears and cornucopiae. Distorted legend.[5]

6) Imitation of Valerian I's aureus. GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №9735. Weight – 3,51 gr. Vashlovani (East Georgia) (Pl. I №4).

Obverse: Bust of Emperor, laureate, r. Illegible legend.

Reverse: Victoria driving biga l. Illegible legend.[6]

7) Imitation of Valerian I's aureus. Azerbaijan State Museum of History. Weight – 3,64 gr. Place of finding is unknown.

---

[4] Д. Г. Капанадзе. Ауреусы армазского некрополя. Советская археология. Москва. 1957. №3, p. 166; Л. Н. Казаманова, В. В. Кропоткин. Подражания римским золотым монетам II-III вв. н.э. Вестник древней истории. Москва.1964. №1 (87), pp. 142-143; К. В. Голенко. Заметки об обращении римской монеты в Закавказье. Вестник древней истории. Москва.1971. №4 (118), pp. 68-72; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=28

[5] Д. Г. Капанадзе. Ауреусы армазского некрополя. Советская археология. Москва. 1957. №3, p. 166; Л. Н. Казаманова, В. В. Кропоткин. Подражания римским золотым монетам II-III вв. н.э. Вестник древней истории. Москва.1964. №1 (87), pp. 142-143; К. В. Голенко. Заметки об обращении римской монеты в Закавказье. Вестник древней истории. Москва.1971. №4 (118), pp. 68-72; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=28

[6] Л. Н. Казаманова, В. В. Кропоткин. Подражания римским золотым монетам II-III вв. н.э. Вестник древней истории. Москва.1964. №1 (87), p. 143; К. В. Голенко. Заметки об обращении римской монеты в Закавказье. Вестник древней истории. Москва.1971. №4 (118), pp. 68-72; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=28

Obverse: Bust of Emperor, laureate, cuirassed, r. Distorted legend.
Reverse: Victoria driving biga r. Distorted legend.[7]
8) Imitation of Valerian I's aureus. GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №14595. Weight – 3,63 gr. From Jinvali (East Georgia) burial (together with original coin) (Pl. II №5).
Obverse: Bust of Emperor, laureate, r. Mirror image of inscription IMP C P LIC VALERIANVS AVG.
Reverse: Victoria driving biga l. Mirror image of VICTORI AVCC.[8]
9) Imitation of Valerian I's aureus. GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №9151. Weight – 3,44 gr. From Armaziskhevi tomb (East Georgia).
Obverse: Bust of Emperor, laureate, r. Illegible legend.
Reverse: Victoria driving biga l. Almost illegible legend, still VI is well traced.[9]
10) Imitation of Numerian's aureus. GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №9340. Weight – 3,52 gr. From Aghaiani burial (East Georgia) (Pl. II №6).
Obverse: Bust of Emperor, laureate, l. Mirror image of inscription, of which first letters IMP C are quite clear.
Reverse: Victoria advancing l., holding wreath. Mirror image of inscription VICTORII V AVGG.[10]

[7] К. В. Голенко. Заметки об обращении римской монеты в Закавказье. Вестник древней истории. Москва.1971. №4 (118), p. 72; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=28

[8] M. Sherozia. New Samples of Local (Iberian) Imitations of Roman Aurei (in Georg. with Engl. summary). Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences. II (47-B). Tbilisi. 2011, p. 250; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=28

[9] M. Sherozia. New Samples of Local (Iberian) Imitations of Roman Aurei (in Georg. with Engl. summary). Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences. II (47-B). Tbilisi. 2011, p. 251; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=28

[10] Д. Г. Капанадзе. Ауреусы армазского некрополя. Советская археология. Москва. 1957. №3, pp. 167, 174; Л. Н. Казаманова, В. В. Кропоткин. Подражания римским золотым

11) Imitation of Numerian's aureus. GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №9336. Weight – 2,68 gr. From Tskhinvali burial (East Georgia). (10) and (11) are struck by the same dies (Pl. II №7).[11]

The midst of the 1st c. A.D. was a final stage of issue of Georgian imitations of Alexander and Lysimachus' type staters. After a gap of two centuries, Iberia renewed emission of imitations. The same dies for imitations above (№№1-3, 10-11), imitation (№8) found together with its prototype, i.e. original coin, speak about local origin of mentioned gold coins. Chronology of existence of this phenomenon, according to the burials and prototypes, seems to be roughly second half of the 3rd c. This statement can be argued because of data below.

12) Imitation of Augustus' aureus. GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №12215. Weight – 3,52 gr. From Simoniant-khevi burial (East Georgia) (Pl. II №8).

Obverse: Head of Emperor, laureate, crude in style, r. Latin inscription CAESAR AVGVSTVS DIVI F. PATER PATRIAE distorted.

Reverse: Gaius and Lucius Caesars, standing front, each with a hand resting on a round shield. Spears behind the shields. Incuse instead of simpulum and lituus above. Latin legend C. L. CAESARES AVGVSTI F COS DESIG PRINC IVVENT – mirror image and distorted.[12]

---

монетам II-III вв. н.э. Вестник древней истории. Москва.1964. №1 (87), pp. 142-143; К. В. Голенко. Заметки об обращении римской монеты в Закавказье. Вестник древней истории. Москва.1971. №4 (118), pp. 68-72; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=28

[11] Д. Г. Капанадзе. Ауреусы армазского некрополя. Советская археология. Москва. 1957. №3, pp. 167, 174; Л. Н. Казаманова, В. В. Кропоткин. Подражания римским золотым монетам II-III вв. н.э. Вестник древней истории. Москва.1964. №1 (87), pp. 142-143; К. В. Голенко. Заметки об обращении римской монеты в Закавказье. Вестник древней истории. Москва.1971. №4 (118), pp. 68-72; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=28

[12] Д. Г. Капанадзе. Новые находки подражаний римским ауреусам в Грузии. Вестник древней истории. 1970. №4 (114). Москва, p. 85; К. В. Голенко. Заметки об обращении римской монеты в Закавказье. Вестник древней истории. Москва.1971. №4 (118), pp. 68-72; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi.

13) Imitation of Augustus' aureus. GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №14596. Weight – 2,87 gr. From Jinvali burial (East Georgia). (12) and (13) are struck by the same dies (Pl. III №9).[13]

14) Imitation of Commodus' aureus (hybrid). GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №12179. Weight – 3,10 gr. From Maghraneti burial (East Georgia) (Pl. III №10).

Obverse: Bust of Commodus, laureate, draped, r. Name of Emperor is clearly seen.

Reverse: Head of Emperor, laureate, crude in style, r. Latin inscription CAESAR AVGVSTVS DIVI F. PATER PATRIAE distorted.[14]

Obverse die of above Augustan imitations served as a reverse die for this hybrid, found in Maghraneti burial together with the coins of Severus Alexander and Carus. So, one can suggest again 3rd c. as a date of all these imitations.

15) Imitation of aureus (hybrid/Lucilla, Severus Alexander, Gordian III). GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №9333. Weight – 6,43 gr. From Ureki burial (West Georgia) (Pl. III №11).

Obverse: Female bust r. Distorted legend still contains LUCILLAE.

Reverse: Mars with spear advancing l. Legend IOVI CONSERVATORI (!) distorted. Other prototypes were also used.[15]

---

2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue-/types/?type=28

[13] M. Sherozia. New Samples of Local (Iberian) Imitations of Roman Aurei (in Georg. with Engl. summary). Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences. II (47-B). Tbilisi. 2011, p. 250; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=28

[14] Д. Г. Капанадзе. Новые находки подражаний римским ауреусам в Грузии. Вестник древней истории. 1970. №4 (114). Москва, p. 84; К. В. Голенко. Заметки об обращении римской монеты в Закавказье. Вестник древней истории. Москва.1971. №4 (118), pp. 68-72; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/-en/catalogue/types/?type=28

[15] Д. Г. Капанадзе. Ауреусы армазского некрополя. Советская археология. Москва. 1957.

16) One identical piece comes from the site of Pholi (West Georgia).[16]

17) Imitations of Augustus' denarius. GF. (Fund of Treasury, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №№2544, 5103, 9446; QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №№54, 1704, 1705, 3372, 3425, 4049, 4050, 4051, 4052, 4053, 4054; Numismatic Fund, History Museum of Armenia, Yerevan – №14362; Pushkin State Museum of Fine Arts, Moscow – 1 sample. The weights range from 1,28 to 3,55 gr. Places of finding are mostly unknown (Pl. IV-V).

Obverse: Head of Emperor, laureate, crude in style, r./l. Latin inscription CAESAR AVGVSTVS DIVI F. PATER PATRIAE distorted.

Reverse: Gaius and Lucius Caesars, standing front, each with a hand resting on a round shield. Spears behind the shields. Simpulum and lituus above the shields. Latin legend C. L. CAESARES AVGVSTI F COS DESIG PRINC IVVENT distorted.

Hybrid.

Obverse: Head of Emperor, laureate, r. Distorted Latin legend suggests Marcus Aurelius' issue as a prototype.

Reverse: Gaius and Lucius Caesars, standing front, each with a hand resting on a round shield. Spears behind the shields. Latin legend distorted.[17]

Even 3rd c. burials from East Georgia show Augustan denarii, while

№3, pp. 166, 173; Л. Н. Казаманова, В. В. Кропоткин. Подражания римским золотым монетам II-III вв. н.э. Вестник древней истории. Москва.1964. №1 (87), pp. 142-143; К. В. Голенко. Заметки об обращении римской монеты в Закавказье. Вестник древней истории. Москва.1971. №4 (118), for the imitations v. pp. 68-72; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=28

[16] M. Sherozia. New Samples of Local (Iberian) Imitations of Roman Aurei (in Georg. with Engl. summary). Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences. II (47-B). Tbilisi. 2011, p. 249; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 128-130; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 190-193; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 123-126; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=28

[17] К. В. Голенко. Заметки об обращении римской монеты в Закавказье. Вестник древней истории. Москва.1971. №4 (118), p. 66-68; G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. Part One (in Georg. with Engl. summary). Tbilisi. 2006, pp. 125-126; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Part Two. Tbilisi. 2014, pp. 186-189; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi. 2018, pp. 119-122; T. Dundua, G. Dundua and Others. http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=27

most of their imitations at Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia, are without proper indication about place of finding. Some of the imitations were found in the complexes (2 samples in West Georgia, 4 – in East Georgia), which cannot be dated precisely. Still, general consideration leads to the conclusion that, together with the imitations of aurei, imitations of Augustan denarius were produced locally in the second half of the 3rd c.

Aurei and Augustan denarii formed a bulk of the money in circulation in Iberia, other debased denarii were, in fact, ignored – a situation quite similar to that in the Roman Orient for some time. If we confront this data with Syrian imports discovered in Georgia, one can suggest that the Syrian provincial treasury was the source of supply for Iberia. A severe Imperial crisis of the 3rd c. limited this supply. Even if it did not, Iberia would have bartered the Roman money no more. Transformation of the country towards Feudalism needed a supply different than money. The country's stocks of precious metal could be exhausted to support the general reform – the strengthening in number of the upper classes meant a gradual conversion of some yeomanry from farmers to high-level administrators. Food-shortages could happen, and large-scale food supply was necessary. Industry suffered also as some of the artisans had to earn living doing agricultural jobs. The amount of industrial goods *per capita* was quickly diminishing, thus creating a demand for small-scale local debased issues with the king as the only potential power to strike these coins.[18]

As mentioned before, there is one sample of Augustan imitation kept at Numismatic Fund, History Museum of Armenia, Yerevan, and imitation of Valerian I's aureus is kept at Azerbaijan State Museum of History. In both cases, place of finding is unknown. So, nothing can be said. Still, it seems that there were no local imitations of the Roman coins circulating in Armenia and Albania (modern Azerbaijan).[19]

Not surprisingly, the most faithful Roman ally in the region, Iberia, had the most Roman "numismatic visage".

[18] T. Dundua. Influx of Roman Coins in Georgia. Roman Coins Outside the Empire. Ways and Phases, Contexts and Functions. Proceedings of the ESF/SCH Exploratory Workshop. Radziwill Palace, Nieborow (Poland). 3-6. 09. 2005. Moneta 82. Wetteren, 2008, pp. 309-319.

[19] G. Dundua, T. Dundua. Numismatics of Caucasus. Caucasus Antiquus. Encyclios Disciplina. Volumen III. Tbilisi. 2018, pp. 208-224.

Plate I



1



2



3



4

Plate II



5



6



7



8

Plate III



9



10




11

Plate IV



Plate V



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII
თბილისი. 2021

*ნინო სილაგაძე*
ასოცირებული პროფესორი, თსუ

# რამდენიმე მოსაზრება მეფეთა გამოსახულებების შესახებ სასანური მხატვრული ვერცხლის ნაკეთობებზე

სასანური ტორევტიკის ბრწყინვალე ნიმუშები, რომლებმაც საკმაოდ დიდი რაოდენობით მოაღწია ჩვენამდე, სხვადასხვა ტიპისაა – პორტრეტული თუ მრავალფიგურიანი კომპოზიციებით (ნადირობის, სასახლის სცენებით) შემკული, ორნამენტული და სხვ. ამჯერად გვინდა ყურადღება გავამახვილოთ პორტრეტული მედალიონების მქონე ვერცხლის თასებზე, რომლებზეც მეფეების, სასანიანთა იმპერიის მაღალი მოხელეების და დიდებულების გამოსახულებები პროფილში მოცემული ბიუსტების სახითაა წარმოდგენილი. ასეთ გამოსახულებებს ჩვენს ნაშრომში პორტრეტების სახელით მოვიხსენიებთ და წინასწარ გვინდა განვსაზღვროთ, რომ ამ ტერმინს გარკვეული პირობითობით ვიყენებთ: რასაკვირველია, სასანური ირანის სახვითი ხელოვნების სტილი, რომელიც მკაცრი იკონოგრაფიული სქემების არსებობით ხასიათდება და სადაც პერსონაჟები მხოლოდ რეგალიებითა და სიმბოლური ატრიბუტებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, გამორიცხავს რეალისტური პორტრეტის არსებობას და ტერმინის იმ გაგებას, რომელიც მიღებულია სხვა ეპოქებისა და ქვეყნების სახვით ხელოვნებასთან მიმართებაში.

პორტრეტული მედალიონებით შემკული სასანური ტორევტიკის ნიმუშები გარკვეული, მკაფიოდ გამოკვეთილი თავისებურებებით გამოირჩევა. პირველ რიგში, თვალშისაცემია მსგავსება სასანურ გემმებსა და მონეტებზე არსებული გამოსახულებების იკონოგრაფიასთან. ყველა მათგანს მოეძებნება პარალელები გლიპტიკაში და, თუ მეფის პორტრეტზეა საუბარი, პირდაპირი პროტოტიპები სასანური ნუმიზმატიკური ძეგლების სახით.

რაც შეეხება ქრონოლოგიას, მიღებულია მოსაზრება, რომ პორტრეტული მედალიონებით შემკული ჭურჭელი ერთი საუკუნის ფარგლებში (III ს-ის შუახანები – IV ს-ის შუახანები) იქმნებოდა. უძველესი მათგანი – სარგვეშის თასი – საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი (სურ. 1). ნახე-

ვარსფერული მოოქროვილი ვერცხლის თასი შემკულია მდიდრული დეკორით[1] – ვაზის ყლორტი, რომელიც ბორდიურს მიუყება, პალმეტები, აკანთის ფოთლები, ფრინველები და სხვ. მედალიონებში გამოსახულია ვარაჰრან II-ის (276-293), დედოფლისა და ტახტის მემკვიდრის ბიუსტები. მათი ვინაობა იდენტიფიცირებულია ვარაჰრან II-ის მონეტებზე (სურ. 3) არსებული გამოსახულების მიხედვით, სადაც ის ასევე მეუღლესთან და უფლისწულთან ერთადაა წარმოდგენილი. იდენტურია შესაბამისი ატრიბუტებიც – მეფის გვირგვინი, რომელიც, როგორც ცნობილია, სასანური ირანის ყველა მმართველს გასაკუთრებული ჰქონდა, დედოფლის თავსამკაული ცხენის თავით, დაფნის გვირგვინი უფლისწულის ხელში და სხვ.

სარგვეშის თასის უახლოეს პარალელს წარმოადგენს მეტროპოლიტენ-მუზეუმში დაცული ფიალა ქალების გამოსახულებებით (III-IV სს-ის მიჯნა)[2] (სურ. 2). ეს ორი ნიმუში თავისი მხატვრული თავისებურებებით – ჩაღრმავებული ნახევარსფერული ფორმით, მდიდრული ორნამენტით, რამდენიმე (და არა ერთი) პორტრეტული მედალიონით, რომლებიც ჭურჭლის გარე ზედაპირს ამკობს – სასანური დეკორატიული ხელოვნების განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის. მას გარკვეული პირობითობით შეიძლება დავუმატოთ ისევ მეტროპოლიტენ-მუზეუმში დაცული, III-IV სს-ის მიჯნით დათარიღებული ქუშანურ-სასანური ხელოვნების ნიმუში – ვერცხლის თასი მედალიონებში ჩასმული ადამიანების თავებით (სურ. 4). ამ ჯგუფის ნიმუშების უახლოეს პარალელს რომაულ სამყაროში წარმოადგენს თასები, რომლებმაც ასევე საკმაოდ ცოტამ მოაღწია ჩვენამდე – მაგ., მინის თასი მეტროპოლიტენ-მუზეუმიდან (IV ს.)[3] (სურ. 5), სადაც გხედავთ ჭაბუკების თავებს (მათი ვინაობა სადავოა, სხვადასხვა მოსაზრებით – საიმპერატორო სახლის წარმომადგენლები, ოთხი მახარებელი და სხვ.). თასი მცირე ზომისაა და გრავირებული მინის იშვიათ ტექნიკაშია შესრულებული[4]. სარგვეშისა და მეტროპოლიტენ-მუზეუმის სასანური თასების ფორმა და ორნამენტული მორთულობა, საერთო

[1] К. Мачабели. Позднеантичная торевтика Грузии. Тбилиси. 1976, გვ. 116-117.

[2] არსებობს მსგავსი ტიპის დეკორატიული მორთულობის მქონე კიდევ რამდენიმე სასანური თასი (მაგ., ერმიტაჟში დაცული თასი ნადირობის სცენით და სენმურვის გამოსახულებით, ან მეტროპოლიტენ-მუზეუმის თასი რთველის სცენით), მაგრამ მათზე ამჯერად არ შეეჩერდებით პორტრეტული მედალიონების არარსებობის გამო.

[3] B. Caron. Roman Figure-Engraved Glass in the Metropolitan Museum of Art. Metropolitan Museum Journal, vol. 32, 1997, გვ. 19-50.

[4] სულ ოთხი მსგავსი ნიმუშია დადასტურებული და სამი მათგანი, მათ შორის, ჩვენს მიერ აღწერილი, რაინის რეგიონში, კიოლნის მიმდებარედაა აღმოჩენილი, იხ. B. Caron. Roman Figure-Engraved Glass in the Metropolitan Museum of Art, გვ. 24-25.

მხატვრული კონცეფცია ასევე საკმაოდ ახლოსაა გვიანი იმპერიის ეპოქის რომაული ტორევტიკაში გავრცელებულ ტიპებთან (ჰემისფერული ფორმის, მდიდრული დეკორის მქონე ვერცხლის კანთაროსებთან) და სასანურ ირანში რომაული კულტურის ძლიერ გავლენაზე მიუთითებს.

პორტრეტული მედალიონებით შემკული მეორე ტიპის სასანური ტორევტიკა წარმოადგენს ვერცხლის თასებს ჭურჭლის შიდა მხარეს, ცენტრში მოცემული ერთი გამოსახულებით. პ. ჰარპერი და პ. მეიერსი, რომლებსაც ეკუთვნის ამ საკითხის ირგვლივ ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი მეცნიერული კვლევა, ხუთ ასეთ ნივთს ასახლებენ: ესენია პაპაკ პიტიახშის თასი მცხეთიდან, თეირანის ბასტანის არქეოლოგიური მუზეუმის თასი ქალის ბიუსტით და ამერიკის შეერთებული შტატების სამ მუზეუმში (მეტროპოლიტენის, ცინცინატის მუზეუმებში და სმიტსონის ინსტიტუტში) დაცული სამი თასი მამაკაცების პორტრეტებით[5] (სურ. 7). ავტორები, რომლებმაც ნიმუშების კატალოგიზირება მოახდინეს, მკაფიოდ საუბრობენ ამ ჯგუფის რაოდენობრივ სიმცირეზე. საინტერესოა, რომ მრავალი სამეცნიერო კვლევა[6], ისევე, როგორც ექსპონატების პასპორტები, ადასტურებს იმას, რომ ზსენებული ხუთი ნიმუშიდან ოთხი (პაპაკ პიტიახშის თასის გარდა, რომელიც, როგორც ცნობილია, არმაზისხევის სამარხშია ნაპოვნი), ირანში, ერთსა და იმავე ადგილასაა აღმოჩენილი[7].

პაპაკ პიტიახშის თასზე (სურ. 6) რელიეფური ნახევარსფეროების დეკორის ფონზე მოთავსებულია სასანიანთა იმპერიის მაღალი მოხელის გრაფიკულად შესრულებული და წრიულ მოჩარჩოებაში ჩასმული პორტრეტი[8], რომელიც ირანის სამეფო კარის ხელოვნების ტიპური ნიმუშია. თასზე არსებული ძველსპარსული წარწერის[9] (რომელშიც მოხსენიებულია პაპაკ არდაშირის ძე) და გამოსახულების მხატვრული თავისებურებების მიხედვით არტეფაქტი უფრო დიდი ალბათობით III ს-ის II ნახევრით თარიღდება.

სასანურ ვერცხლის ჭურჭლის ამ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომლის უადრესი ნიმუში – პაპაკ პიტიახშის თასი – ისევ საქართველოშია აღმოჩე-

[5] P. O. Harper, P. Meyers. Silver Vessels of the Sasanian Period. Vol. 1, Royal Imagery. Princeton University Press, 1981, გვ. 24.

[6] M. S. Dimand. A Group of Sassanian Silver Bowls. Aus der Welt der islamischen Kunst, ed. R. Ettinghausen. Berlin, 1959, გვ. 11-14, ნახ. 1 a, b;

[7] P. O. Harper, P. Meyers. Silver Vessels of the Sasanian Period, გვ. 24.

[8] К. Мачабели. Позднеантичная торевтика Грузии, გვ. 106-107.

[9] Г. Церетели. Эпиграфические находки в Мцхета – древней столице Грузии. ВДИ. № 2. М. 1948, გვ. 49-57.

ნილი, ჩვენი მხრიდან, გვინდა დავამატოთ მეექვსე, ნაკლებად ცნობილი და შესწავლილი, ეგზემპლარი მიჰოს მუზეუმის (იაპონია) კოლექციიდან (სურ. 8), რომლის წარმოშობის შესახებ ოფიციალური მონაცემები სამუზეუმო დოკუმენტაციაში არ ფიქსირდება. პირველ რიგში, არტეფაქტი იმითაა საინტერესო, რომ, თუ ზემოთგანხილულ თასებზე ირანელ დიდებულებს ვხედავთ (ხშირ შემთხვევაში მათი ვინაობა უცნობია), და მხოლოდ სარგვეშის თასზე არიან მოცემული ვარაჰრან II, დედოფალი და უფლისწული, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიჰოს მუზეუმის თასზეც მეფის პორტრეტია წარმოდენილი. როგორც პ. ჰარპერი აღნიშნავს, "the portrait of ruler as a bust, enclosed in medallion, occures only in Sargveshi cup, of the late third century. At present, there is no evidence to suggest, that the medallion portrait continued after this period, to be a form in which royal figures were representated on Sassanian silver plates"[10]. ჩვენს ნაშრომში ვეცდებით, კორექტივები შევიტანოთ ამ მოსაზრებაში, რადგან პერსონაჟს მიჰოს მუზეუმის თასზე სამეფო რეგალიები ამკობს. ამრიგად, საინტერესოა მისი იდენტიფიკაცია და არტეფაქტის დათარიღება.

მიჰოს მუზეუმის თასზე მოცემულ მამაკაცს ნახევარმთვარითა და სფეროსებრი დეტალით შემკული გვირგვინი აქვს. კიდევ ერთი, უფრო მცირე ნახევარმთვარე შუბლზე აქვს მოთავსებული. როგორც რ. გიობლი აღნიშნავს, თითოეულ სასანიან მეფეს აქვს საკუთარი, მხოლოდ მისთვის შექმნილი რთული ფორმის გვირგვინი[11], რომელიც სუვერენის პიროვნებას გამოარჩევს ოფიციალურ გამოსახულებებზე[12]. გვირგვინები სხვადასხვა დეკორატიულ ელემენტს შეიცავს, მათ შორის – ზოროასტრული ღვთაებებისათვის დამახასიათებელ ატრიბუტებს (ფრთებს, სხივებს, ნახევარმთვარეს და სხვ.). უნდა ითქვას, რომ ასეთი ღვთაებრივი სიმბოლოები არ გვხვდება სატრაპების, პიტიახშების თუ სხვა დიდებულების გამოსახულებებზე, მათ მხოლოდ მეფე და დედოფალი ატარებენ. თუ გავითვალისწინებთ იმ ეპოქის ირანის ხელოვნების პირობით ხასიათს, სტანდარტული იკონოგრაფიული სქემების გავრცელებას და სხვ., ეპიგრაფიკული წარწერების არარსებობის შემთხვევაში სასანიანი მეფეების იდენტიფიკაციის თითქმის ერთადერთი მეთოდი სწორედ გვირგვინის ფორმაა.

[10] P. O. Harper, P. Meyers. Silver Vessels of the Sasanian Period, გვ. 25.
[11] R. Göbl. Sassanidische Numizmatik. Braunschweig, 1968, გვ. 7-8.
[12] H. Bailey (ed.). The Cambridge History of Iran, v. 3 (1). New York, 2006, გვ. 135.

როგორც ვკითხულობთ მიჰოს მუზეუმის კატალოგში, რომელიც ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი წყაროა, სადაც მოცემულია გარკვეული, თუნდაც მოკლე და ზედაპირული, ინფორმაცია ხსენებულ არტეფაქტზე, უცნობი მეფის გვირგვინი იმ გვირგვინის ანალოგიურია, რომელსაც ვხედავთ ჰორმიზდ IV-ის (579-590) მონეტაზე (სურ. 9). ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება არაა მართებული: ჰორმიზდ IV-ის მონეტაზე სხვა ტიპის, აჰურამაზდას ფრთებით მორთული, გვირგვინია[13]. სამაგიეროდ, როგორც უფრო დეტალური დაკვირვებიდან ჩანს, მიჰოს მუზეუმის თასის პერსონაჟის გვირგვინი მეტ მსგავსებას პოულობს პეროზ I-ის (459-484) (სურ. 10) ან კავად I-ის (488-497, 499-531) (სურ. 11) მონეტებთან.

კიდევ ერთ საინტერესო პარალელს წარმოგვიდგენს მეტროპოლიტენ-მუზეუმის ერთ-ერთ სასანურ თასზე გამოსახული მეფის ნადირობის სცენა (სურ. 12). ჯიხვებზე მონადირე მეფის გვირგვინი და სხვა დეტალები აბსოლუტურად ანალოგიურია მიჰოს მუზეუმის თასის გამოსახულების, გარდა ამისა, მეფეს წრიული შარავანდედიც ამკობს. უნდა ითქვას, რომ წრიული შარავანდედი იშვიათი დეტალია სასანიანი მეფეების გამოსახულებებზე (ზოგ შემთხვევაში გვხვდება ცეცხლოვანი ან სხივების შარავანდედი), რაც კიდევ ერთი არგუმენტი უნდა იყოს მიჰოს მუზეუმისა და მეტროპოლიტენ-მუზეუმის თასების პერსონაჟების იდენტობის სასარგებლოდ. ჯიხვებზე მონადირე მეფე მიჩნეულია პეროზ I-ად ან კავად I-ად, რაც კიდევ ერთ საბუთს გვაძლევს ჩვენი მოსაზრების გასამყარებლად.

კიდევ ერთი პარალელი, რომელიც შეიძლება მიჰოს მუზეუმის თასს მოეძებნოს, ჩვენი აზრით, პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის მედლების კაბინეტში დაცული ე. წ. სოლომონის თასია (სურ. 13). სასანური დეკორატიული ხელოვნების ამ ბრწყინვალე ნიმუშს ბიბლიური სოლომონის სახელი შუა საუკუნეებში უწოდეს, როდესაც თასი სენ დენის სააბატო საგანძურში მოხვდა – სავარაუდოდ, ბიზანტიიდან, ჯვაროსნების მეშვეობით, თუმცა სენ დენის სააბატოს გადმოცემა შარლ მამაცს ან სულაც კარლოს დიდს მიაწერს ამ დონაციას, რომელმაც თითქოს თასი ჰარუნ არ რაშიდისგან მიიღო საჩუქრად. არტეფაქტს ჩვენც პირობითად სოლომონის თასად მოვიხსენიებთ, რადგან მასზე გამოსახული მეფის ვინაობის შესახებაც მეცნიერთა აზრი ბოლომდე არ ემთხვევა ერთმანეთს.

გარკვეულწილად სოლომონის თასიც შეგვიძლია პორტრეტული მედა-

[13] R. Göbl. Sassanidische Numizmatik, გვ. 52-53, სურ. 12.

ლიონებით შემკული ჭურჭლის ჯგუფში განვიხილოთ, თუმცა ზემოთაღწერილი არტეფაქტებისაგან მას საკმაოდ ბევრი მხატვრულ-სტილური თავისებურება გამოარჩევს და თითქოს ცალკე აყენებს ხელოვნების ამ მართლაც უნიკალურ ნიმუშს: პირველ რიგში, თასი ოქროსია, და არა ვერცხლის, მასში გამოყენებულია ფერადი მინის და მთის ბროლის გემმები, ცენტრალური მედალიონი მთის ბროლზე ამოკვეთილ ინტალიოს წარმოადგენს, მეფის გამოსახულება კი მთელი სიმაღლით, ანფასშია წამოდგენილი და არა ბიუსტის სახით პროფილში. სამეცნიერო ლიტერატურაში[14] ის უფრო ხოსრო I ანუშირვანის (531-579) ან ხოსრო II-ის თასის სახელითაა ცნობილი[15], თუმცა არსებობს ასევე მოსაზრება, რომ ეს პეროზ I ან კავად I-ია[16]. თუ ეს უკანასკნელი მოსაზრება მართებულია, საინტერესოა შევადაროთ სოლომონის თასზე გამოსახული მეფის გვირგვინის ფორმა მიჰოს მუზეუმის თასის მეფის გვირგვინს: ჩვენი აზრით, ის აბსოლუტურად ანალოგიურია, ერთადერთი ატრიბუტი, რომელიც განასხვავებს მათ, შარავანდედია. სამაგიეროდ, შარავანდედი ამკობს ჯიხვებზე მონადირე მეფეს მეტროპოლიტენ-მუზეუმის ვერცხლის თასზე. ამრიგად, ჩვენი აზრით, მიჰოს მუზეუმის ნიმუშზე წარმოდგენილი უცნობი პერსონაჟი პეროზ I ან კავად I-ია და მისი დათარიღება კვლევის პირველ ეტაპზე უნდა დაზუსტდეს 459-531 წლებით. ეს ვარაუდი არღვევს მეცნიერებაში აქამდე გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ წრიულ მედალიონებში მოქცეული პორტრეტული ბიუსტები სასანურ ვერცხლის ჭურჭელზე მხოლოდ III-IV საუკუნეებში გვხვდება და მოგვიანებით მათ მთლიანად ანაცვლებს მეფის ნადირობის სცენები.

მიჰოს მუზეუმის სასანური თასის მხატვრული თავისებურებების ანალიზი კიდევ ერთ საინტერესო დეტალს ავლენს: ჭურჭლის ზურგის მხარე მორთულია ტალღისებრი კანელურებით. ასეთი დეკორი გამონაკლისია სასანური ტორევტიკის რეპერტუარში, სადაც კანელურები მხოლოდ კონცენტრული წრეების ან რადიალური სხივების სახით გვხვდება (მაგ., ბასტანის, ცინცინატის მუზეუმის ფიალები პორტრეული გამოსახულებებით და სხვ.). სამაგიეროდ, მსგავსი დეკორი ხშირად გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გვიანანტიკურ ტორევტიკაზე (მაგ., არმაზისხევის თასები წრიულ

[14] R. Wood. The Khosro Cup. J. Elsner & S. Lenk et al. Imagining the Divine: Art and the Rise of World Religions, Ashmolean Museum. Oxford, 2017, გვ. 206-208.

[15] E. Babelon. Le Cabinet des antiques à la Bibliothèque nationale. Paris, 1924, გვ. 115.

[16] I. Villela-Petit. La coupe d'orfèvrerie sassanide du Cabinet des médailles: nouvelle attribution. Revue numismatique, 171, 2014, გვ. 729-745, 739-742.

ჩარჩოში მოქცეული ცხენის ფიგურებით და სხვ.). სულ 7 ასეთი ნაკეთობაა ცნობილი, თუმცა, კ. მაჩაბელის აზრით, ეს არტეფაქტები იმდენად კომპაქტურ და მხატვრული თვალსაზრისით ერთგვაროვან ჯგუფს ქმნის, რომ ერთი ცენტრისა და ერთი სახელოსნოს პროდუქციას გავს, რომელიც ძალზე მკაფიოდ ლოკალიზდება ძველი იბერიის ტერიტორიაზე. მსგავსი ტიპის ჭურჭელი სხვაგან არსად არ იძებნება, ამიტომ დიდი ალბათობით ისინი ადგილობრივი ნაწარმია[17] (სურ. 14). შესაძლებელია, რომ ჭურჭელი სასანიანი მეფის გამოსახულებით მიჰოს მუზეუმიდან იბერიულ სახელოსნოში დაემზადებინათ? თუ კი, რომელ ეპოქაში იქნებოდა ეს უფრო სავარაუდო? პასუხი ნათელია: 523 წლიდან, როდესაც ქართლში მეფობა გაუქმდა და ქვეყანას ირანელი მარზპანი მართავდა. თუ ჩვენი მოსაზრება მართებულია, ისევე როგორც ვარაუდი, რომ მიჰოს მუზეუმის თასზე გამოსახული მეფე კავად I-ია, მაშინ მისი შექმნის წლები შეიძლება დაკონკრეტდეს 523-531 წლებით.

გვინდა რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვათ ასევე პორტრეტული მედალიონებით შემკული სასანური ტორევტიკის ზოგად მხატვრულ-სტილურ თავისებურებებზე. როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი ჭურჭელი ერთეულებს ითვლის, მაშინ როდესაც მრავალფიგურიანი დინამიკური კომპოზიციები ვერცხლის თასებზე დიდი რაოდენობითაა ჩვენამდე მოღწეული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს რარიტეტები სასანურ ირანში რომაული სკულპტურული პორტრეტის გავლენის შედეგია (იგულისხმება როგორც მრგვალი ქანდაკება, ასევე იმპერატორთა გამოსახულებები მონეტებზე). იგივე შეიძლება ითქვას სასანური ეპოქის სამგანზომილებიან ლითონის პორტრეტულ ბიუსტებზე, რომლებიც ასევე არც თუ დიდი რაოდენობითაა ცნობილი (მაგ., შაბურ II-ის ბიუსტი, უცნობი დედოფლის ბიუსტი და სხვ.). მათი პროტოტიპები რომის იმპერატორების ბრინჯაოს სკულპტურული ბიუსტებია. მათი ორიგინალები ასევე დიდ იშვიათობას წარმოადგენს: ასეთია, მაგალითად, ტრაიანეს imago clipeata-ს ტიპის გამოსახულება ანკარის მუზეუმიდან[18], ექვსი უნიკალური სკულპტურული ბიუსტი ბრეშას მუზეუმიდან (სეპტიმიუს სევერუსი, ილირიელი იმპერატორები), ვალენტინიან II-ის ბრინჯაოს ბიუსტი და სხვ. ასეთი ვარაუდი ბუნებრივია, რადგან საყოველთაოდაა ცნობილი, თუ რაოდენ დიდი გავლენა ჰქონდა რომაულ სახვით ხელოვნებას და ზოგადად კულტურას იმ-

[17] К. Мачабели. Позднеантичная торевтика Грузии, გვ. 88-90.

[18] S. Mitchell. The Trajanic Tondo from Roman Ankara: In Search of the Identity of a Roman Masterpiece. Ankara Araştırmaları Dergisi, 2014, 2(1), გვ. 1-10.

დროინდელ მსოფლიოში. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ეს გავლენა შესუსტებულიყო IV-V საუკუნეებში, ან თუნდაც VI საუკუნეში, როდესაც რომის იმპერიის მემკვიდრედ უკვე ბიზანტია გვევლინება. ლითონმქანდაკებლობის უდიდესი ცენტრები – ალექსანდრია, ანტიოქია, კონსტანტინოპოლი – ისევ წამყვან როლს ასრულებს ახლო აღმოსავლეთის გამოყენებითი ხელოვნების და პლასტიკის განვითარებაში. მეტიც, IV-VI საუკუნეები ბიზანტიური „ანტიკის“ აყვავების პერიოდია, რომლის ნიმუშებიც არაფრით არ ჩამოუვარდება ელინისტურ თუ რომაულ ტორევტიკას მხატვრული თუ ტექნიკური თვალსაზრისით.

საინტერესო დეტალია, რომ თუკი სასანური მხატვრული ვერცხლის უადრესი ნიმუშები პორტრეტული მედალიონებით სწორედ ჩვენს ქვეყანაშია აღმოჩენილი (ორივე ტიპის უადრესი ჩვენამდე მოღწეული მაგალითი – სარგვეშის თასი და პაპაკ პიტიახშის თასი), საქართველოშია ნაპოვნი ასევე უნიკალური თასი რომის იმპერატორის გამოსახულებით. ესაა ვერცხლის თასი მარკუს ავრელიუსის პორტრეტით (სურ. 15) არმაზისხევის სამარხიდან. რომაულ ხელოვნებაშიც სასანურის მსგავსი სიტუაციაა: ტორევტიკაში ხშირად გვხვდება მრავალფიგურიანი დინამიკური სცენები იმპერატორების მონაწილეობით (მაგ., თასი ბოსკორეალეს განძიდან ტიბერიუსის ტრიუმფის სცენით), მაგრამ პორტრეტული მედალიონებით შემკული ნიმუშები საკმაოდ დიდ იშვიათობას წარმოადგენს, თუმცაღა მრავალი რომაელი ისტორიკოსი მოგვითხრობს რომის იმპერატორების პორტრეტიანი ტორევტიკის არსებობაზე და პოპულარობაზე, განსაკუთრებით – რომაული სამყაროს პერიფერიებზე[19]. როგორც ვიცით, რომის იმპერატორების პორტრეტებით შემკული ნაკეთობების გავრცელება იმპერიის პროვინციებში და რომაული გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში მიზნად ისახავდა იმპერატორის სახე ცნობადი გაეხადათ ადგილობრივებისთვის. მსგავსი ნივთები სამოკავშირეო ურთიერთობის ერთგვარ სიმბოლოსაც წარმოადგენდა, მათი ფლობა რომაულ ორიენტაციას ნიშნავდა, ხოლო საჩუქრად მიღება რომის ხელისუფლების კეთილგანწყობისა და უმაღლესი პრესტიჟის გამომხატველი იყო. ამის ფონზე კიდევ უფრო ნიშანდობლივი ჩანს ის ფაქტი, რომ იმპერატორების ბიუსტებით შემკული ჭურჭელი, რომელთა პირდაპირ პროტოტიპებსაც უდავოდ ნუმიზმატიკურ ძეგლებზე არსებული გამოსახულებები წარმოადგენს, თითქმის არსად არაა აღმოჩენილი ძველი იბერიის დედაქალაქის გარდა.

[19] Pliny, XXXV, 2, 3, 14, Pliny. Natural History, trans. by H. Rackham, W. H. S. Jones, D. E. Eichholz, 10 vol. London, 1938-1962.

მცხეთის თასზე ანტონინების ეპოქის პორტრეტის უნიკალურ, ლითონმქანდაკებლობით შესრულებულ, მაგალითს ხვედავთ, რომელიც ეხმიანება იმპერატორ-ფილოსოფოსის სკულპტურული გამოსახულებების მრავალრიცხოვან სერიას[20]. ხსენებული თასის გარდა, ერთადერთი ნიმუში რომაული სამყაროდან, რომლის მოძიებაც შევძელით და რომელზეც არა იმპერატორი, მაგრამ მაინც სამეფო ძალაუფლებით აღჭურვილი პირის პორტრეტული მედალიონია მოცემული, არის თასი ბოსკორეალეს განძიდან კლეოპატრა სელენე II-ის გამოსახულებით (ძვ. წ. 25 - ახ. წ. 5) (სურ. 16). თუმცა, მარკუს ავრელიუსის რეალისტური პორტრეტისგან განსხვავებით, მავრიტანიისა და ნუბიის დედოფალი ალეგორიული (აფრიკის პერსონიფიკაციის) სახითაა მოცემული. ეს საკმაოდ შორს აყენებს მას მარკუს ავრელიუსის გამოსახულებისაგან მცხეთის თასზე, რომელსაც სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ყოველგვარი პირობითობის გარეშე შეგვიძლია ვუწოდოთ საუკეთესო რომაულ ტრადიციებში შექმნილი ნატურალისტური, ფსიქოლოგიური პორტრეტი.

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ტორევტიკის უნიკალური ნიმუშები ძველი მსოფლიოს ორი უდიდესი იმპერიის მმართველების გამოსახულებებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ეპოქის სახვითი ხელოვნების საინტერესო მიმართულების – ოფიციალური პორტრეტის – ევოლუციის ზოგადი სურათის წარმოდგენაში. შესაძლებელია, ამ არტეფაქტებს დაემატოს სავარაუდოდ ძველი იბერიის ერთ-ერთ მხატვრულ ცენტრში დამზადებული ვერცხლის თასი სასანიანი მეფის გამოსახულებით, რომელიც მიჰოს მუზეუმის კოლექციაში ინახება.

[20] К. Мачабели. Позднесантичная торевтика Грузии, გვ. 48-52.



სურ. 1. სარგვეშის თასი. 276-293



სურ. 2. სასანური თასი მეტროპოლიტენ-მუზეუმიდან. III-IV სს.



სურ. 3. ვარაჰრან II-ის მონეტა. 274-293



სურ. 4. ქუშანურ-სასანური თასი მეტროპოლიტენ-მუზეუმიდან. III-IV სს.



სურ. 5. გრავირებული მინის თასი მეტროპოლიტენ-მუზეუმიდან. III-IV სს.



სურ. 7.
სასანური ვერცხლის თასები (თეირანის, მეტროპოლიტენის, ცინცინატის მუზეუმები, სმიტსონის ინსტიტუტი). III-IV სს.



სურ. 8. სასანური ვერცხლის თასი მიჰოს მუზეუმიდან



სურ. 9.
ჰორმიზდ IV-ის მონეტა. 579-590



სურ. 10.
პეროზ I-ის მონეტა. 459-484



სურ. 11.
კავად I-ის მონეტა. 488-497, 499-531



სურ. 12.
მეფის ნადირობა (პეროზ I ან კავად I). მეტროპოლიტენ-მუზეუმი



სურ. 13.
ე. წ. სოლომონის თასი. პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკა







სურ. 14.
ვერცხლის თასები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან



სურ. 15. თასი მარკუს ავრელიუსის პორტრეტით. II ს.



სურ. 16. თასი ბოსკორეალეს განძიდან. ძვ. წ. I-ახ. წ. I.

*Nino Silagadze*
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## SOME ISSUES ABOUT THE ROYAL IMAGES ON THE SASSANIAN SILVERWORKS

Summary

*იყიდეთ კ(ურიკაას)ძისავ(ა)ნ, და იგიცა / ზ(ედ)ა მოჰკიდეთ.* ***რუეთს ს(ა)კ(უ)რთ-ხ(ე)ვლისა საგლეხოსა ვენაჴსა ზ(ედ)ა კ(ა)ცნი ვინ/მე სხდომილიყუნეს არმე-მამულენი, მიწაი ვენაჴად აეშენა და იგინი / კ(ა)ცნი კიდე წავიდეს. ნაშენე-ბისა მ(ა)თისა ნ(ა)ცვლად, ი(ოვან)ეს გამზრდელსა გარისელა/ძესა თექსუ-მეტი დრაჰკანი მიეცა მ(ა)თ კ(ა)ცთათჳს,*** *და მის გარისელაასძისა / ს(უ)ლი-სა სალოცავად თორმეტი კოკაჲ გაუყოფლისა ტკბილის(ა)გ(ა)ნ აიღების მი-სა/დ სალ(ო)ც(ა)ვად ყ(ოველ)თაწელიწადთა". დოკუნენტიდან ვიგებთ, რომ ში-ომღვიმის წინამძღვარმა ზედა აგარას კურიკაასძისგან იყიდა ვენახი, რომელ-შიც მან 12 დრაჰკანი გადაიხადა. რუეთს ვენახად გაშენებულ მიწაზე მომუ-შავე კაცებს კი მან 16 დრაჰკანი გადაუხადა. გამოდის რომ სამონასტრო მი-წიდან კაცებზე გაცემული იყო ნაწილი, რომელიც ვენახად გააშენეს, პატ-რონს ეს მიწა სავარაუდოდ საბეგროდ აქვს გაცემული, რაცამ მიწის აღმოშ-ვნელიდანაც კარგად ჩანს, „საგლეხოსა ვენაჴსა", თუმცა ისიც მნიშვნელოვა-ნია, რომ ეს კაცები არ იყვნენ მემამულენი, მათ მიწა ვენახად გააშენეს და ბეგარასაც აქედან გადაიხდიდნენ. აღნიშნული მიწიდან კაცები წავიდნენ, სავა-რაუდოდ, წინამძღვარმა ეს ვენახი სხვას გადასცა საბეგროდ, ანაზღაურების მიზნით კი წასულ კაცებს 16 დრაჰკანი გადაუხადა. ზუსტად ვერ ვიტყვით ვინ იგულისხმება დოკუმენტის კაცებში, გლეხის კონრეტული ფუძე, რომე-ლიც რამდენიმე კომლიანია თუ დამოუკიდებელი ფუძეები, თუმცა ერთი რა-მის თქმა შეგვიძლია, საქართველოში არსებული პრაქტიკის შესაბამისად და-საშუშავებელი მიწა შეიძლება რამდენიმე ნაწილად გაცემულიყო საბეგროდ, რაც ნიკორწმინდელის დაწერილშივე მოცემული „ვენაჴის ნაოთხალი" და ას-ევე, სხვა დოკუმენტებში მოხსენიებული ტერმინები, „ყანაჲსა ნაჴევროჲ", „საზიაროჲ ყანაჲ" გვაფიქრებინებს.[12] ივანე ჯავახიშვილი სანახევროს შემდეგ-ნაირად განმარტავს: ვენახის გაშენების მიზნით იდებოდა პირობითი ხელშეკ-რულება, ***არა მესაკუთრე*** *(ხაზგასმა ჩემია – ა.ჩ.)* გამშენებელს გაშენებული ვენახის ნახევარი საკუთრებად ერგებოდა, მას თავისი კუთვნილი მიწის სა-ნაცვლოდ პატრონისგან მისი ღირებულების საფასური შეეძლო აეღო. სამეგ-ეროდ ***არა მესაკუთრე*** გამშენებელი ვალდებული იყო გაშენების ხარჯები თვითონ გაეწია.[13] დოკუმენტიდან ისიც არ ჩანს კარგადთუ რა ოდენობის ვე-ნახზეა, საუბარი, თუმცა ქვემოთვეა აღნიშნული, რომ: „და მის გარისელაასძი-

[12] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII. თბ. 1984, გვ. 316-317.
[13] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 316.

*სა / ს(უ)ლისა სალოცავად თორმეტი კოკაც გაუყოფლისა ტკბილის(ა)გ(ა)ნ აიღების მისა/დ სალ(ო)ც(ა)ვად ყ(ოველ)თა წელიწადთა".*[14] *გამოდის რომ ამ ვენახს 12 კოკა, ანუ 120 ლიტრა ღვინო ბეგარა ედო.*

რა შუაშია ეს ყველაფერი ნიკორწმინდელის დაწერილში ხსენებული გლეხისგან ვენახის ყიდვასთან? ნიკორწმინდელში შემდეგს ვკითხულობთ: ***„ჯინჭარაიძისა გლეხისგან ვიყიდე ნათხალი ვენაჯისაჲ, ჩ(უე)ნთანა ედვა და გავისაკუთრე და მივეც ზრობაჲ, და ორმოცისა დრამისა ჴმელადი. და მოწამენი არიან კაცნი."***[15]

ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვარი ჯინჭარაის ძის გლეხისგან ყიდულობს ვენახის ნაოთხალს, რომელიც, მისივე თქმით, ჩვენ თანა ედვაო. მკვლევარი მამუკა წურწუმია, ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით, ფასების დადგენისას შენიშნავს, რომ ვენახის ფასი, მხოლოდ ერთგან ჩანს სხვებზე ძვირი, ჯინჭარაის ძის გლეხისგან ნაყიდი ვენახის ფასი 1 ძროხა და 40 დრამის ხმელადი გამოდის, რაც მისი დათვლით 3.85 გრ. ოქროა. სიძვირეს მკვლევარი იმით ხსნის, რომ ვენახის მეოთხედი მონასტრის მიწების გვერდზე იყოო, ანუ მას „ჩვენ თანა ედვა" ესმის, როგორც მათ სიახლოვეს მყოფი მიწა.[16] ნიკორწმინდის წინამძღვარი შეძენილი მიწის გასაკუთრებაზე საუბრობს. მართალია, ყველა ნასყიდი თუ მოგებული მიწა მონასტრის საკუთრებაში უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ გლეხისგან ნაყიდი გავისაკუთრეო. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ სანახევრო ვენახსა და საზიარო ყანაზე, ზუსტად ასეთივე ფაქტი მგონია ჯინჭარაის ძის გლეხის ვენახის მეოთხედის მფლობელობაში არსებობა. „ჩვენ თანა ედვა" მე მესმის, როგორც მონასტრის გარკვეული მიწის მეოთხედის გლეხის სარგებლობაში არსებობა, საიდანაც ის ბეგარას გადაიხდიდა. სავარაუდოდ, დანარჩენ ვენახზე მონასტრისვე გლეხი ან გლეხები ისხდნენ და ამ აქტით მონასტერმა სრულად დაისაკუთრა არსებული მიწის ნაკვეთი. მონასტერს უკვე მიწაზე დასმული გლეხი ორმაგ ყმობაში ეყოლებოდა, როგორც მიწიდან მებეგრე და პირად დამოკიდებულებაში მყოფი. ნიკორწმინდელის მიერ ვენახის ყიდვის სხვა მიწის ნაკვეთებთან შედარებით უფრო ძვირი საფასური ჯინჭარაის ძის

[14] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 89.

[15] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 40..

[16] მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმიდელის დაწერილის მიხედვით). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VIII. თბ. 2013-2014, გვ. 145.

გლეხისთვის მეოთხედ მიწაზე გაწეული შრომისა და ვენახზე დანახარჯის საფასურის გადხდა უნდა ვივარაუდოთ.

ამ მხრივ დოკუმენტში შემდეგ მოყვანილი ფაქტია საინტერესოა, რაც შინაარსობრივად ახლოს დგას უკვე განხილულ ნასყიდობის აქტთან: ***„მუნვე, მეტეხარას, ჯინჯინოსძისაგან ვიყიდე ვენაჴი, ჩვენსა გლეხსა თანა ედვა და მივეც ფურია, და ჴმელადი სამოცდათხუთმეტისა დრამისაჲ, და მოწამე არიან კაცნი“.***

აღნიშნულ ნასყიდობას, მართალია, წინამძღვარი გლეხთან არ აწარმოებს, მაგრამ აქ მთავარია ის, რომ ვისგანაც ის ვენახს ყიდულობს, მონასტრის გლეხს „თანა ედვა“, ანუ ადამიანი პირადად მონასტერზეა დამოკიდებული და მისი საკუთრებაა. ხოლო საბეგროდ ჯინჯინოის ძის ვენახზეა მიბმული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ არის ნახსენები, რა ზომის ვენახი შეიძინა წინამძღვარმა. სხვა მუხლებში ხშირად მითითებულია ვენახის ოდენობა: მაგ., ვენახი ა (1). აქაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ან სრულიად გამოისყიდა ვენახი მეპატრონისგან, ან ის ნაწილი, რომელიც მონასტრის „გლეხსა თანა ედვა“.

იმავე ტიპის აქტი უნდა იყოს ზნაკუას განხორციელებული გაცვლის ფაქტი: ***„და მუნვე, ზნაკუას, ვახტანგის გლეხსა მივეც სახლია. და მისგან აჲილეთ ყანაჲა. და მოწამე არიან კაცნი“.*** აქ ერთი ყანის სანაცვლოდ წინამძღვარი ვახტანგის გლეხს სახლს აძლევს. აქ უნდა ვივარაუდოთ, რომ გლეხმა აღნიშნულ ყანაში, სამუშაო ძალის დახარჯვის გარდა, კონკრეტული სამშენებლო ხარჯიც გასწია და სავარაუდებელია, რომ იმავე ყანაზე ცხოვრობდა. თორემ ცოტა გაურკვეველი იქნება ყანაში სახლის მიცემა. სავსებით არ არის სავარაუდებელი, რომ გლეხს სადმე სხვაგან ჰქონოდა საცხოვრებლი. ეპოქაში, როდესაც ფეოდალური საწარმოო ურთიერთობები მთელი თავისი სიძლავრით იჩენს თავს, ეს დაუშვებლად მიგვაჩნია, რადგან თავისუფლების დაკარგვა და დაყმევება სწორედ გაღარიბება-გაყვლეფის გზით მიმდინარეობდა.

მიწის გამშენებლისთვის გარკვეული ანაზღაურების გაცემას საქართველოს მოგვიანო პერიოდის სამართლებრივი ძეგლებიც იცნობენ, როგორიცაა ბექა მანდატურთუხუცესისა და აღბუღას სამართლის წიგნები. თუმცა ასეთი ადამიანის მიერ ნახევრის გასაკუთრება, როგორც ისიდორე დოლიძე აღნიშნავს, ბექა მანდატურთუხუცესის დროისთვის საცილობელი გამხდარა. ამიტომ ბექას სამართალში 54 მუხლი ასე გაწერილა:

| *A* | *B* |
|---|---|
| *54.თუ კაცმან კაცისა მამუ ლი გააკაცრიელოს რგ,უთა ანუ **ნაგებობითა** [ობლობისა] და გარდა ხუეწისათ,ის რომე მამული მან მოიკლოს, დაუჭირავსა[ა] არას ემართლების, ნახევარი ფასი [ν] მისცეს [და ადგილმემამულეს].* | *54. თუ კაცმან კაცისა მიწა [გააკაცრიელოს] გინა ნაშრო მითა,**გინა ნაგებითა**,ნარგვევითა ანუ ობლობისათვის, ანუ გარდახვეწისათვის რა მემამულე მოაკითხოს, დაჭირვას არას ემართლების, ნაქმრის ფასი მის ცეს და ადგილი მემამულესვე მართებს.*[17] |

აღნიშნულ მუხლში ნახსენები „ანუ ნაგებობითა“ და „გინა ნაგებითა“, ჩემ მიერ ზემოთ განხილულ მოსაზრებას გლეხის მიერ სხვის მიწაზე რაიმე ტიპის ნაგებობის დადგმის შესახებ (ზნაკვაში გლეხის შემთხვევაში სახლის აშენება?) მოგვიანო პერიოდის სამართლის ძეგლი დადასტურებულად გადმოგვცემს.

ნიკორწმინდელის დაწერილში შემდგომ ვკითხულობთ: ***„გლეხსა ჩუენსა ცხენი მოჰპარეს მუნვე, ზნაკუას, და საზღავად ავიღეთ მიწაჲ ნაკუეთი ბ. და მოწამე არიან კაცნი“.***[18] გამოდის, რომ მონასტრის გლეხს ზნაკუაში მოჰპარეს ცხენი, მის საზღაოს კი მონასტერი მპარავისგან იღებს. ზიანის მიყენების შემთხვევაში საზღაოს აღება ნიკორწმინდელის დაწერილში სხვაგანაც გვხდება, მაგალითად: ***„ქველაჲსძისა შვილთაგან ავიღეთ საზღავად მიწაჲ შხროს ზ(ედ)ა რუსისძესა თანა, და მოწამე არიან კაცნი.***

***მღილა დაკოდნა ეკლესიისა კაცნი და მისდა საზღავად ავიღეთ, ველიჭრულსა რაჲცა იყო, მის კერძი, მოწამე არიან კაცნი“.***[19]

***„კაჩაეთს სქელაეთაგან ავიღე ყანაჲ ცხენისა საზღავად მივეც კჳკაჲსძესა“.***[20] ცხენის მოპარვის შემდგომ საზღაოს მიცემა ამ დროისთვის კანომდებლობით გაწერილი ნორმა თუ არა, ადათობრივი სამართლის ფუნქცია უნდა ყოფილიყო, რადგან მოგვიანებით ბექა მანდატურთუხუცესის სამართალის წიგნში ის უკვე დადასტურებულად გვხვდება. 62-ე მუხლში შემდეგს ვკითხულობთ:

---

17 ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი. თბ. 1953, გვ. 157, 310.
18 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 40.
19 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 41.
20 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 42

| A | B |
|---|---|
| **„ნაპარვისა გაჩენა ასე იქმნების** | **ნაპარავისა პირველ ასრე გაჩნილა და ასრე იქნას აწცა, რომე** |
| 62. თუ ცხენი იყოს მოპარული, [ანუ] რაცა კაცმან კაცსა მოიპაროს, ჴელთავე ჰქონდეს იგი თავნი ნაპარევი, იგი თავნი ნაპარევი მისცეს და ეგზომი სხუაცა მისცეს“. | 62. თუ ცხენი და რა გინდა რა კაცმან მოიპაროს, თუ ჴელთავე აქუნდეს თავი ნაპარევი, იგი მისცეს და ერთი ეზომი სხვა. და თუ არა აქუნდეს, აფიცოს საქონლის პატრონმან; როგორცა დაიფიცოს, იგი მისცეს და ერთი ეზომი სხვა“.[21] |

დასკვნა შემდეგია: თუკი გლეხს ცხენს ჰპარავენ, ცხენის საზღაოდ იღებს მიწას მისი პატრონი. გამოდის, რომ ცხენი, დამხმარე საწარმოო საშუალება (რადგან აქ საბრძოლო ცხენზე არ იქნება საუბარი), რომელიც გლეხს ჰყავს, მისი პატრონის საკუთრებაა. მაშასადამე, როგორ ჰყიდის გლეხი მიწას, ძირითად საწარმოო საშუალებას, როცა მისი სრული საკუთრების უფლება დამხმარეზეც არ ვრცელდება. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს გლეხის მიერ მიწაზე ნაწილობრივი საკუთრების უფლებას. მის მიერ მიწის გაყიდვა ყოველთვის ნომინალურად უნდა ვივარაუდოთ მხოლოდ და მხოლოდ პატრონის ნებართვით. ან ეს ფაქტი იმ საზღაოზე უნდა მიგვითითებდეს, რაც მან კონკრეტულ მიწაზე დანახარჯის სახით გასწია.

1200 წლის ახლოს შედგენილ შიომღვიმის მონასტრის დოკუმენტში ასევე მოგვეპოვება სხვა ფაქტი მიწის გაშენებისა და მისი სანახევროდ გაყოფის შესახებ:

*„და კუალა შ(ე)ნისა გამზრდე/ლისაი (ოვან)ს მ(ა)მასა მუშურს კჳრიკაული მიწაი აღოს ასაშენებლად ხელ გი/ორგისძისა ვენაჴსა გუერდით, ღღისა ერთისაჲ. და რაჲ აეშენა, ორად / გაყო: ნახევარი ი(ოვან)ეს მამასა დაემჭირა მუშურს, ნახევარი მიწისპ(ა)ტრ(ო)ნსა. / მერმე ივი (მ)ათი კერძაო ჴრდა და თქ(უე)ნ მისსივე მამულისაგ(ა)ნ [ი]ცვალეთ მიწ/ითა: ოთხი ზომაჲ წყალ-მყინვართა ზედა მიეცით“.*[22]

[21] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი. თბ. 1953, გვ. 315.
[22] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 89-90.

დოკუმენტის ამ ნაწილშიც კვირიკაულ მიწაზეა საუბარი, ოღონდ უკვე მუშერში. აქაც მიწის გაშენების ფაქტია მოცემული, სადაც შიომღვიმის წინამძღვარმა, იოანემ, მიწა აიღო. მოშენების მერე ნახევარი თვითონ დაიჭირა, ნახევარი კი პატრონს დარჩა. აქვე მოცემულია ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც ნაწილობრივ ზნაკუას გლეხისგან მიწის ყიდვის ფაქტს ეხმიანება. ამ შემთხვევაში ნიკორწმინდელმა საფასურად სახლი გადაიხადა: *„მერმე იგი (მ)ათი კერძო ჰრდა და თქ(უე)ნ მისივე მაჰულისაგ(ა)ნ {ი}ცვალეთ მიწ/ითა: ოთხი ზომაჲ წყალმყინვართა ზედა“.*[23] როგორც ჩანს, მეპატრონის ნაწილი აოხრებულა და მამა ზოსიმეს იმ ნაწილის საფასურად სხვა ადგილას მიწა მიუცია. თუ ზნაკუას ყიდვის საფასურად გლეხი სახლს იღებს, აქ მემამულე შიომღვიმის მონასტერი სანახევროდ აღებული მიწის მთლიანობაში გასაკუთრებისთვის მიწასვე გასცემს. მიწის ამგვარი მოცვლა რომ პრაქტიკაში იყო მიღებული, ნიკორწმინდელის დაწერილიდანაც ჩანს, სადაც ვკითხულობ: *„ვიცვალე ჰივშს ვენაჰითა ჩემითა მოგებულითა ადგილი და ფასად ზედა დავურთენ ულელნი ჰარნი და რვაჲ აჟურაჲ და მას ზედა დავდგი სასწნეხლე ქვითკირი“.*[24] თუმცა აქ დამატებით ნიკორწმინდელი ხარებს და რვა აჟურას ამატებს ფასს, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ მოცვლილი მიწის ოდენობა ან მოსავლიანობა აღემატებოდა ნიკორწმინის მიწას. დამატებით ისიც საინტერესოა, რომ ერთი დღის სანახევრო მიწაში ზოსიმე წინამძღვარი „ოთხი ზომის“ მიწას იძლევა საფასურად. ზუსტად რა ტიპის საზომთან გვაქვს საქმე, არ ვიცი, თუმცა ერთი რამის თქმა შეიძლება: ოთხი ზომა ამავე მონაცემებით ერთი დღის ნახევარი მიწის ტოლფასი უნდა ყოფილიყო. ასეთი რამ სავსებით სავარაუდებელია, რადგან იოვანე ნიკორწმინდის წინამძღვრისგან განსხვავებით ზოსიმე გაშენების საფასურში კი არ გასმეცს, არამედ ნახევარი დღის მიწაში.

ამ დოკუმენტში ხშირად შევხვდებით გამონათქვამს იოანესა და ზოსიმეს მიმართ, რომ მათ *„დიდი ჭირი ჰნახეთ და სახლი მოაშენეთ“*, *„და მან მისითა მოჭირვებითა და საურავითა ზედვე შესძინა“*, *„შენ და შენსა გამზრდელსა იოვანეს მოგეჭირვა“*. ყველა ეს მოჭირვება მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით იხსენება, ან მონაგებზე საუბრისას ან ნაშნების, ანაც დედის მზითებთან. ისიდორე დოლიძის მოსაზრებით, „ნაჭირვებით“, ანუ ჭირნახულობით საკუთრების უფლების შეძენა უხმარი მიწის სახმარად გადაქცევას

[23] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 89-90.
[24] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 42

და მის პირველად დამუშავებას ნიშნავს. მართალია, აქ დამმუშავებელი ნახევრაზე საკუთრების უფლებას იღებს და მისი სრული მესაკუთრე არ არის.[25]

საინტერესოა ის ფაქტიც, თუ ზემოთ განხილული მიწის ნაკვეთი მოაშენა იოვანემ, ხოლო შემდეგ იგი თანაბრად გაიყო მემამულესა და იოვანეს შორის. მიწის პატრონის ნაწილის აოხრებისას რატომ გახდა საჭირო მეორე ნახევრის მიწითვე მოცვლა? სავარაუდოდ, აღნიშნული მიწა კარგი შემოსავლის მომტანი უნდა ყოფილიყო.

გარდა ზემოთ განხილული გლეხისგან მიწის ყიდვა-გაყიდვის ფაქტებისა, კიდევა არის დადასტურებული საწირეს გლეხის მიერ მიწის გაყიდვა: ***„საწირესვე ღ(მრ)თის-მშობლისა გლეხისაგან ვიყიდე ვენაჭ და მიველ ფურია, აურაამ“.***

მიწის ყიდვა-გაყიდვის განხილვის დროს აუცილებლად უნდა გავაანალიზოთ განსახილველი პერიოდის მიწათსაკუთრების ფორმები და ფეოდალური ეპოქის მიწის მფლობელობის თავისებურებები. ამის გარეშე მხოლოდ მშრალ ფაქტებზე მსჯელობა გამოგვივა. ქვემოთ განვიხილავთ სენიორლაურ და საგლეხო მიწისფლობის ფორმებს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დასკვნების გამოტანა გლეხის მიერ მიწის გაყიდვაში თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია მოსაზრება, რომ IX-X საუკუნეების საქართველოში მიწისმფლობელობის ორი სახე არსებობდა, ერთი პირობითი მიწისმფლობელობა იყო, სამსახურზე დაფუძნებული, მეორე კი მამული, რომელიც ფეოდალის სრულ საკუთრებას წარმოადგენდა.[26] მამული, ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, ჯერ მამის სამშობლოს, მამეულს ნიშნავს. მომდევნო ეტაპზე ის ასევე აღნიშნავს დედულის სინონიმსაც, ანუ დედის მიერ მზითვში მოტანილი ქონების სამემკვიდრეოდ დაფიქსირებას. IX-X საუკუნეების ქართულ ძეგლებში მამული უკვე საგვარეულო სამემკვიდრეო საკუთრების აღმნიშვნელია, რომელსაც ესა თუ ის ფეოდალი ფლობს. XI-XII საუკუნიდან მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და უკვე მთლიან უძრავ-მოძრავი ქონების აღმნიშვნელად გვევლინება.[27]

---

[25] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართლის ..., გვ. 141.

[26] მ. ლორთქიფანიძე. ცვლილებები ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში IX-X საუკუნეებში. მიწისმფლობელობის ფორმები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II (საართველო IV-X საუკუნეებში). თბ. 1973, გვ. 330-339.

[27] ივ. ჯავახიშვილი. სანიეთო სამართალი. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე. ნაკვეთი მეორე თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII. რედაქტორი ი. დოლიძე. თბ. 1984, 282.

ადრეფეოდალურიდან ფეოდალური წარმოების წესზე გადასვლისას განსახილველ თემას წარმოადგენდა სამეფო და სახელმწიფო მიწების საკუთრების ფორმები. ანრი ბოგვერაძე მიიჩნევდა, რომ სამეფო დომენი მეფის, როგორც ფეოდალის საკუთრებაა. სახელმწიფო მიწებისგან მეფე ამონაგებს იღებს როგორც უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფალი.[28] ნიკო ბერძენიშვილმა კი სამეფო დომენი და სახელმწიფო მიწები ერთ ცნებაში „სამეფოში" გააერთიანა. მისი თქმით, შეიძლებოდა მიწების ერთი ნაწილი გაცემული იყოს ყმებზე/ვასალებზე, მეორე ნაწილი კი, სახასო დარჩებოდა. მისი დასკვნით, სამეფო დომენი და სახელმწიფო მიწა იდენტური შინაარსიაა.[29] სამეფო/სახელმწიფო მიწა რამდენიმე ტიპად იყოფოდა: „სეფე", „სამეუფეო/სამეფო", „სამამასახლისო" და „სახასოდ".

ქართული ფეოდალური მიწისმფობელობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა „საკარგავი". საკარგავი რაიმე სამსახურის სანაცვლოდ გაიცემოდა.[30] წინარე ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმები ნელ-ნელა ქრება და მას ახალი იკავებს, თუმცა სახელწოდებანი შესაძლებელია გადმოსულიყო. ასეთად მიიჩნევა „აგარაკი". ახალ წესწყობილებაში აგარაკის მფლობელი უკვე მეფეა ან კონკრეტული ფეოდალი, მათ შორის, ეკლესიაც.[31]

ქართულ რეალობაში არსებობდა რამდენიმე ტერმინი საკუთრების ან იმ ქონების აღმნიშვნელად, რომელსაც რომელიმე ადამიანი თუ ოჯახი ფლობდა, ესენია: „სამკვიდრებელი", „საკუთრება". „მონაგები" შეძენილს ნიშნავდა, თუმცა მასში ყოველთვის არ იყო საფასური გადახდილი. ის რაიმე ხერხით იყო შეძენილი. მოგება შეიძლებოდა როგორც გლეხების, ასევე, სოფლებისა და სხვა ქონების.[32] „მონაგები" თავისი ბუნებით განსხვავდებოდა „ნასყიდი" ქონებისგან. ნასყიდში ყოველთვის საფასური გადაიხდებოდა. ამიტომაც ნასყიდობის აქტის გაფორმებისას ხშირად იხმარება ტერმინი „მოღებაი

[28] გ. ძიძიგური. საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში (XVIII საუკუნე). თბ. 1988, გვ. 22; ა. ბოგვერაძე. მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმათა განვითარება აღრეფეოდალურ ხანაში. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ. 1980, გვ. 22.

[29] ზ. ხიდურელი. სამეფო დომენის საკითხისთვის XI-XV საუკუნეების საქართველოში, გვ. 258-287.

[30] მ. ლორთქიფანიძე. ცვლილებები ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში IX-X საუკუნეებში. § 2. მიწისმფლობელობის ფორმები, გვ. 330-339.

[31] მ. ლორთქიფანიძე. ცვლილებები ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში IX-X საუკუნეებში. მიწისმფლობელობის ფორმები, გვ. 330-339; გ. ძიძიგური. საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1988.

[32] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 282-287.

ფასითა", რომელიც მისთვის შექმნილად უნდა ვიგულისხმოთ.[33] იყო, ასევე, „ნაწყალობევი", „ნაბოძვარი" და „შეწურული" ქონებაც.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ტერმინი „ქონება", რომელიც ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, IX-XII სს-ში არ აღნიშნავდა საკუთრებას და ის დროებითი მფლობელობის ქონებას უნდა აღნიშნავდეს. „ქონების" გაყიდვა, გასხვისება და შეწირვა მქონებელს არ შეეძლო პატრონის დაუკითხავად. ამის დასტურად ივანე ჯავახიშვილს ჭიაბერ მანდატურთუხუცესის შეწირულობის წიგნი მოაქვს მტკიცებად, სადაც ვკითხულობთ: *„ჩემსა ყინოვანისა ქონებასა შინა ვკადრე და მოვაკსენე ღთისა სწორსა მეფეთ-მეფესა თამარს და მათ მიერ ბრძანებითა და კითხვითა გკადრე და მოგაკსენე შიოღვიმის მონასტერსო."*[34]

ივანე სურგულაძე არ ეთანხმება ჯავახიშვილის ამ დებულებას, რომ „ქონება" მფლობელობას შეესაბამება. ზემოთაღნიშნულ ფაქტს კი ფეოდალური საკუთრების უფლების დანაწევრებად მიიჩნევს. უმაღლესი სენიორის მოხსენება იმით შეიძლება აიხსნას, რომ მიწა იმ დროს გადასახადის გაწერის ძირითადი საშუალება იყო და მის მიერ გაცემული ქონება ეკლესია-მონასტრების საკუთრებაში, ან მფლობელობაში არ ალმოჩენილიყო.[35] ევროპულ ფეოდალურ სამართალში, კერძოდ კი, ფრიდრიხ პირველის როკლანდის დადგენილებაში ფეოდის შესახებ ნათქვამია, რომ: ***„არავის არ შეუძლია გაყიდოს, დაგირავოს, სულის შესანდობელად გადასცეს მთელი ფეოდი ან მისი ნაწილი უმაღლესი სენიორის თანხმობის გარეშე"***[36]

ამ შემთხვევაში ნიშნავს თუ არა „ქონება" საკუთრების სრულ ფორმას, მსჯელობას არ გავაგრძელებ. მხოლოდ ერთს დავძენ, კონტრეტული მიწების გასხვისებისას უმაღლესი სენიორის მოხსენიების ფაქტი ჭიაბერის საბუთზე უფრო ადრეულიც მოგვეპოვება და ისიც შიომღვიმის მონასტრისთვის მიწების მიყიდვას უკავშირდება, ერთი განსხვავებით, აქ მკვიდრ მამულზეა საუბარი. ე.წ. ფავნელის დაწერილში ვკითხულობთ: ***„ეთხოვენ ჩემნი მკუ(ი)დრნი მამულნი ჩემნი მკუ(ი)დრნი მეფესა და მიბოძნა,*** *რომე ტყ(უე)ნი დავიკსნსე ...და* ***„გარდავე ლიხთიმერეთით და მოვიღე თავისუფლებისა ბრძანება კონსტანტინესი და ბაგრატისი, კახთა მეფეთა: ფალესი და კუ(ი)რიკე-***

[33] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 310-311.

[34] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 294.

[35] ივ. სურგულაძე. საკუთრების უფლების ინსტიტუტე ფეოდალურ საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით. ი. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. XXXV. თბ. 1949.

[36] იხ. ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 156.

*სი*".[37] დოკუმენტის დამწერის ან გადამწერის შეცდომაა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ ნათელია, მკვიდრი მამული ხაზგასმითაა ნახსენები, განმეორებულია. მხოლოდ შეგვიძლია დავუშვათ, რომ შეუვალობა/იმუნიტეტი ჯერ მკაფიოდ არაა ჩამოყალიბებული და ამიტომაც ფავნელი იძულებულია მამულის გასხვისებისას მეფის წყალობა/ნებართვა აიღოს.

ფეოდალური პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების ერთერთი საფუძველია *Nulle terre sans seigneur* – არ არის მიწა სენიორის/ბატონის გარეშე. თითქოს ამის საპირისპირო მაგალითს ვხვდებით დავით აღმაშენებლის ანდერძში: *„ადგილნი რომელნი მიმოვებიან, უმკვიდრონი და უმამულონი...“*. ივანე ჯავახიშვილი ამ ფაქტს ასე განმარტავს: „ცხადია, რომ უადგილო მამული შეიძლება მხოლოდ ისეთი ადგილი ყოფილიყო, რომელიც „მამული“ არ იყო და რომელსაც „მკვიდრი“, ანუ მემკვიდრეობითი მესაკუთრე არ ჰყავდა, რომელიც არავის კერძო საკუთრებასა და მამულს არ წარმოადგენდა...“.[38] რამდენად შესაძლებელია ამ ეპოქაში უმკვიდრო და უმამულო, ანუ უპატრონო მიწის არსებობა? შესაძლებელია აქ საუბარი იყოს კონკრეტულ მიწებზე, რომლის მეპატრონეთა ოჯახი ან ამოწყდა, ან სხვა რაიმე გარემოებების გამო ჩამოერთვა მიწა. გავიხსენოთ ბაღვაშთა მამულის აღება დავით აღმაშენებლის მიერ, იგი ხელშეუხებელია და დავითი მხოლოდ ბაღვაშთა უკანასკნელი წარმომადგენლის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ ეუფლება კაცხის მამულებს.

IX-X საუკუნეებიდან ფეოდალური მეურნეობის საფუძველს გლეხობა წარმოადგენდა, მათ შრომაზე იდგა ქვეყნის ეკონომიკა და მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული ტექნიკის განვითარება/დანერგვა. გლეხის სამეურნეო ერთეულს ფუძე წარმოადგენდა, რომელიც, შესაძლოა, რამდენიმე კომლისგან ყოფილიყო შემდგარი: 1195/1196 წლის სიგელში თამარ მეფისა მღვიმისადმი ვკითხულობთ:

*„დაგუაჯერა დალმერთმან და ვისმინეთ ჰაჯაი და მოჴსენებაი მისი, ვაზირისა ჩუენისა ანტონი ჭყონდიდელ-მთავარებისკოპოსისა, მწიგნობართუხუცესისაი და პროტოუპერტიმოსისაი და რომელი სჱალტებს მის წყალისა მისგან მიღებულისა სათავესა ზედა გლეხი ზის, მიწად ერთი და კუამლად ორი, ქოსაისძენი...“.*

*„ჭონდეს იგი წყალი და გლეხნი ქოსაისძენი, მიწად ერთი და კუამლად ორი, სუიმონ და გიორგი და იაბერი და შვილნი და შვილისშვილნი*

[37] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 18, 19.
[38] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 282.

*მათნი".*[39] *„ეს გლეხნი ქოსაძენი, ფუძედ ერთი კუამლად გ".*[40] გლეხების ფუძედ მოსახლეობა უფრო ადრეც დასტურდება. ქვემოთ მოყვანილ საბუთში ისეა გაწერილი, რომ ეს ყოველივე, უკვე დიდიხნის შემუშავებული სამეურნეო ერთეული უნდა იყოს. 1031-1033 წლების მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილში ვკითხულობთ:

*„და უჩინე ამა საკურთხეველსა ჩემსა და ყამისშწირველისა და მევსცენ: თეძს: გლეხნი სამნი ფუძითა სრულითა და ვენაკ ა, მიწაჲ ა, წისქულინი ა და ჭალაჲ. და ოტათლოანს გლეხი ა, ციხედიდს – გლეხი ა, ბ-ნივე ფუძითა სრულითა და ვენაკი ა".*[41]

ნიკორწმინდელის დაწერილის ბოლოში შემაჯამებელ ნაწილში წინამძღვარი საუბრობს იმ გლეხების რაოდენობაზე, რომელიც შემოსწირეს და რომელიც მან შეიძინა. ჯამში საუბარია 30 გლეხზე. თუმცა იქვე დასძენს, რომ კიდევ იყიდა ცხილათს გლეხნი ბ და ცხილათსვე გლეხი ა. გამოდის, რომ ჯამში ნიკორწმინდელს შესწირეს და შეუძენია 32 გლეხი. უნდა ვივარაუდოთ, რომ გლეხები აქ თავისი მეორნეობითაა ნაგულისხმევი. თითოეული გლეხის აღნიშვნისას ა, ბ და ა.შ. ფუძეები უნდა ვიგულისხმოთ. თუმცა ჩვენთვის გაურკვეველია, იყო თუ არა ის სრული ფუძე და რამდენ კომლს შეიცავდა. დაახლოებით ამგვარ დასკვნას გვთავაზობს მამისა ბერძნიშვილიც ნიკორწმინდელის საბუთის განხილვისას. მისი აზრით, „XI ს-ისთვის გლეხის გაყიდვა, ყიდვა თუ შეწირვა უმეტეს შემთხვევაში **მიწიანად ხდება. გლეხი იყიდება მიწის იმ ნაკვეთთან ერთად, რომელზედაც ის ზის. გლეხის გასხვისების საბუთებში უეჭველად აღნიშნულია აგრეთვე ის პუნქტიც, სადაც ეს გლეხი ცხოვრობს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ გლეხი იყიდება მიწასთან ერთად. წინააღმდეგ შემთხვევაში ე.ი. გლეხი რომ უმიწოდ იყიდებოდეს, აზრი არ ექნება გეოგრაფიული პუნქტის ხსენებას".**[42] სრულებით ვეთანხმები მოცემულ მსჯელობას, რადგან გლეხის სიმრავლეზე და მეურნეობაზე იღგა იმდროინდელი სენიორის სიმდიდრე და ძალაუფლება. ამიტომაც წარმოუდგენელია გლეხის ყიდვა მისი მიწის გარეშე მომხდარიყო. შესაძლოა, არსებობდა გამონაკლისიც, როდესაც გლეხს არ გააჩნდა არანაირი მიწა. თუმცა ზემოთ უკვე განვიხილეთ, რომ გლეხი მოცემულ ეპოქაში ნიშნავს ადამიანს, რომელიც მიწაზეა მიმაგრებული და ბეგარას იხდის მეპატრონის სასარგებლოდ.

[39] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 100
[40] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 101.
[41] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 27.
[42] მ. ბერძნიშვილი. გლეხთა კატეგორიები XI-XII ს-ში, გვ. 142.

ძველ საისტორიო წყაროებში გლეხის მეურნეობის აღმნიშვნელად სახლი, ფუძე, მიწა და კვამლი გამოიყენებოდა.[43] ჩემი აზრით, სწორედ მთლიანი მეურნეობის აღმნიშვნელად უნდა იხმარებოდეს ნიკორწმინდელის დაწერილში მიწა. ჩემი დაკვირვებით, მიწა არასდროს არ არის გლეხთაგან ნაყიდი. ტყიანი მიწა შემოწირულია ერისთავთ-ერისთავისგან, რომელმაც იგი მიქელ წორბელისძისგან და ვახტანგისგან იყიდა. მოპარული ცხენის საზღაურად ნიკორწმინდელი იღებს მიწას, ცხილათს მოიგებს მიწას და **პირვანდელ მეპატრონეთ აძლევს საკაბალოდ**. მიწა დიდ სამეურნეო კომპლექსს უნდა წარმოადგენდეს. არა არის გამორიცხული, როცა იგი იყიდებოდა, მასზე არსებული საბეგრო სამსახურიც ახალ მეპატრონეზე გადასულიყო. ეს კი ზოგადად ამ მიწის ფასს ზრდიდა. მამისა ბერძნიშვილი, მართალია, მიწას დაუმუშავებელ ნაკვეთად მიიჩნევს, მაგრამ სწორია კონკრეტულ შენიშვნაში, რომ დამუშავებულ მიწას მასზე დახარჯული ადამიანური შრომაც მატებდა ფასსო.[44] როგორც მამისა ბერძნიშვილი შენიშნავს, ნიკორწმინდელის დაწერილში მიწის ყიდვის 5 შემთხვევაა: ტყიანი მიწის, ხილოვანი მიწის, ერთგან მიწის მოგებაა ნახსენები, რომელიც საკაბალოდ პირველ მეპატრონეთ დაუბრუნდა, დანარჩენ ორ შემთხვევაში უბრალოდ მიწა იხსენიება. მისივე დასკვნით, მიწა უნდა იყოს ისეთი ნაკვეთი, რომელიც სახნავ სათესად არ არის გამოყენებული. ამიტომაცაა, რომ მიწა ყანაზე იაფია დოკუმენტის მიხედვითო.[45] აღნიშნულ მოსაზრებას გამოეხმაურა მკვლევარი მამუკა წურწუმია, რომელმაც ნიკორწმინდელის დაწერილში ფასები დაადგინა. მისი გამოთვლით, სრულებითაც არ ღირს მიწა ყანაზე ნაკლები. მეტიც, მიწა ყანაზე ორჯერ მეტი ღირს.[46]

როგორც ზემოთ აღინიშნა, მიწა საგლეხო მეურნეობის ძირითად ფორმას წარმოადგენდა, ფუძე-მიწას. გლეხი მიწიანად ფეოდალს ეკუთვნის. ამიტომაც არსად არ არის საუბარი გლეხების მიერ მიწის გაყიდვის შესახებ. აქტებში მხოლოდ ვენახისა და ყანის გასხვისებაზეა საუბარი, რომელიც სწორედ მიწის, ფუძის შემადგენელი ნაწილი ან დამატებითი საბეგრო ერთეული უნდა ყოფილიყო.

---

[43] გ. ძიძიგური. საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 39.

[44] მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ (ნიკორწმინდელის დაწერილი), გვ. 59.

[45] მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ (ნიკორწმინდელის დაწერილი). თბ. 1979, გვ. 58-59.

[46] მ. წურწუმია. **XI** საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმიდელის დაწერილის მიხედვით), გვ. 144-145.

თუ დავუშვებთ, რომ გლეხი მიწას ჰყიდის გარკვეული პირობით, რას უნდა გულისხმობდეს ეს? მართალია, ბექა მანდატურთუხუცესისა და მისი შვილიშვილის, აღბუღას, სამართალი სამცხის მოსახლეობისათვის შექმნილად ითვლება, თუმცა მისი განზოგადება შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზეც, რადგან მასში ასახული მუხლები და კანონები სავსებით შეესაბამება იმ პერიოდის მიწათსარგებლობისა და მეურნეობის თავისებურებებს. თანაც უამრავ დოკუმენტში შეიძლება გარკვეული ფაქტები ამოვიკითხოთ, რომლებსაც ბექასა და აღბუღას სამართალში ვხვდებით.

ბექას სამართლის 45-ე მუხლში ვკითხულობთ:

| A | B |
|---|---|
| 45. „მამულისა გასყიდვა ცუდია ბატონისა დაუმოწმებლად, და ნახევარ[ი] ფასი მსყიდველსა სარეგუენოდ დაუშავდეს. ამაშიგან მართლობა რამე აკლია, მაგრამ ნუ ვინ დაებმის სყიდვასა“. | „საკარგავისა გასყიდვა ცუდი იქნება პატრონისა უმოწმებლად, და ვისაცა ეყიდოს, ნხევარი ფასი სარეგვენოდ მას დაუშავდეს და ნახევარი გამსყიდველსა. მას შიგა ერთობ რამე აკლია, მაგრამ ნუ ვინ დაებმის მოსაკარგავესგან სყიდვასა.“[47] |

როგორც კონკრეტული მუხლიდან ჩანს, მიწით მოსარგებლეს ბატონის დაუკითხავად სამამულო მიწის გაყიდვა არ შესძლებია. გაყიდვის შემთხვევაში კი ჯარიმა ორივე მხარეს, მსყიდველსა და გამყიდველს ნახევარი ფასი დაედებოდა. თუმცა, როგორც 45-ე მუხლის ბოლოდან ვიგებთ, „ნუ ვინ დაებმის სყიდვასა“ და „ნუ ვინ დაებმის მოსაკარგავესგან სყიდვასო“. გამოდის, რომ გარკვეული პარაქტიკა არსებობდა და ამისთვის საკანონმდებლო აქტით მისი შეზღუდვა უცდიათ.

76- მუხლში კი ვკითხულობთ:

| A | B |
|---|---|
| 76. „თუ გლეხმა მისისა პატონის ჴელ-ჩაურთავად გაყიდოს რა, მართალი არ[ა] არის: ადგილი ბატონისა არის. მან კაცმან ფასი ამღებელსა სთხოოს.“ | „თუ გლეხმან მისისა პატრონის ჴელ-ჩაურთავად გაყიდოს რამე, ანუ დაწინდოს სამამულო, [მართალი] არა არის: ადგილი პატრონისა არის. მან კაცმან ფასი ამღებელსა სთხოოს.“[48] |

[47] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 305-306.
[48] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 322.

როგორც ვხედავთ, მამულის გაყიდვა, გასხვისება და დაგირავება მისი პატრონის გარეშე არავის არ შეუძლია, რადგან „ადგილი პატრონისა არის“, „მამული მემამულეს მართებს“.[49] ჩემი დაკვირვებით, როგორც ჩანს, გლეხს პატრონის დაუკითხავად არა მარტო მიწის, არამედ მიწაზე არსებული, ან მიწაზე მიბმული უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვაც არ შეეძლო, რადგან 76-მუხლების ა და ბ განმარტებები იწყება იმით, რომ გლეხს ბატონის ხელჩაურთავად არ შეუძლია „გაყიდოს რა“, „გაყიდოს რამე“. მეტიც, გლეხს არ შეუძლია სხვა გლეხს თავდებად დაუდგეს თავისი პატრონის ნებართვის გარეშე, რადგან გლეხი ბატონის საკუთრებაა და ის ქონება, რასაც გლეხი ფლობს, ბატონის საკუთრებას წარმოადგენს:

| A | B |
|---|---|
| „გლეხი თუ გლეხსა თავს | „გლეხი თუგლეხსა თავს |
| [მ]დებად დაუდგეს [ერთისა ჰა | მდებად დაუდგება ერთისა ჰარი- |
| რისა] ანუ მისისა ფასისა | სა, ანუ მისისა ფასისა უფროსი- |
| უფროსითა, საპატიოს კაცისა | თა, საპატიოს კაცისა იყოს. |
| იყოს, მისსა ჰელის(ა) უფალ- | მისისა ჰელისა უფალსა ჩაართვე- |
| სა ჩაართვევინოს ჰელი. | ვინოს ჰელი. |
| თუ დიდებულისა ანუ აზნაუ- | და თუ ქვეყნისდიდებულისა |
| ღისა [იყოს], ჩაართვევინოს და | და ანუ აზნაურისა იყოს, მას |
| ასეთი, რაზომასაცა ზედა დაუდ- | ჩართვევინოს და ესეთი, რა |
| ვას უზღოს. | ზომცა ზედა დაუდგება უზღოს. |
| თუ ჰელი არერთოს, გლეხი | და თუ ჰელიარა ერთოს, |
| მის უფროსითა ვერ დაუდგებ- | გლეხი ამას უფროსითა ვერ |
| ის, ამად რომე არა ღირსა, | დაუდგების, ამად რომე არა |
| მის[მან] პატრონმანავად გაჰ- | ღირსა და მისმან პატრონმან |
| ადოს.“ | ავად გაჰადოს იგი გლეხი.“[50] |

აქედან გამომდინარე, სრულებით გასაგები ხდება ნიკორწმინდელის დაწერილში რატომ იხსენიებიან გლეხები საკუთარი პატრონის სახელით. გამოდის, რომ ბექასა და აღბუღას სამართლის ეს ნორმები არა ახლად შემუშავებული, არამედ ძველ ნორმებზე დაყრდნობით შედგენილად უნდა ვივარაუდოთ,

[49] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 158.
[50] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი ..., გვ. 319-320.

რადგან XI საუკუნეშიც წარმოუდგენელია გლეხი მიწას ჰყიდდეს პატრონის დაუკითხავად.

აღნიშნული მუხლების პარალელურად მოვიყვან ორ დოკუმენტს მიწის გაყიდვის შესახებ, რომლებიც გარკვეული მსჯელობის საშუალებას მაძლევს. პირველი დოკუმენტი „დაწერილი ჩაფქევასძეთა გრიგოლ ვერხუაიძისადმი", რომელიც დაახლოებით 1247/1260 წლებით თარიღდება, ხოლო მეორე – „დაწერილი მღვიმისა კრებულისა გრიგოლ სურამელისდამი", დათარიღებული 1249-1260 წლებით. თუმცა ამ უკანასკნელში ჩვენთვის საინტერესოა მინაწერი, რომელიც XV-XVI საუკუნეებით თარიღდება.[51]

პირველ დოკუმენტში ჩვენთვის საინტერესო ადგილას ვკითხულობთ: *„[ქ. სახე]ლითა ღ(მრ)თისაითა, მამისა ძისა და წ(მიდ)ისა სულისაი[თა], შუამდგომლობითა ყო[ვ]ლადწ(მიდ)ისა ღ(მრ)თისმშობელსაითა და ყ(ოვე)ლთ[ა] წმიდაითაითა, დავიწერეთ დაწერილი ესე ჩუენ, ჩაფქევასძეთა [_+5] და ძმისწულმა დემნამა, თქუენ ვერხუაისძეთა: გრ(ი)გოლა [დ|ა შ]ვილთა და მომავალთა თქუენთა, და მოგყიდე ნავენაკები ზედა [_+3] შენი საკალოისა პირსა ნასყიდსავე ზედა მოგეკიდებოდა, უღალ[ო|]ს უნდილაიძის აეკიბობასა შივა და მომლაისა სანდაკ[ს] ბასა შივა. **რაიცა ღალაი ჰმართებოდა ამას ადგილსა, მომლამ [მო]ილო დაპ[ა]ტრონი ბეჟაი მუხრანს დგა და მუნ გაუგზავნა ოქრ[ოი | და ა]ვიღეთ სრული ფასი, რ(ომ)ლითა ჩუენ შევსყიდით. [სრ|ულყ]ოსა ღ(მრთმა)ნ.** მოწამენი არიან: ბექაი, მინაი, ალავერდე[ლი], უჩურისძე ინაი, ბოჭორისძე ვეფხვაი."*[52]* როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ჩაფქევასძეთა საგვარეულო ასხვისებს ნავენახევს ვერხუაისძეებზე. ნასყიდობის აქტს კი, როგორც ჩანს, მათსავე პატრონს, ბექა სურამელს, უთანხმებს. სავარაუდოდ, ეს ნავენახევი სწორედ მისგან უნდა ჰქონდეთ მიღებული და, როგორც ჩანს, ღალა ეკისრებოდათ პატრონის მიმართ. ღალის საფასურ ოქროს ბექას მუხრანში უგზავნიან, მხოლოდ ამის შემდგომ იღებენ ჩაფქევასძეები ვენახში სრულ ფასს.

იმავე დოკუმენტის მე-3 მუხლში ვკითხულობთ: ***„ქ. სახელითა ღ(მრ)თისაი და, მამისა და ძისა და წ(მიდ)ს[ა სულისა] მეოხებითა ყოველად წ(მიდ)ისა ღ(მრ)თისმშობელის[ითა და ყოველთა] წ(მიდა)თაითა დავიწერეთ დაწერილი ესე ჩუ[ენ,+] თქუენ ვერხუაისძეთა, და მოგყიდეთ თქუ[ენ კალოი-***

[51] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 134-136; 129-133.
[52] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 134-135.

*სა პირისა] | ადგილისა ვენაკი ულალოდ, ვითა ჩუენსა ქ[ონებასა შიგა] ულალოი იყო და ავიღეთ სრული ფასი, [რომლითა ჩუენ შე]ვსყიდრდით. მოწამენი არიან: დი[+2] ალავერდელი ძე მახარებელი, აკუს[+9]ლი....*

*დამტკიცება:*

*ქ. მე გ(რი)გ(ო)ლ [ს]უ[რამელსა, და]მიმტკიცებ[ია] და[წერილი [ესე, არას ჟამ]სა შიგან არ შეგეცვალოს]*".[53] ამ მუხლშიც აუცილებელია გრიგოლ სურამლის დამტკიცება, რადგან ამ შემთხვევაში სურამელების საგვარეულო უნდა იყოს პატრონი იმ მიწისა, ან მიწის მფლობელისა, რომელიც ჰყიდის. პატრონის სანქციის გარეშე კი ამგვარი აქტის წარმოება შეუძლებელი იყო.

შეიძლება, ასევე, დავუშვათ, რომ მიწის გაყიდვის დროს პატრონი მისი ვასალისგან საფასურის ნახევარს მიიღებდა, ან სრულებით ჩართული იყო გაყიდვის ოპერაციაში. შესაძლოა, ეს მისი სურვილითაც კი ხდებოდა, რაზედაც მეორე დოკუმენტმა დაგვაფიქრა, სადაც წერია: *„...ესე გასათავებელი სიგელი მოგეც მე, მიწობელიძემ(ა)ნ ფ[ა]რეშუ, თქ(უე)ნ, მონოზ[ო]ნთა ხერხეულისძისა სულსა ეკ[ა]ტ[ე]რინეს, მ(ა)ს ჟ(ამს)ა, ოდეს მტკვრის პირს მ(ი)წა მოგყიდეთ დ[ა] ავიღეთ ფ[ა]სი რ(ა)დსაც მთხოვნელნი ვიყვ[ე]ნით, ან ბ(ა)ტონი დ[ა] ან ყმაჲ პ(ირუე)ლ(ა)დ მ[ა]მულის პ[ა]ტრონმ[ა]ნ აიღოს ამ[ა]ს სამოცი ნ[ა]ღდი თანგა და ჩ[უენ] პ[ა]ტრონმ[ა]ნ ავიღეთ. ...ვინცა თქუენ მისცეთ, ჩ(უე)ნ ველ[ა]რა დავეცილენით, ვერც ბ[ა]ტონი და ვერც ყმაჲ; ჰქონდეს მ[ა]ს და მის(ს)ა ნ[ა]თეს[ა]ვსა. გაუთ[ა]ხოს ღ(მერთმა)ნ, ამენ"*.[54]

ჩემი დაკვირვებით, ზემოთ მოყვანილი დოკუმენტიდან შემდეგი რამ გამომდინარობს: მიწობელიძე ჰყიდის მტკვრისპირა მიწას. გაყიდვის აქტი სრულდება მიწობლიძის პატრონის მონაწილეობით. პატრონი და ყმა საფასურში იღებენ იმდენივეს, რამდენზეც შეთანხმდნენ მონაწილე მხარეები. პატრონმა 360 ნაღდი თანგა აიღო საფასურად. ჩემი აზრით, პატრონსა და მიწობლიძეს ნახევარ-ნახევარი უნდა აეღოთ, რადგან დოკუმენტი ასახელებს პატრონის მიერ აღებულ 360 ნაღდ თანგას. შემდეგ ამდაგვარი ფორმულირებაა „ჩუენ პატრონმან ავიღეთ", რაც მაფიქრებინებს, რომ აქ თანხის დასახელებისგან შეგნებულად იკავებენ თავს. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ამგვარი ოპერაციებისას აღნიშნული პერიოდის საქართველოში ფასი ნახევარზე ნა-

[53] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 135-136.
[54] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 133.

წილდებოდა პატრონსა და ყმას შორის.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 45-ე მუხლი, აქაც მოვიყვანთ ციტატს:

| A | B |
|---|---|
| 45. „მამულისა გასყიდვა ცუდია ბატონისა დაუმოწმებლად, და **ნახევარ[ი] ფასი მსყიდველსა სარეგუენოდ დაუშავდეს**. ამაშიგან მართლობა რამე აკლია, მაგრამ ნუ ვინ დაებმის სყიდვასა“. | „საკარგავისა გასყიდვა ცუდი იქნება პატრონისა უმოწმებლად, **და ვისაცა ეყიდოს, ნახევარი ფასი სარეგვენოდ მას დაუშავდეს და ნახევარი გამსყიდველსა.** ამას შიგა ერთობ რამე აკლია, მაგრამ ნუ ვინ დაებმის მოსაკარგავესგან სყიდვასა“.[55] |

როგორც ვხედავთ, ბატონის დაუკითხავად მამულის გაყიდვის შემთხვევაში ბატონი გაყიდული ქონების სრულ ფასს ითხოვდა, ნახევარი მყიდველს, ხოლო მეორე ნახევარი გამყიდველს ედებოდა ჯარიმის სახით. ტექსტში ვხედავთ, რომ სარეგვენოს მხოლოდ მიწის მსყიდველი იხდის, გამყიდველის ნახევარი, სავარაუდოდ, ისედაც იგულისხმებოდა. ჩემი აზრით, შეთანხმების შემთხვევაში პატრონის მიერ საფასურის მიღება კი ნახევრით უნდა განსაზღვრულიყო და ეს ნახევარი მიწის მფლობელისგან მიიღებოდა.

დოკუმენტში მიწის საფასურად პატრონის მიერ აღებული თანხა 360 თანგია. აღნიშნული მინაწერს, თანგას მოხსენიების მიხედვით, XV-XVI საუკუნეებით ათარიღებენ. საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) პერიოდისთვის საფასის ორი აღმნიშვნელი, თეთრი და თანგა, გამოიყენება. ქვათახევის მონასტრის სიგელში ვკითხულობთ: ***„მერე მან ვენახი მომყიდა სამასი თანგა მივეც“.*** თომა მეწოფელის თქმით, მოსახლეობას 1000 თანგის საფასურად თავისი ახლობლების ტყვეობიდან დახსნა არ შეეძლო.[62] თუ ალექსანდრე დიდის ეპოქაში ვენახი 300 თანგა ღირდა, სრულებიდაც არ არის გამორიცხული, მიწობლიძის მოერ გაყიდულის ფასი ორმაგი ყოფილიყო. მისი ფასი 720 თანგა გამოდის, ტყვის გამოსყიდვას კი 1000 თანგის საფასურიც არ ყოფნიდაო. გავიხსენოთ ფავნელის მიერ სოფლების გაყიდვა იმ მიზეზით, რომ მას ტყვედ ჩავარდნილი საკუთარი ოჯახის წევრი უნდა დაეხსნა. გამოდის, რომ ტყვეების დახსნა ყველა ეპოქაში საკმაოდ ძვირი ჯდებოდა.

თანგა თემურ ლენგის მიერ მოჭრილი 6,2 გრ. ვერცხლის ფულია. აღ-

[55] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი..., გვ. 305-306.

ნიშნული თანგის აღმოჩენის ფაქტი საქართველოში ჯერჯერობით არ დადასტურებულა. ამიტომ მკვლევარები მიიჩნევენ, რომ თანგის ქვეშ, რომელიც ქართულ საბუთებში იხსენიება, შირვანული თაგნა უნდა იგულისხმებოდეს. მისი აღმოჩენის ფაქტი და რაოდენობა მრავლადაა. მაგ: 1951 წ. სოფ. თამარაშენში აღმოჩენილ ვერცხლის მონეტებში 44 შირვანული თანგა, ხოლო 1928 წ. სოფ. დიდხორის განძში 66 შირვანული თანგა ერია.[56] ჩვენ მიერ ზემოთ განხილული დოკუმენტის მინაწერში იხსენიება ტერმინი „ნაღდი თანგა“. სავარაუდოდ, ნაღდი თანგის ანგარიშსწორებისას სწორედ რომ თემურის თანგის წონა უნდა იყოს აღებული საცვლელ ერთეულად.

ბექას სამართლის მიხედვით, ბატონის დაუკითხავად მიწის გაყიდვა დაუშვებელია, საგლეხო ფუძის გაყიდვა კი შეიძლება, თუმცა მასზე გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული:

**A**

***56. „თუ კაცმან კაცსა მიწა მიჰყიდოს, კაცრიელი თუ უკაცური, რაცა იმ დღეს მსყიდველსა ჭელთა არა აქუს, სხვა სამი დევნასა არა ემართლების. თუ ფუზის მკუდრი გარეთ იყოს და მერმე მამულ[სა] ზედა მოვიდეს, ვისგან ჰქონებოდეს, დაჭირვას[ა] არას ემართლების რავინდ[ა] დიდი ხანი დაეყო“***

**B**

***„თუ კაცმან კაცსა საგლეხო ფუძე მიჰყიდოს, გინა კაცრიელი, გინა უკაცური, რაც ამას დღეს მიმსყიდველსა ჭელთ არა აქვს, მის მეტს მსყიდველი მიდევნას არა ემართლების.***

***თუ ფუძის მკვიდრი კაცი, გარეთ წასვლით მყოფი, შინა მამულსა ზედა მივა თვისითა გულითა, როგორც ზემოთ სწერია, რავინდა ხანი დაეყოს, ივი არას ემართლება მის წესისა გაჩნილის მეტსა“.[57]***

ისიდორე დოლიძის აზრით, ფუძიდან წასული გლეხი, რომელიც ბატონის მსახურებას არსულებს და თუ შემდეგ მობრუნდება, მას მიწის მეპატრონე ვერ ედავება და მიწას აძლევს.[58] ჩემი აზრით, წასულ გლეხში ბატონისგან წასული გლეხი უნდა იგულისხმებოდეს, რასაც 56-ე მუხლის ერთი პასაჟი გვაფიქრებინებს: *„თუფუძის მკვიდრი კაცი, გარეთ წასვლით მყოფი,*

[56] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა ემისიები. თბ. 2011, გვ. 25-31.

[57] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 311.

[58] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 158.

*შინა მამულსა ზედა **მივა თვისითა გულითა, როგორც ზემოთ სწერია,** რაგინდა ხანი დაეყოს". 77-ე მუხლში კი ვკითხულობთ: „ვისაცა ვისი მკვიდრი ყმა ყვეს, ანუ გლეხი კაცი, **მისითა გულითა წავიდეს მისსა პატრონისასა,** რაითაცა მოსულ იყოს, მითივე საქონლითა გაუშვას"[59]კონკრეტული მუხლის გაანალიზებისას, ისიდორე დოლიძე სწორ დასკვნას აკეთებს და მას სრულად ვეთანხმები: **„რაკი მესაკუთრის უფლება მამულის გაყიდვაზე შეზღუდულია, ცხადია, ვასალს და, მით უმეტეს, გლეხს, არ შეუძლია „სამიწო ნასყიდი" შეიძინოს, გაყიდოს, ან „დაწინდოს სამამულო" ე.ი. დაგირაოს უძრავი ქონება".**[60] მიუხედავად შეზღუდვებისა და გლეხის მიერ თანხმობის შემთხვევაში მიწის გაყიდვისა, მიწის, როგორც ძირითადი საწარმოო საშუალების, მესაკუთრე მაინც ფეოდალია და მისი ნების საწინააღმდეგოდ ვერავინ მოიქცევა.

წასული კაცისთვის მამულის არ დაჭერის ერთი ფაქტი გვხდება 1260/1300 წლებს შორის დათარიღებულ დოკუმენტში. აქ საუბარი არა გლეხზე, არამედ დიდგვაროვანზეა: *„მომინ<ა>და თქ[უ]ენი მკ[უ]იდ<ა>რი მამული. პატარაი ადგილი ჩემ<ა> და საკდომად<ა> და მისა ადგილის<ა>თანაი პ[ა]ტარა ვენაჯი. ა მოგ[ე]<ა>ც<ა> მის<ა>და სანაც<ა>ლოდ<ა> შენისა განაყოფისა ოქუროისა მამული, ნასყიდი და უსყიდელ[ი] და მისი საკდომი სახ<ა>ლითა გ<ა>ქუონ<ა>დეს მ<ა>კ[უ]დ<ა>რად<ა> და სამამულოდ<ა> და მოუდეგრად<ა> ესე ოქუროისა კერძი მამული შენ<ა>, ჯუმარ<ა>დის ძესა. და<ა>რაცა რაი ოქროისა ძმისწულ<ა>სა საქმე ედ<ა>ვასა [იგი] ოქუროისა კერძ<ა>სა მამულ<ა>სა თანა **თუ მის<ა>ი ძმისწულშინა მოვიდეს<ა>, რაიცა ძმ[ი]სა მისა კერ<ა>ძი მამული ჰმარ<ა>თებოდეს<ა>, განალმაცა ჴელ<ა>თა ჰქონდა მს<ა> ვაჟ<ა>სა, და თუ <ა>არა<ა> მოვიდეს<ა>, მისი კერძიცა შენ<ა> თ[უ]ისავე მომიცია".**[61]

**განხილული მაგალითებიდან მოყვანილია ერთი დოკუმენტი, სადაც საუბარია არა მემამულე კაცებისთვის 16 დრაჰკანის გადახდაზე, ხოლო აღნიშნული მიწა საგლეხოდ არის მოხსენიებული. ეს გვაფიქრებინებს, რომ გლეხის მფლობელობაში გადასული მიწა მას ნაწილობრივ ეკუთვნის, მოგვიანო დოკუმენტებით და სამართლის ძეგლებით, მას მისი გასხვისებაც არ შეუძლია. შესაბამისად, მას, მით უმეტეს, არ შეუძლია პატრონის მიერ მასზე გაცემული მიწის გასხვისება. ეს მხოლოდ ერთ დოკუმენტზე დაკვირვებაა და**

[59] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 323.
[60] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 158.
[61] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 165-166.

**განზოგადების საშუალებას არ იძლევა. თუმცა არსებობს თეორიული განაზრების მეთოდი, რომელიც რენტის განვითარებაზე დაკვირვებით მოგვცემს გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას.**

ჩემი მიდგომა ფეოდალური ურთიერთობების ახსნისას მარქსისეულ პოლიტეკონომიას ემყარება. შესაბამისად, აქაც მარქსისეული რენტის გენეზისის ჩარჩოში ვმოქმედებ. კ. მარქსი ფეოდალური რენტის ფორმიდან კაპიტალისტურ რენტაზე გარდამავალ ფორმად საზიარო მეურნეობას მიიჩნევს, სადაც დამმუშავებელი, გარდა გაწეული შრომისა, იყენებს მის საკუთრებაში არსებულ საწარმოო საშუალებებს, ან გარკვეულ კაპიტალს. მიწის მესაკუთრე კი, გარდა ძირითადი საწარმოო საშუალებისა (მიწა), დამატებით კაპიტალს ახმარს მიწის დამმუშავებელს, პირუტყვს ან სხვა. მისივე თქმით, ამ შემთხვევაში რენტა აღარ წარმოადგენს ზედმეტ ღირებულებას.[62] შესაბამისად, არავითარი საიჯარო გადასახადის გადახდა არ ხდება.[63] ჩვენ მიერ განსახილველ ეპოქაში კი მიწის მესაკუთრის მიერ ოზერი მიწის გაშენებაში საკუთარი გამწევი ძალის მიხმარება ნაკლებად სავარაუდებელია, რადგან გუთნის გამართვისას, ანუ გუთანში გამწევი ძალის შემბმა სწორედ გლეხს ედო ვალდებულებად და ის ცალკე საბეგრო სამსახურს წარმოადგენდა.[64] საზიარო მეურნეობის დროს გლეხები მოიხმარენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის უდიდეს ნაწილს, ნამეტი ნაწილი კი გასაყიდად გააქვთ, რაც მოცემულ ეპოქაში, ჩემი აზრით, წარმოუდგენელია. ამ შემთხვევაში ნამეტი მებატონის ჯიბეში მიდის. საპირისპირო ფორმის არსებობისას კი მიწის ფასი ელემენტის სახით შედის გლეხის მიერ გაწეული წარმოების ხარჯებში. მიწის მემკვიდრეობითი გაყოფის შემთხვევაში ის მისივე ფასით იგულისხმება.[65]

**ჩვენ შემთხვევაში კი სურათი შემდეგია:**

მემამულე გლეხის სტატუსი რომ განსხვავებულია მენაშენესა და მსა-

---

[62] კ. მარქსი. თავი 47-ე. კაპიტალისტური მიწის რენტის გენეზისი. § V. საზიარო მეურნეობა და გლეხის პარაცელური საკუთრება. კაპიტალი. წიგნი მესამე. კაპიტალისტური წარმოების ერთობლივი პროცესი. თბ. 1959. , გვ. 426.

[63] კ. მარქსი. თავი 47-ე. კაპიტალისტური მიწის რენტის გენეზისი. § V. საზიარო მეურნეობა და გლეხის პარაცელური საკუთრება, გვ. 428.

[64] მ. ლორთქიფანიძე. გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა (VI ს. – XIII ს. დამდეგამდე). ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. თბ. 1967, გვ. 30; დ. მეგრელაძე. გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა XIII საუკუნის II ნახევრიდან XV საუკუნემდე. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. თბ. 1967, გვ. 72.

[65] კ. მარქსი. თავი 47-ე. კაპიტალისტური მიწის რენტის გენეზისი. § V. საზიარო მეურნეობა და გლეხის პარაცელური საკუთრება, გვ. 429.

ხურისგან, კარგად ჩანს ზემოთ განხილული შიომღვიზმის საამოს 1200 წლის ახლოთი დათარიღებული საბუთიდან: *„რუეთს ს(ა)კ(უ)რთხ(ე)ვლისა **საგლეხოსა** ვენაჯსა ზ(ედ)ა კ(ა)ცნი ვინ/მე სხდომილი ყვნეს **არმემამულენი,** მიწაივენაჯად აეშენა და ივინი / კ(ა)ცნი კიდე წავიდეს“.*

ჩემი აზრით, აქ სპეციალურადაა ხაზგასმული წასული კაცების არამემამულეობა. მათ თავიანთი გაწეული ხარჯისა და შრომის ანაზღაურება მიიღეს, მემამულე გლეხების უფლება კი, სავარაუდოდ, განსხვავებული იყო. მათი მიწიდიან გაშვება ვერ მოხერხდებოდა. წასვლის უფლებას არავინ მისცემდა. მემამულე გლეხი ყოველთვის ბატონის ორმაგ ყმობაში იგულისხმება, მიწითაც და მსახურებითაც. ხოლო გამშენებელი მხოლოდ ბეგარის გადამხდელი იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მას გაშენებული მიწის ნახევარი საკუთრებაში ერგებოდა. სრულებითაც არაა აუცილებელი, მიწის მემამულე პატრონის ნაწილიც მენაშენეს დაემუშავებინა, რადგან ზემოთ გვაქვს მაგალითი, როდესაც ამგვარი მიწის მემამულის წილი გავერანდა და მას მიწა მოუცავლეს. სავარაუდოდ, გლეხი მისი წილი მიწის დამუშავებით მიღებული მოსავლიდან გადაიხდიდა ნატურალურ ან ფულად ბეგარას, რადგან რუეთის მიწა როცა მენაშენებმა *„რუეთს ს(ა)კ(უ)რთხ(ე)ვლისა საგლეხოსა ვენაჯსა ზ(ედ)ა კ(ა)ცნი ვინ/მე სხდომილი ყვნეს არ მემამულენი, მიწაი ვენაჯად აეშენა და ივინი / კ(ა)ცნი კიდე წავიდეს. ნაშენებისა მ(ა)თისა ნ(ა)ცვლად, ი(ოვან)ეს გამზრდელსა გარისელა/ესძესა თექსუმეტი დრაჰკანი მიეცა მ(ა)თ კ(ა)ცთათჳს, **და მის გარისელაჲსძისა / ს(უ)ლისა სალოცავად თორმეტი კოკაჲ გაუყოფლისა ტკბილის(ა)გ(ა)ნ აიღების მის/დ სალ(ო)ც(ა)ვად ყ(ოვ)ელ)თა წ(ლი)წადთა“.* წასული კაცების ნაცვლად მიწაზე სხვა გლეხები უნდა დაესვათ. სწორედ ამ საბეგროს აღნიშვნა უნდა იყოს 12 კოკა ღვინო. სავარაუდოდ, მენაშენეებსაც ამდენივე უნდა სდებოდათ ბეგარად. მენაშენის საკუთრების უფლება მაინც ნაწილობრივად უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ეს უფლება მიწის გაყიდვის ან მასში ჩადებული ხარჯის ანაზღაურების საფასურის სახით წარმოგვიდგება. შესაბამისად, მიუხედავად მოცემული შემთხვევისა, მენაშენე კაცები შეიძლება საზიარო მეურნეობის კატეგორიაში გავიყვანოთ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას გლეხის მიერ მიწის გაყიდვა პირობითია და მებატონის ნებართვით ხდება. გახილული მასალიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაყიდვის შემთხვევაში გლეხი მიწის საფასურის ნახევარს იხდიდა. უნებართვოთ გაყიდვისას კი ნახევარს გამყიდველი, ნახევარს კი მსყიდველი უხდიდა მიწის პატრონს. ჩემი დაკვირვებით, იმ შემთხვევაშიც,

როდესაც ყმა მიწას ჰყიდიდა და პატრონიც საქმის კურსში იყო, ნახევარი ფასი პატრონთან მიდიოდა. ასე უნდა ყოფილიყო ყმობის ნებისმიერ საფეხურზე.

გლეხის მიერ მიწის გაყიდვა არ გულისხმობს მის სრულ უფლებას მიწაზე, არამედ ნაწილობრივ და გაყიდვის აქტში მისი დაფიქსირება შეიძლება ამ მიწაზე გაწეული სამუშაოების ნაწილობრივ ანაზღაურებას გულისხმობდეს. იმ შემთხვევაშიც, თუკი მსყიდველისგან სრული ფასი გადაიხდებოდა, ნახევარი გამშენებელს ერგებოდა, რითაც მიწის მესაკუთრეს აღნიშნული მიწის გამშენებლის საკუთრებაში სრულად გადასვლას უშლიდა ხელს. თუმცა, ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ გამშენებელს მიწის გაშენებული ნაწილი საკუთრებად ერგებოდა, ეს საკუთრება მაინც პირობითი იყო და ბეგარას მაინც იხდიდა. გაშენებული მიწა ისეთივე ფისკალურ ერთეულს წარმოადგენდა, როგორსაც დაახლოებით ევროპაში პრეკარულად სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები.

გლეხის მიერ მიწის გაყიდვის ფაქტის რეგისტრაცია მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მებატონე ასხვისებს გარკვეულ ნაკვეთს. მხოლოდ გლეხის, საგლეხო კომლის, როგორც ამ მიწის მფლობელისა და ფისკალური სუბიექტის, როგორც პროდუქტის შემქმნელის დაფიქსირება წმინდა ეკონომიკური ფაქტორიდან გამომდინარეობს.

გლეხის მიერ გაყიდვის ობიექტი, ძირითადად, ვენახი, ყანა ან მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია. გლეხს, ჩემი დაკვირვებით, მიწის გაყიდვა არ შეუძლია. „მიწა“, ჩემი აზრით, ზემოთ განხილული მასალების მიხედვით უნდა იყოს საგლეხო ფუძისა და საკომლოს ტოლფასი - ფისკალური სუბიექტი, რომლისგანაც მომდინარეობდა დოვლათი. ეს კი თავისთავად მწარმოებლის სრულ ექსპლუატაციასა და დაყმევებას იწვევდა, შესაბამისად, მის პიროვნულ დამოკიდებულებას ბატონისადმი. ამგვარად „მიწის“ გაყიდვა გლეხის მიერ მხოლოდ და მხოლოდ ბატონის ნებართვით ხორციელდებოდა. რეესტრშიც ნასყიდობის გაფორმება ბატონის ხელჩართვით ხდებოდა. უშუალო მწარმოებლის უფლება მიწაზე პირობითი და ფანტომური იყო, მიწა კვლავ მისი ექსპლოატაციის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. შესაბამისად, მისი გაყიდვა ფეოდალური საწარმოო ურთიერთობების შიგნით უნდა განვიხილოთ. მიწის გაყიდვა გლეხს არავითარი ვალდებულებებისგან არ ათავისუფლებდა. პირიქით, ვალდებულებანი გადაყვებოდა კიდეც ახალ მეპატრონესთან. შესაბამისად, ის ფეოდალური საბეგრო ურთიერთობებისგან არ თავისუფლდებოდა.

***Akaki Chikobava***
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## POLITICAL ECONOMIC ASPECTS OF LAND ALIENATION

Summary

Political economic aspects of land alienation in the feudal era when the means of production, mainly the land, are owned by the lord, are surprising in some cases. According to one of 10th century Georgian document a peasant sold the land. Although minor means of production, the ones used to cultivate the land belonged to peasant in this era and during later times too, but larger tools - a plough and irrigation canals did not. The construction of irrigation canals and its exploitation is a prerogative of the central government and then that of only the feudal lords. While a large plough (*gutani*) at a certain time became a peasant's possession, but its maintenance turned into a tax. In such conditions, we have information about the selling of the land by a peasant. The peasant, of course, depends entirely on the lord and he himself is his property. The evidence of this can be found in the same document – a plenty of facts when a peasant is donated and actually is even sold. So how can the object of sale can sell main capital good, whom the political and economic structure of this period and the whole domestic economy are based on?

The land alienation by the peasants is conditional and the permission of the owner is needed. The evidences we discuss suggest that in the case of the sale the peasant paid half of the land price. In case of unauthorized sale, half of the price was paid by a seller, and another half by a purchaser. According to my observations, even when a serf sold the land and the patron new it, half of the price still was going to the patron. This must have been the case in case of serfdom as well as in case of the relationships between the lords and the lesser lords. The sale of the land by the peasant does not imply his full right on a land, but only a partial and his mention in the act of sale may mean partial remuneration of the works performed on this land. Even if the buyer would pay the full price, half would go to the cultivator, which would prevent the land cultivator from land's total ownership. However, in my opinion, even though the

cultivated part of the land was a partial property of a cultivator, this property was still conditional and he still had to pay off. The cultivated land was just the same fiscal entity as the land plots given in precarity in Europe were. The registration of the land alienation by a peasant took place simply because the owner of the land sold a certain part of the land. A peasant and his family were fiscal subjects and registration is determined only by economic factors.

The object of the alienation by a peasant is mainly a vineyard, plain or small agricultural land. The peasants, as I observed, could not sell the land. "Land", in my view, should be equivalent to serf's cultivated land - a fiscal entity, from which the wealth was derived. This, in turn, led to the complete exploitation of the producer, i.e. to serfdom, and therefore his personal relationship to the master. Thus the "land" alienation by the peasant was possible only with the permission of the master. The sale was supervised by the master according to the registry also. The right of the immediate producer was conditional and phantom; the land was still the main source of his exploitation. Therefore, the land alienation should be considered within the feudal productive activity relationships. Land alienation would not release a peasant from any liabilities. On the contrary, the obligations were transferred to the new owner. Consequently, he was not free from feudal taxes. Communal labour disseappeared with the emergence of feudalism. Property disappears on private and community land. However, during feudalism, we see peasants partially owning the land, both in case the land belonged to the lord or in case serf cultivated it. However, this is a mirage created by the existing political system. Indeed, excessive labor is exercised in favor of the lord, which is directly related to the loss of personal freedom by the producer/peasant, which is the basis of feudal relations.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII**
**თბილისი. 2021**

*მამუკა წურწუმია*
საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ჰერალდიკის საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

# 1110 წლის სამშვილდის ოპერაცია

1110 წლისათვის ქართულ-თურქულ ფრონტზე დაპირისპირებულ მხარეთა დისპოზიცია ასეთი იყო: თბილისი, რუსთავი, სამშვილდე და ქვემო ქართლი მუსლიმთა ხელში იმყოფებოდა, თრიალეთის მხარესა და კლდეკარს კი გიორგი ჭყონდიდელის დისწული თევდორე განაგებდა.[1] ქვემო ქართლში თურქმენები მომთაბარეობდნენ, ყოველ შემოდგომას მტკვრისა და ივრის ხეობებში ჩამოდიოდნენ („ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკუარისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე და იორის პირთა“), საძოვრად ქცეულ მიწებზე კარვებს შლიდნენ („ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგებითა“) და იზამთრებდნენ; არბევდნენ და ძარცვავდნენ ქვეყანას და ტყვედ მიყავდათ ქართული მოსახლეობა („თ;სთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიან ტყ;თა და ალაფითა სავსეთა“), გაზაფხულზე კი უკან მიაშურებდნენ სომხეთის მთიანეთს („გაზაფხულსა თანა იწყიან სლვა აღმართ, მთათა სომხითისა და არარატისათა“).[2]

მომთაბარეთა დასაყრდენის მოსაშლელად და თბილისის სტრატეგიულ ალყაში მოსაქცევად ქართველებს სამშვილდე და ქვემო ქართლის ციხეები უნდა დაებრუნებინათ.

---

[1] „ამა ჟამადმდე ქალაქი ტფილისი, რუსთავი, სომხითი, ყოველი სამშ;ლდე, აგარანი თურქთა ჰქონდეს, ხოლო თრიალეთი და კლდე-კარნი ჰქონდეს თევდორეს, ჭყონდიდელისა დისწულსა, კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 331; შდრ. ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მზექალა შანიძემ. ქართლის ცხოვრება. რედ. როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 314.

[2] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 332; შდრ. ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 315.

ციხე-ქალაქი სამშვილდე ქვემო ქართლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი იყო.[3] მას გამოარჩევდა განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა. ქალაქზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები, რომლითაც საქართველო უკავშირდებოდა ბიზანტიას, სომხეთსა და ირანს. თბილისიდან ბიზანტიისაკენ მიემართებოდა არტანუჯის გზა, რომელიც გადიოდა სამშვილდე-ფარავანი-ახალქალაქი-არტაანი-არტანუჯზე,[4] ხოლო არტანუჯი-სამშვილდე-ბარდავის გზა ბიზანტიას ირანთან აკავშირებდა.[5] სამშვილდე მდებარეობდა ირანიდან სომხეთის გავლით მომავალ გზის მონაკვეთზეც, რომელიც დვინსა და თბილისს აერთებდა: დვინი-ანისი-დმანისი-სამშვილდე-თბილისი.[6]

სამშვილდის ციხე-ქალაქი ტიპურ ხერთვისს წარმოადგენს და მოთავსებულია მდინარეების ჭივჭავისა (ჩრდ.) და ხრამის (სამხრ.) შეერთების ადგილას მდებარე მაღალ, სამკუთხედის ფორმის კონცხზე (სურ. 1). ქალაქი სამ ნაწილად იყოფა: აღმოსავლეთით, კონცხის ბოლოს შიდაციხეა, შუა ნაწილი კედლებითაა მოზღუდული, დასავლეთით კი უგალავნო ქალაქია.[7] 4-5 მ სისქის, დიდი ქვით ნაგები გარე კედელი ხრამიდან ხრამამდე პლატოს მთელ სიგანეზეა გადაჭიმული.[8] ორივე მდინარის ხეობა იმდენად ღრმაა, რომ მათ გალავნები არც მიყვება, გარდა რამდენიმე, შედარებით სუსტი ადგილისა, რომლებიც კედლებითაა გადაკეტილი.[9] შიდა ციხე ოთხკუთხა ფორმისაა, მისი დასავლეთი კედლის სისქე 6 მ-ია, სიმაღლე – 12 მ და აქვს 1 მ სიგანის საბრძოლო ბილიკი. სხვა კედლები, რომლებიც ხეობას მიუყვება 2 მ სისქისაა.[10] პირველი, გარე კედელი შედარებით სუსტია, ვიდრე მეორე.[11] მათ შო-

[3] დავით მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II. თბ. 1980, გვ. 211.

[4] ლევან ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბ. 1970, გვ. 80, 123.

[5] ლევან ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 89, 94-95.

[6] ლევან ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 132.

[7] ირაკლი ციციშვილი. ნაქალაქარი სამშვილდე. ძეგლის მეგობარი. 1. 1993, გვ. 14.

[8] პარმენ ზაქარაია. ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე. თბ. 2002, გვ. 61.

[9] პარმენ ზაქარაია. ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია, გვ. 61.

[10] ირაკლი ციციშვილი. ნაქალაქარი სამშვილდე, გვ. 15; პარმენ ზაქარაია. ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია, გვ. 62. შიდა ციხე კონცხის ყველაზე ვიწრო ადგილასაა აშენებული, მისი ზედა ფენები ორი წრიული ბურჯითურთ აბდულა ბეგის (არჩილ ბაგრატიონის) მიერ არის XVIII ს. შუახანებში აგებული. პაპუნა ორბელიანი. ამბავი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა. თბ. 1981, გვ. 127. მისიეე მოწყობილია შიდა ციხეშის ორი უზარმაზარი წყალსაცავი აუზი, რომელთა სიღრმე 2 მეტრს აღემატება. ლევან ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 122-23.

[11] ლევან ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 122.

რის მანძილი ორასიოდე მეტრია. 1110 წლისათვის სამშვილდეს უკვე ჰქონდა ორივე კედელი, რადგან ისინი X საუკუნის I ნახევარშიც ჩანს: როდესაც გურგენ ერისთავთ-ერისთავის (-941) რაზმმა სომხების მიერ დაკავებული სამშვილდის აღება სცადა და გალავანში შეაღწია, გარნიზონი მეორე ციხემ იხსნა.[12]

რადგან ვიცით სამშვილდის კედლების სიგრძე, მისი დაცვისათვის აუცილებელი გარნიზონის ოდენობის გამოთვლაც შეიძლება. ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტების მიხედვით დადგენილია შუა საუკუნეებში სიმაგრის დასაცავად აუცილებელი მცველთა სიმჭიდროვე: X საუკუნის ინგლისში ნორმად ითვლებოდა გარნიზონის 4 კაცის გამწესება ციხის კედლის ყოველი 5 მეტრის დასაცავად.[13] ეს არის იდეალურთან მიახლოებული მებრძოლთა განლაგება, რომელიც ციხე-სიმაგრის მცველს 1.25 მ-ის ფარგლებში მოქმედების თავისუფლებასაც აძლევდა და საჭირო სიმჭიდროვესაც ინარჩუნებდა გალავნის პერიმეტრზე. ყოველთვის ამ ნორმას ვერავინ დაიცავდა, მაგრამ ეს რიცხვები მეტად საჭირო მონაცემია სიმაგრის სრულყოფილად დასაცავად აუცილებელი მცველთა ოდენობის გამოსათვლელად.[14] ამ მოცემულობაზე დაყრდნობით, სამშვილდის გარნიზონი, ალბათ, ყველაზე დიდი 300-500 კაცის ფარგლებში უნდა ვიანგარიშოთ: ქალაქის პირველი კედლის სიგრძე დაახლ. 200 მ-ია ანუ მის დასაცავად 160 მებრძოლი იყო საკმარი; მეორე, შიდა ციხის დასავლეთი კედლის სიგრძე 50 მ-ია (მთელი შიდა ციხის პერიმეტრი კი 180 მ-ს არ აღემატება) და მას 40 კაცი ეყოფოდა. სულ, ორივე კედლის დასაცავად 200 (160 + 40) კაცი იყო საჭირო, პირველ კედელსა და შიდა ციხის მთელი პერიმეტრს კი 300 კაციც (160 + 144) ეყოფოდა.[15] 300 კაციანი გარნიზონი სრულიად საკმარისი იყო სამშვილდის კედლების დასაცა-

[12] „სიმაგრის მცველებმა... მიატოვეს შიდაციხე და ერთად მიმართეს ზედა ციხეს, [სადაც] სასტიკი ბრძოლა გაუმართეს გურგენის ჯარს". იოანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია (786-925 წწ.). სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1965, გვ. 252.

[13] Bernard S. Bachrach and Aris Rutherford. Military Technology and Garrison Organization: Some Observations on Anglo-Saxon Military Thinking in Light of the Burghal Hidage. Technology and Culture. 31. 1990, გვ. 2-3.

[14] ს. მარგიშვილი მცირე შეცდომას უშვებს, როდესაც თითოეული მეომრის წილად 1.3 მ დასაცავ არეს ანგარიშობს და 1000 მ პერიმეტრისათვის 800-ს ნაცვლად 769 მებრძოლს ითვლის. სოსო მარგიშვილი. შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში. ნაწ. I. თბ. 2008, გვ. 216.

[15] ეს თეორიული მაქსიმუმია, ერთდროულად მათი დაცვის საჭიროება არც იარსებებდა და მეორე ხაზის მცველები პერიმეტრის საკონტროლოდ და რეზერვში შეიძლება ვიგულისხმოთ.

ვად. სამშვილდის მნიშვნელობის გათვალისწინებით ძლიერი რეზერვიც რომ ვიანგარიშოთ, ციხის გარნიზონად 500 კაცზე მეტი საჭირო არ იქნებოდა. ხრამების თავზე ქალაქის პერიმეტრს იშვიათი მეთვალყურეებიც ეყოფოდა, რომლებიც საფრთხის შემთხვევაში რეზერვს მოუხმობდნენ.[16]

ისეთი ძლიერი სიმაგრის, როგორიც სამშვილდე იყო, სწრაფი და პირველივე იერიშით აღება პრაქტიკულად გამორიცხული იყო.[17] რჩებოდა ორი გზა – ხანგრძლივი და მომქანცველი ალყა, რომელიც თურქთა მადებლოკირებელი არმიის გამოჩენის შემთხვევაში კატასტროფად შეიძლება ქცეულიყო და მოულოდნელი თავდასხმა, რომელსაც სწორი ორგანიზაციის შემთხვევაში წარმატების შანსი ჰქონდა, თუმცა უაღრესად რთულ სამხედრო ოპერაციას წარმოადგენდა. 500 კაციანი გარნიზონით დაცული ძლიერი სიმაგრის ასაღებად 3-4 ათასი კაცის მობილიზება იყო საჭირო, რომლებიც თვეებზე გათვლილი ალყის განმავლობაში, ბალისტიკური (ლოდსატყორცნი და ისრის სასროლი) მანქანების ზემოქმედებით თანდათანობით დაასუსტებდნენ ალყაშემორტყმულებსა და სიმაგრის კედლებს და ბოლოს, გადამწყვეტი შტურმით აიღებდნენ ციხეს. დავით IV-ის სამხედრო მოღვაწეობა მოწმობს, რომ ის არასოდეს იწყებდა გამაგრებული პუნქტის ალყას, თუკი მის გამოსახსნელად მოწინააღმდეგის არმია შეიძლება მოსულიყო. ამ შემთხვევაშიც მეფემ სხვა გზა აირჩია და მოულოდნელ თავდასხმაზე შეაჩერა არჩევანი. მეამატიანე ძუნწად, სულ რამდენიმე სიტყვით გადმოგვცემს მოვლენათა მსვლელობას: „შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცეს[ი]სა წინაშე თევდორე, აბულეთ და ივანე ორბელი, და სიმარჯჳთ მოიპარეს სამშჳლდე“.[18] ინფორმაციის სიმცირის მიუხედავად, მოვლენათა რეკონსტრუქცია მაინც შესაძლებელია. სამშვილდის აღების ოპერაციაში გადამწყვეტია ლაშქრის ფარულად მობილიზაციისა და ციხესთან მალულად მიახლოების საკითხი, რომელსაც ქართველებმა წარმატებით გაართვეს თავი და, როგორც ჩანს, მოულოდნელი თავდასხმით („სიმარჯჳთ“) მოახერხეს სამშვილდის აღე-

[16] სამშვილდის გარნიზონის სიდიდის ჩვენეული გათვლების რეალიზმზე მოწმობს ის ფაქტიც, რომ გურგენ ერისთავთ-ერისთავი 300 კაციანი რაზმით ცდილობდა სამშვილდის აღებას და კინაღამ საწადელსაც მიაღწია. იოანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია, გვ. 252. ბუნებრივია, ციხის მცველთა რაოდენობაც არ იქნებოდა ამაზე მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოულოდნელ იერიშსაც აზრი არ ექნებოდა.

[17] ამის თაობაზე სწორი მსჯელობა იხ. სოსო მარგიშვილი, მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. თბ. 2006, გვ. 51.

[18] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 331; შდრ. ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 314.

ბა. ოპერაციის დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობდნენ როგორც უშუალო შემსრულებლები (გიორგი ჭყონდიდელი, თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი), ისე თავად დავით აღმაშენებელი. რადგან ცნობილი იყო, რომ თურქები შედარებით უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს, როდესაც მეფე საომარი მოქმედებების თეატრიდან შორს, დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა („რამეთუ მეფე რა გარდავიდის აფხაზეთად, უმცრორე ეშინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა“), დავითმა ხერხს მიმართა და დასავლეთში გადავიდა („გარდავიდა მეფე [იმიერ]“).[19] ამ მანევრით, როგორც ჩანს, ქვემო ქართლში მყოფი მოწინააღმდეგის ყურადღება საგრძნობლად მოდუნდა.

მეორე ეტაპზე ხდება სამშვილდეზე თავდასხმისათვის გამიზნული რაზმების ფარული მობილიზაცია, როდესაც „შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცეს[ი]სა წინაშე თევდორე, აბულეთ და ივანე ორბელი“.[20] როგორც ვხედავთ, ოპერაციის მსვლელობისას ერთიანდება ოთხი რაზმი: თევდორეს (კლდეკარის ერისთავი), აბულეთის (თეძმის მფლობელი), ივანე ორბელის (ორბეთის ციხის პატრონი) და გიორგი ჭყონდიდელის ხელქვეით მყოფი სამეფო რაზმი. გიორგი ჭყონდიდელი ოპერაციის საერთო ხელმძღვანელი იყო და სამეფო დანაყოფებს მეთაურობდა, მისი დისწული თევდორე კლდეკარს განაგებდა, ხოლო ივანე ორბეთის ციხეს ფლობდა, რომელიც აკონტროლებდა „ორბეთის ქვეყანას“, ალგეთის ხეობის შუაწელს ბირთვისისა და ფარცხისის ციხეების ჩათვლით. ალგეთის ხეობაზე გადიოდა გზები, რომლებიც თრიალეთსა და სამშვილდეს თბილისთან აკავშირებდა.[21]

გიორგი ჭყონდიდელის, მისი დისწული თევდორესა და ივანე ორბელის ვინაობები გარკვეულია. ღიად რჩებოდა აბულეთის საკითხი, რომელსაც ნ. შოშიაშვილი კახეთის დიდგვაროვან ფეოდალად თვლიდა.[22] მისი აზრით,

---

[19] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 331; შდრ. ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 314.

[20] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 331; შდრ. ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 314.

[21] თ. თოდრია. ორბეთის ციხე. ქსე. ტ. 7. თბ. 1984, გვ. 554. ქ. ქუთათელაძე თქლის, რომ ივანე ორბელი ბაღვაშთა გვერდითი შტოს წარმომადგენელი იყო და, შესაბამისად, კლდეკარის ერისთავთა იმ სამფლობელოებს ფლობდა, რომელიც ორბეთის ქვეყანას მოიცავდა. ქეთევან ქუთათელაძე. ქვემო ქართლი. პოლიტიკური ისტორიის საკითხები (ტაშირ-ძორაგეტის სამეფო; ორბელთა გვარის ისტორია). თბ. 2001, გვ. 173, 180-85. განსხვავებული მოსაზრება ორბელთა და ბაღვაშთა ნათესაობაზე იხ. მიხეილ ბახტაძე. ბაღვაშთა და ორბელთა ნათესაობის შესახებ. საისტორიო კრებული. 2. 2012, გვ. 13-24.

[22] ნ. შოშიაშვილი. აბულეთი. ქსე. ტ. 1. თბ. 1975, გვ. 45.

აბულეთისძეებს მამულები არაგვისა და კახეთის თემების ხეობაში ჰქონდათ.[23] ძაგან აბულეთისძის მიერ შიომღვიმისადმი დაწერილი საბუთის ანალიზისას, თ. ჟორდანია მიუთითებდა, რომ ძაგანის მიერ შეწირული სოფელი ანგროვანი, რომელიც თეძამში მდებარეობდა, გრიგოლ სურამელის ქართლის საერისთაოში შედიოდა.[24] ა. გოგოლაძე აღნიშნავს, რომ წყაროებით არ ჩანს აბულეთისძეები ქართლის ფეოდალები იყვნენ თუ კახეთის, და ორივე ვარიანტს უშვებს.[25] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მონათხრობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აბულეთი ქართლის ფეოდალი იყო და მისი მამული ქართლის თეძამში მდებარეობდა. საქმე ისაა, რომ ქართლში მდებარე თ ეძმის ხეობიდან ადვილია ალგეთის ხეობამდე მიღწევა. ტანას ხევში მოქცეული თეძმის ხევის სათავეები (დეკციხე) ჯერ კიდევ ჯერ კიდევ VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“ მოიხსენიება მანგლისის ხევის მეზობლად („და მობრუნდება მტკვარი აღმოსავლეთისაკენ, გაივლის ქართლის ზემო ქვეყანას, გაჰყოფს გავარებს: თორს, გორათის ხევს, ტანის ხევს, რომლის თავშია დეკციხე, და მანგლისის ხევს, ქვეშის ხევს და ბოლნისის ხევს ვიდრე პარუარის გავარამდე, რომელიც გარს აკრავს ქალაქ თბილისს“).[26] აბულეთი რომ კახელ ფეოდალად მიეჩნიოთ, არაგვის ხეობაში ჯარის შეგროვების შემთხვევაშიც, მის რაზმს დიდი გზის დაძლევა მოუწევდა და შემოვლითი მარშრუტით, კლდეკარის გავლით უნდა გადასულიყო თრიალეთზე და შემდეგ ალგეთის ხეობას დაყოლოდა. ადვილი შესაძლებელია, მტრის მზვერავებს მათი მოძრაობა შეენიშნათ. ან რა აზრი ჰქონდა ამ ოპერაციაში მაინცდამაინც კახელი დიდებულის მონაწილეობას, როდესაც სხვა, ტერიტორიულად უფრო ხელსაყრელად განლაგებული რაზმების ჩართვით უფრო ადვილად მიაღწევდნენ სასურველ შედეგს. სამშვილდის იერიშში მონაწილე სხვა რაზმები ქართლიდან ალგეთზე გამავალი გზის მიდამოებში კონცენტრირდებიან და, ცხადია, აბულეთიც არ იქნებოდა გამონაკლისი.

ქართული ლაშქრის მარშრუტს ოპერაციაში მონაწილეთა ვინაობა და მათი მფლობელობა გვკარნახობს და ის შეიძლება ასე აღვადგინოთ: თეძმის ხევი – კლდეკარი – ალგეთის ხეობა – სამშვილდე. ამ გზაზე შეკრების პირ-

[23] ნ. შოშიაშვილი. აბულეთისძენი. ქსე. ტ. 1. თბ. 1975, გვ. 45.

[24] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ. 1897, გვ. 147.

[25] ანდრო გოგოლაძე. დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა). თბ. 2001, გვ. 146.

[26] თენგიზ თოდრია. მანგლისის ხევი. ძეგლის მეგობარი. 21. 1970, გვ. 51.

ველი პუნქტია კლდეკარი, მეორე კი – ფარცხისი. კლდეკარამდე მიდიან და აქ იკრიბებიან ჭყონდიდელის, აბულეთისა და თევდორეს რაზმები. აბულეთს უნდა ესარგებლა შიდა ქართლიდან თრიალეთ-მანგლისში მიმავალი გზით, რომელიც თეძმის ხეობაზე გადიოდა: თეძმის სათავე – ჭვარები – დედაციხე – ხევსრმის მონასტერი – რკონი – სამაჭალო – სალომია – კლდეკარი.[27] გიორგი ჭყონდიდელი გაივლიდა იმავე გზას, რომელიც წელს ქვახვრელიდან კლდეკარამდე გაიარა ბაგრატ IV-მ, როდესაც მასთან ქვეშის ჭალას შეპყრობილი სამშვილდის მფლობელი სომეხთა მეფე კვირიკე მიიყვანეს: გორი – თეძმის ხეობა – რკონი – სამაჭალო – სალომია – კლდეკარი.[28] კლდეკარიდან ქართული ჯარის მარშრუტი ალგეთის ხეობაზე გადის, საიდანაც ადვილია სამშვილდემდე მიღწევა: კლდეკარი – მანგლისი – ბირთვისი – ტბისი – ფარცხისი – სამება – დაღეთი – სამშვილდე.[29] ცხადია, რომ ქართული ჯარები ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით იკრიბება, რითაც თავიდან იცილებენ საერთო თავმოყრას და ამით გამოწვეულ აურზაურს, რაც არ გამოეპარებოდა თურქთა დაზვერვას. ჭყონდიდელისა და აბულეთის რაზმები კლდეკარამდე შეუმჩნეველად მიდიან, შემდეგ თევდორესთან ერთად მანგლისის გავლით ალგეთის ხეობაში გადადიან და იდუმალ მიაღწევენ ფარცხისს, სადაც მათ ივანე ორბელი უერთდებათ. შესაძლოა ამ სამი რაზმის მოძრაობა კლდეკარიდან ფარცხისამდე ცალ-ცალკეც ხდებოდა. გაერთიანებული ჯარი ახერხებს მოულოდნელად მიადგეს სამშვილდეს და აიღოს ციხე.

ქართველთა გაერთიანებული რაზმების რიცხვი 1000-1500 მებრძოლის ფარგლებში უნდა ვივარაუდოთ.[30] გიორგი ჭყონდიდელის რაზმი ძირითადად მეფის დომენიდან იქნებოდა დაკომპლექტებული, რომელსაც მისი პირადი ანუ ჭყონდიდის საეპისკოპოსოს რაზმიც (დაახლ. 100 კაცი) დაემატებოდა. ზუსტად ვიცით, რომ დავითის ტაძრეულის რიცხვი ამავე ხანებში 1 500 კაცს შეადგენდა.[31] აქედან, მტრის მზვერავებს რომ ვერაფერი შეეტყოთ,

[27] ნიკო ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბ. 1966, გვ. 47-49.

[28] ნიკო ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 49.

[29] ნიკო ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 71, 73.

[30] აქ წინა პლანზე გამოდის ოპერაციისათვის აუცილებელი მინიმუმის საკითხი: რაც ნაკლები იქნებოდა რაზმის სიდიდე, მით უფრო შეუმჩნეველად მიაღწევდა ის სამშვილდეს; ამავე დროს, მისი რიცხვი საკმარისი უნდა ყოფილიყო გარნიზონის წინააღმდეგობის დასაძლევად. თუკი ქართველები შეძლებდნენ მოულოდნელობის ფაქტორის შექმნას, მებრძოლთა ეს ოდენობა სრულიად საკმარისი იქნებოდა წარმატებისათვის.

[31] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 332; შდრ. ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 315-16.

ოპერაციისათვის 200-300-ზე მეტი მხედრის გამყოფა ძნელი სავარაუდებელია.[32] 300-მდე მხედრის მობილიზაციას კლდეკარის საერისთავოც მოახერხებდა.[33] ცოტა ნაკლები, ალბათ, 100-200 კაცის ფარგლებში უნდა ვივარაუდოთ აბულეთის რაზმიც. ყველა ესენი ცხენოსნები უნდა ყოფილიყვნენ, რომ სწრაფად და შეუმჩნეველად მოეხერხებინათ ალგეთის ხეობაში ორბელებამდე მიღწევა. აქედან, სამშვილდემდე დიდი მანძილი არ რჩებოდა და ივანეს რაზმში უკვე ქვეითებიც იქნებოდნენ. ცხენიან-ქვეითიანად მათი რიცხვი 500-იოდე მებრძოლი იქნებოდა. გაერთიანებული რაზმი ადვილად მოახერხებდა მოულოდნელი თავდასხმით სამშვილდის აღებას. ორბელთა მამულშივე წინასწარ იქნებოდა დამზადებული ციხის იერიშისათვის საჭირო ყველა იარაღი, უმთავრესად, გრძელი კიბეები,[34] რომელთა სიმაღლე ციხის გალავნის გადასალახავად საკმარისი იქნებოდა.[35] ციხეზე მოულოდნელი თავდასხმის სხვა ხერხი გულისხმობდა ღამით მასთან შეუმჩნეველად მიახლოებას და გამთენიისას, გალავნის კარების გაღებასთან ერთად ცხენოსანი რაზმით მოულოდნელად შეჭრას, როგორც ეს მოხდა ანისისა (თურქთა მიერ) და არდებილის (ქართველთა მიერ) აღების დროს და როგორც აღწერილია ,,ვეფხისტყაოსანში" ქაჯე-

---

[32] არაფერი არ უნდა სცოდნოდათ სხვა ქართველ დიდებულებსაც, რომლებიც ოპერაციაში არ მონაწილეობდნენ. X საუკუნის მიწურულის ბიზანტიური ტრაქტატი *De castrametatione* გვაფრთხილებს, რომ მთავარსარდლის უშუალო გარემოცვის გარდა, არავის უნდა ცოდნოდა თავდასხმის მიმართულება. Campaign Organization and Tactics. In Three Byzantine Military Treatises. Text, translation, and notes by George T. Dennis. Washington, 1985, გვ. 313; De Castrametatione ("Об устройстве лагеря"). Два византийских военных трактата конца X века. Издание подготовил В.В. Кучма. Санкт-Петербург. 2002, გვ. 379.

[33] ლიპარიტ IV-ის დროს, XI ს. I ნახევარში, როდესაც კლდეკარის საერისთავო ძლიერების პიკს აღწევს, მას 700 მხედრის გამოყვანა შეეძლო. სტეფანოს ორბელიანის ,,ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1978, გვ. 32-33.

[34] საირიშო კიბეების გამოყენებით აიღო სვიმონ მეფემ 1599 წელს თურქების ხელთ მყოფი გორის ციხე. მეფემ ფარსადან ციციშვილსა და სულხან თურმანიძეს ,,მალვით მრავალნი კიბეები" დაამზადებინა და ღამეული იერიშისას, კიბეებით აიღო გორის ციხე. ფარსადან გორგიჯანიძე. ისტორია. საისტორიო მოამბე. II. 1925, გვ. 220-21.

[35] ასეთ შემთხვევაში ქართველებს წინასწარ უნდა ჰქონოდათ გაზომილი და ზუსტად დადგენილი გალავნის სიმაღლე. ბიზანტიელი ანონიმი (პირობითად ჰერონ ბიზანტიელი), რომელსაც ეკუთვნის X საუკუნის პოლიორკეტიკური ტრაქტატები (*Parangelmata Poliorcetica* da *Geodesia*), მიიჩნევს, რომ მოალყეს უნდა სცოდნოდა ან სწორად გამოეთვალა გალავნის სიმაღლე, რადგანაც შეცდომა იერიშის წარუმატებლობის ტოლფასი იქნებოდა. Heron of Byzantium. Geodesia. In Siegecraft: Two Tenth-Century Instructional Manuals by "Heron of Byzantium." Ed. Denis F. Sullivan. Washington, 2000, გვ. 115. IV-V საუკუნეების მიჯნაზე, ვეგეციუსი კედლების სიმაღლის გაზომვის ორ მეთოდს ასახელებს: ისარზე გამობმული ბაწრის საშუალებით და მზისგან დაცემული ჩრდილის მეშვეობით. Vegetius: Epitome of Military Science. Translated with notes and introduction by N. P. Milner. 2nd ed. Liverpool. 1996, IV.30.

თის ციხის აღებისას.[36] ყველა შემთხვევაში, კიბეების წინასწარ დამზადება და გალავანთან მიტანა ოპერაციის აუცილებელი დეტალი იქნებოდა: გარნიზონის სიფხიზლის შემთხვევაში, ცხენოსანთა რაზმს კარიბჭეში შეღწევა რომ ვერ მოეხერხებინა, ქართველთა სარდლობას სხვა ხერხიც უნდა ჰქონოდა რეზერვში, რომ ასე კარგად დაწყებული ოპერაცია (სამშვილდის ციხესთან ძალთა შეუმჩნეველი და მოულოდნელი კონცენტრაცია) ბოლომდე მიეყვანათ. თუკი ქართველები ციხის გალავანთან უჩუმარ მიახლოებას შეძლებდნენ, მცველებს კარიბჭე დროზეც რომ ჩაერაზათ, მოუმზადებელი გარნიზონის წინააღმდეგობის დაძლევა მხოლოდ კიბეების საშუალებითაც იოლად შეიძლებოდა.

ოპერაციის მესამე ეტაპზე ქართული ჯარი ციხეს ფარულად უახლოვდება და უეცარი იერიში მიაქვს მასზე. ფარცხისიდან სამშვილდამდე შეუმჩნევლად მიახლოება მხოლოდ ღამეული სვლით იყო შესაძლებელი, რომლის დროსაც ქართველები ზედმეტი ხმაურისა და კოცონების გარეშე შეასრულებდნენ ღამის მარშს. მოწინააღმდეგესთან შეუმჩნევლად, ღამეული მიახლოების შესახებ სათანადო თეორიული ნაშრომები არსებობდა, სადაც ეს პროცესი დეტალურად იყო გაწერილი. იმპერატორ ნიკიფორე II ფოკას მითითებით დაწერილი X საუკუნის 70-იანი წლების ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატი *De velitatione bellica* ურჩევს სარდალს თავდასხმის წინ მტერს ღამეული მარშით მიუახლოვდეს, რათა მისი მოძრაობა შეუმჩნეველი დარჩეს.[37] მოწინააღმდეგეს მოძრაობის დროს ავარდნილი მტვერი რომ არ შეემჩნია, ლაშქრობა მზის ჩასვლისას უნდა დაწყებულიყო, ხოლო გათენებასთან ერთად ჯარს გადაადგილება უნდა შეეწყვიტა და შენიღბულიყო.[38] მეორე ბიზანტიური ტრაქტატიც (*De castrametatione*) წერს, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში მტერს ღამის მარშით უნდა მიახლოვებოდნენ და გამთენიისას დასხმოდნენ თავს. ამ დროს ჯარის ნაწილები მოძრაობენ მწყობრად, ერთმანეთის მიყოლებით და იცავენ სიჩუმეს, ქვეითები უკან მისდევენ ცხენოსნებს.[39] არმიის ღამეული გადაადგილების მეთოდი შუა საუკუნეების საქართველოშიც ჰქონდათ ათვისებული, რასაც მოწმობს თეიმურაზ მეორის მიერ

[36] იხ. სოსო მარგიშვილი. შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება, გვ. 210-11.

[37] Skirmishing. In Three Byzantine Military Treatises. Text, translation, and notes by George T. Dennis. Washington. 1985, გვ. 171; De velitatione bellica (О боевом сопровождении). Два византийских военных трактата конца X века. Издание подготовил В.В. Кучма. Санкт-Петербург. 2002, გვ. 151.

[38] Skirmishing, გვ. 191, 195; De velitatione bellica, გვ. 175, 179.

[39] Campaign Organization and Tactics, გვ. 313; De Castrametatione, გვ. 379.

დაწერილი „სარკე თქმულთა“, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რომ დღისით მოულოდნელი თავდასხმისათვის აუცილებელი წინაპირობა ღამეული ლაშქრობა იყო.[40] ყველაფრიდან ჩანს, რომ ქართველმა მოლაშქრეებმა მათზე დაკისრებული მოვალეობა ოპერაციის ბოლო ეტაპზეც უნაკლოდ შეასრულეს და მათი თავდასხმა მოწინააღმდეგისათვის სრულიად მოულოდნელი გამოდგა. იერიში იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გარნიზონმა ვერც შიდაციხეში გამაგრება და წინააღმდეგობის გახანგრძლივება ვერ მოახერხა.[41] სამშვილდის უძლიერესი ციხე-სიმაგრე ერთი დარტყმით გადავიდა ქართველთა ხელში.

დავითის ისტორიკოსი წერს, რომ სამშვილდის დაცემის შემდეგ თურქებმა უბრძოლველად დაცალეს რეგიონის სხვა ციხეებიც: „ცნეს რა თურქთა აღება სამშჳლდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამით მეოტ იქმნეს, ხოლო ჩუენ თანა მოითუალნეს იგინი“.[42] მოწინააღმდეგის ამ ქცევის ახსნა მხოლოდ შიშით არასწორი იქნებოდა. მას უფრო ღრმა საფუძველი ჰქონდა, რასაც განაპირობებდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული (1), კომუნიკაციური (2) და ფსიქოლოგიური ფაქტორები (3). საქმე ისაა, რომ ქვეყნის (მხარის) მთავარი ციხე მის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა და მისი ფლობა ამ კუთხეზე პოლიტიკურ ბატონობას უზრუნველყოფდა.[43] მხარის უმნიშვნელოვანეს ციხეს, რომელიც ამავე მხარის სხვა ციხეებზე იყო გაბატონებული, ქართული წყაროები „დედაციხეს“ უწოდებენ. ასეთი იყო ქვემო ქართლში სამშვილდეც.[44] ასეთი პოლიტიკური ცენტრის მოშლის შემდეგ მასზე დაქვემდებარებული ადმინისტრირების სისტემაც იშლება.[45] დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძირითადი სიმაგრის დაცემით გამოწვეულ კომუნიკაციურ წყვეტასაც. მთავარ სიმაგრეზე სხვა ციხეები ლოგისტიკურადაც იყო მიბმული და ხშირად, მასზე გავლით ხდებოდა რეგიონის ციხეების უზრუნველყოფა. მთავარი ციხის დაცემის შემდეგ, მხარის ძირითადი გზები

---

[40] „დღისით არ იქნას თარეში, თუ ღამით არ ივლისა-და, / ჯარმან იაროს ღამითა, ჩქარად გამველმან გზისა-და, / ინათებს, თარეშს გაუშვებს მომთხრელი სოფლებისა-და...“ თეიმურაზ II. სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება. თხზულებათა სრული კრებული. გიორგი ჯაკობაის წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით. თბ. 1939, გვ. 88.

[41] მემატიანის აქცენტი სიმარჯვეზე („სიმარჯჳთ მოიპარეს სამშჳლდე“) უნდა ნიშნავდეს ოპერაციის ისე მარჯვედ შესრულებას, რომ ბრძოლას და მსხვერპლს პრაქტიკულად ადგილი არც ჰქონია.

[42] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 331-32; შდრ. ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 314.

[43] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 119-20.

[44] დ. ბერძენიშვილი. ციხეთა შესწავლის ზოგიერთი საკითხი. ძეგლის მეგობარი. 14. 1968, გვ. 55.

[45] სოსო მარგიშვილი. შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება, გვ. 170-71.


გამარჯვებულის ხელში გადადიოდა, რაც შეუძლებელს ხდიდა დანარჩენების მომარაგებასა და დაცვას და დროის პერსპექტივაში მათი დაცემა გარდუვალი იყო. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია სამშვილდის დაცემით გამოწვეული ფსიქოლოგიური ფაქტორიც. მუსლიმ თეორეტიკოსებს კარგად ესმოდა საკვანძო ციხე-სიმაგრის მნიშვნელობა და ის ფსიქოლოგიური ეფექტი, რასაც მისი დაცემა იწვევდა. ალ-ჰარავი (-1215) სალაჰ ად-დინისათვის დაწერილ ტრაქტატში „ომის სტრატეგემების განხილვა“ აღნიშნავს: „[მბრძანებელმა] უნდა იცოდეს, რომ აუღებელი სიმაგრის ან კარგად დაცული ქალაქის დაპყრობა წარმოშობს შიშს და გამოიწვევს არევ-დარევას მოწინააღმდეგის რიგებში“.[46]

სამშვილდის აღება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო: „მაშინ იქმნა დიდი სიხარული, რამეთუ დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოსათა“.[47] მის დაუფლებას შედეგად მოჰყვა ქვემო ქართლის შემოერთება, მომთაბარე თურქმენთა სადგომების მოშლა და თბილისის საამიროს იზოლირება სამხრეთიდან, შემდგომში კი შესაძლებელი გახადა ქართული ანექსია ტაშირ-ძორაგეტის მიმართულებით.

[46] William J. Hamblin. Saladin and Muslim Military Theory. In The Horns of Hattin. Ed. by B. Z. Kedar. Jerusalem. 1992, გვ. 234. ამ დებულების სიმართლეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ასწლიანი ომის დროს 1417 წელს ალონსონის დაცემამ უფრო მცირე ექვსი ქალაქისა და ციხე-სიმაგრის ჩაბარება გამოიწვია. Richard L. C. Jones. Fortifications and Sieges in Western Europe, c.800-1450. In Medieval Warfare: A History. Ed. by Maurice Keen. Oxford. 1999, გვ. 165.

[47] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 331; შდრ. ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 314.

ილუსტრაცია




სურ. 1 სამშვილდის ციხე-ქალაქის გეგმა. ი. ციციშვილის მიხედვით.

***Mamuka Tsurtsumia***
Chairman,
The State Council of Heraldry at the Parliament of Georgia

## SAMSHVILDE OPERATION OF 1110

Summary

By 1110 the disposition of the opposing sides on the Georgian-Seljuk front was as follows: Tbilisi, Rustavi, Samshvilde and Lower Kartli were in the hands of the Muslims, while Trialeti and Kldekari were held by Giorgi Chqondideli's niece Tevdore. Lower Kartli was occupied by the Turkmen nomads who were coming to the Mtkvari and Iori valleys every autumn, and wintering on the pastures. They were looting and plundering the country, taking the population captive.

In order to dismantle the nomadic footholds and to besiege Tbilisi strategically, the Georgians had to return the Samshvilde and Lower Kartli fortresses. Samshvilde was one of the most important centers of Lower Kartli, whith a special geographical location crossed by the trade routes, connecting Georgia with Byzantium, Armenia and Iran.

It was very difficult to take such a stronghold as Samshvilde by an ordinary siege. The chronicler describes the course of events in just a few words: "Giorgi Chqondidel-mtsignobartukhutsesi, Tevdore, Abuleti, and Ioane Orbeli gathered and together captured Samshvilde by a ruse." Despite the lack of information, it is still possible to reconstruct events. The crucial factor in the operation was the secret mobilization of the army and the hidden approach to the fortress, which the Georgians successfully overcame and managed to capture Samshvilde with a surprise attack. During the operation, the detachments under the command of Tevdore (Kldekari Eristavi), Abuleti, Ivane Orbeli (owner of Orbeti fortress) and Giorgi Chqondideli unite. The identities of Giorgi Chqondideli, Tevdore and Ivane Orbeli are certain. The issue of Abuleti remained open, which N. Shoshiashvili considered a Kakhetian noble feudal lord. Based on the story of David's historian, we can conclude that Abuleti was a feudal lord from Kartli. Other detachments participating in the Samshvildi

operation are concentrated in the vicinity of the road from Kartli to Algeti, and, obviously, Abuleti would not be an exception.

It is clear that the Georgian troops are gathering in parts, thus avoiding the general gathering and the turmoil caused by it, which would not escape the Turkish intelligence. The detachments of Chqondideli and Abuleti go unnoticed to the Kldekari, then, together with Tevdore, pass through Manglisi to the Algeti gorge and reach Partskhisi, where they are joined by Ivane Orbeli. The combined army manages to suddenly reach Samshvilde and take the city.

The seizure of Samshvilde was an important event: "This gave great joy to all, for the territories of the kingdom were expanding daily." This conquest resulted in the annexation of Lower Kartli, the eradication of the nomadic encampments and the isolation of the Tbilisi Emirate from the south, and later made possible the Georgian expansion towards the Tashir-Dzoraget.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII**
**თბილისი. 2021**

***ნიკო ჯავახიშვილი***
ასოცირებული პროფესორი, თსუ

*ვუძღვნი დიდი ბებიის – სოფიო ზაქარიას*
*ასულ გამყრელიძის ნათელ ხსოვნას*

# გამყრელიძეთა საგვარეულოს ისტორიიდან

ძირძველ ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა შორის საპატიო ადგილი ეკავათ გამყრელიძეებს, რომლებიც საქართველოს სამეფოს წარჩინებული აზნაურნი იყვნენ.

ეს გამოკვლევა გამყრელიძეთა გვარის წარსულისა და და მის გამოჩენილ წარმომადგენელთა მოღვაწეობის ისტორიის ერთ მთლიანობაში შესწავლის პირველი ცდაა.

ინფორმაცია ამ საგვარეულოსა და მისი განშტოებების შესახებ დაცულია ქართულ და უცხოენოვან საისტორიო წყაროებსა და გამოკვლევებში. მათ შორისაა საისტორიო-გენეალოგიური ცნობები ნაშრომებიდან, რომელთა ავტორებიც არიან: ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ის (1746-1800) ვაჟები, უფლისწულები დავით (1767-1819)[1] და იოანე (1768-1830)[2] ბაგრატიონები, რომლებიც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი და მეცნიერები იყვნენ, ასევე, საზოგადო მოღვაწე და გამომცემელი ვალერიან გამყრელიძე (1904-1995),[3] ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი როლანდ თოფჩიშვილი[4] და სხვ.

წინამდებარე ნაშრომი იყოფა ათ ნაწილად: 1) გამყრელიძეთა წარმოშავლობა და განსახლების თავდაპირველი არეალი – რაჭა; 2) გამყრელიძეთა

[1] სამართალი ბატონისშვილის დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ. თბ. 1964, გვ. 152.

[2] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. მასალა ისტორიისათვის. რედაქტორი და გამომცემელი ზურაბ კაცელაშვილი. თბ. 1997, გვ. 51, 99, 127.

[3] ვალერიან გამყრელიძე (1904-1995). ცხოვრება, მოღვაწეობა, მოგონებები. კრებული შეადგინა გ. სალიაშვილმა. თბ. 1998, გვ. 16-19.

[4] რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბ. 2021, გვ. 76-77; 401-403.

იმერეთის განშტოებანი; 3) გამყრელიძეთა ქვემო ქართლის განშტოება – შანშიაშვილნი; 4) გამყრელიძეთა შიდა ქართლის განშტოება; 5) გამყრელიძეთა კახეთის განშტოებანი; 6) გამყრელიძეთა სამეგრელოს განშტოებანი; 7) აზნაურ გამყრელიძეთა ოჯახები XIX საუკუნის შუა ხანებში; 8) ქართულ ლიტერატურაში ასახული გამყრელიძე-შანშიაშვილნი (XIX საუკუნე); 9) გამყრელიძეთა საგვარეულოს გამოჩენილი წარმომადგენლები (XIX საუკუნის მიწურულიდან); 10) გამყრელიძეთა თანამედროვე რაოდენობა და განსახლების არეალი.

* * *

## 1) გამყრელიძეთა წარმომავლობა და განსახლების თავდაპირველი არეალი – რაჭა

გამყრელიძეთა საგვარეულო სათავეს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონიდან – რაჭიდან იღებს.

ქართულ საისტორიო წყაროებში გამყრელიძენი XV საუკუნიდან იხსენიებიან.[5]

ბაგრატოვანმა ხელმწიფემ გიორგი VIII-მ, რომელიც მეფობდა 1446-1466 წლებში ერთიან საქართველოში, ხოლო 1466-1476 წლებში – კახეთში, 1458 წლის 27 აგვისტოს თავის ერთგულ ქვეშევრდომს – შალვა გამყრელიძეს წყალობის სიგელი უბოძა.[6]

ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. ჩუენ, ღვთივ-გვირგვინოსნის, მეფეთ მეფის გ ი ო რ გ ი ს გ ა ნ. იესიან-დავითიან-სოლომონიანობით აღმკულმან... დიდებულმან, ნებითა და შეწევნითა ღვთისათა და [წინამძღურობითა] პატიოსნისა ჯვარისა ძელისა ცხოვრებისათა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰან-შაჰე და შარვან-შაჰე და ყოვლისა ჩრდილოეთისა, აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის თვით-ხელმწიფედ ფლობით მპყრობელთასა.

მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი და ჩუენისა მორჭუმისა და ამოდ ყოფისათვის დიდად მომჭირნენი, გამყრელისძე შალვა და შვილი მათი ინდუა და მამისა, გვიაჯნეს და მოგვახ-

[5] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. I. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. თბ. 1991, გვ. 597.

[6] კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). Hd–10149.

სენეს ჩუენ და თანამეცხედრესა ჩუენსა, პატრონსა დედოფალთ დედოფალსა ნესტანდარეჯანს და ძესა ჩუენსა ალექსანდრეს, რათამცა მრავალთა ერთგულობა-ნამსახურთა მათთასა სიგლითა ამით შეგვეწყალნეს და ამათთვის სისხლი გაგვეჩინა. დაგუაჯერა [ღმერთმან] და ვისმინეთ ჰაჯა და მოხსენება მათი და გავუჩინეთ სისხლად ორასოცი ათასი ძველი ცხუმური მისითა საგერშოთა და სანახშიროთა.

მოკითხული ექნით და ძველადცა თქვენისა სახლისა ასრე გაჩენილი ყოფილიყო და ძველი სიგელი კიდე დაგწყოდა. და აწ ჩვენცა შეგიწყალეთ და სისხლის სიგელი გაგიჩინეთ და გაგიახლეთ. და თქვენდა სისხლად გავაჩინეთ ორასოცი ათასი ძველი ცხუმური თეთრი მისითა საგერშოთა და სანახშიროთა.

ვინცა თქვენგანი და თქვენის სახლისა გვარისა უბრალოდ მოკლას და გიღალატოს, ესე ჩვენგან თქვენთვის სისხლად გაჩენილი ორას[ოც]ი ათასი ძველი ცხუმური თეთრი გაგიჩინეთ. ვინცა-ვინ დარბას[ს] უსამართლოდ შეგასმინოს, ანუ დაკოდითა დაგახიჩოს, ანუ საჩენსა და ანუ უჩენსა ალაგსა დაგკოდოს, ანუ ცოლი ვინმე წაგგუაროს, ანუ საფლავი გაგიტეხოს, ანუ სასახლესა ზედა ვინმე დაგესხას, ანუ ცეცხლი შემოგაყაროს, ანუ მუქარა გთხოროს, ანუ ცოლობით გაგინონ, ანუ ჯოგი წაგისხას, ანუ მეკობრობით ვინმე რამე მოგპაროს და, რაცა კაცისაგან კაცსა საუნებელი და საუპატიო საქმე წაეკიდების, იგი წაგეკიდოს, ამა ორასოცი ათასისა ჩვენგან თქვენთვის გაჩენილსა სისხლისაგან მის ჟამისა ბრჭეთა, როგორიცა სამართლად, აგრე გაგიჩინონ. და არას ჟამშიგან ესე არაოდეს დაგაკლდებოდეს.

ბ(რძანე)ბა ესე ნიშნად გვიბოძებია.

დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ო)ნსა რმვ, ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა იბ, აგვისტოს კზ, ხელითა წირქვალელისძისა რატისათა".[7]

მართალია, ამ დოკუმენტში არ არის მითითებული შალვა გამყრელიძის წოდება და საცხოვრისი, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი უნდა ყოფილიყო რაჭის მკვიდრი აზნაური, რადგანაც საქართველოს მეფემ მას სისხლის ფასად 220 ათასი „ძველი ცხუმური თეთრი" (სოხუმური ვერცხლის მონეტა) ანუ დიდი ოდენობის თანხა გაუსაზღვრა.

აქვე დავსძენთ, რომ არსებობს ვარაუდები გამყრელიძეთა სვანური

[7] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. III ტომი. XV საუკუნის მეორე ნახევარი. შეადგინეს: თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ. გამოსაცემად მოამზადა ამ ტომის რედაქტორმა მ. სურგულაძემ. თბ. 2014, გვ. 93-94.

წარმომავლობისა და შალვა გამყრელიძის უწერაში, ანუ ზემო რაჭაში მკვიდრობის თაობაზე.[8]

ამ ვარაუდებს გააჩნია საფუძველი, თუ გავითვალისწინებთ აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რაჭის ერისთავი თავდაპირველად „უფრო მცირე ერთეულის გამგე იყო: ზემო რაჭა (თუ სხვაც არა) მის ხელთ არ იყო. ის ნახევრად სვანური იყო და არც „რაჭაში" შემოდიოდა. ასევე არ შემოდიოდა რაჭაში თაკვერი. ასე რომ რაჭაში შედიოდა მხოლოდ „ქვემო რაჭა". ისე როგორც ქვეყანა თაკვერს, თავისი სახელი ციხე თაკვერისაგან ჰქონდა მიღებული, სადაც ამ მხარის ადმინისტრაციული ცენტრი შეიქმნა (ან უკეთ, საიდანაც რომელიღაც სახლმა თავისი უფლებები გარშემო მიდამოზე გაავრცელა და ამით თავისი ადგილსამყოფელი ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ცენტრად აქცია); ასევე საფიქრებელია, რაჭა ეწოდებოდა იმ ცენტრს, საიდანაც ასეთივე ხელისუფლება გარშემო ქვეყანაზე ვრცელდებოდა (მეტად დამახასიათებელია, რომ XVII საუკუნეში რუს ელჩებს შემოუნახავთ ცნობა, რომ მათ დროს რაჭა ეწოდებოდა სრულიად გარკვეულ პუნქტს რაჭაში). ასევე შეიძლება ვიფიქროთ ქართლის ერისთავზედაც. „ქართლიც" ხომ სრულიად გარკვეული გეოგრაფიული პუნქტია".[9]

არსებობს ცნობა გამყრელიძეთა ბიბლიური წარმომავლობის შესახებაც, რომელიც დაცულია ქართული სამართლის უნიკალურ საკოდიფიკაციო ძეგლში – XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილ ნაშრომში „სამართალი ბატონისშვილის დავითისა". მისი ავტორი დავით ბაგრატიონი (1767-1819), თავისი გვირგვინოსანი მამის, მეფე გიორგი XII-ის გარდაცვალებიდან (1800 წლის 28 დეკემბერი) – 1801 წლის მაისამდე ქართლ-კახეთის სამეფოს განაგებდა. მას, როგორც მემკვიდრეობით მმართველს, მკვლევართა ნაწილი დავით XII-ის სახელითაც იხსენიებს. მისი აღნიშნული ნაშრომის ერთ-ერთ ქვეთავში, რომელსაც ეწოდება „აზნაურთა-თვის", ვკითხულობთ: „იბრეიმისა შთამომავლობანი და მამანი, ვინადგან არიან გამყრელიძეები, იგინი არიან ადრედგანნი აზნაურნი".[10] აქ მოხსენიებულ „იბრეიმში" ავტორი ბიბლიურ აბრაამს გულისხმობდა.

რაჭაში მცხოვრები გამყრელიძენი ამ მხარის ერისთავთა აზნაურნი იყვნენ.[11]

---

[8] გ. სადუნიშვილი. ქართული გვარსახელები. თბ. 2005, გვ. 143.

[9] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. მეორე გამოცემა. დ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1990, გვ. 115.

[10] სამართალი ბატონისშვილის დავითისა, გვ. 152.

[11] ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). ტ. I. თბ. 1973, გვ. 80.

ერისთავის თანამდებობა რაჭაში სხვადასხვა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლებს ეკავათ. 1488 წლიდან რაჭის საერისთავოს სათავეში ჩხეიძეთა (ჩხეტისძეთა) გვარი მოექცა. იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე არსებული ოთხი სადროშოდან უპირველესს წარმოადგენდა „საჩხეიძეო“, რომელსაც წარსულში „არგვეთი“ ეწოდებოდა.

ერისთავად დაწინაურებული ჩხეიძენი იყვნენ მძლავრი ფეოდალები, რომლებიც ხშირად ეურჩებოდნენ იმერეთის მეფეებს და რაჭის დამოუკიდებლად მართვა-გამგებლობას ცდილობდნენ. ამის გამო მათ შორის დროდადრო სისხლისმღვრელი ბრძოლაც მიმდინარეობდა. პომპეზურად ჟღერდა რაჭის ერისთავთა ტიტულატურა XVIII საუკუნეში – „ლიხთ იმერისა და ამერის მთავარი, მსაჯულად დადგინებული, მპყრობელი რაჭისა“.[12]

1578 წლით დათარიღებულ ქუთაისის საყდრის გამოსავლის ბეგარის დავთარში აღნიშნულია, რომ ქუთათელმა მიტროპოლიტმა დოსითეოსმა ყმაგლეხი ბუიძეები აზნაურ გამყრელიძის შვილებისაგან დაიხსნა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „მე, ქუთათელ მიტროპოლიტმან დოსითეოს დავიხსენ ბეჟუკი გამყრელიძის შვილებისაგან ბუიძენი – დავითელა, ვარსიმელა, სვიმონიკა, მათი ცოლ-შვილით და ღმრთისმშობელს შევსწირე“.[13]

1732 წელს კათოლიკოს-პატრიარქ გრიგოლის (ლორთქიფანიძის) მიერ ბიჭვინთისადმი შეწირულების წიგნში აღნიშნულია: „ამბროლაურს გამყრელიძისეული პარტახი შოშიტა ერისთავმა გვიბოძა, იმაზედ კაცი დავასახლეთ და ისიც ხატს შევსწირეთ“.[14]

რაჭის ერისთავ როსტომის მიერ გლახუჩ გლოველისადმი 1750 წელს ბოძებულ წყალობის სიგელში მოწმედ და გამრიგედ – ლომკაც გამყრელიძე იხსენიება.[15]

როსტომ რაჭის ერისთავის მიერ ქუთათელი მიტროპოლიტის მაქსიმე აბაშიძისა და ქუთაისის ღვთისმშობლის ტაძრისადმი ბოძებულ შეწირულების წიგნში რაჭის სხვა წარჩინებულთა შორის გამყრელიძენიც იხსენიებიან.[16] აქ-

[12] რ. მეტრეველი. რაჭა. შტრიხები წარსულიდან. თბ. 2013, გვ. 94-99.

[13] ქართული სამართლის ძეგლები. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 343.

[14] ქართული სამართლის ძეგლები. III, გვ. 716.

[15] ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.). I. ტექსტი გამოსცა და საძიებელი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ. 1958, გვ. 103.

[16] Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (АКАК) (под редакцией А. Берже). Т. I. Тифлис. 1866, გვ. 29.

ვე განვმარტავთ, რომ მაქსიმე ქუთაელს ეს თანამდებობა ეკავა 1759 წლიდან, ხოლო 1776-1795 წლებში დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად მაქსიმე II-ის სახელით მოღვაწეობდა.[17]

1769 წელს იმერეთის სახელოვანმა ხელმწიფემ სოლომონ I დიდმა (მეფობდა 1752-1784 წლებში) შეიპყრო რაჭის დაუმორჩილებელი ერისთავი როსტომი, რომელსაც თავის ვაჟებთან ერთად თვალები დასთხარეს. ამის შემდეგ მეფემ გააუქმა რაჭის საერისთავო, ერისთავთა ყმა-მამულის მნიშვნელოვანი ნაწილი სამეფო საკუთრებად გამოაცხადა, ციხეებში თავისი გარნიზონები ჩააყენა, ხოლო სოფლების ნაწილი თავის ძმას, კათოლიკოს იოსებს გადასცა. ამით მეფეს და ერისთავებს შორის ხანგრძლივად მიმდინარე ბრძოლა სოლომონ დიდის ძლევამოსილი გამარჯვებით დაგვირგვინდა.

სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთში გამეფებულმა დავით II-მ (მეფობდა 1784-1789 წლებში) აღადგინა რაჭის საერისთავო, რომელიც ჩააბარა ჯერ თავის დისწულს, კერძოდ, ელენეს ვაჟს და როსტომის შვილიშვილს – ანტონ გიორგის ძეს, ხოლო 1785 წლიდან – მის მამას და თავის სიძეს, ოსმალეთიდან დაბრუნებულ გიორგი როსტომის ძეს, რომელიც სულთნის კარზე ქიორ-ბეის (ანუ ბრმა ბეგის) სახელით მსახურობდა. 1787 წელს, სოფელ გლოლაში, ოსებთან მომხდარ შეტაკებაში გიორგის დაღუპვის შემდეგ, ერისთავობა კვლავ მისმა ვაჟმა – ანტონმა გადაიბარა.[18]

1789 წელს იმერეთში გამეფდა ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე უფლისწული დავით არჩილის ძე (მეფობდა 1810 წლამდე), რომელიც თავისი სახელოვანი ბიძის (მამის ძმის) სოლომონ I-ის პატივსაცემად – „სოლომონ II-დ“ იწოდა. პოზიციების განმტკიცების შემდეგ, მან საბოლოოდ გააუქმა რაჭის საერისთავო, რომელიც იმერეთის სამეფოს ხელისუფლების ფეოდალური ოპოზიციის ერთ-ერთი სახიფათო ბუდე გახლდათ.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ყმა-გლეხთა წინააღმდეგობა ფეოდალებისადმი საქართველოში შესამჩნევი გახდა. იმხანად, ქართველ თავადებს და აზნაურებს ყმები ხშირად გაურბოდნენ. ამ მხრივ გამონაკლისი არც აზნაურ გამყრელიძეთა ყმანი იყვნენ.[19]

1802 წლის დოკუმენტში იხსენიებიან აზნაური ძმები: გიორგი, სიმონ და ბეჟან გამყრელიძეები, რომლებიც ზემო რაჭის სოფელ ქორთაში ყმა-მა-

[17] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. კოლექტიური ნაშრომი რ. მეტრეველის რედაქციით, თბ. 2000, გვ. 168.

[18] მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში (ნარკვევები). თბ. 1982, გვ. 93-96.

[19] დ. გვრიტიშვილი. მასალები ქართველი გლეხობის ისტორიისათვის (XVIII საუკუნე). თბ. 1979, გვ. 306.

მულს ფლობდნენ. საბუთიდან ირკვევა, რომ ქორთელმა გლეხებმა: მახარობელ და მამუკა გოგლიძეებმა და გოგია თათარაძემ შემდეგი თავდებობის წიგნი უბოძეს თავიანთ ნათესავ კაცია გოგლიძეს: ,,შენმა ბატონმა გამყრელიძემ გიორგიმ, სიმონ და ბეჟან – დაგიჭირეს და დაგატუსაღეს. მოხველ შენ და ჩვენ შემოგვეხვეწე და თავდებობა დაგვპატიჟე. რადგან ჩვენ შენი სისხლი და ხორცი ვიყავით, თავდებად დაგიდექით, რომ შენს ბატონს აღარსაით გაჰქცეოდი, მაგრამ მაინც არ დაიშალე და ქართლში გადახვედი შენის ცოლშვილით. მერე შენმა ბატონმა ჩვენ დავა და ლაპარაკი დაგვიწყო. რადგან თავდებნი ვიყავით, ჩვენ იმასთან რაღა სიტყვა გვქონდა, გადმოვედით ქართლს და სამართალში გელაპარაკენით. ქართულის სამართლითაც ჩვენი მოვალე შეიქენ. ჩვენ რადგან სამოცის მარჩილის თავდებნი ვიყავით, რომ შენის ბატონისათვის უნდა მიგეცა. ეს სამოცი მარჩილი შენგან ჩვენ მოგვბარდა, რომ შენის თავდებობისაგან ამოსულნი ვართ და ჩვენ შენთან სიტყვა და საქმე აღარა გვაქვს რა ძმობისა და კაის კაცობის მეტი და შენმა ბატონმა გამყრელიძემ: ბეჟანმა, სვიმონ და გიორგი – თავდახსნილობის წიგნი დაგიწერეს და ჩვენის ხელით გამოგიგზავნეს, რომელიც დღეს შენ ხელთ გიჭირავს, რადგან შენი ფასი მიჰბარდა, გამყრელიძეებმაც გული გვაჯერეს ჩვენ, რომ დღეის იქით იმათა და იმის ჩამომავლობას შენთან და შენს ჩამომავლობასთან საბატონყმოთ სიტყვა და საქმე არა ჰქონდესთ“.[20]

1808 წელს მეფე სოლომონ II-მ აზნაურ გამყრელიძეებს წყალობის სიგელი უბოძა. სოფელ კომანდელში მცხოვრებ ვალიკო ივანეს ძე გამყრელიძესთან დაცული ეს დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადასცა ეთნოგრაფმა გიორგი თადეოზის ძე ბოჭორიძემ (1884-1939), რომელმაც სიძველეთა შესწავლას დიდი ამაგი დასდო.[21]

ფეოდალური ეპოქის რაჭაში გავრცელებული იყო გამოთქმა: *„ჯარი – ჯაფარიძისა, ბძალი – გამყრელიძისა“*.[22] ამ გამოთქმაში ხაზგასმული იყო ის ღირსებანი, რითაც ამ რეგიონში მცხოვრები აღნიშნული ორი წარჩინებული საგვარეულო გამოირჩეოდა.

გვიანფეოდალურ ხანაში რაჭაში მოქმედებდა მართვა-გამგებლობის მძლავრი აპარატი, რომელშიც შედიოდნენ: მოურავები, მამასახლისები, კარისკაცები.

[20] ო. სოსელია. მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის. თბ. 1960, გვ. 32-33.

[21] გ. ბოჭორიძე. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები. შეადგინა ლ. ფრუიძემ. თბ. 1994, გვ. 355.

[22] კრებ. „ვალერიან გამყრელიძე (1904-1995)“, გვ. 18.

რუსეთის მიერ იმერეთის სამეფოს დაპყრობის (1810 წ.) პერიოდში რაჭაში მოურავად მსახურობდა აზნაური ფრიდონ გამყრელიძე, რომელიც ამ თანამდებობაზე 1812 წელსაც, ანუ ე.წ. „რაჭის ოკრუგის“ შექმნის შემდეგაც იხსენიება.[23]

1819 წლის ზაფხულში, როდესაც იმერეთში ანტიიმპერიულმა სახალხო აჯანყებამ იფეთქა, წინააღმდეგობის ერთ-ერთ მძლავრ კერად იქცა რაჭა, სადაც ოკუპანტებთან შეუპოვარი ბრძოლა მომდევნო წლის ზაფხულამდე გრძელდებოდა.[24]

ამბოხებულებზე მრავალარიცხოვანმა და უკეთესად შეიარაღებულმა რუსთა ჯარმა ეს აჯანყება სისხლში ჩაახშო. ამბოხებაში მონაწილეობის გამო „დამნაშავედ“ მიჩნეული მამულიშვილნი, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში, რაჭაშიც დასჯეს, მოსახლეობას იარაღი აჰყარეს და მძიმე გადასახადები შეაწერეს, სოფლები გადაწვეს, ხოლო ციხესიმაგრეები ნანგრევებად აქციეს.[25]

1821 წლის 10 მაისს მღვდელმა მაქსიმე გვერდწითელმა საქართველოს ეგზარქოსს თეოფილაქტე რუსანოვს (1765-1821) წარუდგინა მოხსენება ოსურ დაბა ალაგირში მოგზაურობის შესახებ, სადაც ზემო რაჭის მაღალმთიანი სოფლის – გლოლას გავლით ჩავიდა. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ გლოლადან მათ თან გაჰყვათ აზნაური გიორგი გამყრელიძე და ორი მეფსალმუნე, რომლებიც იმავე სოფლის მკვიდრნი ყოფილან.[26]

გამყრელიძენი ოდითგან ცხოვრობდნენ ზემო რაჭის სოფლებში: უწერაში, სომიწოსა და კომანდელში,[27] რომლებიც ამჟამად ონის მუნიციპალიტეტში შედის.

1840-1843 წლების მონაცემებით, რაჭაში ცხოვრობდა აზნაურ გამყრელიძეთა 18 კომლი,[28] რომლებიც სახლობდნენ შემდეგ სოფლებში (ჩამოთვლილია ანბანურად): ამბროლაური, ბოყვა, გომი, კომანდელი, ლიხეთი, ონი, პატარა ონი, სომიწო, სხიერი, უწერა, ფარავნე, ხირხონისი, ჯინჭვისი.[29]

[23] რ. მეტრეველი. რაჭა. შტრიხები წარსულიდან, გვ. 108-109.
[24] რ. მეტრეველი. რაჭა. შტრიხები წარსულიდან, გვ. 110-111.
[25] მ. ხომერიკი. იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები. თბ. 2012, გვ. 287-288.
[26] АКАК. Т. VI. Часть первая. Тифлис. 1874, გვ. 415.
[27] კრებ. „ვალერიან გამყრელიძე (1904-1995)“, გვ. 16.
[28] მ. კეზევაძე. გვარსახელები XIX საუკუნის რაჭაში. ქუთაისი. 2018, გვ. 75.
[29] მ. კეზევაძე. გვარსახელები XIX საუკუნის რაჭაში, გვ. 57.

გამყრელიძეთა ის ნაწილი, რომელიც ცხოვრობდა ქვემო რაჭის სოფელ ნიკორწმინდაში – გლეხთა წოდებას განეკუთვნებოდა.[30]

1873 წლის მონაცემებით, აზნაურ გამყრელიძეთა 12 კომლი მკვიდრობდა რაჭის სოფლებში: წესში, დიდ შავრასა და ქორთაში.[31]

უფლისწულ ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1757) მიერ შექმნილ საქართველოს ატლასთაგან ერთ-ერთზე, რომელზედაც წარმოდგენილია რაჭა, დატანილია გამყრელიძეთა ციხე-დარბაზი, რომლის ნანგრევებიც სოფელ კომანდელში დღემდე შემორჩა.[32]

გამყრელიძეთა ციხე-დარბაზის ნაშთები სოფელ ჯინჭვისშიც შემორჩა.[33]

უწერა და იქაური ტაძარი უცხოელთა ყურადღების ცენტრში XVII საუკუნიდან მოექცა. საქართველოში დიპლომატიური მისიით მყოფმა რუსმა ელჩებმა – სტოლნიკმა ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვმა და დიაკმა ალექსი ივანეს ძე იევლიევმა 1651 წლის 18 ოქტომბერს ინახულეს უწერა და ის თავის ჩანაწერებში გამყრელიძეთა სოფლად მოიხსენიეს. მათ აღნიშნეს, რომ უწერის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ქვით ნაგებ ტაძარში ინახებოდა დინარა დედოფლის თმები,[34] რომელიც ადგილობრივთა გადმოცემით, ავადმყოფობას კურნავდა, ხოლო ცოდვილებს კი ცოდვებს მიუტევებდა.

ამასთან დაკავშირებით მკვლევარმა თამაზ ბერაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ზემოხსენებულ „დინარა დედოფალში“ რუსი ელჩები გულისხმობდნენ სახელოვან ბაგრატოვან ხელმწიფეს – თამარს,[35] რომლის მეფობის პერიოდიც (1184-1213 წლები) მიჩნეულია „საქართველოს ისტორიის ოქროს ხანად“.

აღნიშნული ვარაუდის საფუძვლიანობას ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მოყვანილი შემდეგი ცნობაც: „არს დაბა უწერა, რიონის ორსავ კიდესა ზედა. აქა, რიონის ჩრდილოთ, არს ეკლესია სიონი, დიდი. ამ ეკლესიის კამარასა შინა მკიდარებს თმა ერთი ნაწნავი, და იტყვიან თამარ მეფისას. აქავ არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებლად“.[36]

---

30 მ. კეზევაძე. გვარსახელები XIX საუკუნის რაჭაში, გვ. 23.

31 რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, გვ. 76.

32 თ. ბერაძე. რაჭა. თბ. 2004, გვ. 23.

33 თ. ბერაძე. რაჭა, გვ. 144.

34 სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლიევის ელჩობა იმერეთში (1630-1652). საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევექტოვმა. ტფ. 1926, გვ. 105.

35 თ. ბერაძე. რაჭა, გვ. 123-124.

36 ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წიგნში: „ქართლის ცხოვრება“. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 768.

უწერაში მოსახლე გამყრელიძეთა მამულში მომდინარე მინერალურ წყაროთაგან ერთ-ერთს, რომელიც წყლულოვან დაავადებათა სამკურნალოდ ოდითგან გამოიყენებოდა, – „გამყრელიძეთა წყარო", ანდა „გვერითას წყარო" ეწოდებოდა. ეს უნიკალური წყარო 1917 წლამდე ამ საგვარეულოს საკუთრებას წარმოადგენდა.[37]

რიგაში დაბადებულ-აღზრდილი გერმანელმა მეცნიერმა, დოქტორმა იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა (1745-1781) უწერის წყაროები თავის ფუნდამენტურ თხზულებაში მოიხსენია. იგი შედიოდა იმ საექსპედიციო ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1771-1772 წლებში საქართველოს შესასწავლად მოაწყო. ამ ნაშრომში ვკითხულობთ: „დავინახეთ რიონში მარცხნიდან ჩამავალი მდინარე, რომლის შესართავთან მდებარეობს უწერა და უფრო მაღლა მასზე – გომი და ჯინჭვისი... გზაზე შეგვხვდა ტუფის წარმომქმნელი წყარო, პატარა, სწრაფი მდინარე... უწერის მიდამოებში არის აგრეთვე სხვადასხვა მინერალური წყაროები, ნაწილობრივ ტუტიანი, ნაწილობრივ მარტიალური, მთლად ისეთი, როგორც თერგზეა – სიონთან და კობთან. ტუტიანი და მისგან სულ ახლოს მომდინარე მარტიალური წყაროები უმთავრესად არის ეკლესიის ბოლოს. ორივე შეიცავს ბევრ ეთერს. საკვირველია, რომ ეს სამკურნალო წყაროები ერთმანეთისაგან ასე ახლოს არიან: ქრონიკულ დაავადებათათვის ორივეს არსებითი მნიშვნელობა აქვს და მარტიალურის ხმარება უნდა მისდევდეს ტუტიანისას. ტუტიან წყალს მოსახლეობა ხმარობს სასმელად. ისინი ამით ამჟავებენ პურის ცომს, რომელიც მისგან მაღლა იწევს და უმარილოდაც მშვენიერი გემო აქვს. ამ წყაროებთან, როგორც ონთან, იგრძნობა იის სუნი და ახალ ორმოებში უფრო მეტად. აქაც მიწაში ჩარჭობილი ლერწმის მილების საშუალებით ამოსწოვენ ხოლმე ნიკრისიანი ავადმყოფები ორთქლს".[38]

1833 წლის შემოდგომაზე რაჭა მოინახულა შვეიცარიელმა მეცნიერმა და მხატვარმა, პროფესორმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ (1798-1850). მან თავის სამოგზაურო ჩანაწერებში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო არქიტექტურული ძეგლების აღწერას და თანდართულ ნახატების ალბომში შემოგვინახა უწერის მოურავის, აზნაურ გოგია გამყრელიძის კარმიდამოს ჩანა-

[37] კრებ. „ვალერიან გამყრელიძე (1904-1995)", გვ. 16-17.

[38] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. I. თბ. 1962, გვ. 123-124.

ხატი,[39] რის შესახებაც თამაზ ბერაძეც მიუთითებდა.[40]

1887 წელს, უწერელი აზნაურის ევდოკიმე გამყრელიძის ვაჟებმა – ანთიმოზმა (1851-1894) და ივანემ (1856-1939) თბილისიდან მიიწვიეს სამედიცინო კომისია თავიანთ მამულში მომდინარე ზემოხსენებული მინერალური წყაროს სამკურნალო ღირსებების დასადგენად. ამის დადასტურებისთანავე ძმებმა წყაროსთან დადგეს ხის კოტეჯები კუჭის წყლულით დაავადებულთა მისაღებად და გამოსაჯანმრთელებლად. ასე ჩაეყარა საფუძველი უწერის გამაჯანსაღებელ და დასასვენებელ კურორტს.

1913-1914 წლებში ევროპელი კაპიტალისტები დაინტერესდნენ უწერის მინერალური წყაროებით და მათი კონცესიით აღებაც სცადეს. მათი დასკვნით, „გვერითა“ – სახელგანთქმული „ვიშის“ ტიპის უმაღლესი კატეგორიის წყაროს წარმოადგენდა.[41]

ვალერიან გამყრელიძე იგონებდა, რომ მისმა ნათესავმა საზოგადო მოღვაწემ და პედაგოგმა ივანე გამყრელიძემ „თბილისში ელექტროტრამვაისა და ფუნიკულიორის გამკეთებელი ბელგიური კომპანიის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებისას, როგორც ამას შემდეგში თვითონაც აღიარებდა, შეცდომა დაუშვა უწერის წყლის საკონცესიოდ მიცემაზე. თურმე ბელგიური კომპანიის პრეზიდენტი, რომელიც წყლულოვანი სნეულებით იყო შეპყრობილი, უწერის წყლის მიღების შედეგად ერთბაშად კარგად გამხდარიყო და მან მოინდომა უწერაში დიდი კურორტის მოწყობა“.[42]

ამასთან დაკავშირებით, მოგვიანებით, ივანე გამყრელიძე სინანულით აღნიშნავდა, რომ იმხანად ის ვერც წარმოიდგენდა, თუ რუსეთის იმპერია დაემხობოდა და „ტრამვაისა და ფუნიკულიორის მსგავსად, უწერის აშენებული კურორტიც ჩვენ დაგვრჩებოდა„.[43]

გამყრელიძეთა გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი სასულიერო მოღვაწეობას თავის მშობლიურ კუთხეში – რაჭაში ეწეოდა. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიაში მსახურობდა არ-

[39] Voyage autour du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhases en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée, par Frederic DuBois de Montperreux. 6 vol. Librairie de Gide. Paris. 1839-1849 avec un atlas; Voyage autour du Caucase, les Tcherkesses et de l'Abkhazie, après Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée, par Frederic DuBois de Montperreux. 3 volumes. Leske. Darmstadt. 1842-1846.

[40] თ. ბერაძე. რაჭა, გვ. 27.

[41] გ. სადუნიშვილი. ქართული გეარსახელები, გვ. 146-147.

[42] კრებ. „ვალერიან გამყრელიძე (1904-1995)“, გვ. 17.

[43] კრებ. „ვალერიან გამყრელიძე (1904-1995)“, გვ. 17-18.

ქიმანდრიტი არსენოზ გამყრელიძე, რომელმაც ეს ტაძარი განაახლა. ამ ეკლესიაში XX საუკუნის ოციან წლებამდე დაცულ საეკლესიო ნივთებს შორის იყო 1806 წლით დათარიღებული ვერცხლის ბარძიმი და ფეშხუმი, რომლებსაც ამშვენებდა წარწერები: *1) „ქ. განმაახლებელი ტაძრისა ამის და ბარძიმისა – არქიმანდრიტი მრავალძალისა გამყრელიძე არსენოზ. ქრისტეს აქეთ ჩყ-ვ“; 2) „ქ. განმაახლებელი ფეშხუმისა ამის და ტაძრისა – არქიმანდრიტი მრავალძალისა გამყრელიძე არსენოზ. ქრისტეს აქეთ ჩყ-ვ“.* ეს ნივთებიც გიორგი ბოჭორიძემ აღწერა.[44]

ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890) მიუთითებდა, რომ არსენ გამყრელიძე იყო უპირველესი მემკვიდრეთაგანი იოსებ ტუსკიასი, რომელიც გურიის უდაბნოს წმ. იოანე ნათლისმცემლის მამათა მონასტრის წინაძღვარი გახლდათ.[45]

დიმიტრი ბაქრაძე წერს: „უდაბნო მდებარეობს ამაღლების მთის ერთერთ ციცაბო კალთაზე, სოფელ ამაღლების ზემოთ და ორპირიდან ოზურგეთს მიმავალი საფოსტო გზის მახლობლად... იქიდან მშვენიერი სანახაობა იშლება: აქ თქვენ წინ გადაშლილია მთელი სამხრეთი გურია. უდაბნოში ორი ეკლესიაა: ძველი მცირე, კლდეში ნახევრად გამოკვეთილი და ახალი, ლამაზი, საკმაოდ ვრცელი, თლილი ქვისა, უგუმბათო, როგორც წარწერა გვაჩვენებს, 1858 წელს აგებული იოანე ნათლისმცემლის სახელობაზე. უდაბნოს წინამძღვართაგან განსაკუთრებით ცნობილია მხოლოდ ერთი იოსები, გვარად ტუსკია. მის მემკვიდრეებად ითვლებიან: არსენ გამყრელიძე, გაბრიელ ტუსკია, ახლა გურიის ეპისკოპოსი და, ბოლოს, ახლანდელი წინამძღვარი პორფილე ქოჩაკიძე“.[46]

მღვდელი იოსებ ბეჟანის ძე გამყრელიძე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა: ურავის მთავარანგელოზ გაბრიელის ეკლესიაში (1843-1847 წლებში), ლიხეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში (1847-1866 წლებში), ჭიბრევის მთავარანგელოზ გაბრიელის ეკლესიაში (1871-1878 წლებში) და გომის წმ. გიორგის ეკლესიაში (1878-1889 წლებში).[47]

---

[44] გ. ბოჭორიძე. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, გვ. 208-209.

[45] Д. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре (с атласом). СПб. 1878, გვ. 240.

[46] დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ). თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ. ხარიტონ ახვლედიანის რედაქციით. ბათუმი. 1987, გვ. 201.

[47] მ. კეზევაძე. ეგზარქოსობისდროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები. მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა. ქუთაისი. 2014, გვ. 16-37.

ქუთაისის გუბერნიაში შემავალი რაჭის მაზრის მომრიგებელი მოსამართლის კანცელარიის მდივნად მსახურობდა პარმენ დავითის ძე გამყრელიძე, რომელიც ამ თანამდებობაზე XIX საუკუნის მიწურულიდან[48] – 1903 წლის ჩათვლით იხსენიება.[49]

1912 წლის ივლის-აგვისტოში დიდმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ აკაკი წერეთელმა (1840-1915) რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურა. მის მასპინძელთა შორის იყო ადგილობრივი აზნაური ამბროსი გამყრელიძე, რომელიც საპატიო სტუმრის პატივსაცემად ონში შექმნილი კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა.[50]

28 ივლისს, ონში გამართულ 300-კაციან ნადიმზე ამბროსი გამყრელიძემ მგოსანს ასეთი სიტყვით მიმართა: „ბატონო აკაკი! დღეს, ჩვენ, რაჭველები დიდ სიხარულს და აღტაცებას ვგრძნობთ შენის აქ მოსვლით... შენის ნახვით ხალხი სულიერად მხნევდება, გონივრულად იღვიძებს და ერთი-ორად უღორძინდება მას სიყვარული იმ მამულისა და სამშობლოსი, რომლისთვისაც შენ გაქვს შეწირული საუკეთესო ხანა შენი ცხოვრებისა... აი, სწორედ ამიტომაც, დღეს, ჩვენ, რაჭველები ვგრძნობთ ჩვენ თავს ამაყად, ამაღლებულად, რომ ჩვენთან ერთად გხედავთ ერთ სუფრასთან, რადგან შენი მტკიცე, კარგი სახელი და ღრმა, მხურვალე სიყვარული ბავშვობიდანვე დედის ძუძუსთან ერთად გვაქვს ჩანერგილი, როდესაც ჩვენ გასაჩუმებლად დაგვმღეროდნენ შენს ტკბილ „ნანინას“. ეს დღეები, რომელიც გაატარე აქ, რაჭაში, ჩაითვლება ერთ საუკეთეს ჯილდოდ, რომელიც ჩვენ მიგვიღია როდისმე ცხოვრებაში და მასთან იქნება სასიამოვნო მოსაგონად...

ლოცვით ვერ დაგლოცავ, რადგან თვით ღვთისაგან ხარ დალოცვილი და ნაკურთხი. გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენდა საიმედოდ და სასიქადულოდ“.[51]

1913 წლის მონაცემებით, ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრები გამყრელიძეთა გვარის წარმომადგენლები მსახურობდნენ შემდეგ თანამდებობებზე:

[48] Кавказский календарь на 1900 год. Издан по распоряжению Главноначальствующего гражданской частию на Кавказе, при Закавказском статистическом комитете. Под редакцией члена того-же комитета Статского советника Е. Кондратенко. LX г. Тифлис. 1899, გვ. 282.

[49] Кавказский календарь на 1903 год. Издан по распоряжению главнокомандующего гражданской части на Кавказе. Под редакцией старшего редактора статистического отдела при Закавказском статистическом комитете Статского советника Е. Кондратенко. LVIII год. Тифлис. 1902, გვ. 309.

[50] გ. შარაძე. აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში (1912 წ.). თბ. 2006, გვ. 116-123.

[51] გ. შარაძე. აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში (1912 წ.), გვ. 128-129.

*კონსტანტინე ფარნაოზის ძე* – ამბროლაურის მომრიგებელი მოსამართლის მდივნის თანაშემწედ,[52] *კონსტანტინე იოსების ძე* – ფოთის საქალაქო მმართველობის მთავარ ბუღალტრად,[53] *ფარნაოზ დავითის ძე* – ბათუმის საქალაქო ლომბარდის მმართველად,[54] *მარიამ კონსტანტინეს ასული* – ლეჩხუმის მაზრის სოფელ ლაილაშის საავადმყოფოს ბებია-ქალად.[55]

1916 წლის მონაცემებით, *კონსტანტინე იოსების ძე* მუშაობას განაგრძობდა ზემოხსენებულ თანამდებობაზე,[56] ხოლო *კონსტანტინე ფარნაოზის ძე* – დაუწინაურებიათ და სამუშაოდ ქუთაისის საოლქო სასამართლოს მდივნად გადაუყვანიათ.[57]

ვინაიდან რაჭა მცირემიწიანი იყო, გამყრელიძეთა ძირითადი ნაწილი თავისი მშობლიური კუთხიდან თანდათან გადასახლდა საქართველოს სხვა რეგიონებში, როგორც მეზობელ სვანეთსა და იმერეთში, ასევე ქართლში, კახეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში. აღნიშნული მიგრაციის უმთავრესი მიზეზი სამეურნეო-ეკონომიკური გახლდათ.

1940 წლის მონაცემებით, გამყრელიძეთა 5 კომლი ზემო სვანეთის (მესტიის მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე მდებარე კალას თემის სოფელ ლალხორში სახლობდა.[58]

ზურაბ ზაალის ძე გამყრელიძის მიერ ლალხორელ გამყრელიძეთაგან ჩაწერილი საგვარეულო გადმოცემის თანახმად, მათი წინაპარი ზემო რაჭის სოფელ უწერის მკვიდრი ყოფილა და ამ სოფელში XVII საუკუნის მეორე ნახევარში გადასახლებულა.

გასული საუკუნის შუა ხანებში, კერძოდ, 1949 წელს დაიმეწყრა სოფელი სომიწო, საიდანაც გამყრელიძეთა რამდენიმე ოჯახი აფხაზეთის სოფელ ლიძავაში ჩაასახლეს, ნაწილი კი ონსა და თბილისში დამკვიდრდა. 1992-1993 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, გამ-

---

[52] Кавказский календарь на 1914 год. Издан по распоряжению наместника Е. И. В. на Кавказе канцелярией наместника. Под редакцией А. А. Эльзенгера и Н. П. Стельмащука. LIX г. Тифлис. 1913, გვ. 505.

[53] Кавказский календарь на 1914 год, გვ. 197.

[54] Кавказский календарь на 1914 год, გვ. 128.

[55] Кавказский календарь на 1914 год, გვ. 192.

[56] Кавказский календарь на 1917 год. Издан по распоряжению наместника Е. И. В. на Кавказе канцелярией наместника. Под редакцией Н. П. Стельмащука. XII г. Тифлис. 1916, გვ. 221.

[57] Кавказский календарь на 1917 год, გვ. 534.

[58] რ. თოფჩიშვილი. სვანეთი და სვანეთის მკვიდრნი. გვარები და ეთნოისტორიული ნარკვევი. თბ. 2015, გვ. 63.

ყრელიძენი იძულებულნი გახდნენ, რომ დაეტოვებინათ ლიძავა და და საქართველოს სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში გადასულიყვნენ.

საქართველოს ზემოხსენებულ რეგიონებში (აფხაზეთის გარდა) დღემდე ცხოვრობს გამყრელიძეთა ერთი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილი – ქალაქებში გადასახლდა.

## 2. გამყრელიძეთა იმერეთის განშტოებანი

გამყრელიძეთა გადასახლება მათი თავდაპირველი საცხოვრისიდან საქართველოს სხვა რეგიონებში ყველაზე ადვილად და ბუნებრივად ხდებოდა იმერეთში, ვინაიდან ქუთაისში მდგარ სამეფო ტახტზე მჯდომ ბაგრატოვანთა სამფლობელოში რაჭაც შედიოდა. ამდენად, ეს გადასახლება წარმოადგენდა მოძრაობას ერთი სამეფოს ფარგლებში.

იმერეთში გადასახლებულ გამყრელიძეთა ერთი ნაწილი გახდა ტახტის (სახელმწიფო, ტახტის ანდა სახასო) აზნაური, ხოლო მეორე ნაწილი – საბატონო აზნაური თავად წერეთლისა,[59] რომელიც იმხანად ყველაზე გავლენიან ფეოდალს წარმოადგენდა.

1722-1738 წლებით დათარიღებულ ყმების ნასყიდობის წიგნში, რომელიც გიორგი ლომკაციშვილმა გადასცა თავად პაპუნა წერეთელს და მის ვაჟს ბეჟანს, მოწმეთა შორის დათუა გამყრელიძეც იხსენიება.[60]

იმერეთის ხელმწიფის სოლომონ I დიდის სამეფო კარზე მეჯინიბეთუხუცესის თანამდებობა ერთხანს აზნაურ გამყრელიძეს ეკავა.[61]

ფიცის წიგნში, რომელიც იმერთა მეფე დავით II-მ (მეფობდა 1784-1789 წლებში) 1786 წელს უბოძა ბეჟან წერეთელს, მოწმეთა შორის ლევან გამყრელიძე იხსენიება.[62]

რუსეთის იმპერიის ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ 1811 წლის 18 მაისს შედგენილ ნუსხაში, იმერეთის იმ წარჩინებულთა შორის, რომელთათვისაც ფულადი ჯილდო უნდა გადაეცათ, შედიოდა აზნაური გოგია გამ-

[59] ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). II. თბ. 1981, გვ. 91.

[60] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.). ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1940, გვ. 456.

[61] კრებ. „ვალერიან გამყრელიძე (1904-1995)“, გვ. 19.

[62] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.). ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1953, გვ. 282.

ყრელიძეც, რომელსაც საჩუქრად 150 რუბლი (ვერცხლით) განუსაზღვრეს.[63] ეს იმხანად საკმაოდ დიდი თანხა იყო.

1815 წლის 14 სექტემბერს, ანტონ ერისთავის მიერ ბეჟან წერეთლისადმი გადაცემულ ყმის ნასყიდობის წიგნში მოწმეთა შორის ნიკოლოზ გამყრელიძე იხსენიება.[64]

იმავე წლის საბუთში მოწმედ დასახელებულია აზნაური დათუა გამყრელიძე.[65]

XIX საუკუნის 40-იან წლების მონაცემებით, აზნაური გამყრელიძეები ცხოვრობდნენ იმერეთის სოფლებში – ზოდსა[66] და ობჩაში, ხოლო ამ უკანასკნელში ისინი სახელმწიფო (ანუ ტახტის, ან სახასო) აზნაურებად იხსენიებიან.[67]

იმერეთის სოფლებში – ზედუბანსა[68] და ღანირში[69] მცხოვრები გამყრელიძენი – სახელმწიფო ან საეკლესიო გლეხთა წოდებას განეკუთვნებოდნენ.

1854 წლის მონაცემებით, გამყრელიძენი ქუთაისშიც ცხოვრობდნენ.[70]

1873 წლის მონაცემებით, იმერეთის აზნაურ გამყრელიძეთა მფლობელობაში მყოფი მამულები მდებარეობდა: ჭილოვანში (იქ ცხოვრობდა ამ გვარის 13 კომლი), ყავილაშვილებში (5 კომლი), ხვაშითში, ვაკევისში (7 კომლი), თერჯოლაში (3 კომლი).[71]

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში იმერეთის თავადაზნაურთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პიროვნება გახლდათ აზნაური ილარიონ ოტიას ძე გამყრელიძე, რომელსაც შორაპნის მაზრაში მდებარე 200 დესეტინა მიწა ეკუთვნოდა.[72]

1888 წლის სექტემბერში ილარიონ გამყრელიძე შედიოდა იმერეთის იმ რჩეულ თავადთა და აზნაურთა ჯგუფში, რომელიც საპატიო ყარაულის შემადგენლობაში დახვდა ქუთაისში ჩასულ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ს (მეფობდა 1881-1894 წლებში). ამ მონარქმა საქართველოში თავის ოჯ-

---

63 АКАК. Т. IV. Тифлис. 1870, გვ. 369.

64 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, გვ. 292.

65 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 456.

66 მ. კეზევაძე. ქართული გვარსახელები იმერეთში. XIX საუკუნის 40-იანი წლები. ქუთაისი. 2004, გვ. 33.

67 მ. კეზევაძე. ქართული გვარსახელები იმერეთში. XIX საუკუნის 40-იანი წლები, გვ. 62.

68 მ. კეზევაძე. ქართული გვარსახელები იმერეთში. XIX საუკუნის 40-იანი წლები, გვ. 32.

69 მ. კეზევაძე. ქართული გვარსახელები იმერეთში. XIX საუკუნის 40-იანი წლები, გვ. 103.

70 მ. კეზევაძე. გვარსახელები XIX საუკუნის ქუთაისში. ქუთაისი. 2012, გვ. 19.

71 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, გვ. 282.

72 ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლები. დოკუმენტების კრებული. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მ. კეზევაძემ. ქუთაისი. 2009, გვ. 125.

ახის წევრებთან და მათ შორის, მომავალ იმპერატორ ნიკოლოზ II-სთან (მეფობდა 1894-1917 წლებში) ერთად იმოგზაურა.[73]

1894 წლის 14 მაისისათვის, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა აზნაურ გამყრელიძეთა ორ წარმომადგენელს: 1) შორაპნის მაზრის მკვიდრ, ზემოხსენებულ ილარიონ ოტიას ძეს[74] და 2) „სტატსკი სოვეტნიკ“ (სახელმწიფო მრჩეველ) ივანე ევდოკიმეს ძეს, რომელიც რაჭის მაზრაში მდებარე 200 დესეტინა მიწას ფლობდა.[75]

1890 წლის მონაცემებით, შორაპნის მაზრის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწედ მსახურობდა ლევან გიორგის ძე გამყრელიძე,[76] ხოლო ქუთაისის საქალაქო სასწავლებელში პედაგოგიურ მოღვაწეობას ანდრია ანტონის ძე გამყრელიძე ეწეოდა.[77]

1900 წელს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატად ქუთაისის მაზრიდან ისიდორე გიორგის ძე გამყრელიძე წარადგინეს.[78]

1915 წლის 26 იანვარს, მშობლიურ სოფელ სხვიტორში (ამჟამად – საჩხერის მუნიციპალიტეტი) მყოფი აკაკი წერეთელი (1840-1915) 74 წლის ასაკში გარდაიცვალა.

აკაკის დამკრძალავი კომიტეტები დაუყოვნებლივ შეიქმნა საჩხერეში, ქუთაისსა და თბილისში. საჩხერის კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ იმერეთის საზოგადოებრიობის გამოჩენილი წარმომადგენლები, განსვენებულის ნათესავები – პეტრე (თავმჯდომარე), გიორგი და ფრიდონ წერეთლები, ასევე, კოტე წულუკიძე, სვიმონ ბარათაშვილი, კოტე აბდუშელიშვილი და სხვები. მათ შორის საპატიო ადგილი ზემოხსენებულ ილარიონ გამყრელიძეს ეკავა. [79] სწორედ ამ კომიტეტმა ითავა სხვიტორში დასვენებული მგოსნის ცხედართან სამგლოვიარო ღონისძიებების გაძღოლა და 3 თებერვალს დედაქალაქში გადასვენების ორგანიზება, რაც მან ღირსეულად აღასრულა.

---

[73] ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლები, გვ. 91.
[74] ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლები, გვ. 125.
[75] ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლები, გვ. 128.
[76] Кавказский календарь на 1890 год. Издан по распоряжению главнокомандующего гражданской части на Кавказе. При Закавказском статистическом комитете. Под редакцией помощника главного редактора комитета Коллежского советника Е. Кондратенко. XLV год. Тифлис. 1889, გვ. 15.
[77] Кавказский календарь на 1890 год, გვ. 77.
[78] Кавказский календарь на 1900 год, გვ. 154.
[79] გ. შარაძე. აკაკის სიკვდილი და დასაფლავება. თბ. 2007, გვ. 83.

ამრიგად, რაჭიდან იმერეთში გადასახლებულმა გამყრელიძეებმა სათავე დაუდეს რამდენიმე საგვარეულო განშტოებას, რომელთა ნაწილი დღემდე იქ ცხოვრობს.

### 3. გამყრელიძეთა ქვემო ქართლის განშტოება – შანშიაშვილნი

1783 წლის 24 ივლისს, ჩრდილო კავკასიაში, რუსთა მიერ აგებულ გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში ოფიციალურად გაფორმდა ტრაქტატი რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის.

ამ საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა. ტრაქტატის რატიფიკაცია იმავე წელს მოახდინა იმპერატრიცა ეკატერინე II-მ (მეფობდა 1762-1796 წლებში), ხოლო მომდევნო წლის 24 იანვარს – მეფე ერეკლე II-მ (მეფობდა 1744-1798 წლებში).

ტრაქტატს დართულ ქართლ-კახეთის სამეფოს თავადაზნაურობის სიაში ქართლის სახასო (ტახტის) აზნაურთა შორის იხსენიებიან შანშიაშვილებიც,[80] რომელთა მამულები – ქვემო ქართლში, კერძოდ, ბოლნისსა და მის შემოგარენში მდებარეობდა.

არსებობს ცნობა, რომ ქვემო ქართლელ აზნაურ შანშიაშვილთა გვარის ფუძემდებელი იყო აზნაური გამყრელიძე, რომელიც წარმოშობით რაჭიდან გახლდათ.

უფლისწულმა იოანე გიორგის ძე ბაგრატიონმა თავის გენეალოგიურ ნაშრომში შანშიაშვილები საკმაოდ მოწინავე, მეთერთმეტე ადგილას დაასახელა ქართლის სამეფო აზნაურთა შორის, რომელთა საერთო რაოდენობაც 82-ს შეადგენდა.[81]

იმავე თხზულებაში აზნაურ შანშიაშვილთა შესახებ ვკითხულობთ: „ამათნი წინაპარნი იყვნენ ძირით გამყრელიძენი, იმერეთის ადგილით მოყვანილნი საქართველოს მეფისაგან – ვახტანგისაგან მზევლად 1666 წელს ტფილისსა შინა. ხოლო მათ მზევალთაგანნი ეტრფიალა სომხეთის აზნაურისა ქალსა შანშიაშვილისას გვარად და მას სომეხსა არა ჰყვა ძე, გარდა იმა

[80] გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ. თბ. 1983, გვ. 59.

[81] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, გვ. 70.

ქალისა და აღუთქვა მან შანშიამ, უკეთუ მიიღებს სომხის სარწმუნოებასა, მისცემს მას ქალსა თვისსა და მამულსაცა. მაშინ გამყრელიძე იგი ტრფიალებისა გამო გამოხდა და შეირთო ქალი იგი და მამულიცა მისი მიიღო. ხოლო რა სცნა ესე მეფემან დიდმან თეიმურაზ ენება გარდახდევინება გამყრელიძესა მისა, გარნა გამყრელიძე იგი განივლტო და მივიდა წინაშე სპარსთა მეფისა შააბაზისა და ეევდრა მეფესთან შუამდგომლობასა. ხოლო მან სთხოვა მეფესა და ვერღა ურჩ მყოფმან მისცა ნებაი და არიან მუნიდგან გვარნი ამა გამყრელიძისანი შანშიაშვილებად წოდებულნი: 1) გიორგის შვილები, 2) სოლომონის შვილები, ხოლო ამათნი სახლის კაცნი, რომელნიც გათათრდნენ, ისევ სპარსთა მეფისა დროსვე, არიან: 1) იბრეიმ ნაზირის შვილები და მისის გზისა. ხოლო სხვანი ამათნი გვარნი არიან იმერეთს მოსახლენი, რომელნიმე რაჭას და რომელნიმე წირქვალს. ხოლო ქალაქს მოსახლეთა აქვთ მამული ბოლნისის ხეობასა შინა და არიან მუნ ჟამიდგან აზნაურნი“.[82]

ზემოთ მოყვანილ ამონარიდში ხსენებულ „საქართველოს მეფე ვახტანგში“ იგულისხმება ვახტანგ V, გამუსლიმების შემდეგ – „შაჰნავაზად“ წოდებული, რომელიც ქართლში 1658-1675 წლებში მეფობდა. რაც შეეხება იმავე ცნობაში დასახელებულ 1666 წელს, ეს თარიღი მცდარი უნდა იყოს, ვინაიდან იქვე მოხსენიებული თეიმურაზ I (მეფობდა 1606-1648 წლებში, დროგამოშვებით) 1663 წელს სპარსეთში გარდაიცვალა. ამიტომ, ეს ამბავი ამ თარიღზე ადრე უნდა მომხდარიყო. რაც შეეხება იქვე ხსენებულ შაჰ-აბასს, მასში უნდა იგულისხმებოდეს სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელი შაჰინშაჰი აბას II (აბას I-ის შვილთაშვილი), რომელიც სპარსეთს 1642-1666 წლებში განაგებდა.[83]

აზნაურ შანშიაშვილთა გვარის შესახებ დაწერილი მცირე ზომის ნარკვევი გამოქვეყნებულია როლანდ თოფჩიშვილის გენეალოგიურ ნაშრომში.[84]

შანშიაშვილნი ქართულ საისტორიო წყაროებში XVI საუკუნის მიწურულიდან დაწყებული, უწყვეტად იხსენიებიან. თუ გავითვალისწინებთ იოანე ბაგრატიონის ზემოთ მოყვანილ ცნობას, საისტორიო წყაროებში XVII საუკუნის შუა ხანებამდე ხსენებული შანშიაშვილები იყვნენ ქართლის სამეფოში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი აზნაურები, ხოლო იმავე საუკუნის მე-

[82] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, გვ. 51.

[83] Н. Сычев. Книга династии. Москва. 2006, გვ. 598.

[84] რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, გვ. 401-403.

ორე ნახევრიდან ამ გვარის მატარებელ აზნაურთა შორის უნდა ვიგულისხმოთ შთამომავალნი სწორედ იმ რაჭველი აზნაური გამყრელიძისა, რომელიც ქვემო ქართლის მკვიდრ აზნაურ შანშიაშვილს ჩაესიძა.

ქართლის ბაგრატოვანმა ხელმწიფემ სვიმონ I-მა (მეფობდა 1556-1569 და 1578-1600 წლებში) 1589 წლის 10 სექტემბერს გაცემული წყალობის სიგელით, ქვემო ქართლში (სომხითში) მდებარე სოფელი ზიკრუტი აზნაურ აიდოღმიშ შანშიაშვილს უბოძა.[85]

ამ სიგელში ვკითხულობთ: „ჩუენ, ღ(მრ)თით-გვირგვინოსანმან, მეფეთ-მეფემან სვიმონ, ესე წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერთგულთა ყმათა შანშეაშვილთა: აიდოღმიშს, ელისბარს და ძმათა თქუენთა, მას ჟამსა, ოდეს მოგვადეგით კარსა და მამულისა წყალობას გვიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ სიმხითს სოფელი ზიკრუტი მისითა ველითა, ვენახითა, წისქვილითა, ჭალითა, სასარითა, სახნავითა და სათიბრითა, და ყოვლისა მისისა სამართლიანისა საქმითა და სამძღვრითა – მთითა ვიდრე ბარამდის თქუენთვინ გვიბოძებია. გქონდესთ და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შიგან.

აწე, უზედაესთა მოგახსენეთ და უქვედაესთა გიბძანებთ, ერთობილნო სომხითის ტარუღანო, მელიქნო და სხვანო კარისა ჩუენისა წარვლენილნო მოსაქმენო, ვინ გინდა-ვინ იქნეთ და აწე ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ დღე[ი]ს წაღმა. მერმე, ეს ჩვენგან ნაწყალობევი მამულისა წიგნი და ნიშანი თქუენც ასრე გაუთავეთ, რარიგათაც ამ ფარვანშია ეწეროს. მის მეტს ნურას შეუშლით და ნურც-რას შეეცილებით.

დაიწერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორო)ნ(იკონ)ს სოზ ენკენისთვის ი, ხელითა კარისა ჩვენისა მწიგნობრისა რევისშვილის ზილყიყარისათა“.[86]

ეს აიდოღმიში უნდა ყოფილიყო წინაპარი (ან უახლოესი ნათესავი) იმ აზნაურ შანშიაშვილისა, რომელსაც იოანე ბაგრატიონის ცნობით, აზნაური გამყრელიძე ჩაესიძა.

შანშიაშვილთათვის ყმა-მამულის წყალობა ასევე არ დაიშურეს ლუ-

[85] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. V. მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, ნ. მშვიდობაძემ, გ. მჭედლიძემ და მ. სურგულაძემ. ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მ. სურგულაძემ. თბ. 2015, გვ. 119.

[86] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. IV ტომი. XVI საუკუნე (ქართლი და სამცხე-საათაბაგო). ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ. სპარსული ტექსტები მოამზადა თ. აბაშიძემ. ტომის რედაქტორები ზ. აბაშიძე და ე. ცაგარეიშვილი. თბ. 2016, გვ. 386.

არსაბ II-მ (მეფობდა 1606-1615 წლებში) და მის შემდეგ გამეფებულმა სხვა ბაგრატოვანებმაც.

იმ პერიოდში ქალაქის ნაცვლის თანამდებობაზე აღზევებულმა აზნაურმა გიორგი შანშიაშვილმა დიდძალი მიწები შეიძინა. 1621 წელს მას ბოლნელმა თავადმა აბრამ ბარათაშვილმა ქვემო ბოლნისში მდებარე მამული უბოძა. ამასთანავე, აბრამისაგან გიორგიმ ზემო ბოლნისში მდებარე მიწები შეიძინა. გიორგის, რომელიც 1641 წლის დოკუმენტში სახასო აზნაურად იხსენიება, ჰყავდა ვაჟი პაპია და ძმები: ბეჟანი, ელიზბარი, დოლმაზი, შვილიშვილები: ზაალი, ბაინდური და განაყოფი – ესტატე შანშიაშვილი.[87]

შანშიაშვილები განსაკუთრებით გაძლიერდნენ როსტომ I-ის (მეფობდა 1633-1658 წლებში) ხანაში, რადგან ხელმწიფე წყალობის თვალით უმზერდა თავის ერთგულ ამ აზნაურებს და მათი სახლის თავკაცი ყაფიჩად დანიშნა. ამ თანამდებობაზე ქართლის სამეფო კარზე 1651 წლიდან მსახურობდა აზნაური პაპია/პაპუნა გიორგის ძე შანშიაშვილი, რომელიც 1653 წლიდან დააწინაურეს და სიობათიასაულად დაადგინეს.[88] უკანასკნელ თანამდებობაზე პაპია 1680 წლამდე მოღვაწეობდა.[89]

აქვე განვმარტავთ, რომ ყაფიჩი (თურქულად – მეკარე) იყო საპოლიციო დაცვისა და სასამართლო-ადმინისტრაციული აპარატის მოხელე გვიანფეოდალურ საქართველოში და შედიოდა ცენტრალური აპარატის საპოლიციო უწყების ხელმძღვანელის – ეშიკაღასბაშის (თურქულად – კარის დამცველთა თავკაცი) უწყებაში.[90] რაც შეეხება სიობათიასაულს, ამ ტერმინის დასაწყისი არაბული წარმომავლობისაა, ხოლო დასასრული თურქული, რაც ბრძანების აღმასრულებელს ნიშნავს. ამდენად ის გახლდათ მმართველობითი და მართლმსაჯულებითი აპარატის მაღალი რანგის მოხელე გვიანფეოდალურ საქართველოში, ფაქტობრივად პროტოკოლის სამსახურის უფროსი, რომელმაც გარკვეულწილად ჩაანაცვლა მანდატურთუხუცესობა. შესაბამისად, იასაულმა ჩაანაცვლა მანდატური, რომელიც იმავე აპარატის შედარებითი დაბალი რანგის მოხელე გახლდათ.[91]

---

[87] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. V, გვ. 124.

[88] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. V, გვ. 129.

[89] ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი). პროექტის მონაწილეები: თ. აბულაძე (ხელმძღვანელი), ც. აბულაძე, ხ. ბაინდურაშვილი, ვ. კეკელია, დ. კლდიაშვილი, მ. სურგულაძე, ე. ცაგარეიშვილი. მ. სურგულაძის რედაქციით. თბ. 2017, გვ. 311.

[90] ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი).

[91] დ. ფურცელაძე. იასაული. ენციკლოპედია „საქართველო“. IV. თბ. 2018, გვ. 171.

შანშიაშვილებმა მიწების შეძენა განაგრძეს და ქვემო ქართლში ანგარიშგასაწევ ფეოდალებად ჩამოყალიბდნენ. 1648 წლის 22 აგვისტოს სამების მამასახლისმა პაპია შანშიაშვილს ნასოფლარის ნასყიდობის წიგნი გადასცა.[92]

მეფე როსტომმა შანშიაშვილებს დაუმტკიცა სამკვიდრო და ნაყიდი მიწები, თავადაც უბოძა და ყმა-მამული სახელმწიფო გადასახადებისაგან გაუთავისუფლა. როსტომი შანშიაშვილებს მეზობელ ფეოდალთა მხრიდან შეივწროებისაგანაც კი იცავდა.[93]

როსტომ მეფემ პაპიას 1652 წელს დაუმტკიცა მირზაშვილთაგან შეძენილი სავენახე მამული, რომელიც სამწევრისში მდებარეობდა, ხოლო მომდევნო წელს კი ბორის სოფელსა და სოსანში მისი მკვიდრი და შეძენილი მამულების წყალობა განუახლა.[94]

1670 და 1683 წლების ნასყიდობის წიგნებში იგივე პაპია მოწმედ იხსენიება.[95]

ბოლო დოკუმენტში მოხსენიებულ დოლმაზ (დონმაზ) შანშიაშვილს თავდაპირველად უცხოვრია ძმებთან – პაპიასთან და ელიზბართან, შემდგომში კი გაყრილან.[96]

1667 წლის განჩინებაში დოლმაზისა და პაპიას გაყრის საქმეზე ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და ბძანებითა მეფეთ-მეფისა პატრონის შაჰნავაზითა დავსხედით ჩვენ, მდივანბეგი ბატონი ელიშერ და მდივნები შანშიაშვილის პაპიასა და მისის ძმისა დოლმაზას გასაყრელად და გასაცალკევებლად“.[97]

აქვე განვმარტავთ, რომ ზემოთმოყვანილ ამონარიდში ხსენებულ მონარქში იგულისხმება ქართლის ხელმწიფე ვახტანგ V (მეფობდა 1658-1675 წლებში), რომელსაც გამაჰმადიანების შემდეგ – „შაჰნავაზი“ ეწოდა.

1670 წლის 2 აგვისტოს ბოლნელმა ეპისკოპოსმა იოსებმა (რევიშვილმა) ზემო ბოლნისში მდებარე მამულის ნასყიდობის წიგნი გადასცა დოლ-

---

[92] საქართველოს ეროვნულ არქივი. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფ. 1450, 5/35; პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. III. მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ა. ბაქრაძემ, ლ. რატიანმა და გ. ოთხმეზურმა. ტომი შეადგინეს დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ. თბ. 2004, გვ. 187.

[93] რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, გვ. 401.

[94] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. V, გვ. 129-130.

[95] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 47-74.

[96] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. V, გვ. 126.

[97] ქართული სამართლის ძეგლები. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII საუკუნეები). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1972, გვ. 123.

მაზ შანშიაშვილს, მის ძმას ელიზბარს და მათ ვაჟებს: ნასყიდას, ოთარს, როსტომს, ხოსროს.[98]

1685 წელს ნიკოლოზ ბოლნელმა ღალის ამოკვეთის წიგნი მისცა დოლმაზს და მის ვაჟებს: ნასყიდას, როსტომს, ხოსროს, ავთანდილს, ბახუტას, დათუნას, მანდენას.[99]

1689 წლით დათარიღებულ მამულის ნასყიდობის წიგნში დოლმაზ შანშიაშვილი იხსენიება თავის შვიდ ვაჟთან (ჩამოთვლილი ანბანურად): ავთანდილთან, ბახუტასთან, დათუნასთან, მანდენასთან, ნასყიდასთან, როსტომთან და ხოსროსთან ერთად.[100]

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან – XVIII საუკუნის პირველი მესამედის ჩათვლით, პაპა და დოლმაზ შანშიაშვილები და მათი შთამომავლები თანდათანობით იძენდნენ ყმა-მამულს და თავიანთი საფეოდალოს ტერიტორიას აფართოებდნენ.

აზნაურ შანშიაშვილთა სახელები შემოგვენახა ქართულ სფრაგისტიკულ მემკვიდრეობაშიც, ანუ საბეჭდავების ნიმუშებზე, რომლებიც სიძველეთა საცავებში დაცულ საისტორიო დოკუმენტებზე შემოგვრჩა. ამ საბეჭდავთა გარეგნული სახეები საბუთებზე დასმული ბეჭდებიდან ნათლად ჩანს. მათ შორისაა ბეჭდები მხედრული წარწერებით, რომლებიც მათ მფლობელ შანშიაშვილთა ვინაობას გვაუწყებენ (ჩამოთვლილია ქრონოლოგიურად): 1) დოლმაზის ოვალური ბეჭედი (დათარიღებული 1692 წლით); 2) ნასყიდას ოთხკუთხა ბეჭედი (1692-1715 წწ.); 3) გიორგის ოთხკუთხა ბეჭედი (1714-1728 წწ.); 4) პაპას ოთხკუთხა ბეჭედი (1715-1726 წწ.); 5) ქაიხოსროს ოთხკუთხა ბეჭედი (1722 წ.); 6) ბახუტას რვაკუთხა ბეჭედი (1756 წ.), რომელსაც ამშვენებს ლეგენდა: *„მონა ღეთისა ბახუტა“*.[101]

ქართლში გამეფებული კახი ბაგრატიონის – ერეკლე I-ის (1688-1703 წლებში მეფობდა ქართლში, ხოლო კახეთის მეფედ ითვლებოდა 1703-1709 წლებში, თუმცა იმხანად სპარსეთში იმყოფებოდა) კარზე ბაინდურ (იმავე ბაადურ) შანშიაშვილს ნაზირის თანამდებობა ეკავა. 1689 წელს მას სამწევრისის მოურავობაც უბოძეს.[102]

---

[98] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, გვ. 11.

[99] ქართული სამართლის ძეგლები. III, გვ. 585.

[100] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 81.

[101] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. კატალოგი. II. თბ. 1988, გვ. 28-53.

[102] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. V, გვ. 120.

იმერეთს და რაჭას გახიზნული ქართლის მეფედყოფილი გიორგი XI (მეფობდა 1675-1676 და 1677-1688 წლებში) თავისი ლეგიტიმურად კუთვნილი სამეფო ტახტის დაბრუნებას ლამობდა. იგი ქართლში დაბრუნდა და თბილისში მჯდარ ერეკლე I-ს სამწლიანი ბრძოლა გაუმართა. ასე დაიწყო 1692 წლიდან „ორიანობა" ქართლში, რომელმაც ეს სამეფო ფაქტობრივად ორ ნაწილად გაჰყო.[103] იმ პერიოდში, გიორგი XI-ის მომხრე ბაადურ შანშიაშვილს ერეკლე I-მა ზემო სახუნდარი ჩამოართვა. აღნიშნული დანაშაულის გამოსასყიდად, ბაადურმა ერეკლე I-ის მხარეს თავდადებით იბრძოლა.

ამ ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „ტალავრის ბოლოს, გორათა ზედა... იქმნა კუეთებული ბრძოლა ძლიერი. გარნა მოსწყვდნეს და დაიპყრნეს ქართველთა (იგულისხმება გიორგი XI-ის მომხრე ქართლელნი. – ნ. ჯ.) სრულიად. და მათ მოკლეს ჩოლოყაშვილი გივი, შანშიაშვილი ბაადურ და სხუანიცა".[104]

იმავდროულად, ბაადურის ძმები გიორგი XI-ის მომხრეთა ბანაკში იმყოფებოდნენ. მათ მონდომებას ამაოდ არ ჩაუვლია, ვინაიდან შაჰინშაჰ სოლთან ჰუსეინ სეფიანის (მეფობდა 1694-1722 წლებში) ბრძანებით, 1703 წლიდან ქართლის მეფობა დაუბრუნდა კვლავ გიორგი XI-ს, რომელმაც შანშიაშვილებს ზემო სახუნდარი უკან დაუბრუნა.[105]

აზნაურმა შანშიაშვილებმა თავი ქართლის მმართველ სხვა ბაგრატოვანთა სამსახურშიც ისახელეს. მათ აფასებდა ჯანიშინი ლევან I, რომელიც ქართლს ორჯერ – 1676-1677 და 1703-1704 წლებში განაგებდა (უფროსი ძმის – მეფე გიორგი XI-ის სპარსეთში ყოფნის გამო) და მისი ვაჟიც – ვახტანგ ლევანის ძე (1675-1737), რომელიც 1704-1712 წლებში ჯანიშინობდა, ხოლო სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1719-1723 წლებში მეფობდა და ცნობილია მეფე ვახტანგ VI-ის სახელით.[106]

ქართული სახელმწიფო-ადმინისტრაციული სამართლის ძეგლიდან – „დასტურლამალიდან", რომელიც ვახტანგ VI-მ დაალაგა, ირკვევა, რომ იმხანად სამეფო კარზე შანშიაშვილებს ეკავათ შემდეგი თანამდებობანი: ბეჟანს –

[103] ნ. ჯავახიშვილი. ქართლის სამეფოს ბაგრატოვან მმართველთა ქრონოლოგიური რიგის დაზუსტებისათვის. როგორი თანამიმდევრობით განაგებდნენ ბაგრატიონები ქართლს XVI-XVIII საუკუნეებში. თსუ საქართველო ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVI. თბ. 2020, გვ. 128.

[104] ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 471.

[105] რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, გვ. 402.

[106] ნ. ჯავახიშვილი. ქართლის სამეფოს ბაგრატოვან მმართველთა ქრონოლოგიური რიგის დაზუსტებისათვის, გვ. 125-126.

სოიბათიასაულისა, [107] ალავერდას – მოლარისა, [108] ხოლო პაპუას ძმისწულს – ფარეშისა.[109]

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ზალია ბაადურის ძე შანშიაშვილი იყო იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც დროებით იმერეთში მყოფმა უფლისწულმა ვახტანგ ლევანის ძემ (მომავალმა ჯანიშინმა და მეფემ) 1700 წელს გაგზავნა რუსეთში მყოფ თავის ბიძასთან (მამის უფროს ძმასთან), იმერეთისა და კახეთის მეფედყოფილ არჩილთან.

ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „ვახტანგ მოსვლოდა წარგზავნილი თვისი ზალია შანშიაშვილი, ძე ბაადურისა და მამუკა შათირი არჩილ მეფისაგან, რათა წარვიდეს რუსეთს“.[110] მიუხედავად ამ შეთავაზებისა, ვახტანგმა, როგორც სპარსეთს მყოფი ქართლის კანონიერი მეფის – გიორგი XI-ის ძმისწულმა, ამჯობინა დაბრუნებულიყო თავის მამა-პაპისეულ მამულში, სადაც იმხანად კახი ბაგრატიონი – ერეკლე I მეფობდა. 1701 წელს თბილისში ჩასული ვახტანგი ერეკლე I-მა საკადრისი პატივით მიიღო.[111]

ქართლში ბაქარ I-ის მეფობისას (1716-1719 წლები) აზნაურ შანშიაშვილებს თავიანთი მამულების საზღვრების თაობაზე დავა ჰქონდათ ელიარაშვილებთან და ოფრეთელებთან. 1717 წლის 10 აპრილს, ამ საკითხზე განჩინებაც გამოიტანეს.[112]

პაპია შანშიაშვილის შთამომავალმა – ბეჟან შანშიაშვილმა და მისმა ვაჟებმა – გიორგიმ, ავთანდილმა, იარალიმ და სამოელმა 1721 წელს ზემო სახუნდარაში ყმა-მამული შეიძინეს.[113] იმავე წელსვე ბეჟანმა, მისმა ვაჟებმა – გიორგიმ, ავთანდილმა, იარალიმ და საბამ, ბეჟანის ძმისწულებმა – ქაიხოსრომ, პაპამ, ოთარმა, მანუჩარმა, ფარემუზმა, გიუნამ და ახვერდმა – სახუნდარის ნახევარი შეიძინეს.[114]

ვახტანგ VI-ის მეფობისას, კერძოდ, 1721 წელს, ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ ჩატარებული ქვემო ქართლის აღწერით, რომელსაც ეწოდება „აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და

[107] ქართული სამართლის ძეგლები. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 240.
[108] ქართული სამართლის ძეგლები. II., გვ. 245.
[109] ქართული სამართლის ძეგლები. II., გვ. 247.
[110] ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 478.
[111] ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა.
[112] ქართული სამართლის ძეგლები. IV, გვ. 273-274.
[113] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 191.
[114] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 194.

სომხითისა", აზნაურ შანშიაშვილებს, რომელთა შორისაც იყვნენ: ქაიხოსრო, გიორგი, მიქელა, პაპა, ახვერდი, როსტომი და ნაზარი, ყმა-მამული გააჩნდათ შემდეგ სოფლებში: ზემო სახუნდარი, პატარა სახუნდარი, ატუცი, ხოსანი, ბორი-სოფელი, შანშისოფელი, ტანძუტი, სოსანი და სამწევრისი.[115]

აზნაურ პაპია (იმავე პაპა) შანშიაშვილის შთამომავლებმა სათავე დაუდეს ამ გვარის ერთ-ერთ საგვარეულო განშტოებას – პაპაშვილებს, იმავე პაპიაშვილებს. მათი წარმომადგენელი – შიოშ პაპაშვილი იხსენიება 1724 წელს რუსეთს გადახვეწილი ბაქარ ვახტანგის ძე ბაგრატიონის (1700-1750) თანმხლები ამალის ნუსხაში.[116]

იმავე წელს, თავის ოჯახთან ერთად რუსეთს გახიზნული ვახტანგ VI-ის მრავალრიცხოვანი სამეფო ამალის სიაში, სხვა ქართველ წარჩინებულთა შორის იხსენიება აზნაური შანშე შანშიაშვილიც, რომელსაც სუფრაქეშიშის თანამდებობაზე უმსახურია.[117]

ჩვენი ვარაუდით, აზნაურ შანშიაშვილთა გვარის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მოსკოვში მოღვაწე გრამატიკოსი – „ზურაბ შანშოვანი" თბილისიდან. მან ვახტანგ VI-ის დავალებით, ქართულად დაწერა პირველი ნაშრომი მშობლიური ენის გრამატიკის შესახებ. სპეციალისტთა შეფასებით, ამ ფილოლოგიური ხასიათის თხზულებას უცხო ენის გრამატიკის გავლენა ატყვია. მისმა ავტორმა სწორად შენიშნა ქართული ენის ზოგიერთი თავისებურება (მაგალითად, ზმნის ცვლა სუბიექტისა და ობიექტის პირის მიხედვით), ხოლო მის მიერ დამკვიდრებული გრამატიკული ტერმინები – „სახელი", „ზმნა", „მყოფადი" და ა. შ. დღემდე გამოიყენება.[118]

საუკუნენახევრის შემდეგ, ამ ნაშრომის ხელნაწერი გამოსაცემად მოამზადა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა და თავისი წინასიტყვაობით, მეცნიერებათა აკადემიის ტიპოგრაფიაში 1881 წელს გამოსცა.[119]

---

[115] სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ XVIII საუკუნეში. გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით და წინასიტყვაობით. თბ. 1907, გვ. 269-273.

[116] ს. ყუბანეიშვილი. დავით გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში. თბ. 1955, გვ. 137.

[117] ს. ყუბანეიშვილი. დავით გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში, გვ. 128.

[118] ვ. შენგელია. შანშოვანი ზურაბ. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია" (ქსე). X. თბ. 1986, გვ. 684.

[119] მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა. ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წელსა. გამოსცა ალ. ცაგარელმა. სანკტ-პეტერბურგი. 1881.

1882 წელს სანკტ-პეტერბურგში არსებულმა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სტამბამ წიგნად გამოსცა გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, მწერლის, პუბლიცისტისა და მთარგმნელის, ხოლო შემდგომში წმინდანად შერაცხული დიმიტრი ყიფიანის (1811-1887) „ახალი ქართული გრამმატიკა“, რომელშიც ვკითხულობთ: „ზურაბ შანშოვანი ანგარიშობდა სრბოლს ათსა: საწრფელოს, სანათესაოს, სამიცემადოს, სამოქმედოს, საძიებოს, სადასაბამოს, სამეტყველოს, საშორის-მყოფოს, საგარეშემცოს და საწოდებოს და მერყეობა მოჰყავდა ასე: კაცი, კაცისა, კაცსა, კაცით, კაცს, კაცისაგან, კაცისას, კაცში, კაცითა, კაცო“.[120]

ამ ნაშრომის ღირსებებზე აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავაც მიუთითებდა.[121]

საგულისხმოა, რომ უცხო ენების მცოდნე ზურაბ შანშოვანი მთარგმნელობით საქმიანობასაც წარმატებით ეწეოდა. მან ქართულად თარგმნა უცხოურ ენებზე არსებული რამდენიმე ფილოსოფიური თხზულება.[122] მათ შორის იყო 233-302 წლებში მოღვაწე პორფირი ფილოსოფოსის თხზულება „შეყვანილება ხუთთათვის ხმათა არისტოტელისათა“, რომლის თარგმანიც ასტრახანში მყოფი ვახტანგ VI-ის დავალებით, ზურაბმა 1736 წელს შეასრულა.[123] ამ ხელნაწერის ასლი, გადაღებული არქიმანდრიტ კირილეს მიერ, ინახებოდა 1811 წლიდან სანკტ-პეტერბურგში დამკვიდრებულ უფლისწულთან, გამოჩენილ მეცნიერთან – თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონთან (1782-1846).[124]

„ყიზილბაშობის“ ხანაში, რომელიც 1735-1749 წლებში გრძელდებოდა, ქვემო ქართლში მდებარე არჩილ III-ის (მეფობდა 1736-1737 წლებში) ყმა-მამულს მეთვალყურეობდა მირის შემკრები მისი მოხელე, პაპია შანშიაშვილის შთამომავალთა თავკაცი – ავთანდილი, რომელიც ამ საგვარეულოს ერთ-ერთ განშტოებას – პაპიაშვილებს მეთაურობდა.

მეფედყოფილმა არჩილ იესეს ძემ, რომელიც სამეფო ტახტის დაბრუნების იმედს არ კარგავდა, 1739 წელს ავთანდილ შანშიაშვილს მისწერა: „ჩვენო დიდათ იმედათ მოსარჩენელო და არაოდეს არდასავიწყარო შანშიაშვი-

[120] ახალი ქართული გრამატიკა, სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის დიმიტრი ყიფიანისა, სამეცნიერო აკადემიის სტამბა, სანკტ-პეტერბურგი, 1882, გვ. 21.

[121] არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. თბ. 1965.

[122] ვ. შენგელია. შანშოვანი ზურაბ, გვ. 684.

[123] Р. Орбели. Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР. М.-Л. 1956, с. 53-54.

[124] გ. შარაძე. თეიმურაზ ბაგრატიონი (ცხოვრება). I. თბ. 1972, გვ. 171.

ლო ავთანდილ! ვისაც უნდოდეს და სამწევრისის ჩვენს მამულში მოხნას, ღალას ერთს რვაზე გამოვართმევთ“.[125]

აზნაური ავთანდილ შანშიაშვილი მოწმედ იხსენიება ქართლის ზემოხსენებული მეფის არჩილ III-ის ძმის – გიორგი იესეს ძე ბაგრატიონის ნასყიდობის წიგნში, რომელიც 1736 წლის 8 სექტემბრით თარიღდება.[126]

ქართლში გამეფებულმა კახმა ბაგრატიონმა, კახეთის მეფედყოფილმა თეიმურაზ II-მ (1732-1744 წლებში მეფობდა კახეთში, ხოლო 1744-1762 წლებში – ქართლში) 1749 წელს ზურაბ შანშიაშვილს უბოძა სითარხნის წიგნი, რომელშიც აღუთქვა, რომ იგი შეუნარჩუნებდა შანშიაშვილებს იმ პატივს, რაც მათ გააჩნდათ ერეკლე I-ისა და ვახტანგ VI-ის მეფობის პერიოდში და მათზე მეტს არაფერს მოსთხოვდა.[127]

ბახუტა და გივი შანშიაშვილნი იყვნენ მოწმენი ქვემო ბოლნისის მამასახლისის ფირადას მიერ გიორგი თუმანიშვილისათვის 1756 წლის 3 დეკემბერს გადაცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა.[128]

1781 წელს ქართლ-კახეთის სამეფოში ჩატარებული აღწერით, შანშიაშვილების ყმებს ქვემო ქართლის სოფელ ეკლესიაშიც უცხოვრიათ.[129]

1782 წლის აპრილში, სოფელ ვანქისა და მიმდებარე მამულის საკითხი, აზნაურმა გიორგი შანშიაშვილმა შუაკაცების თანდასწრებით გაარკვია ზაალ იაგულაშვილთან, რომელიც ასევე ქვემო ქართლელი აზნაური იყო. ამ საკითხზე გამოიტანეს საგანგებო განჩინება, რომლის თანახმადაც ეს სოფელი ორივე მხარემ შუაზე გაიყო.[130]

XVIII საუკუნის მიწურულს, ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მოლარისა და ქარხნის ნაზირის თანამდებობანი კვლავ აზნაურ შანშიაშვილებს ეკავათ.

---

[125] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 286.

[126] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. III წიგნი (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე). გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ. თბ. 1967, გვ. 149-150.

[127] რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, გვ. 402.

[128] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, გვ. 53.

[129] ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. I. დემოგრაფიული ძეგლები. აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები. გამოსაცემად მომზადდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტში დ. მეგრელაძისა და ნ. ჯავახიშვილის მიერ. თბ. 1967, გვ. 171.

[130] ქართული სამართლის ძეგლები. V. სასამართლო განჩინებანი (XVIII საუკუნე). ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1974, გვ. 174-176.

გიორგი XII-ის ხელმწიფობის ხანაში, რომელიც 1798-1800 წლებს მოიცავდა, ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მოლარედ აზნაური გიორგი შანშიაშვილი მსახურობდა.[131]

1798 წლის 13 მარტს, მეფე გიორგი XII-ის მიერ ქვემო ქართლის აზნაურ ლორის მელიქიშვილებისადმი (რუსეთის იმპერიაში – ლორის მელიქოვები) ბოძებულ საგვარეულო სიგელთა დადასტურების დოკუმენტი სხვებთან ერთად დაამოწმა აზნაურმა გოგია შანშიაშვილმაც, [132] რომელმაც იმავე საბუთის ბოლოს დართულ თავის წერილობით დამოწმებაში აღნიშნა: „ქ. მე, გოგია შანშიასშვილი ამის მახსოვარი ვარ, რომ მამის ჩემისგანა გამიგონია, რომ ძველთაგან ლორის და ფანფაკის მელიქობა მელიქი მერაბაანთ და იმის შვილების ყოფილა, ყმა და მამულიც იმათ ჭერებოდა. და მეფე ერეკლემაც დაამტკიცა ამათი წიგნი იქ და მოწმე ვარ და მამის ჩემისაგანაც გამიგონია“.[133]

აღსანიშნავია, რომ თუ XVII საუკუნიდან – XVIII საუკუნის შუა ხანებამდე შანშიაშვილები ინტენსიურად იძენდნენ მიწას და საფეოდალოს იფართოვებდნენ, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ისინი თანხას სესხად გასცემდნენ (სათანადო სარგებლის სანაცვლოდ), ხოლო XIX საუკუნიდან ისინი აქტიურად ჩაებნენ კომერციულ ოპერაციებში და სავაჭრო ამხანაგობათა წევრებიც გახდნენ.[134] ეს აშკარად მეტყველებს აზნაურ შანშიაშვილთა დინამიურობაზე, კერძოდ, მათ ნიჭსა და უნარზე – ფეხი აეწყოთ საქართველოში დამკვიდრებული ახალი, კაპიტალისტური წყობისათვის, რაც ქართველი თავადაზნაურობის უმეტესობამ, სამწუხაროდ, ვერ გამოიჩინა. სწორედ ამის სავალალო შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ საქართველოს რუსეთის იმპერიის ფარგლებში ყოფნის პერიოდში, ჩვენს სამშობლოში თანდათან იმძლავრეს უცხოტომელმა კაპიტალისტებმა და მდიდარი ქართველები მართლაც რომ თითებზე ჩამოსათვლელნი იყვნენ.

1810 წლის 24 თებერვალს, მედიატორთა მიერ გამოტანილი განაჩენით, სახუნდარში მცხოვრები გლეხი „სარუა სარუხანას-შვილი“, რომელსაც მარშალ-მორდალი თავადი ზაალ ზურაბის ძე ბარათაშვილი ედავებოდა აზნაურ შაქარა და დავით შანშიაშვილებს, ამ უკანასკნელთა კუთვნილ ყმად აღიარეს.[135]

---

131 სცსა. ფ. 1450. დავთარი 18. საბუთი 60.

132 სცსა. ფ. 1450. დავთარი 18. საბუთი 60.

133 ა. ბოშიშვილი. მელიქის სახელო საქართველოში. თბ. 2013, გვ. 137-138.

134 რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, გვ. 402.

135 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, გვ. 230.

რუსეთში იძულებით გადასახლებულ ქართველ უფლისწულებთან დაახლოებულ თანამოაზრეთა წრეში აზნაური ერემია შანშიაშვილიც ერია. იგი განსაკუთრებით მეგობრობდა პეტერბურგში მცხოვრებ დიმიტრი იულონის ძე ბაგრატიონთან (1803-1845), [136] რომელიც 1832 წლის მიწურულს საქართველოში გამჟღავნებული ანტიიმპერიული შეთქმულებითი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი გახლდათ.[137]

აზნაური იარალი შანშიაშვილი სანკტ-პეტერბურგს მცხოვრები უფლისწულის – ფარნაოზ ერეკლეს ძე ბაგრატიონის (1777-1852) კარის მგოსანი იყო. მისმა ლექსებმა და მუხამბაზებმა სამშობლოს მონატრება გაუმძაფრა რუსეთის საიმპერიო არმიის სამსახურში მყოფ დიდ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს გრიგოლ ორბელიანს (1804-1882). მან იარალი შანშიაშვილს პატივისცემის ნიშნად მიუძღვნა საგანგებო ლექსი, რომლის შესახებაც წინამდებარე ნაშრომის მერვე ქვეთავში ვრცლად ვსაუბრობთ.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნის პერიოდში აზნაურ შანშიაშვილთა უმრავლესობა, რუსიფიცირებული ფორმით – „შანშიევად“ იწერებოდა.

პეტერბურგში გადასახლებულ ბატონიშვილებთან მცხოვრები თეოლოგის, ფილოსოფოსისა და მქადაგებელი ბერის – იონა ხელაშვილისადმი (1772-1837) მისი ძმის გიორგი ხელაშვილის მიერ 1828 წლის 25 ოქტომბერს გაგზავნილ წერილობით პირობაში ერთ-ერთ მოწმედ დასახელებულია „საქართველოს აზნაურიშვილი შიო შანშიევ“.[138]

1861 წლის 12 ოქტომბერს, პეტერბურგში დაპატიმრებულ ქართველ რევოლუციონერ სტუდენტთა ჯგუფში აბელ და ნიკოლოზ შანშიევებიც შედიოდნენ.[139]

თბილისის გუბერნიის მკვიდრი კაპიტანი ზაქარია სამუელის ძე შანშიევი დაჯილდოვდა წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით, რაც რუსეთის იმპერიის უმაღლეს სამხედრო ჯილდოდ ითვლებოდა. როგორც ამ ორდენის კავალერს, მას ამიერკავკასიის სახაზინო პალატიდან ყოველწლიურად ეძლეოდა

[136] М. Горгидзе. Грузины в Петербурге. Страницы летописи культурных связей. Тб. 1976, გვ. 336.

[137] მ. ბერძნიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. I. თბ. 1980, გვ. 208.

[138] ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი. VI-VII. იონა ხელაშვილის ეპისტოლური არქივი (1809-1835 წწ.). შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო გ. დედაბრიშვილმა. თბ. 2000, გვ. 454.

[139] М. Горгидзе. Грузины в Петербурге, გვ. 343.

150 მანეთი (რუსული „რუბლის“ ქართული შესატყვისი) ვერცხლით, რაც იმხანად საკმაო ოდენობის თანხას წარმოადგენდა. საარქივო მონაცემებით დასტურდება, რომ შანშიევი ამ თანხას 1862-1864 წლებში იღებდა.[140]

1863 წელს გაზეთში «Кавказ» გამოქვეყნდა აგრონომ შანშიევის სტატია, რომელიც აბრუშემის მრეწველობა-ვაჭრობის საკითხებს შეეხებოდა.[141]

ქართული წიგნების კატალოგებისათვის მასალების მოძიება-შესწავლაში დამსახურება, სხვა მეცნიერებთან ერთად, მიუძღვის გიორგი შანშიევსაც, [142] რომლის მიერ შედგენილი ქრონოლოგიურ-ბიბლიოგრაფიული კატალოგი 1883 წელს გამოიცა.[143]

1862 წელს დაბადებული ნიკოლოზ შანშეს ძე შანშიევი სამხედრო სამსახურში 1880 წლიდან შევიდა. ოფიცრის რანგში მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და I მსოფლიო ომებში. მსახურობდა გრენადერთა XIII პოლკში. 1917 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. მონაწილეობდა სამოქალაქო ომში. ირიცხებოდა შეიარაღებულ ძალთა თადარიგის შემადგენლობაში: „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალების“ მთავარსარდალ ანტონ დენიკინის შტაბში (1918-1919), კიევის (1919-1920) და ნოვოროსიისკის ოლქებსა და ქერჩში (1920). 1920 წლიდან მოღვაწეობდა ემიგრაციაში. დაჯილდოებული იყო წმ. ვლადიმირის III, წმ. ანას III და წმ. სტანისლავის II ხარისხის ორდენებით.[144]

1890 წლის მონაცემებით, ბაქოს გუბერნიის ჯევათის მაზრაში მომრიგებელ მოსამართლედ მსახურობდა ნიკოლოზ ზურაბის ძე შანშიევი, [145] ქუთაისის სამხედრო საგუბერნატოროში შემავალი სამურზაყანოს სამაზრო სამხედრო-სახალხო სასამართლოში მომრიგებელ შუამავლად მოღვაწეობდა კონსტანტინე ზაქარიას ძე შანშიევი, [146] ხოლო რუსეთის საიმპერიო მუსიკა-

[140] Документы по истории Грузии (1862-1917). Т. I. Часть 2. Под редакцией Ш. Чхетия. Тб. 1960, გვ. 327; 459.

[141] Газ. «Кавказ». № 63. Тифлис. 1863.

[142] ა. იოსელიანი. ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები (უძველესი დროიდან - XIX საუკუნის 60-იან წლებამდე). თბ. 1990, გვ. 391-392.

[143] Хронологический указатель книг и брошюр, вышедших на грузинском языке с 1629 по 1883 год. Издание Кавказского цензурного комитета. Издание Г. Шапшиева. Тифлис. 1883.

[144] Н. Джавахишвили. Грузинские Белогвардейцы. Научнопрактический журнал «Современная наука: Актуальные проблемы теории и практики». Серия – Гуманитарные науки. № 4-5. Москва. 2012, გვ. 38; С. Волков. Белое движение. Энциклопедия гражданской войны. СПб.-М. 2003, გვ. 629.

[145] Кавказский календарь на 1890 год, გვ. 17.

[146] Кавказский календарь на 1890 год, გვ. 127.

ლური საზოგადოების თბილისის განყოფილებასთან არსებულ მუსიკალურ სასწავლებელში იტალიურ ენას – ა. ფ. შანშიევა ასწავლიდა.[147]

თბილისში დაიბადა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, დოქტორი სერგეი კონსტანტინეს ძე შანშიევი (1893-1974). ლენინგრადის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების (1924) შემდეგ, იგი ინჟინრად მუშაობდა ზაჰესის, რიონჰესისა და თავფარავანჰესის დაპროექტება-მშენებლობაზე, ხოლო შემდეგ „თბილჰიდროპროექტში“ მთავარ კონსტრუქტორად მოღვაწეობდა. ხრამჰესის აგებისათვის სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია (1951). დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.[148]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შანშიაშვილთა შორის, გარდა აზნაურებისა, იყვნენ გლეხებიც, რომლებიც ქართლსა და კახეთში ცხოვრობდნენ და რომელთა გენეტიკური კავშირი აზნაურებთან (ძირად – გამყრელიძეებთან) ჯერჯერობით გაურკვეველია.

1630 წელს, ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა, ქართლის მეფე გიორგი X-ის სულის საოხად აღაპი გაუჩინა მთაწმინდის პორტაიტის ღმრთისმშობელს (იმავე ათონის ივერიის ღვთისმშობლის ხატს), კერძოდ, შესწირა ყმა-გლეხი ძმები – იოვანე და შიუკა შანშიაშვილები, რომლებიც შიდა ქართლის სოფელ მეჯვრისხევში ცხოვრობდნენ.[149]

შეწირულების განახლების ამ წიგნში ვკითხულობთ: „ჩვენ, ღვთივგვირგვინოსანმან, მეფეთ-მეფემან პატრონმან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან, მღვთივ-გვირგვინოსანთა ქართველთა მეფეთა ასულმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ხვარაშან, და პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, პატრონმან დავით, ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და შემოგწირეთ დიდებულსა ტაძარსა თქვენსა პორტაიტისა (იგულისხმება პორტაიტი – ნ. ჯ.) მღვთისმშობელსა, სასოსა და მეოხსა სულისა ჩვენისასა და მეფობისა ჩვენისასა წარმმართებელსა მოგახსენეთ და შემოგწირეთ მცირედი ესე შესაწირავი: მეჯუარისხევს – გურგელაძე დათუნა, ჯაყელი ხახნია, მილაძე დემეტრა, ლაზაძე მგელა, გებგაძე იოვანე, შანშიაშვილი იოვანე და შიუკა“.[150]

XVII საუკუნის მეორე ნახევარში შიდა ქართლის სოფელ ჭალაში მცხოვრებ გლეხ შანშია შანშიაშვილს, როგორც ამ სოფლის მფლობელი თა-

[147] Кавказский календарь на 1890 год, გვ. 244.

[148] შანშიევი სერგეი კონსტანტინეს ძე. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“. X. თბ. 1986, გვ. 684.

[149] პირთა ანტერებული ლექსიკონი. V, გვ. 127.

[150] დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ. წყაროების პუბლიკაცია და გამოკვლევა. ავტორ-შემდგენელთა ჯგუფი თ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით. თბ. 2019, გვ. 260.

ვადის – ამილახვრის ყმას, ლაშქრად წასვლა ევალებოდა.[151]

შაჰინშაჰის მოთხოვნით ისპაჰანს მყოფმა კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწულმა ერეკლე დავითის ძემ (მომავალმა ერეკლე I-მა) 1678 წელს თავად ზურაბ ანდრონიკაშვილს უბოძა ყმა-გლეხი შანშიაშვილი, რომელიც გურჯაანში სახლობდა.[152]

კახეთის სოფელ ჯიმითიდან ჯუგაანში გადასახლებულ შანშიაშვილთა შთამომავალი იყო პოეტი, დრამატურგი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სანდრო (ალექსანდრე) ილიას ძე შანშიაშვილი (1888-1979), რომლის მამაც სასულიერო წოდებას განეკუთვნებოდა და მღვდლად მსახურობდა.[153]

სანდრო შანშიაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი იყო „იარალი“,[154] ანუ სახელი XIX საუკუნეში პეტერბურგში მოღვაწე ზემოხსენებული იარალი შანშიაშვილისა.

თბილისში დაბადებული ფერმწერი ცისია ალექსანდრეს ასული შანშიაშვილი (1921-2008) – საქართველოს დამსახურებული მხატვარი გახლდათ.

ქვემო მაჩხაანში დაბადებული მოქანდაკისა და გრაფიკოსის ჯემალ დავითის ძე შანშიაშვილის (1936-1998) ასულია მომღერალი ნუცა შანშიაშვილი (დაბ. 1970 წელს), რომელიც საზღვარგარეთ მოღვაწეობს.

ამრიგად, XVII საუკუნის შუა ხანებში რაჭიდან თბილისში გადასახლებული აზნაური გამყრელიძე ქვემო ქართლელ აზნაურ შანშიაშვილს ჩაესიძა და ბოლნისის შემოგარენში დასახლდა. მან შანშიაშვილის გვარი მიიღო და სათავე დაუდო ამ საგვარეულოს განახლებულ შტოს. ამ შტოს წარმომადგენლები ერთგულად ემსახურებოდნენ ბაგრატოვან ხელმწიფეებს და მათგან წყალობაც არ აკლდათ.

ქართლ-კახეთის სოფლებში: მეჯვრისხევში, ჭალაში, გურჯაანში, ჯიმითსა და ჯუგაანში მცხოვრებ შანშიაშვილთა გვარის ზემოხსენებულ წარმომადგენელთა გენეტიკური კავშირი ქვემო ქართლში მცხოვრებ შანშიაშვილებთან ჯერჯერობით დადგენელი არ არის, თუმცა მისი გამორიცხვაც შეუძლებელია.

---

[151] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. V, გვ. 133.

[152] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. V, გვ. 119.

[153] მწერალთა ავტობიოგრაფიები. I. გამომცემელი ლ. ბაქრაძე. თ. თვალავაძის რედაქციით. წიგნზე მუშაობდნენ: მ. ხუბულური, ი. ამირიძე, ლ. ქიტიაშვილი, ნ. კობალაძე, ნ. გოგუა. თბ. 2013, გვ. 531-533.

[154] ცისფერყანწელთა მიმოწერა. II. გამომცემელი ლ. ბაქრაძე. რედაქტორ-შემდგენელი თ. თვალავაძე. ტექსტი მოამზადეს ნ. კიკნაძემ და ი. ღადუამ. თბ. 2018, გვ. 355.

## 4. გამყრელიძეთა შიდა ქართლის განშტოება

აზნაური გამყრელიძენი ცხოვრობდნენ შიდა ქართლშიც, სადაც ისინი უნდა დამკვიდრებულიყვნენ არაუგვიანეს XVII საუკუნის შუა ხანებისა, ანუ ქართლის სამეფოს არსებობის ხანაში.

გამყრელიძეთა ერთი ნაწილი იყო საბატონო აზნაური სოფელ ხოვლეში (ამჟამად – კასპის მუნიციპალიტეტი) მოსახლე თავადი ჯავახიშვილებისა, [155] ხოლო ნაწილი – თავადი მაჩაბლებისა, რომელთა საფეოდალოსაც „სამაჩაბლოს“ უწოდებდნენ.[156]

აქვე დავსძენთ, რომ წარსულში სამაჩაბლოში შემავალი ტერიტორია, შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე და საბჭოთა პერიოდში ე. წ. „სამხრეთ ოსეთად“ წოდებულ სხვა მიწებთან ერთად, ამჟამად ოკუპირებულია და იძულებით ჩამოშორებული დედასამშობლოს.

1666 წლით დათარიღებული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ შიდა ქართლელმა თავადმა პაპუნა ფავლენიშვილმა პირობა მისცა თავად ბაადურ მაჩაბელს, რომ ამიერიდან მასთან და მის საბატონო აზნაურ გამყრელიძესთან სადავო არაფერი ექნებოდა.[157]

იმავე წლით დათარიღებული საბუთიდან დგინდება, რომ თავად ბაადურ მაჩაბლის საბატონო აზნაურის ყარაშა გამყრელიძის ვაჟს – ბეჟანს შემოკვდომია ივანე მაისურაძე, – ძმა მამუკა მაისურაძისა. ეს სასისხლო დავა გაურიგებიათ ქართლის მეფე ვახტანგ V-ის, იმავე შაჰნავაზის და დარბაისელთა მონაწილეობით. მამუკა მაისურაძეს გამყრელიძეებისათვის შერიგების წიგნი მიუცია.[158]

1674 წლით დათარიღებული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ავთანდილ გამყრელიძე იყო მოწმე პაპუა, ხოსია, თამაზა და სეხნია ტატიშვილების გაყრის წიგნისა.[159]

იოანე ბაგრატიონის გენეალოგიურ თხზულებაში ჩამოთვლილ ქართლის აზნაურულ საგვარეულოებს შორის გამყრელიძეები დასახელებულნი

---

[155] ქართული სამართლის ძეგლები. II, გვ. 489.

[156] ქართული სამართლის ძეგლები. VIII. სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1985, გვ. 845.

[157] ხეც Qd–8710; ქართული სამართლის ძეგლები. VIII, გვ. 845.

[158] ხეც Qd–8925.

[159] ხეც Sd–607.

არიან საჯავახიანოს, ანუ თავად ჯავახიშვილთა საფეოდალოში მოსახლე აზნაურებად. ნაშრომში აღნიშნულია, რომ გამყრელიძეთა ამ შტოს წინაპარი სახასო (ანუ ტახტის) აზნაური 1675 წელს იმერეთიდან შიდა ქართლში გადასახლებულა.[160]

1721 წლის 27 იანვარს თავადმა ფარემუზ ჯავახიშვილმა და მისმა ვაჟმა ერასტიმ სვეტიცხოველის სახლთუხუცესს, ამილბარ მაღალაძეს (იმავე მაღალაშვილს) და მის შვილებს ვალის სანაცვლოდ გადასცა შიდა ქართლის სოფელ ქვენადრისში მდებარე მამულის და იქ მოსახლე ყმების ნასყიდობის წიგნი, რომლის მოწმე პირთა შორის იხსენიება „ჩვენი აზნაურიშვილი გამყრელიძე მამუკა“.[161]

მამუკა მოწმედ იხსენიება ფარემუზ ჯავახიშვილისა და მისი ვაჟის ერასტის მიერ იმავე წლის თებერვლის დასაწყისში მოლარეთუხუცეს პაპუნა დოქიძისა და მისი ვაჟისათვის გადაცემულ სოფელ ყარაღაჯში მცხოვრები ყმის ნასყიდობის წიგნშიც.[162]

იმავე პერიოდში თავად ავთანდილ ჯავახიშვილის და მისი ვაჟის მზეჭაბუკის მიერ ამილბარ მაღალაძისა მისი შვილებისათვის ვალის სანაცვლოდ გადაცემული სოფელ ყარაღაჯში მდებარე მამულის და იქ მოსახლე ყმების ნასყიდობის წიგნში მოწმეთა შორის კვლავ „ჩემი აზნაურიშვილი გამყრელიძე მამუკა“ იხსენიება.[163]

მამუკა გამყრელიძე იყო მოწმე თავადი ჯავახიშვილების: გიორგი ნიკოლოზის ძის, ქაიხოსრო, სვიმონ, ბერი, ზაალ და ვახტანგ როინის ძეების მიერ 1737 წლის 4 აპრილს აზნაურ შერმაზან ნინიას (იმავე ივანეს) ძე ხურსიძის, მისი ვაჟებისა და ძმებისათვის გადაცემულ სოფელ საყავრეში მდებარე მამულის და იქ მოსახლე ყმის ნასყიდობის წიგნისაც.[164]

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს დართულ ქართლ-კახეთის სამეფოს თავადაზნაურთა სიაში შიდა ქართლში მცხოვრებ თავად ჯავახიშვილთა სათავადო (ანუ საბატონო) აზნაურებს შორის – გამყრელიძენიც იხსენიებოდნენ.[165]

---

[160] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, გვ. 99.

[161] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 189.

[162] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 190.

[163] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I.

[164] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 266.

[165] გეორგიევსკის ტრაქტატი, გვ. 62.

ამრიგად, XVII საუკუნის შუა ხანებში რაჭიდან შიდა ქართლში გადასახლებულ გამყრელიძეთა ერთი ნაწილი გახდა თავად ჯავახიშვილთა, ხოლო მეორე ნაწილი – თავად მაჩაბელთა საბატონო აზნაური.

## 5. გამყრელიძეთა კახეთის განშტოებანი

აზნაურ გამყრელიძეთა საგვარეულო განშტოებანი ცხოვრობდნენ კახეთის რეგიონის იმ სოფლებში, რომლებიც ამჟამად ადმინისტრაციულად ყვარლის, ახმეტისა და საგარეჯოს რაიონებს განეკუთვნება. ისინი უნდა დამკვიდრებულიყვნენ არაუგვიანეს XVIII საუკუნის მიწურულისა, ანუ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ხანაში.

ვინაიდან გამყრელიძეთა ამ საგვარეულო განშტოებათა კვალი კახეთში ჩნდება გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) დადების შემდეგ, კერძოდ, XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, შესაძლებელია, რომ ყველა მათგანი ერთი ოჯახიდან მომდინარეობდა.

გიორგი XII-ის (1746-1800) მეფობის პერიოდში (1798-1800 წლები) – სამეფო კარის ფარეშთუხუცესის თანამდებობა ეკავა აზნაურ ანდუყაფარ გამყრელიძეს, რომელიც იმავდროულად დედოფალ მარიამ ციციშვილის (1768-1850) სუფრაჯიც გახლდათ.

როგორც ჩანს, მეფე გიორგი XII წყალობის თვალით უმზერდა ანდუყაფარ გამყრელიძეს, ვინაიდან იგი მოურავად დანიშნა კახეთის ერთ-ერთ ყველაზე ხალხთმრავალ და მდიდარ სოფელ შილდაში, რომელიც ამჟამად ყვარლის მუნიციპალიტეტში შედის.

იმპერატორ ალექსანდრე I-ის (მეფობდა 1801-1825 წლებში) მიერ 1801 წლის 12 სექტემბერს გამოცემული მანიფესტის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთის უზარმაზარი იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა. აღმოსავლეთ საქართველოში რუსული წეს-წყობილება დამყარდა.

1802 წლის 11 სექტემბერს „საქართველოს მთავარსარდლად“ ანუ უმაღლეს სამხედრო და სამოქალაქო მმართველად დაინიშნა გარუსებული ქართველი თავადი, გენერალ-ლეიტენანტი პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი (1754-1806), რომლის პაპა, პაპუნა (პავლე) ციციშვილი – ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ამალის წევრი გახლდათ.[166]

[166] მ. ბერძნიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II. თბ. 1983, გვ. 234-237.

1803 წლის 25 ივნისს „მათს ბრწყინვალებას, საქართველოს უმაღლესს მმართებელს“ პავლე ციციანოვს ასეთი მოხსენებით მიმართა ანდუყაფარ გამყრელიძემ:

„ქ. გიორგი მეფის სიგელები მიჭირავს და სახელოების წყალობა მჭირდა. წელიწადში მქონდა ულუფა, ჯამაგირი და სარგო ოცდაათი თუმანი. თვესა ივნისის კე (25), ქკს უჟა (491), წელსა 1803.

კეთილშობილი გამყრელიძე, ფარეშთუხუცეს-სუფრაჯი, მოურავი. ანდუყაფარ“.[167]

აზნაურ ანდუყაფარ გამყრელიძის შემდგომი ბედი ჯერჯერობით დაუდგენელია.

ქართლ-კახეთის დედოფალ მარიამთან დაახლოებულ წარჩინებულთა წრეში შედიოდა აზნაური ქაიხოსრო გამყრელიძეც, რომელიც სავარაუდოდ, ზემოხსენებული ანდუყაფარ გამყრელიძის ოჯახის წევრი, ანდა ახლო ნათესავი უნდა ყოფილიყო.

პავლე ციციანოვისათვის ცნობილი გახდა, რომ დაქვრივებული დედოფალი მარიამი ცდილობდა თავი აერიდებინა რუსეთში გადასახლებისათვის და ამ მიზნით, თავის შვილებთან ერთად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონში – ხევსურეთში გახიზნვას გეგმავდა.[168]

ქართლ-კახეთის დედოფალმა ქაიხოსრო გამყრელიძეს, როგორც თავის ერთგულ ფეოდალს, გაანდო თავისი ჩანაფიქრი – ფარულად გადასულიყო ფშავში და იქიდან წერილობით ეთხოვა იმპერატორისათვის, რომ სამშობლოში დარჩენის ნება დაერთო.

ქაიხოსრო გამყრელიძემ დედოფალ მარიამს ურჩია, რომ ეს სურვილი გადაეფიქრებინა, ვინაიდან ამის გამჟღავნების შემთხვევაში მას რუსეთის იმპერიის ადგილობრივი ადმინისტრაცია დააპატიმრებდა და სატუსაღოში გამოამწყვდევდა.[169]

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის შემადგენლობაში შეყვანის შემდეგ, ქაიხოსრო იძულებული გახდა, რომ იმპერიის სამსახურში ჩამდგარიყო.

---

[167] სცსა. ფ. 226. საქმე 9047. საბუთი 100; მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკი). ნაკეთი I. № 25. თბ. 1948, გვ. 73.

[168] მ. ბერძნიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II, გვ. 89.

[169] АКАК. Т. II. Тифлис. 1868, გვ. 117.

რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ საქართველოს მმართველად დადგენილი იტალიური წარმომავლობის მარკიზის, გენერალ-ლეიტენანტ ფილიპ ოსიპის ძე პაულუჩისადმი (1779-1849) 1812 წლის 13 აპრილს წარდგენილ მოხსენებაში საიმპერიო არმიის მაიორი, თავადი სოლომონ ავალიშვილი აღნიშნავდა, რომ აზნაური ქაიხოსრო გამყრელიძე ერთგული სამსახურისათვის ჯილდოდ იმსახურებდა „ტემლაკს“ («Темляк»), ანუ სამხედრო წარჩინების ნიშანს, რომელიც ხმლის ვადას ამშვენებდა.[170]

კახეთში დამკვიდრებულ გამყრელიძეთა ერთ-ერთი საგვარეულო განშტოება ცხოვრობდა სოფელ აწყურში, რომელიც ამჟამად ადმინისტრაციულად ახმეტის მუნიციპალიტეტში შედის.

ამ სოფლის მიდამოებში მდებარე „მაღალგორისა“ და „კვირაცხოვლის“ ხევების საძოვრები იქაურ მემამულე აზნაურებთან – სულხანიშვილებთან და მელვინეთუხუცესებთან ერთად, აწყურში მათზე გვიან დამკვიდრებულ აზნაურ გამყრელიძეებსაც ეკუთვნოდათ. ამ საძოვრებით უფასოდ სარგებლობის უფლებას ადგილობრივი გლეხობა XIX საუკუნის ბოლო მესამედიდან ითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ 1887 წელს, ეს დავა სასამართლომ მემამულეთა სასარგებლოდ გადაწყვიტა, გლეხობამ განაგრძო ჩივილი, რამაც კულმინაციას XX საუკუნის დამდეგს მიაღწია.[171]

აწყურში დაიბადნენ სახელოვანი მსახიობები – დავით მერაბის ძე გამყრელიძე (1863-1928), რომელიც ცნობილია „დავით აწყურელის“ ფსევდონიმით და მისი უმცროსი ძმა – ვიქტორ მერაბის ძე გამყრელიძე (1866-1942).

დავითმა თბილისის სამასწავლებლო სასწავლებელი დამთავრა. იმავე პერიოდიდან მონაწილეობდა საშინაო თეატრალურ წარმოდგენებში. პროფესიულ სასცენო საქმიანობას თბილისის მუდმივ ქართულ დრამატულ დასში 1883 წლიდან შეუდგა. შედიოდა ვასო აბაშიძის სკოლის მსახიობთა ჯგუფში. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ქუთაისის, თელავისა და ბაქოს ქართულ თეატრებში. ძირითადად ასრულებდა სახასიათო-კომედიურ როლებს. გამოირჩეოდა ეფექტური გარეგნობით, გარდასახვის უნარით, უშუალობით, ტემპერამენტით, ხმის ხავერდოვანი ტემბრით. სამსახიობო ოსტატობის ნიმუშებად ითვლება მის მიერ შთამბეჭდავად განსახიერებული როლები შემდეგ პიესებში: ალექსანდრე ცაგარელის „რაც გინახავ, ველარ ნახავ“ (გიჟუა), „ციმბი-

[170] АКАК. Т. V. Тифлис. 1873, გვ. 85.

[171] გ. ათანელიშვილი. რევოლუციური მოძრაობა კახეთში 1905-1907 წლებში. თბ. 1987, გვ. 11-12.

რელი“ (პეტუა) და „ხანუმა“ (აკოფა), ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“ (ბესო), უილიამ შექსპირის „მეფე ლირი“ (მასხარა), გაბრიელ სუნდუკიანის „დაქცეული ოჯახი“ (გიჟ-მოზე), „პეპო“ (კაკული) და „ხათაბალა“ (ისაია), ალექსანდრ გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ (რეპეტილოვი), ალექსანდრ ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავე“ (შმაგა) და სხვ.

დავით აწყურელი აქტურად მონაწილეობდა საქართველოს ცალკეული ქალაქების თეატრების მოღვაწეობაში. მანვე დაწერა, გადმოაკეთა და თარგმნა 15-მდე პიესა.[172]

ვიქტორ გამყრელიძემ 1884 წელს დაამთავრა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი. სწავლის პერიოდში მონაწილეობდა ინსტიტუტის წარმოდგენებსა და კონცერტებში, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა და გარდასახვის უნარის მქონე მსახიობმა. მოღვაწეობდა თბილისის ქართულ თეატრში (1885-1900) და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ცალკეულ დასებში, მათ შორის რამდენიმე სეზონის განმავლობაში – ქუთაისში, სადაც კომიკურ-სახასიათო როლებს განასახიერებდა. შთამბეჭდავი სახეები შექმნა ალექსანდრე ცაგარელის პიესებში: „რაც გინახავ, ვეღარ ნახავ“ (გიჟუა), „ციმბირელი“ (ივანე), „ხანუმა“ (ვანო ფანტიაშვილი) და სხვ. მანვე განასახიერა სახასიათო დრამატული როლები შემდეგ პიესებში: ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“ (ანანია), აკაკი წერეთლის „პატარა კახი“ (გელა), უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“ (კლავდიუსი), კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ (დე სილვა) და სხვ.

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ მუშაობდა სტუდიაში „სახკინმრეწვი“, სადაც არაერთ ფილმში გადაიღეს (1925-1935). 1932 წელს ვ. გამყრელიძეს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.[173]

ვიქტორის მიერ განსახიერებულმა როლმა დავით ერისთავის პიესაში „სამშობლო“ ისეთი აღიარება მოიპოვა, რომ მას დიდი ილია ჭავჭავაძე (1837-1907) საგანგებოდ გამოეხმაურა სტატიით: „ბ-ნი ვიქტორ გამყრელიძე სვიმონ ლეონიძის როლში“.[174]

ვიქტორის ძმის, მღვდელ არჩილ გამყრელიძის აწყურშივე დაბადებული ასული ნინო (1890-1973), თელავის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებ-

[172] შ. ცუცქირიძე. აწყურელი (გამყრელიძე) დავით მერაბის ძე. ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. 1, თბ. 1997, გვ. 271.

[173] შ. ცუცქირიძე. გამყრელიძე ვიქტორ მერაბის ძე. ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. 1, თბ. 1997, გვ. 546.

[174] ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. 2. თბ. 1941.

ლის დამთავრების შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სკოლებსა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც 1939 წელს დაარსდა.

მისმა მეუღლემ, თელაველმა აზნაურმა სოლომონ ზაალის ძე მაჭავარიანმა (1882-1924) სამხედრო განათლება სიბირსკის კადეტთა კორპუსსა და ელიზავეტგრადის საკავალერიო სასწავლებელში მიიღო. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, სადაც ცხენოსანთა I პოლკში ესკადრონს მეთაურობდა, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში პოლკოვნიკის წოდებით მსახურობდა.

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, ახალი რეჟიმის მიუღებლობის გამო, სოლომონ მაჭავარიანმა სამხედრო სამსახური შეწყვიტა. 1924 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოში მიმდინარე ანტიბოლშევიკური სახალხო აჯანყების დროს მეთაურობდა თელავის მაზრაში მოქმედ ამბოხებულ ოფიცრებს. თანაშემწეობას უწევდა კაპიტანი ირაკლი გამყრელიძე, რომელიც მისი მეუღლის აწყურელი ნათესავი გახლდათ.

ამ აჯანყების სისხლში ჩახშობისას, თელავის ციხეში ჩასმულ ამბოხების მონაწილე ან მის თანამგრძნობ თავადაზნაურებთან ერთად, დახვრიტეს სოლომონ მაჭავარიანი, მისი სიმამრი – არჩილ გამყრელიძე და მისი ნათესავი ალექსანდრე (საშა) დავითის ძე გამყრელიძეც, რომელიც საკუთარ ქორწილში დააპატიმრეს.[175]

აზნაურ გამყრელიძეთა ერთ-ერთი საგვარეულო განშტოება გარეკახეთში ცხოვრობდა. აქვე განვმარტავთ, რომ გარეკახეთი წარსულში მოიცავდა როგორც თანამედროვე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიას, ასევე თბილისის შემოგარენში მდებარე ხალხთმრავალ სოფლებსაც: სართიჭალას, მარტყოფს, ნორიოს, ახალსოფელს და ლილოს, რომლებიც ამჟამად აღარ განეკუთვნება კახეთის რეგიონს და ადმინისტრაციულად ქვემო ქართლის რეგიონში გაერთიანებულ გარდაბნის მუნიციპალიტეტში შედის.

გარეკახეთში დამკვიდრებული გამყრელიძენი ცხოვრობდნენ ამ რეგიონის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ყანდიაურში, რომელსაც მოგვიანებით ყანდაურა ეწოდა. ამჟამად ეს სოფელი გაყოფილია ორ ნაწილად – ზემო და ქვემო ყანდაურად და ადმინისტრაციულად საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შედის.

სპარსეთის შაჰინშაჰ აბას I-ის მიერ 1614-1617 წლებში მოწყობილი გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად, გარეკახეთი და მათ შორის ყანდი-

[175] მ. გოგბაიძე, გ. ჯავახიშვილი. ქალთა განათლების კერები თელავში. თბ. 2010, გვ. 53-54.

აურიც ნასოფლარად იქცა. საუკუნენახევრის განმავლობაში ეს ტერიტორია დაუსახლებელი რჩებოდა.[176]

XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში, ერეკლე II-ის (მეფობდა 1744-1798 წლებში) ბრძანებით, ყანდიაურის აღდგენა დაიწყეს.

1797 წლის 23 თებერვალს, კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის (ერისკაცობაში – თეიმურაზ ერეკლეს ძე ბაგრატიონის) მიერ გამოცემულ განჩინებაში „სოფელ ყანდიაურის თაობაზე“ აღნიშნული იყო: „ყანდიაური სოფელი ძველთაგანვე ალავერდის წმიდის გიორგის ეკლესიის შეწირული არის და შაჰ აბაზ ყეენს რომ კახეთი მოუოხრებია, მასუკან ხარაბათ (იგულისხმება – დაუსახლებელი. ნ. ჯ.) იყო... მისმა უმაღლესობამ, მეფემან ქართლისამან და მეფემან კახთამან და სხვათა ირაკლი მეორემან იგულა და იგულისმოდგინა ამ ყანდიაურის სოფლის გაკეთება, მოიყვანა და თავისი სახასო კაცნი დაასახლა და სხვაც მრავალი ხარჯი ჰქმნა... რადგანაც კაცნი მისის უმაღლესობის მეფის ირაკლის სახასო ყმანი არიან და მამული ალავერდის წმინდის გიორგის ეკლესიისა არის, რაც ამ სოფლის გამოსავალი იქნებოდეს, ნახევარი სამეფოდ მიერთმეოდეს და ნახევარი წმინდის გიორგის ალავერდის ეკლესიას მიერთმეოდეს“.[177]

ერეკლე II-მ სოფელი ყანდიაური საუფლისწულო მამულად უბოძა თავის ძეს – მირიანს (1767-1834), რომელიც იყო რუსეთის საიმპერიო სენატის წევრი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, გენერალ-ლეიტენანტი და ყაბარდოს პოლკის შეფი. იმავდროულად, ის ლიტერატურულ და მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. მას ხვდა პატივი, რომ 1787 წელს შეხვედროდა მირგოროდში (ამჟამად – უკრაინა) მცხოვრებ მხცოვან დავით გურამიშვილს და სამშობლოში ჩამოეტანა მისი ხელით გადაწერილი უნიკალური ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც ცნობილია „დავითიანის“ საერთო სახელწოდებით. გარდაიცვალა და დასაფლავებულია პეტერბურგში, წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრაში, [178] სადაც ბაგრატიონთა დინასტიის არაერთი წარმომადგენელი განისვენებს.

---

[176] ნ. ჯავახიშვილი. კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ბიოგრაფიისათვის. მასალების კრებული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ორგანიზებული VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა თემაზე: „ჩვენი სულიერების ბალავარი“, რომელიც გაიმართა 2015 წლის 17-18 აპრილს ამავე უნივერსიტეტში. VII. თბ. 2015, გვ. 416.

[177] ქართული სამართლის ძეგლები. VI. სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX საუკუნეები). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ. 1977, გვ. 13-15.

[178] მ. ბერძნიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II, გვ. 104-105.

იოანე ბატონიშვილის ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა“ ცალკეა გამოყოფილი გარეკახეთის ტერიტორიაზე მდებარე სოფლები, რომელთაგან საუფლისწულოდ იხსენიება ერთადერთი სოფელი – ყანდაურა, მის მფლობელად კი მითითებულია მეფე გიორგი XII-ის ნახევარძმა – უფლისწული მირიან ერეკლეს ძე ბაგრატიონი.[179] იგი იყო მეფე ერეკლე II-ის ვაჟი მესამე ქორწინებიდან, ანუ დედოფალ დარეჯან კაციას ასულ დადიანის (1734-1807) მიერ შობილი ბატონიშვილი.

საქართველოს ეროვნულ არქივთან არსებულ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტებიდან ნათელი ხდება XVIII საუკუნის ბოლო მესამედში აღორძინებული ყანდიაურის ისტორია, რომელიც დღემდე გრძელდება.

ამ სოფელში სხვადასხვა დროს დასახლდნენ შიდა ქართლიდან, იმერეთიდან, რაჭიდან და სამეგრელოდან გადმოსახლებულები, მათ შორის: ჯავახიშვილები (შიდა ქართლის სოფელ ძევერიდან), გამყრელიძეები (ზემო რაჭის სოფელ სომიწოდან), არჩვაძეები, მაისურაძეები, კობახიძეები (ქვემო რაჭიდან), აბესაძეები, გიორგაძეები, ნუცუბიძეები, სამხარაძეები, ფხალაძეები (იმერეთიდან), შენგელიები (სამეგრელოდან), რომლებიც მოგვიანებით შენგელიძეებად დაეწერნენ, გაბრიელაშვილები, გლახაშვილები, დურგლიშვილები, კეკოშვილები, სიდამონიძეები, ქართლელიშვილები, ხორბალაძეები (შიდა ქართლიდან) და სხვები, ასევე, კახეთის ცალკეული სოფლებიდან გადმოსულნი.[180]

ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მეფობის პერიოდში ყანდიაურის მოურავი იყო კახეთის წარჩინებული თავადი როსებ (იოსებ) ზაალის ძე ჯანდიერი, რომელსაც ნასახჩიბაშის თანამდებობა ეკავა. გარდა ყანდიაურისა, ის სხვადასხვა დროს მოურავად მსახურობდა ასევე კახეთის სოფლებში – ჯიმითსა [181] და კალაურში.[182]

XIX საუკუნის დასაწყისიდან ყანდიაურის თავკაცობა გამყრელიძეებს მიანდვეს. ეს მოხდა მეფე გიორგი XII-ის გარდაცვალების (1800 წლის 28

[179] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, გვ. 66.

[180] ნიკო ჯავახიშვილი, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ბიოგრაფიისათვის, გვ. 417.

[181] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფ. 1936, გვ. 273.

[182] მ. ბერძნიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II, გვ. 267.

დეკემბერი) შემდეგ, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფოში მისი უფროსი ვაჟის – უფლისწულ დავითის (1767-1819) მმართველობა დაიწყო. იგი სამეფოს 1801 წლის მაისამდე მართავდა გამგებლის და არა მეფის რანგში. პოზიციების განმტკიცების მიზნით, მან თანამდებობებიდან გადააყენა სამეფო ტახტის მოცილე ბიძის – იულონ ბატონიშვილის (1760-1816) მომხრენი და მათ ადგილას თავისი ერთგული პირები დანიშნა. ამის პარალელურად, მან არასასურველი პირებისათვის მამულების ჩამორთმევა და საიმედოებისათვის გადაცემა დაიწყო. სწორედ აღნიშნული მიზნით, დავითმა ყანდიაურის საუფლისწულო მამული ჩამოართვა თავის ბიძას – მირიანს, რომელიც თავისი ტახტისმაძიებელი ძმის – იულონის ბანაკში მოიაზრებოდა. დავით გამგებელმა სოფლის მოურავობიდან გაათავისუფლა მირიან ბატონიშვილის ერთგული თავადი როსებ ჯანდიერი, ხოლო ეს ყოფილი საუფლისწულო მამული თავის ერთგულ თავადებს – ზაქარია და აბელ ანდრონიკაშვილებს უბოძა.

ოფიციალურ დოკუმენტში «Ведомость тем имениям, крестьянам и чинам, кой царевичем Давидом у одних отняты, а другим отданы. 1801 год» ვკითხულობთ: «Деревня Кандаур составляла удел царевича Мириана, но отдана моураву Захару Андроникову и Авелю, а моурав той деревны Иосиф Джандиеров отрешен от должности».[183]

ამდენად, ზემოთ აღნიშნულ თანამდებობაზე მყოფი კახეთის ძირძველი და სახელგანთქმული თავადური საგვარეულოს – ჯანდიერთა წარმომადგენელი ჩაანაცვლეს რაჭიდან გადმოსახლებულმა აზნაურმა გამყრელიძეებმა, რაც მათ პიროვნულ ღირსებებსა და შესაძლებლობებზე მიუთითებს.

ყანდიაურის მოსახლეობის 1804 წლის აღწერაში სოფლის ნაცვლის თანამდებობაზე იხსენიება სახელმწიფო (ანუ ტახტის) აზნაური ბერო (იგივე ბერი) გამყრელიძე.

რუსულ ენაზე შედგენილ ამ აღწერის ხელნაწერში, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივთან არსებულ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, აღნიშნულია, რომ იმხანად ეს სოფელი შედიოდა მირიან ერეკლეს ძე ბაგრატიონის საუფლისწულო მამულში («Принадлежавшая к уделу царевича Мириана»), ხოლო ნაცვლის თანამდებობაზე მყოფი გამყრელიძის შესახებ ვკითხულობთ: «Государственный дворянин, Нацвал Беро Гамкрелидзе», [184] ანუ „სახელმწიფო (ან ტახტის) აზნაური ბერო გამყრელიძე“.

[183] АКАК. т. I, გვ. 303.

[184] სცსა. ფონდი 254. აღწერა 1. საქმე 75, ფურც. 326-ა.

იმავე საარქივო დოკუმენტიდან დგინდება, რომ სოფლის ნაცვლად მყოფი სახელმწიფო (ანუ ტახტის) აზნაური გამყრელიძე, მრავალრიცხოვანი ოჯახის თავკაციც ყოფილა, კერძოდ, მის ოჯახში იმხანად – 10 მამაკაცს და 7 ქალს უცხოვრია.[185]

ბერი გამყრელიძის შემდეგ, ამ სოფლის თავკაცობა გადაიბარა მისმა ვაჟმა – ივანემ, რომელიც 1812 წლის დოკუმენტში ნაცვლის თანამდებობაზე იხსენიება.

ყანდიაურის მცხოვრებნი, ისევე როგორც კახეთისა და ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობა, აქტიურად მონაწილეობდნენ 1812 წლის ანტიიმპერიულ სახალხო აჯანყებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ერეკლე II-ის შვილთაშვილი და გიორგი XII-ის შვილიშვილი – უფლისწული გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი (1789-1830). თებერვლის შუა რიცხვებში ზემოხსენებული რეგიონი და მისი მომიჯნავე ქართლის ნაწილი ანუ ქართლ-კახეთის სამეფოს ნახევარზე მეტი სრულიად განთავისუფლდა რუსთა საოკუპაციო რეჟიმისაგან. ამას მოჰყვა გრიგოლ ბაგრატიონის ქართლ-კახეთის მეფედ გამოცხადება. მის, როგორც ბაგრატოვანი ხელმწიფის სახელზე წირვა-ლოცვას აღავლენდნენ განთავისუფლებული ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებში.

სამწუხაროდ, გრიგოლ I-ის მეფობამ სულ ორიოდე კვირას გასტანა, ვინაიდან უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული აჯანყებულები დამარცხდნენ. ამის მიუხედავად, ეს ფაქტი სამუდამოდ დაფიქსირდა საქართველოს ისტორიაში, როგორც ბაგრატოვანი ხელმწიფის მიერ დარაზმული ქართველი ერის ღირსეული ნაწილის სამშობლოსათვის თავგანწირვის მორიგი მაგალითი.[186]

1812 წლის მარტში, სილნაღის მაზრის მოურავმა, თავადმა იოსებ ანდრონიკაშვილმა ნაცვალ ივანე გამყრელიძეს სთხოვა, რომ ყანდიაურელთა აჯანყებაში ჩაბმის მიზეზი აეხსნა. ამის პასუხად გამყრელიძემ ანდრონიკაშვილს წარუდგინა სოფლის მცხოვრებთა მოხსენება, რომელშიც ამბოხებულნი აცხადებდნენ: *„ასე გაგვიჭირდა საქმე ჩვენ, ყანდიაურელთ, ამ დრაგუნებისაგან, ღმერთიც დაგვავიწყეს, ხელმწიფეც და ჩვენი სიცოცხლეცა... გვცარცვავდნენ... მოგებსენებათ, ახალი მოსახლე სოფელი არის ყანდიაური... ამთენი მწუხარება დრაგუნის მაიორისაგან და იარანალი პატნეგირის ჯარისაგან*

[185] სცსა. ფონდი 254. აღწერა 1. საქმე 75, ფურც. 326-ა.

[186] ნ. ჯავახიშვილი. გრიგოლ I – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე. თბ. 2020.

*გვჭირდა კაცს თუ დედაკაცსა მუნ ერთბაშად. და ეს ბუნტიც თიანეთიდამ მოჰხდა".*[187]

დოკუმენტს ერთვოდა შემდეგი დამოწმება: *„ხელს ვაწერ ერთობლივ ყანდიაურელთ თხოვნით – მათი ნაცვალი გამყრელიძე ივანე".*[188]

აქვე განვმარტავთ, რომ ზემოთ მოყვანილი წერილის ამონარიდში ხსენებულ ტერმინში „იარანალი" იგულისხმება „გენერალი".

აჯანყებულთა ასეთი გამოქომაგება ძირად დაუჯდა ბაგრატოვან ხელმწიფეთა ერთგულ სამეფო (ანუ ტახტის) აზნაურს ივანე ბერის ძე გამყრელიძეს, ვინაიდან იმ სოფელში მოსახლე მის შთამომავლებს საიმპერიო ადმინისტრაციამ აზნაურის წოდება აღარ დაუმტკიცა და სახელმწიფო (ანუ სახასო) გლეხთა კატეგორიაში გადაიყვანა. ეს მოხდა XIX საუკუნის შუა ხანებში, როდესაც რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ ქართველ თავადაზნაურთა უმეტესობას მათი წოდებები დაუმტკიცა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყანდიაურის თავკაცობა იმავე სოფელში მცხოვრებ ჯავახიშვილებს მიანდეს. ამ სოფლის მამასახლისად ოთხჯერ აირჩიეს ივანე გიორგის (გლახას) ძე ჯავახიშვილი (1846-1902), [189] რომლის მეუღლემაც მონათლა იმავე სოფელში მცხოვრები მედავითნის გიორგი დიმიტრის ძე ფხალაძის ვაჟი – მიხეილი (1872-1960).[190] ამ უკანასკნელმაც მამისეული გზა გააგრძელა და ცნობილია როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი მელქისედეკ III, რომელიც ამ ფრიად საპატიო თანამდებობაზე 1952-1960 წლებში მოღვაწეობდა.[191]

ყანდიაურში დასახლებული სომიწოელ გამყრელიძეთა და ძევერელ ჯავახიშვილთა შთამომავლები ერთმანეთს დაუნათესავდნენ. ზემოხსენებული მამასახლისის ნათესავმა – სოლომონ დავითის ძე ჯავახიშვილმა (1883-1967) 1908 წელს ჯვარი დაიწერა სოფიო ზაქარიას ასულ გამყრელიძეზე (1893-1959).[192] მათი შვილიშვილი იყო ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი და მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი (1941-2015).

---

[187] დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის. გამოსაცემად მოამზადა შ. ხანთაძემ. თბ. 1999, გვ. 117-118.

[188] დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის.

[189] სცსა. ფონდი 254. აღწერა 3. საქმე 279. ფურც. 313-ა.

[190] სცსა. ფონდი 489. აღწერა 9. საქმე 471. ფურც. 9-ბ.

[191] ნ. ჯავახიშვილი. კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ბიოგრაფიისათვის, გვ. 415-421.

[192] სცსა. ფონდი 489. აღწერა 12. საქმე 1007.

სოფიო ზაქარიას ასული გამყრელიძის დედის – ლელა ავალიშვილის ახლო ნათესავი იყო გამოჩენილი საზოგადო და თეატრალური მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი და რეჟისორი ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე ავალიშვილი (1844-1929). ავალიშვილთა ამ შტოს წინაპარი, ბრეთელი თავადი ავალიშვილი – უფლისწულ პაატა ვახტანგის ძე ბაგრატიონის (1720-1765) ხელმძღვანელობით 1765 წელს მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო გადასახლდა გარეკახეთში, სადაც მისმა შთამომავლობამ თავადობა დაჰკარგა და გააზნაურდა.[193]

ნიკო ავალიშვილის შვილიშვილი გახლდათ საქართველოს სახალხო მხატვარი, მოქანდაკე ბიძინა გიორგის ძე ავალიშვილი (1922-2002), ხოლო შვილთაშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გია ბიძინას ძე ავალიშვილი (1941-2004), რომელიც თბილისის უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა.

ამრიგად, აზნაურ გამყრელიძეთა გადასახლება რაჭიდან კახეთში უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს XVIII საუკუნის მიწურულისა, ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ხანაში. კახეთის სოფლებში: შილდაში (ყვარლის მუნიციპალიტეტი), აწყურსა (ახმეტის მუნიციპალიტეტი) და ყანდიაურში (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) დამკვიდრებულ გამყრელიძეთა საგვარეულო განშტოებებიდან არაერთი ღირსეული ქართველი მოღვაწე და მამულიშვილი გამოვიდა.

## 6. გამყრელიძეთა სამეგრელოს განშტოებანი

გამყრელიძეთა ორი საგვარეულო განშტოება ოდიშში (სამეგრელოში) დასახლდა.

უფრო ადრინდელი შტოს წარმომადგენლები ოდიშის სამთავროში დამკვიდრებულან დადიანთა მეორე სახლის ანუ გადადიანებული ჩიქოვანების მმართველობის პერიოდში, რასაც საფუძველი XVIII საუკუნის დამდეგს ჩაეყარა. გადმოცემის თანახმად, მათ ნაწილს გვარად აუღია – გახოკია, ხოლო მეორე ნაწილი – სახოკიად დაწერილა.

წარმომაელობით გამყრელიძე გახლდათ გამოჩენილი ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი და ლექსიკოგრაფი თედო ტიმოთეს ძე სახოკია (1868-1956). იგი სხვადასხვა დროს სწავლობდა ჟენევის და სორბონის (პარიზი) უნივერსიტეტებში, ასევე

[193] ს. ცაიშვილი. ნიკო ავალიშვილი (მონოგრაფია). თბ. 1955, გვ. 5-6.

პარიზის უმაღლეს ანთროპოლოგიურ სასწავლებელში. იყო 1890-1895 წლებში მოქმედი საქართველოს თავისუფლების ლიგის, ხოლო შემდეგ – სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი.

თავის „ავტობიოგრაფიაში“ თედო სახოკია მოგვითხრობს: „ჩვენი შორეული წინაპარი რაჭველი გამყრელიძე ყოფილა. თავის სოფელში კაცი შემოკვდომია. სასჯელისა და მოკლულის ნათესავების მხრით შურისძიებისათვის თავის დასაღწევად გამოქცეულა გორდში (ლეჩხუმში). აქ ცოლი შეურთავს და მისცემია ოთხი ვაჟი და ერთი ქალი. ამ ჩვენის წინაპრის შვილებსაც არ ასცდენიათ კაცის კვლა. მათს ლამაზს დას შემოსჩვევია დადიანის მოურავი ჩიქოვანი. ძმებს გარეთ სამუშაოდ გასულებს რომ გაიგულებდა, ჩიქოვანი თავის ჯარით მოდიოდა მათს სახლში და სატრფოსთან დროს ატარებდა თურმე. ერთხელაც ძმებს ზედ წაუსწრიათ ჩიქოვანისათვის, არ შეურჩენიათ იჯახის შერცხვენა, მოუკლავთ და ხრამში გადაუგდიათ. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ლეჩხუმში არ დაედგომებოდათ და გამოქცეულან სამეგრელოში. აქ ჯერ მისულან მარტვილის ტაძართან და ნიშნად ყმობისა და მონობისა კისრით გამობმულან ტაძრის კარების ბოქლომზე. ამას შემდეგ ესენი ითვლებოდნენ მარტვილის ტაძრის ყმებად და არავის შეეძლო, თვით მთავარ დადიანსაც-კი, მათთვის პასუხი მოეთხოვა და ხელი ეხლო დანაშაულისათვის. გვარებიც გამოუცვლიათ. ორ ძმას სახოკია დაურქმევია თავის თავისთვის და შხეფში დარჩენილან, ხოლო ორ ძმას გახოკია აურჩევია თავის გვარად. ერთი ამ გვარით სოფელ ბანძაში დარჩენილა, ხოლო მეორე მდინარე ტეხურზე გასულა და დასახლებულა მარანში (აბაშის ახლო), სადაც დღესაც არიან ამ გვარისანი, მხოლოდ გვარის დაბოლოებისათვის ძე მოუმატებიათ და იწოდებიან გახოკიძეებად“.[194]

ჩანს, ზემოხსენებული ისტორია იცოდნენ გამყრელიძეებმაც, რომლებიც თედო სახოკიას, როგორც თავიანთ ნათესავს, განსაკუთრებული სითბოთი ეპყრობოდნენ. თვით სახოკიაც, რომელიც საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი გახლდათ, თავის მოგონებებში ერთგულ პარტიულ მეგობართა შორის უპირველეს ადგილას პარმენ გამყრელიძეს ასახელებს. 1908 წელს, გადასახლებაში მიმავალი თედო პარმენმა ბათომის პორტში მდგარ გემამდე მიაცილა და თან საგზალიც გაატანა.[195]

რაჭველ გამყრელიძეთა სამეგრელოში დამკვიდრებული მეორე შტოს წარმომადგენელი იყო აზნაური ვლადიმერ ლუკას ძე გამყრელიძე, რომელიც

[194] „თედო სახოკია“. კრებული. გ. ჩიტაიას რედაქციით. თბ. 1969, გვ. 201-202.
[195] თ. სახოკია. ციმბირში. მოგონებანი 1905 წლის რევოლუციის დროიდან. თბ. 2012, გვ. 183.

1914-1917 წლებში ზუგდიდის მაზრის უფროსად მსახურობდა.[196] ამ თანამდებობაზე ის იხსენიება „კავკასიის კალენდრის“ ზემოხსენებული პერიოდის გამოცემებში.[197] მანამდე იგი პოლიციაში მსახურობდა. 1906 წელს მას ქუთაისის საქალაქო პოლიციის სამმართველოს საგანგებო დავალებათა ოფიცრის თანამდებობა შტაბს-კაპიტნის წოდებით ეკავა.[198]

იმავე პერიოდში მისი ძმა, პოდპოლკოვნიკი ვარდენ ლუკას ძე გამყრელიძე ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ქუთაისის საპოლიციო სამმართველოს, [199] ხოლო შემდეგ მსახურობდა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ ივან პასტრიულინის თანაშემწედ ელისავეტპოლის გუბერნიაში.[200]

აქვე დავსძენთ, რომ ელისავეტპოლს (ელიზავეტპოლს) ამჟამად აღდგენილი აქვს ისტორიული დასახელება – განჯა და ის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს.

ამდენად, აზნაურ გამყრელიძეთა საგვარეულოს ორი განშტოება სამეგრელოში დამკვიდრდა. ერთი შტოს წარმომადგენელი – ვლადიმერ ლუკას ძე მსახურობდა ზუგდიდის მაზრის უფროსად (1914-1917 წლებში). მეორე შტოს წარმომადგენლებმა XVIII საუკუნეში ჩადენილი დანაშაულის გამო დამალეს თავიანთი ნამდვილი გვარი, დაჰკარგეს აზნაურობა და ჩამოყალიბდნენ ორ დამოუკიდებელ გვარად – სახოკიებად და გახოკიებად, ხოლო ამ უკანასკნელთა განაყოფი კი – გახოკიძეებად დაეწერა.

## 7. აზნაურ გამყრელიძეთა ოჯახები XIX საუკუნის შუა ხანებში

რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების მიერ 1850 წლის 6 დეკემბერს დამტკიცებულ ქართველ თავადაზნაურთა ნუსხაში იხსენიება აზნაურ გამყრე-

[196] ა. ტუღუში. ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან. თბ. 2012, გვ. 33.

[197] Кавказский календарь на 1915 год. Издан по распоряжению наместника Е. И. В. на Кавказе канцелярией наместника. Под редакцией А. А. Эльзенгера и Н. П. Стельмащука. LX г. Тифлис. 1914, გვ. 200; Кавказский календарь на 1916 год. Издан по распоряжению наместника Е. И. В. на Кавказе канцелярией наместника. Под редакцией Н. П. Стельмащука. LXI г. Тифлис. 1915, გვ. 214; Кавказский календарь на 1917 год, გვ. 256.

[198] Кавказский календарь на 1907 год. Издание Закавказского статистического комитета. Под редакцией старшего редактора статистического отдела Д. Д. Пагирева. LXII г. Тифлис. 1906, გვ. 144.

[199] Кавказский календарь на 1907 год, გვ. 342.

[200] Кавказский календарь на 1914 год, გვ. 625; Кавказский календарь на 1916 год, გვ. 736.

ლიძეთა 26 ოჯახი, რომლებიც საქართველოს ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობდნენ.[201]

ამ სიიდან ცნობილი ხდება აზნაურ გამყრელიძეთა ოჯახების შემადგენლობა. როგორც ირკვევა, ზოგიერთ ოჯახში გაერთიანებული ყოფილა ორი ოჯახი – მამისა და მისი ვაჟისა. აქვე დავსძენთ, რომ ვინაიდან ამ ოფიციალური დოკუმენტის დედანი რუსულ ენაზეა შედგენილი, მასში ქართული სახელები მოცემულია რუსულ ყაიდაზე.

ნუსხაში დასახელებულია გამყრელიძთა ოჯახები შემდეგი შემადგენლობით (მამაკაცებს წარმოვადგენთ დახრილი შრიფტით): 1) *ბეჟან ნიკოლოზის ძე,* მისი მეუღლე ანუსია, მათი ვაჟი *მიხეილი* და ასული რიფსიმე; 2) *ოტია ბერის ძე,* მისი მეუღლე ვარვარა, მათი ვაჟები: *სვიმონი* (წყაროში წერია – *სიმონი), გრიგოლი* და ასულები – ნინო, ელისაბედი და ეკაკი; 3) *გიორგი ლევანის ძე,* მისი მეუღლე რუსუდანი, მათი ვაჟები: *იოსები, ლევანი* და ასული ქუცა; 4) *გიორგი ქველის ძე,* მისი მეუღლე ტასია, მათი ვაჟი *თედო* (წყაროში წერია – *ფადეი)* და ასული სიდონია; 5) *ევდუკი როსტომის ძე,* მისი მეუღლე ირინე, მათი ასულები: ქეთევანი, ფოტინე; 6) *კახუშტი საჩინოს ძე,* მისი ძმა *სვიმონი,* მისი მეუღლე ტასია, მათი ვაჟი *გედევანი,* მათი ასული – ფოტინე, სვიმონის დედინაცვალი მარიამი და სვიმონის და სოფიო; 7) *კახტანგ საჩინოს ძე* და მისი ვაჟი *ხახული;* 8) *პარასკ ოტიას ძე,* მისი მეუღლე ელისაბედი, მათი ვაჟი *აძირანი* და ასულები – სურათა, მართა და მარინე, პარასპის ძმა – *ინდრო,* მისი მეუღლე სალომე, მათი ვაჟი *მიხეილი* და ასულები: ელენე და ფოტინე; 9) *ტურინ ოტიას ძე,* მისი ვაჟი *სამსონი* და ასული ნინო; 10) *გოგისა ფრიდონის ძე,* მისი ვაჟი *დარისპანი,* მისი მეუღლე მზეხათუნა, მათი ვაჟი *ნიკოლოზი* და მისი მეუღლე – მზეხათუნა; 11) *ირაკლი ნიკოლოზის ძე,* მისი მეუღლე დარევანი, მათი ვაჟი *სპირიდონი* და ასული მატრონა; 12) *კახტანგ როსტომის ძე,* მისი მეუღლე სალომე, მათი ვაჟები: *აპოლონი, ტუტა, დავითი* და ასული მარიამი; 13) *ივანე ელიზბარის ძე,* მისი მეუღლე მართა, მათი ვაჟი *კონსტანტინე,* ივანეს ძმა *ყაფლანი* და მისი მეუღლე ელისაბედი; 14) *სვიმონ როსტომის ძე,* მისი მეუღლე მარიამი, მათი ვაჟი *მანუჩარი* და მისი მეუღლე მაია და მათი ვაჟიშვილები: *ბიჭია, იოსები, დიმიტრი* და ასული ანა, მანუჩარის ძმა *ბეჟანი* და მისი ცოლი ეკაკი; 15) *გოჯასპი ოტიას ძე;* 16) *ქაიხოსრო დავითის ძე,* მისი მეუღლე სა-

[201] იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპიური გამოცემა ზ. ჭუმბურიძის რედაქციით. თბ. 1999, გვ. 337-339.

ლომე, მათი ვაჟები: *ბერი, მიხეილი* და ასულები – ქეთევანი და ზინობი; 17) *იოსებ ლევანის ძე,* მისი მეუღლე ელენე და მათი ასული ციცინო; 18) *ბეკო ლომკაცის ძე* და მისი ძმა *ნიკოლოზი;* 19) *ლევან შოშიტას ძე,* მისი მეუღლე მარიამი, მათი ვაჟი *როსტომი,* მისი ცოლი მზეხათუნა, მათი ვაჟი *იორამი* და ასული ფოტინე; 20) *ფარსადან ოტიას ძე,* მისი მეუღლე ვარვარა, მათი ვაჟები: *ოტია, გიორგი, ალექსი, დიმიტრი,* ასულები: სურათა და სალომე; 21) *სარდარ სვიმონის ძე;* 22) *გრიგოლ ტატუს ძე,* მისი ვაჟი *კაცია* და მეუღლე სოფიო; 23) *ნარიმან ფრიდონის ძე* და დედამისი მზეხათუნა; 24) *მერაბ დავითის ძე;* 25) მღვდელი *იოსებ ბეჟანის ძე,* მისი მეუღლე დოდო, მათი ვაჟი *პეტრე,* ასულები: მატრონა და სალომე; 26) *როსტომ სეხნიას ძე* და დედამისი მაია.[202]

## 8. ქართულ ლიტერატურაში ასახული გამყრელიძე-შანშიაშვილნი (XIX საუკუნე)

გამყრელიძეთა გვარის და მისი განშტოების – შანშიაშვილთა წარმომადგენლები ქართული ლიტერატურის პერსონაჟთა პროტოტიპებიც გახდნენ.

უფლისწულ იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის (1768-1830) მიერ სანკტ-პეტერბურგში ცხოვრების პერიოდში შექმნილ ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებაში „ხუმარსწავლა", რომელიც 1813-1828 წლებში დაიწერა და უფრო ცნობილია სახელწოდებით – „კალმასობა", მთავარი პერსონაჟია ბერი იოანე, რომლის პროტოტიპიც გახლდათ ზემოხსენებული თეოლოგი, ფილოსოფოსი და მქადაგებელი ბერი იონა ხელაშვილი (1772-1837). იგი თან გაჰყვა 1803 წელს რუსეთში იძულებით გადასახლებულ ბატონიშვილებს, სიცოცხლის ბოლომდე მათთან ცხოვრობდა და პეტერბურგში გარდაიცვალა.

ამ ლიტერატურულ ქმნილებაში, მისი მაღალნიჭიერი ავტორისათვის დამახასიათებელი იუმორისტული მანერით არის გადმოცემული ამბავი იმერეთის სამეფოში მცხოვრები აზნაურის ასულ ელენესი, რომელიც ადგილობრივ აზნაურ გოგია გამყრელიძეს აბრალებდა შეცდენას, თავისი უკანონოდ შობილი ვაჟის მამობას და ბერ იოანეს ასე შესჩიოდა: „გევედრები მე ამას უმდაბლესად, რათა მიიღოთ შრომა და მისწეროთ სამხილებელი წერილი გოგიასა გამყრელიძეს, რომლისაგან დანიშნულ ვიყავ საცოლოდ და რომელმან-

[202] იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 337-339.

ცა მცბიერებით მაცთუნა. და, აჰა, შვილი ეს ყრმაცა მისი არს, რომელიცა ვშობე მე. და აწ მოუწერია წიგნი ესე და იმართლებს ამით თავს, რომელ მამა-დედამან მისმან არა ინებეს მისი ჩემთან შეუღლება და ამის მიზეზით უქორწინია სხვასა ზედა“.

იმავე ნაწარმოების მიხედვით, მომჩივარ ქალს ბერმა იოანემ ასე უპასუხა: „უი ჩემ თავს, იმ უკეთურს რად დაუჯერეთ და ან რად მოჰსტყუვდი? როდესაც იქორწინებდით, განა მაშინ ვერ დასტკბებოდით ურთიერთისადმი შეყოფითა? დახე იმ უკეთურს! მე ასე მსმენია, სხვანიც მოუტყუებია და შენც უცთენიხარ, უი საბრალოვ!“ [203]

ზემოთ აღნიშნული საჩივარი და ბერი იოანეს მიერ გოგი გამყრელიძისათვის მიწერილი დამრიგებლური წერილის ტექსტი საგანგებოდ განუხილავთ და მოუწონებიათ სხდომაზე, რომელსაც იმერეთის სამღვდელოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.[204]

იმავე ნაწარმოების სხვა თავებში დადებით კონტექსტშია მოხსენიებული გამყრელიძეთა საგვარეულო განშტოების წარმომადგენელი – აზნაური იარალი გოგიას ძე შანშიაშვილი, [205] რომლის მამაც ქართლ-კახეთის სამეფო კარის მოლარე ყოფილა.[206]

თხზულების მიხედვით, ქვემო ქართლისაკენ მიმავალი ბერი იოანე სეიდაბადის ბაღების მიდამოებში შეხვდა იარალი შანშიაშვილს, რომელმაც ბერი თავის საგვარეულო მამულში – ბოლნისში მიიპატიჟა. ვახშმობისას, როდესაც ბერმა იოანემ დააჭაშნიკა შანშიაშვილთა ზვარში მოყვანილი სხვადასხვა ჯიშის ყურძნისაგან დაწურული ღვინოები, ძალიან მოეწონა და მასპინძელს უთხრა: „კარგი ღვინო ჰსცოდნია ამ ქვეყანას!“

ამასთან დაკავშირებით აზნაურმა იარალი შანშიაშვილმა თავის საპატიო სტუმარს მიუგო: „ძველად ამდენი ღვინო ყოფილა აქ, რომ თითქმის სომხითში აქიდამ ყიდულობდნენ. ასე გაშინჯეთ, რომ შეიდასი საპალნე ღვინო ჩვენს ზვარს თურმე გამოუვიდოდა და ახლა ათი საპალნეც არ მომდის მტრის გამო“.[207]

---

[203] იოანე ბატონიშვილი. ხუმარსწავლა (კალმასობა). II. გამოსაცემად მოამზადეს ც. კახაბრიშვილმა და ც. კიკვიძემ. ს. ცაიშვილის რედაქციით. თბ. 1991, გვ. 397.

[204] იოანე ბატონიშვილი. ხუმარსწავლა (კალმასობა). II, გვ. 397-398.

[205] იოანე ბატონიშვილი. ხუმარსწავლა (კალმასობა). I. გამოსაცემად მოამზადეს ც. კახაბრიშვილმა და ც. კიკვიძემ. ალ. ბარამიძის რედაქციით. თბ. 1990, გვ. 438-443; 454-455; 461.

[206] იოანე ბატონიშვილი. ხუმარსწავლა (კალმასობა). I, გვ. 438.

[207] იოანე ბატონიშვილი. ხუმარსწავლა (კალმასობა). I, გვ. 442-443.

როგორც ჩანს, ამ ნაწარმოების პერსონაჟად გამოყვანილი იარალის პროტოტიპი უნდა ყოფილიყო იმავე გვარ-სახელის მგოსანი, რომელიც როგორც ამ ნაშრომის მესამე ნაწილში აღვნიშნეთ, პეტერბურგში, ფარნაოზ ბატონიშვილის კარზე მოღვაწეობდა.

დიდმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ გრიგოლ ორბელიანმა (1804-1882) პეტერბურგელ ბატონიშვილთა წრეში 1821 წელს გაცნობილ იარალი შანშიაშვილს პატივისცემის ნიშნად მიუძღვნა ლექსი „იარალის“. ამ ლექსმიძღვნაში, რომელსაც მიწერილი აქვს მისი შექმნის თარიღი და ადგილი – „1832 წელსა, ქ. ნოვოროდს“, ვკითხულობთ:

„ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს,

ჩვენებურადა, ძველებურადა, ვსვამდეთ, ვიძახდეთ: იარი-არალი!“ [208]

პოეტს ენატრება მამაპაპური ლხინი სამშობლოში და ქართველი ერის გმირული წარსულის გახსენება, რასაც იარალის უზიარებს:

„ცა მშვენიერი, ცა მშობლიური, მარად ბრწყინვალე ზე დაგვნათიდეს,

გაცხელებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს...

შენ მომითხრობდე, მე ყრმა გისმენდე, გამოუცდელი მოხუცებულსა,

თუ ვით ივერნი, ლომგულნი გმირნი, ჰბრძოდნენ,

სცხოვრობდნენ დროსა წარსულსა“ [209]

ლექსის დასასრულს პოეტი იარალის უმჟღავნებს თავის ფარულ ოცნებას, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაში გამოიხატებოდა:

„ვინ აღჩნდეს გმირი, რომ მის ძლიერი ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?

რომელ მარჯვენით, ერთისა დაკვრით უსულოდ ვეშაპს მიწად დასცემდეს?

მაგრამ ამაო ჩემო იარალი არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!

სად აზარფეშა, სად არს მწვანილი? ღვინის წილ – კვასი, მზისა წილ – ყინვა!

გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყვდიადსა სადღა იხილოს ცა მშობლიური?

---

[208] გ. ორბელიანი. ლექსები. მ. ზანდუკელის რედაქციით, შენიშვნებით და კრიტიკული წერილით. მეხუთე გამოცემა. ტფ. 1935, გვ. 32.

[209] გ. ორბელიანი. ლექსები. მ. ზანდუკელის რედაქციით.

შენ ხარ პეტერბურღს, მე ნოეღოროდსა, გარეთ მკლავს ყინვა და შინ „უგარი“.

გულს ეწუხების, რა აგონდების დღენი წარსულნი ნეტარებისა,

მაგრამ მოთქმითა ნუგეშ ეცემის და ჭმუნვა მითცა შემცირდებისა“.[210]

„იარალის“ შესახებ აკაკი გაწერელია შენიშნავდა, რომ ეს ლექსი „განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა 1832 წლის შეთქმულთა შორის და გ. ორბელიანს ისიც გაჩხრეკისას უპოვეს ნოვგოროდში... ორბელიანი ხშირი სტუმარი ყოფილა ფარნაოზ ბატონიშვილისა და უეჭველია, ამ უკანასკნელის წრეში გაიცნობდა იარალის, რომელიც ქართველი მეფეების კარის მგოსანი, თარზე დამკვრელი და მომღერალი ყოფილა. ლექსიდანაც კარგად ჩანს, რომ იარალი შანშიაშვილი თავისი მფარველი ბატონიშვილის პოლიტიკური იდეალების ერთგული იყო. ამით აიხსნება თანამზრახველობის და განდობის ტონი, რომლითაც პოეტი თავის პატრიოტულ ოცნებებს უზიარებს იარალის. მამულიშვილური სულისკვეთება, თავიუსუფლებისადმი ღრმა სიყვარული და ფეოდალური წარსულის ხოტბა, რომლითაც გამსჭვალულია „იარალის“, სავსებით ორგანული და გასაგები უნდა ყოფილიყო რუსეთში გადასახლებულ ქართულ ლეგიტიმურ წრეებთან დაახლოებული პირისათვის. ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მომსწრეს, ძველი საქართველოს დაგვიანებულ ტრუბადურს ბევრი საინტერესო უნდა მოეთხრო ახალგაზრდა პოეტისათვის. ლექსი „იარალის“ პოეტური გამოძახილია მათი საუბრებისა“.[211]

ნინო მახათაძე წერს: „იარალი შანშიაშვილი გრიგოლ ორბელიანს პეტერბურგში, ფარნაოზ ბატონიშვილის ოჯახში გაუცვნია. როგორც ჩანს, იარალის ლექსებმა და მუხამბაზებმა შორეულ პეტერბურგში მშობლიურ პეტერბურგში მშობლიური მხარე მოაგონა გრიგოლ ორბელიანს. იარალისაგან მიღებული შთაბეჭდილება პოეტს პეტერბურგიდან ნოვგოროდს ჩაჰყოლია და იქ ლექსად გადმოღვრილა გულისნადები“.[212]

ეს მშვენიერი პოეტური ქმნილება ძალიან მოსწონდა გრიგოლ ორბელიანის დისწულს, ნიკოლოზ (ტატო) მელიტონის ძე ბარათაშვილს (1817-1845), რომელიც თავადაც გენიალური პოეტი გახლდათ. ამიტომაც ამ ლექსიდან ამონარიდი მან გამოიყენა 1837 წლის თებერვალში გ. ორბელიანისად-

[210] გ. ორბელიანი. ლექსები. მ. ზანდუკელის რედაქციით, გვ. 34.

[211] გ. ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული ა. გაწერელიას და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბ. 1959, გვ. 022.

[212] ნ. მახათაძე. ქართული კულტურის კერა პეტერბურგში (XVIII-XIX სს.). თბ. 1967, გვ. 148.

მი გაგზავნილ წერილში, რომელშიც ვკითხულობთ: „საყუარელო ძიავ! გთხოვთ, მომიტევოთ ესდენ ხანს ჩემგან მოუწერლობა; ეს გარემოების ბრალია... ამ წარსულს ზაფხულში, ერთს შუენიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შუენებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უწინდელებრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედუელი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება! კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნენით, თქუენ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: „განცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს“.[213]

ამრიგად, გამყრელიძეთა საგვარეულოს და მისი განშტოების – შანშიაშვილთა წარმომადგენლები ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ მესამედში იქცნენ ქართული ლიტერატურის პერსონაჟთა პროტოტიპებად.

## 9. გამყრელიძეთა საგვარეულოს გამოჩენილი წარმომადგენლები (XIX საუკუნის მიწურულიდან)

გამყრელიძეთა საგვარეულოს მრავალმა წარმომადგენელმა სახელი გაითქვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეცნიერო, ლიტერატურულ და სახელოვნებო სარბიელზე, როგორც სამშობლოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ზოგიერთი მათგანის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

ზემოხსენებული ძმები – *ანთიმოზ* (1851-1894) და *ივანე* (1856-1939) *ექდოკიმეს ძე გამყრელიძენი* – სოფელ უწერაში დაიბადნენ.

ქუთაისის გიმნაზიის დასრულებისთანავე, ანთიმოზი ჩაირიცხა პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში, სადაც იმჟამად სწავლობდნენ ივანე ჯაბადარი (1852-1913) და გიორგი ზდანოვიჩი (1854-1917). ამ უკანასკნელის ფსევდონიმი იყო „მაიაშვილი“, რომელიც მან თავისი დედის – მაია მიქელაძის სახელის მიხედვით შეარჩია. სწორედ მათთან ერთად ჩაება ანთიმოზი სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებსა და ხალხოსნურ მოძრაობაში, რომელიც რუსეთის დედაქალაქსა და საერთოდ იმპერიაში თანდათანობით მასშტაბურ ხასიათს იძენდა. მათივე თანამოაზრე მიხეილ ჩიკოიძე (1853-1897) – იმავე ქალაქში არსებული საარტილერიო სასწავლებლის იუნკერი გახლდათ.[214]

[213] ნ. ბარათაშვილი. პირადი წერილები. მოამზადა, შესავალი, კომენტარები, შენიშვნები, საძიებლები და გენეალოგიური ტაბულები დაურთო მ. ცერცვაძემ. თბ. 2015, გვ. 15-16.
[214] М. Горгидзе. Грузины в Петербурге, გვ. 358.

1875 წლიდან ანთიმოზი გადავიდა მოსკოვში, სადაც მოღვაწეობას შეუდგა სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის («Всероссийская социально-революционная организация») ანუ იმავე „სრსრო“-ს ხელმძღვანელობაში. მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, როგორც ხალხოსან-რევოლუციონერთა ხელმძღვანელთაგანმა.

1875 წლის 4 აპრილს, როდესაც დააპატიმრეს ზემოხსენებული ორგანიზაციის წესდების ავტორი და ამ ორგანიზაციის იმდროინდელი ლიდერი – ივანე ჯაბადარი, მისი ადგილი ანთიმოზ გამყრელიძემ დაიკავა. იგი უნარიანად წარმართავდა პროპაგანდისტულ საქმიანობას მოსკოვში, ივანოვო-ვოზნესენსკსა და სხვა ქალაქებში. 13 ივლისს იქორწინა თანამოაზრე რევოლუციონერ-ხალხოსანზე – ეკატერინე ბორის ასულ თუმანოვაზე (1855-1930), რომლისგანაც მზითვად მიღებული სოლიდური ქონება თავისი ორგანიზაციის პარტიულ სალაროს გადასცა.

იმავე წლის 9 აგვისტოს ივანოვო-ვოზნესენსკში დააპატიმრეს ანთიმოზი, რომელსაც ცენზურის მიერ აკრძალული წიგნების 300-მდე ეგზემპლარი აღმოუჩინეს. გაასამართლეს „50-ის“ პროცესზე და 1877 წლის 14 მარტს მიუსაჯეს 5-წლიანი კატორღა, თუმცა ეს განაჩენი 7 მაისს შეუცვალეს ირკუტსკის გუბერნიაში 4 წლით გადასახლებითა და ციმბირში 12 წლით დატოვებით. 1884-1889 წლებში ცხოვრობდა ქალაქ ტომსკში, სადაც ადგილობრივ გიმნაზიაში მასწავლებლობდა. ვინაიდან მოსწავლეებში რევოლუციურ აგიტაციას ეწეოდა, 1889 წელს საქართველოში დაბრუნებული მალევე დააპატიმრეს და კვლავ გააციმბირეს. ციმბირის კლიმატის გამო, ჭლექით დაავადდა. 1894 წელს მძიმედ დასნეულებული დაბრუნდა სამშობლოში, სადაც რამდენიმე თვის შემდეგ, 43 წლის ასაკში, ქუთაისში გარდაიცვალა.[215]

ვალერიან გამყრელიძე იგონებდა: „ანთიმოზი მსოფლიოში გახმაურებული პეტერბურგის „ორმოცდაათის პროცესის“ მონაწილეა. ეს პროცესი გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერის გიორგი ჯაბადარისა და სხვათა გასამართლებას წარმოადგენდა (მასში ბევრი ქართველი მონაწილეობდა). მათ ბრალად ედებოდათ შემდგომში რუსეთის უდიდესი, მასობრივი გავრცელების თვალსაზრისით უპირველესი პარტიის – რუსეთის სოციალ-რევოლუციონერთა პარტიის შექმნა. ამ პროცესში მონაწილე გამოჩენილი ადვოკატი ბრალდებულებს, კერძოდ, ჯაბადარს შეეკითხა: – „რით აიხსნება, რომ რუსეთის

[215] ზ. შველიძე. გამყრელიძე ანთიმოზ ეფდოკიმეს ძე. ენციკლოპედია „საქართველო“. I. თბ. 1997, გვ. 545-546; М. Горгидзе. Грузины в Петербурге, გვ. 359-365.

რევოლუციური პარტიის ჩამოყალიბებაში ძირითადად ქართველები მონაწილეობთ“?

ჯაბადარმა უპასუხა: „რევოლუციურ პარტიას რევოლუციონერები აარსებენ!“[216]

თედო სახოკია, რომელიც 1905-1907 წლების რევოლუციის დასახმარებლად დასავლეთ ევროპიდან საქართველოში ჩამოტანილი შვეიცარიული წარმოების ცეცხლსასროლი იარაღისა და ვაზნების მიღება-დაბინავებაში მონაწილეობისათვის, დააპატიმრეს, გაასამართლეს და 1908 წელს ციმბირში გადაასახლეს, თავის მოგონებებში გულისტკივილით აღნიშნავდა: „ციმბირში გაატარეს თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო დღენი, ჯერ საკატორღო ციხეებში ყოფნის შემდეგ რუსეთის არევოლუციო მოძრაობის კორიფეებმა (ცნობილ 50-ის პროცესიდან): გიორგი ზდანოვიჩმა (მაიაშვილმა), ალექსანდრე ციციშვილმა, ანთიმოზ გამყრელიძემ, მიხეილ ჩიკოიძემ, ივანე ჯაბადარმა“.[217]

ანთიმოზის უმცროსი ძმა – ივანე გამყრელიძე (1856-1939), რომლის შესახებაც ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ ამ გამოკვლევის პირველ ქვეთავში, ცნობილია, როგორც საზოგადო მოღვაწე და სახელგანთქმული პედაგოგი. ნოვოროსიისკის (ამჟამად – ოდესის) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, იგი 1878 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის პროგიმნაზიაში (შემდგომში – თბილისის II გიმნაზია) შეუდგა. მსახურობდა ინსპექტორადაც. იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ნახევარი საუკუნის განმავლობაში წარმატებით ეწეოდა.

1905 წელს ივანე გამყრელიძე თბილისის ვაჟთა I გიმნაზიის დირექტორად მიიწვიეს. იგი ამ გიმნაზიის პირველი ქართველი დირექტორი გახლდათ. იმ პერიოდში მან, როგორც ღირსეულმა მოძღვარმა და მომავალ თაობებზე მზრუნველმა უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა. მან შეადგინა კრებული „თბილისის I ვაჟთა გიმნაზია გელათში“, სადაც აღწერილია 1906 წელს მოწყობილი მოსწავლეთა ექსკურსია ქუთაისსა და გელათში. ეს მოგზაურობა მიზნად ისახავდა როგორც ისტორიულ ძეგლთა დათვალიერებას, ასევე გიმნაზიის შემოქმედებით-სპორტულ წრეთა ნამუშევრების დემონსტრირებასაც.[218]

---

[216] კრებ. „ვალერიან გამყრელიძე (1904-1995)“, გვ. 17.

[217] თ. სახოკია. ციმბირში. მოგონებანი 1905 წლის რევოლუციის დროიდან, გვ. 82-83.

[218] დ. გურგენიძე. გამყრელიძე ივანე ეკდოკიმეს ძე. ენციკლოპედია „საქართველო“. I. თბ. 1997, გვ. 547.

1905 წლის 22 ოქტომბერს, მღვდელ გოროდეცკის მეთაურობით გოლოვინის (ამჟამად – რუსთაველის) პროსპექტზე ცარიზმის მხარდამჭერი მორიგი მსვლელობა მოეწყო. თბილისის ქუჩებში საიმპერიო დროშების ფრიალით, სახელმწიფო ჰიმნის სიმღერით და საეკლესიო გალობით მიმავალი „რუსი ხალხის კავშირისა“ და „მთავარანგელოზ მიხეილის კავშირის“ წევრები ქუჩაში გამვლელებს ძალით ახდევინებდნენ ქუდებს და აჩოქებდნენ. მანიფესტაციის დასასრულს, ამ ორგანიზაციათა მთვრალი წევრები I გიმნაზიის შენობაში შეიჭრნენ. მათ მოკლეს დერეფანში მყოფი 4 მოსწავლე, ხოლო 7 – დაჭრეს. ამას გიმნაზიის დაკეტვა და მის შენობაში ჯარისკაცთა რაზმის ჩაყენება მოჰყვა. პროტესტის ნიშნად, გიმნაზისტებმა გამოსცეს არალეგალური გაზეთი „ექო“, რომლის ორგანიზებაშიც ხელისუფლებამ ივანე გამყრელიძე დაადანაშაულა. გაიმართა სასამართლო პროცესიც, რამაც გიმნაზისტების ინტერესების დამცველი დირექტორი ფრიად პოპულარული გახადა. ამის დამადასტურებელი გახლდათ ის ფაქტი, რომ 1908 წელს მისი პედაგოგიური საქმიანობის 30 წლისთავი გიმნაზიაში დიდი ზეიმით აღინიშნა.[219]

1905-1907 წლების რევოლუციის ჩახშობისა და მისი თანმდევი რეაქციის შემდეგ, რუსეთის დიდ ქალაქებში დაარსდა „თავისუფალი სიყვარულის ლიგა“ («Лига свободной любвы»), რომლის წევრებიც გავლენიან ოჯახთა შვილები იყვნენ. ისინი დათქმულ ადგილებში იკრიბებოდნენ და აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდნენ. 1910 წელს ასეთი ლიგა თბილისშიც დაარსდა. მათი შეკრების ადგილს „წითელი ოთახი“ ერქვა. ლიგის წევრი ერთ-ერთი ასულის მამა ნიკოლაი თეოდორის ძე რუდოლფი – კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იყო. ყოველივე ეს ამხილა ივანე გამყრელიძემ, რასაც ლიგის წევრთა მშობლების აღშფოთება მოჰყვა. ეს გამბედაობა დირექტორს სამსახურის დაკარგვის ფასად დაუჯდა. 1911 წლის 1 თებერვალს იგი დაკავებული თანამდებობიდან პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობის ბრალდებით გაათავისუფლეს.[220]

1913-1914 წლებში ივანე გამყრელიძე მსახურობდა თბილისის საოლქო სასამართლოში, [221] თუმცა პედაგოგიურ საქმიანობას დიდხანს მაინც ვერ მოწყდა.

---

[219] სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები. ვ. ქავჭაიას რედაქციით. კრებული III. თბ. 1968, გვ. 78-79.

[220] სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, გვ. 80.

[221] Кавказский календарь на 1914 год, გვ. 477.

1915 წელს მან თბილისში დააფუძნა „საშუალო კულტურულ-ტექნიკური სასწავლებელი", სადაც სკოლებიდან გარიცხულ მოსწავლეებს იღებდა და მათ სწორ გზაზე აყენებდა. ეს სასწავლებელი მოგვიანებით გადაკეთდა ტექნიკუმად და ფუნქციონირებას საქართველოს იძულებითი გასაბჭოების (1921 წ.) შემდეგაც კი განაგრძობდა.[222]

ივანე გამყრელიძეს პატივისცემით იხსენიებს მესამე დასის ერთ-ერთი დამაარსებელი და ქართველ სოციალ-დემოკრატთა მენშევიკური ფრთის თვალსაჩინო წარმომადგენელი ისიდორე რამიშვილი (1859-1937), რომლის მოგონებებშიც ვკითხულობთ: „ჩემმა ყოფილმა მასწავლებელმა და ახლა უკვე მეგობარმა ივანე გამყრელიძემ მიშოვნა მასწავლებლის ადგილი სამეურნეო სკოლაში, სოფელ წინამძღვრიანთკარში.[223]

*ვალენტინა კირილეს ასული გამყრელიძე* პიანისტის სპეციალობას დაეუფლა პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკისთან (1840-1893), რომელიც გამოჩენილი კომპოზიტორი, პედაგოგი, დირიჟორი და მუსიკის კრიტიკოსი გახლდათ.

ვალენტინა გამყრელიძე ცოლად გაჰყვა ქუთაისში მცხოვრებ პოლონელ წარჩინებულს – მიხეილ ანდრიას ძე ზდანევიჩს, რომელიც ხელმძღვანელობდა ქუთაისის გიმნაზიას, ხოლო შემდეგ – თბილისის გიმნაზიაში ფრანგულ ენას ასწავლიდა. მისი მშობლების ოჯახი პოლონეთში 1863 წელს მომხდარი ანტირუსული სახალხო აჯანყების შემდეგ საქართველოში გადმოასახლეს. ამ პოლონურ-ქართულ ოჯახში დაიბადნენ მომავალში სახელგანთქმული მოღვაწე ძმები: კირილე (1892-1969), მხატვარი-გრაფიკოსი, ფუტურისტი, წიგნების ილუსტრატორი, თეატრალური დიზაინერი და ილია (1894-1975), პოეტი, დრამატურგი, მწერალი-რომანისტი, პოეზიის და ფუტურიზმის თეორეტიკოსი, მხატვრული კრიტიკოსი, ისტორიკოსი, ბიზანტინისტი, გამომცემელი, ხოლო იმავდროულად – შესანიშნავი მთხრობელი, მოდური ტანისამოსის დიზაინერი და ელიტურ წვეულებათა ორგანიზატორი, რომელიც ცნობილია ფსევდონიმებით – *«Ильязд»* და *«Эли Эганбюри»*.

სწორედ ძმები ზდანევიჩების დამსახურებაა, რომ 1912 წელს მათ იმხანად თბილისში მცხოვრებ მხატვრებთან – მიხაილ ლე-დანტიუსთან (1891-1917) და ზიგმუნტ (ზიგა) ვალიშევსკისთან (1897-1936) ერთად, აღმოაჩინეს

[222] დ. გურგენიძე. გამყრელიძე ივანე ევდოკიმეს ძე. ენციკლოპედია „საქართველო". I. თბ. 1997, გვ. 547.

[223] ი. რამიშვილი. მოგონებები. გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, ბიოგრაფიული ცნობები საძიებლები დაურთეს გ. საითიძემ და ქ. რამიშვილმა. თბ. 2012, გვ. 201.

თვითნასწავლი მხატვარი – ნიკო (ნიკალა) ფიროსმანაშვილი (ფიროსმანი),[224] რომლის გენიალურ შემოქმედებასაც დღეს საერთაშორისო დონეზე იცნობენ და აფასებენ. ზდანევიჩებისა და ფიროსმანის ახლო ურთიერთობის მაუწყებელია ის ფაქტიც, რომ 1913 წელს ნიკალამ შექმნა ილია ზდანევიჩის პორტრეტი, ზომით 150X120, რომელიც მუყაოზე შეასრულა.[225]

აქვე დავსძენთ, რომ მირილ კირილეს ასული ზდანევიჩისა და მხატვარ აპოლონ ქუთათელაძის (1899-1972) ვაჟი – ყარამან ქუთათელაძე, ასევე მხატვარი გახლავთ.

XX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიაში მოქმედი რევოლუციური პარტიები ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ახორციელებდნენ ტერორისტულ აქტებს, კერძოდ, ექსპროპრიაციებს (ფულის გამოძალვას), ძარცვას, შეიარაღებულ თავდასხმებს სახელმწიფო და კერძო სექტორზე და მათ წარმომადგენლებზე. ამ გზით ნაშოვნ თანხებს ისინი პოლიტიკური და პირადი მიზნებისათვის იყენებდნენ.

1905 წლის იანვარში, ამიერკავკასიის რკინიგზების მთავარი სახელოსნოს რონოდების ამქრის ბრიგადირს *სამსონ გამყრელიძეს* მოკვლის მიზნით თავს დაესხა ტერორისტი და ორი ტყვია ესროლა. დაჭრილი გადაიყვანეს რკინიგზის საავადმყოფოში, ხოლო თავდამსხმელმა მიმალვა მოასწრო. ამის თაობაზე იუწყებოდა გაზეთი «Кавказ», რომელიც იმხანად თბილისში გამოდიოდა.[226]

აღნიშნული თავდასხმა განახორციელა რევოლუციურმა ტერორისტმა ილია ნებიერიძემ, [227] რომელიც იგონებდა: „1901 წლიდან ვმსახურობდი რკინის გზის მთავარ სახელოსნოს სარონოდო განყოფილებაში. მაშინ 18 წლისა ვიყავი. ამავე სარონოდო საალმშენებლო განყოფილებაში გავიცანი: სტეფანე ზაქრაძე, ზაქრო ჩოდრიშვილი, გიორგი სტურუა... ტიხონა სანაძის ხელმძღვანელობით შედგა ტერორისტთა ჯგუფი... სტეფანე ზაქრაძისა და ზაქარია ჩოდრიშვილის დავალებით მძიმედ დავჭერი სამორიგეო ოთახში ბრიგა-

[224] С. Левандовский. Кирилл Михайлович и Илья Михайлович Зданевичи. В книге: «Наследие петербургской университетской культуры в русском зарубежье» [очерки]. Издание культурного фонда «Знаменитые университанты СПбГУ». Руководитель редколлегии Н. Олесич. СПб. 2012, გვ. 176-177.

[225] Нико Пиросмани (1862-1918). Альбом. Автор вступительной статьи и составитель альбома Э. Кузнецов. Составитель каталога К. Багратишвили. Ленинград, 1984, გვ. 301.

[226] «Кавказ». Тифлис. 12/I/1905.

[227] ი. მახარაძე. ლ. ხეცურიანი. რუსულ-ქართული ტერორი (1880-1924 წლები). თბ. 2009, გვ. 41.

დირი სამსონ გამყრელიძე, როგორც მავნებელი მუშათა კლასისა. გამყრელიძე მორჩა ჭრილობისაგან და ამის შემდეგ ემხრობოდა მუშათა მოძრაობას".[228]

I მსოფლიო ომის დაწყების წინა პერიოდში გრენადერი *კონსტანტინე ჯიბოს ძე გამყრელიძე* მსახურობდა კავკასიის მეორე საარმიო კორპუსში შემავალ ქართველ გრენადერთა XIV პოლკში, რომელიც რუსეთის საიმპერიო ტახტის მემკვიდრე უფლისწულის – ალექსი ნიკოლოზის ძე რომანოვის (1904-1918) სახელობისა გახლდათ.[229]

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1924 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოში მომხდარ ანტისაბჭოთა სახალხო აჯანყებაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება საბჭოური რეჟიმისაგან, სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად, გამყრელიძეთა გვარის არაერთი წარმომადგენელიც მონაწილეობდა.

აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით შორაპნის მაზრაში დახვრეტილ 171 პატრიოტს შორის იყო ზოდელ გამყრელიძეთა წარმომადგენლები – *აკაკი ივანეს ძე* (1892-1924) და *გრიგოლ (გრიშა) ალექსანდრეს ძე* (1890-1924), რომლებიც დახვრეტილთა სიაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკური ფრთა) წევრებად იხსენიებიან.[230]

იმავე აჯანყებაში მონაწილეობის ანდა მისი ღია თუ ფარული მხარდაჭერის გამო შორაპნის მაზრაში დაპატიმრებულ მამულიშვილთა შორის იყვნენ ზოდელ გამყრელიძეთა ოთხი წარმომადგენელი: სოციალისტ-ფედერალისტი *შალვა (შალიკო) გიორგის ძე*, დაბადებული 1903 წელს და უპარტიო ახალგაზრდები – *სერგო ალექსანდრეს ძე*, დაბადებული 1904 წელს, წვრილი მესაკუთრე; *მიხეილ (მიშა) დავითის ძე*, დაბადებული 1905 წელს; *ალექსანდრე არჩილის ძე*, დაბადებული 1899 წელს და *ნოე იპოლიტეს ძე*, დაბადებული 1900 წელს, რომელიც საჩხერის გამოსვლაში მონაწილეობის გამო დაუპატიმრებიათ, მაგრამ გაპარვა მოუხერხებია და მოგვიანებით რაჭაში დაუკავებიათ.[231]

შორაპნიდან თბილისში გადაყვანილთა შორის იყვნენ აჯანყების გამო დაპატიმრებული აზნაურ გამყრელიძეთა იმერეთის შტოს სამი წარმომადგენელი: ზოდელები – მრეწველი *ეიქტორ მიხეილის ძე* (დაბადებული 1877

[228] ი. ნებიერიძე. ტერორისტის მოგონებანი. ჟურნალი „რევოლუციის მატიანე", № 2 (22). თბ. 1929.

[229] Кавказский календарь на 1914 год, გვ. 574.

[230] ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში. თბ. 2011, გვ. 383.

[231] ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, გვ. 389-392.

წელს), რომელიც სოციალისტ-რევოლუციონერი (1905 წლიდან) გახლდათ და ბოლშევიკური რეჟიმისაგან საჩხერის განთავისუფლებაში მონაწილეობდა და სოციალიტ-ფედერალისტი და სტუდენტი *ზურაბ არჩილის ძე* (დაბადებული 1900 წელს), [232] ასევე, საჩხერელი *შოთა გაბრიელის ძე* (დაბადებული 1899 წელს), რომელიც ჭიათურის აღებაში მონაწილეობდა.[233]

ზემოხსენებულთაგან პატიმრობიდან ამნისტიის საფუძველზე განთავისუფლებულთა შორის აღმოჩნდა გამყრელიძეთა გვარის მხოლოდ ხუთი წარმომადგენელი: *ვიქტორ მიხეილის ძე, შოთა გაბრიელის ძე, ზურაბ არჩილის ძე, სერგო ალექსანდრეს ძე და მიხეილ (მიშა) დავითის ძე,* [234] ხოლო დანარჩენთა ბედი ჯერჯერობით დადგენილი არ გახლავთ. საკვირაუდოა, რომ ისინი იმჯანად სსრ კავშირში მიმდინარე დაუნდობელი რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ.

სომიწოში დაბადებული *სამსონ იოთამის ძე გამყრელიძე* (1880-1944), რომელიც პროფესიით იურისტი იყო, სხვადასხვა დროს მსახურობდა: სენაკის მაზრის სოფელ ახალსენაკის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწედ, ქუთაისის გუბერნიის მომრიგებელ მოსამართლედ, კერძო ადვოკატად. იგი აქტიურად ჩაება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელმაც I მსოფლიო ომის პერიოდში ფართო მასშტაბები შეიძინა. მეგობრობდა პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწესთან და მეცნიერ-აღმოსავლეთმცოდნე მიხეილ წერეთელთან (1878-1965), რომელიც ბერლინში მოქმედი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო. მისი რეკომენდაციით, დამკომის რწმუნებულად დასავლეთ საქართველოში სამსონი დაინიშნა.

საქართველოში ანტიიმპერიული აჯანყების მოსამზადებლად გერმანიიდან ჩამოტანილი იარაღის შემოზიდვის საიდუმლო ოპერაციას, რაც 1917 წლის აპრილში შავი ზღვიდან ფოთის ჩრდილოეთ სანაპიროს მიმდგარი გერმანული წყალქვეშა ხომალდიდან განხორციელდა, სამსონი უშუალოდ ხელმძღვანელობდა. მაშინ შემოიტანეს გერმანული წარმოების 2600 სამხედრო თოფი და მაუზერის ტიპის 500 პისტოლეტი, რაშიც სამსონის მიერ ახალსენაკში შერჩეული სანდო ახალგაზრდები მონაწილეობდნენ.[235]

[232] ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, გვ. 392-393.
[233] ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, გვ. 396.
[234] ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, გვ. 392-409.
[235] კრებ. „ვალერიან გამყრელიძე (1904-1995)", გვ. 114-116.

ქუთაისში დაიბადა მისი ვაჟი *კალერიან სამსონის ძე გამყრელიძე* (1904-1995), რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა. როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, 1924 წლის ანტიბოლშევიკურ სახალხო აჯანყებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს. იყო საგამომცემლო საქმის ცნობილი სპეციალისტი და ორგანიზატორი, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობას 36 წლის (1965-1991) განმავლობაში, უნარიანად ხელმძღვანელობდა.

მისი ვაჟები არიან ასევე ქუთაისში დაბადებული სახელოვანი და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მეცნიერები, აკადემიკოსები – მათემატიკოსი *რევაზ* (დაბ. 1927 წ.) და ენათმეცნიერი და აღმოსავლეთმცოდნე *თამაზ* (1929-2021) *გამყრელიძეები.* ორივე მათგანი არჩეულია მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ ან საპატიო წევრად და დაჯილდოებულია მრავალი პრემიით და სახელმწიფო ჯილდოთი. მათი მოღვაწეობა იმდენად მრავლისმომცველი და შთამბეჭდავია, რომ მის ამომწურავ შესწავლას ცალკე წიგნი შეიძლება მიეძღვნას. აქ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ თამაზ გამყრელიძე იკვლევდა ძველი აღმოსავლური ენების, ინდოევროპული, სემიტური და ქართველური ენების სტრუქტურისა და თეორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას. იგი გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი (2005-2013). მისი მეუღლეა ნინო ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილი (დაბ. 1946 წ.), შვილიშვილი დიდი ქართველი მეცნიერისა, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილისა (1876-1940), რომლის მესვეურობითაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა.

თამაზ გამყრელიძის პიროვნულ კეთილშობილებასა და გულისხმიერებაზე მეტყველებს ბაბო (ბარბარე) ნიკოლოზის (კოკის) ასული დადიანის (1903-1999) მემუარების ერთი ფრაგმენტი. აქვე დავსძენთ, რომ ბაბო დადიანმა, თავის ქმარ-შვილთან ერთად, გამოსცადა საბჭოური რეჟიმის საშინელებანი, რაც მათ არაერთგზის დაპატიმრებასა და გადასახლებაში გამოიხატა. ყაზახეთში გადასახლებიდან 1954 წელს დაბრუნებულ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში აღდგენილ ბაბო დადიანს არაერთი ნაცნობი კეთროვანივით ერიდებოდა.

იმ პერიოდში მომხდარ ერთ საგულისხმო ფაქტს ბაბო დადიანი ასე იგონებდა: „ვიყავით თანამშრომლის პანაშვიდზე. გვიანი საღამოა, სუსხიანი შემოდგომა, ძალიან ცივა. წამოვიდა საშინელი წვიმა, ნიაღვარი. მეცვა ნაჭრის, ტილოს ფეხსაცმელი. ვფიქრობდი, როგორ წავიდე აქედან. ამ დროს

მომიახლოვდა თამაზ გამყრელიძე და მითხრა: – ,,ქ-ნო ბაბო, არ წახვიდეთ. მე მიგიყვანთ სახლამდე მანქანით“...

იმ პანაშვიდზე ძალიან ბევრი იყო ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელი მანქანით... თითქოს ერთი ოჯახივით ვიყავით, მაგრამ მხოლოდ თამაზ გამყრელიძემ გამოავლინა ქართული რაინდობა... დროის გადასახედიდან ჩემთვის ეს ფაქტი დაუვიწყარია. თამაზმა მართლაც მიმიყვანა სახლამდე (ძერჟინსკის ქ. № 1), გადმოვიდა მანქანიდან და სანამ ჩემი სადარბაზოს კარს გავაღებდი, არ მიმატოვა“.[236]

*ალექსანდრე თამაზის ძე გამყრელიძემ* (დაბ. 1970 წ.) სადოქტორო დისერტაცია ინფორმატიკის დარგში საარლანდის უნივერსიტეტში (გერმანია) დაიცვა. ამჟამად არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი. მისი და – კლასიკური ფილოლოგიის დოქტორი *ეკატერინე გამყრელიძე* (დაბ. 1969 წ.) – საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მუშაობს.

ქუთაისში დაიბადა ზემოხსენებული ვალერიან გამყრელიძის ძმა *გიორგი სამსონის ძე გამყრელიძე* (1902-1953) – ეკონომისტი, დემოგრაფი, საქართველოში სახელმწიფო სტატისტიკის ერთ-ერთი ორგანიზატორი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის კათედრის ხელმძღვანელობდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისათვის 1921 წლის თებერვალში მიმდინარე ბრძოლაში, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებთან და მათ შორის მარო მაყაშვილთან ერთად, 18 წლის გიორგი გამყრელიძეც მონაწილეობდა. იგი თავდადებით იბრძოდა კოჯორ-ტაბახმელასთან გამართულ ბრძოლებში, სადაც დაიჭრა.

1926 წლის 19 მარტს, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის კურსდამთავრებული გიორგი გამყრელიძე, როგორც წარჩინებული, დაეტოვებინათ საფინანსო მეცნიერების კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად და მისთვის სტიპენდია დაენიშნათ.[237]

იძულებით გასაბჭოებულ სამშობლოში გიორგი გამყრელიძე, ისევე

[236] ბ. დადიანი. მოგონებათა დღიური. თბ. 2008, გვ. 100.

[237] ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები (1917-1926). გამოსაცემად მოამზადეს და საძიებლები დაურთეს მ. ლილუაშვილმა და ზ. გაიპარაშვილმა. თბ. 2006, გვ. 427.

როგორც ქართული ინტელიგენციის ყველაზე პროგრესული ნაწილი, დევნა-შევიწროვებას განიცდიდა.

1931 წლის 28 მაისს საქართველოს სსრ-ის განათლების სახალხო კოლეგიამ დაადგინა: „მოხსნილ იქნან თანამდებობიდან ინსტიტუტებში, როგორც აშკარა მემარჯვენე და სოციალისტური მშენებლობისათვის საჭირო კადრების მომზადების საქმისათვის შეუფერებელი შემდეგი პროფესორები და მასწავლებლები: პროფესორი გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი, პროფესორი ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი, პროფესორი მიხეილ ალექსის ძე პოლიევექტოვი, დოცენტი გიორგი სამსონის ძე გამყრელიძე, პროფესორი ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილი, პროფესორი ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი...“

„კონდრატიეველებად“ გამოცხადებული ეს მეცნიერები და პედაგოგები დაადანაშაულეს სტუდენტ ახალგაზრდობაში კონტრრევოლუციური განწყობის გაღვივებაში.[238]

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ გიორგი გამყრელიძე იყო იმ ღირსეულ ქართველ მამულიშვილთა შორის, რომელთა მოღვაწეობაც ბოლშევიკური რეჟიმისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

მისი ვაჟი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი *ნიკოლოზ გიორგის ძე გამყრელიძე* (დაბ. 1939 წ. თბილისში) მოსკოვში მოღვაწეობს. მისი სპეციალობაა ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, ხოლო კვლევის სფერო – ზღვარითი თეორემები მესერული განაწილებისათვის და მომიჯნავე საკითხები. ავტორია საყურადღებო ნაშრომებისა ალბათობის თეორიის დარგში.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი *გიორგი (გიგა) ნიკოლოზის ძე გამყრელიძე* (დაბ. 1967 წ. თბილისში) თბილისისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის შემდეგ მოღვაწეობდა ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში, მათ შორის პროფესორად ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტში (Northwestern University), რომელიც ილინოისის შტატში მდებარეობს. ამჟამად იგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (ილიაუნი) პროფესორად მოღვაწეობს. იკვლევს პოტენციურად მნიშვნელოვანი ანტიეპილეფსიური წამლის – მიო-ინოზიტოლის ზეგავლენას ტვინის კრუნჩხვით აქტივობაზე.

ზემოხსენებული სამსონ იოთამის ძე გამყრელიძის ძმისწული – *ნიკოლოზ (ნიკა) პოლიევექტის ძე გამყრელიძე* (1924-2019), ასევე სომიწოში და-

[238] ვ. ასათიანი. კლასიკოსი გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი (1870-1939). თბ.G2018, გვ. 145.

იბადა. იგი გახლდათ გეოფიზიკოსი, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი, რომელმაც თავისი უკანასკნელი ფუნდამენტური ნაშრომი სეისმოლოგიის დარგში – 95 წლის ასაკში გამოაქვეყნა. მისმა ვაჟმა – *დიმიტრი ნიკოლოზის ძე გამყრელიძემ* (დაბ. 1957 წ.) თარგმნა „ქართლის ცხოვრება“ ინგლისურ ენაზე, ხოლო სარტრის, რასელის, ჰაიეკის, კასტანედასა და სხვათა ნაწარმოებები, ფრანგული და ინგლისური ენებიდან – ქართულად და რუსულად.

სამსონ იოთამის ძე გამყრელიძის მეორე ძმისწული, ასევე სომიწოში დაბადებული *ივანე პოლიექტის ძე გამყრელიძე* (1927-2012) იყო გამომგონებელი, მრავალი დანერგილი და ფართოდ გავრცელებული დაპატენტებული გამოგონების ავტორი.

სომიწოში დაიბადა გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი წლის განმავლობაში ქართული გეოლოგიური სკოლის უცვლელი ლიდერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი აკადემიკოსი *პეტრე დიანოზის ძე გამყრელიძე* (1903-1979), რომელიც ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტს 1955-1978 წლებში ხელმძღვანელობდა.

ასევე გამოჩენილი მეცნიერია მისი ვაჟი, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი *ერეკლე გამყრელიძე* (დაბ. 1933 წ.), რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა გეოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების, პირველ რიგში კი, მისი უმნიშვნელოვანესი დარგის – ტექტონიკის განვითარებაში, რითაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. იგი ლექციების კურსს კითხულობდა კემბრიჯისა და ედინბერგის უნივერსიტეტებში, ხანგრძლივი მივლინებით იმყოფებოდა გერმანიაში (1967-1968). ამჟამად არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1988 წლიდან).

მისმა ვაჟმა – ექიმმა, ბიზნესმენმა და პოლიტიკოსმა *დავით გამყრელიძემ* (დაბ. 1964 წ.) თავისი კარიერა სამედიცინო სფეროში საქმიანობით დაიწყო. მუშაობდა ბავშვთა ნეფროლოგიური სანატორიუმის ექიმ-ნეფროლოგად. 1988-2012 წლებში აქტიურად გახლდათ ჩაბმული პოლიტიკურ საქმიანობაში. იყო ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი (ირაკლი კაკაბაძესთან ერთად). 2001 წელს სათავეში ჩაუდგა პოლიტიკურ გაერთიანებას „ახალი მემარჯვენეები“ (ლევან გაჩეჩილაძესთან ერთად). სხვადასხვა დროს გახლდათ: თბილისის საკრებულოს წევრი (1998 წლიდან), საქართველოს პარლამენტის წევრი საარჩევნო ბლოკიდან „მოქა-

ლაქეთა კავშირი“ (1999-2004), ასევე, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო შემდეგ – საარჩევნო ბლოკიდან „მემარჯვენე ოპოზიცია, მრეწველები, ახლები“ და საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერი (2006-2008 წლებში). იყო საქართველოში პირველი შპს სადაზღვევო კომპანიის „ალდაგი“ დამფუძნებელი, დირექტორი, პრეზიდენტი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (1990-1999). 1999 წელს დასახელდა საქართველოს წარმატებულ ბიზნესმენთა ათეულში.

სოფელ ჯინჭვისში დაიბადა ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ფილოლოგიის დოქტორი *ალექსანდრე გალაქტიონის ძე გამყრელიძე* (1918-1971). სამწუხაროდ, 53 წლის ასაკში ის მოკლეს ქუჩაში, სადაც შეესწრო ასეთ ფაქტს: ახალგაზრდა მამაკაცი სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა თანმხლებ გოგონას. რაინდული სულისკვეთების მქონე ბატონი ალექსანდრე, რომლისთვისაც მიუღებელი გახლდათ მსგავსი დამოკიდებულება მანდილოსნისადმი, შეეცადა თავდამსხმელის შეჩერებას და გონზე მოყვანას, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

მისი ვაჟი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი *გელა გამყრელიძე* (დაბ. 1951 წ.) ხელმძღვანელობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგია-ისტორიის მიმართულებას და არქეოლოგიის საბჭოს. 1969 წლიდან მონაწილეობდა: ვანისა და ბიჭვინთის ნაქალაქარების, ქუთაისის, ფოთის, ვალეს, თეთრიწყაროს, მთისძირისა და სხვა არქეოლოგიურ ექსპედიციებში. იკვლევს კოლხეთის ისტორიას, ტოპოარქეოლოგიურ საკითხებს (ძველი წელთაღრიცხვის V – ახალი წელთაღრიცხვის VII საუკუნეები), ანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიას და არქეოლოგიას, არქეოლოგიური ძეგლების სტატისტიკურ-ტოპოლოგიურ კლასიფიკაციას, ჩვენი ქვეყნის ურთიერთობების ისტორიას ანტიკურ და ირანულ სამყაროსთან.

ჯინჭვისელ გამყრელიძეთა შთამომავალია ცნობილი მეცნიერ-იმუნოლოგი *ამირან გრიგოლის ძე გამყრელიძე* (დაბ. 1951 წ.), რომელიც მოღვაწეობდა საქართველოს შრომის, ჯანრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრად (2001-2003). იგი გახლავთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯან-

მრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი (2013 წლიდან), ევროპის ალერგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის აკადემიის წევრი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროგრამების კოორდინატორი საქართველოში.

სოფელ კომანდელში (ონის მუნიციპალიტეტი) დაიბადა *ბაბუა ვახტანგის ძე გამყრელიძე* (1933-2001), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. მის ნაშრომებში შესწავლილია: ქართველი ხალხის სამეურნეო ტრადიციები, მესაქონლეობა საქართველოსა და ინგუშეთის მთიანეთში, ხევსურეთის სოფელი, ცენტრალური კავკასიის მთიელთა მესაქონლეობის სოციალურ-კულტურული პრობლემები, [239] ოსთა განსახლება საქართველოში,[240] მათი დემოგრაფიული და ეთნოსოციალური პრობლემები ჩრდილო კავკასიაში[241] და სხვ. პროფესორად მუშაობდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ზოოვეტერინარულ აკადემიაში.

სოფელ ზოდში (ჭიათურის მუნიციპალიტეტი) მცხოვრები აზნაური მიხეილ გამყრელიძე – აქტიურად იყო ჩაბმული იმავე რეგიონში არსებულ მანგანუმის (იმავე მარგანეცის) მრეწველობაში, რასაც საფუძველი 1879 წლიდან ჩაეყარა. ამ საქმის ინიციატორი დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი (1840-1915) გახლდათ. მადანს სხვა ორგანიზაციებთან ერთად ამუშავებდა მისი მომპოვებელი ადგილობრივი საზოგადოება „იმერეთი“, რომლის წევრთა შორის, სხვა მრეწველებთან ერთად, გამყრელიძეც გახლდათ. XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში აღნიშნულმა საზოგადოებამ 120 მუშის მეშვეობით 350 ათასი ფუთი მადანი მოიპოვა. მომდევნო პერიოდში, მსოფლიო ბაზარზე მანგანუმის მოთხოვნილების ზრდის გამო, ამ მადნის მოპოვება გაიზარდა.[242]

მრეწველ მიხეილ გამყრელიძის ოჯახში დაიბადა *გიორგი (გუგული) გამყრელიძე* (1903-1975), მომავალში ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო

---

[239] ბ. გამყრელიძე. ცენტრალური კავკასიონის მთიელთა ალპური მესაქონლეობა. თბ. 1982.

[240] ბ. გამყრელიძე. ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში. კრებულში „ოსთა საკითხი“. შემდგენლები და რედაქტორები ა. ბაქრაძე და ო. ჩუბინიძე. თბ. 1996, გვ. 182-207.

[241] ბ. გამყრელიძე. ოსთა დემოგრაფიული და ეთნოსოციალური პრობლემები ჩრდილო კავკასიაში. „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“. XVIII. რ. თოფჩიშვილის რედაქციით. თბ. 2017, გვ. 67-156.

[242] ე. ხოშტარია. მრეწველობის განვითარება. წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. ტ. V. საქართველო XIX საუკუნის 30-50-იან წლებში. ტომის რედაქტორი ი. ანთელავა. თბ. 1970, გვ. 399.

წარმომადგენელი, მწერალი, რომლის ლიტერატურულ ფსევდონიმსაც „გრიგოლ ზოდელი“ წარმოადგენდა. მისი ლექსების პირველი კრებულები: „შემოდგომის ჭიანურები“ (1920) და „დალურსმული ხელები“ (1922) თბილისში გამოიცა. მეგობრობდა „ცისფერყანწელებთან“, განსაკუთრებით ტიციან ტაბიძესთან და პაოლო იაშვილთან, რომლის მამა ჯიბრაილი (ჯიბო) და გიორგი გამყრელიძის მამა ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ. გიორგი გამყრელიძის დის – თინას მეუღლე იყო მწერალი აკაკი ბელიაშვილი (1903-1961).

1923 წელს, თავისი მამის ხელშეწყობით, გიორგი გამყრელიძე სასწავლებლად გაემგზავრა გერმანიაში, სადაც ქალაქ კიოტენის (კეტენის) ინსტიტუტის სამთო-საინჟინრო ფაკულტეტი დაამთავრა. ცხოვრობდა მიუნხენში, სადაც გერმანელ ქალზე დაქორწინდა.

1937 წელს თავისი სპეციალობით სამუშაოდ გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიაში, ხოლო 1941 წლიდან საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. ცხოვრობდა ტექსასის შტატის ქალაქ დალასში, საიდანაც 1957 წელს ვაშინგტონში გადავიდა. იქ მან დაიცვა დისერტაცია და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხი მოიპოვა. მოღვაწეობდა ვაშინგტონის ბიბლიოთეკის აღმოსავლური მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში. ფლობდა გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ და ჩეხურ ენებს.

ემიგრაციაში გამოიცა მისი ლექსების კრებულები სახელწოდებით: „ლურჯი მონოკლი“ (პარიზი, 1932), „გვიანი რთველი“ (სანტიაგო დე ჩილე, 1960), ასევე, უკანასკნელი წიგნი, რომელშიც შევიდა მისი ლექსები, მოთხრობები, უცხო პოეზიის ნიმუშების თარგმანები და ორნითოლოგიური (ფრინველთა შესახებ) ნარკვევები (ვაშინგტონი, 1963).

თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ პრესაში. მეგობრობდა ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან: მიხეილ წერეთელთან, კიტა ჩხენკელთან, გიორგი ყიფიანთან, ვიქტორ ნოზაძესთან, კალისტრატე და ნინო სალიებთან და სხვ.[243]

1953 წლის 2 მარტს, ჟენევაში მყოფი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის დიდებული ქურუმი გრიგოლ რობაქიძე (1880-1962) წერდა: „გიორგი გამყრელიძე ცნობილია ქართულ ემიგრაციაში. იგი ნათესავია პაოლო იაშვილის: არა მარტო სისხლით, მგოსნური გზნებითაც. ხოლო ამ გზნებაში იგი თავისებურია: მას აქვს საკუთარი ლირიული ხმა... გამყრელიძე ლირიკოსია. მის შაირებში ბევრია ლირიული. გამყრელიძის შაირში კონტექსტი გად-

[243] გ. შარაძე. უცხოეთის ცის ქვეშ. I. თბ. 1991, გვ. 268-278.

მოხვეწილობაა თვითონ და ამოძახილი ამით მძაფრდება. და ეს ხდება ისე, რომ ავტორი გადმოხვეწილობას ერთ სიტყვითაც არ იხსენებს – მით მეტ-ყველია შაირი".[244] აქვე დავსძენთ, რომ სიტყვაში „შაირი" რობაქიძე „ლექსს" გულისხმობდა.

გრიგოლ რობაქიძის მიერ გიორგი გამყრელიძისათვის გაგზავნილი 21 წერილის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ათწლიან (1952-1962) პერიოდს,[245] რაც მათ შემოქმედებით სიახლოვესთან ერთად, მეგობრულ ურთიერთო-ბებზეც მეტყველებს.

1952 წლის 14 დეკემბრით დათარიღებულ წერილში გიორგი გამყრე-ლიძისადმი გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავდა: „ძვირფასო გიორგი! გუშინ მივი-ღე შენი გულუხვი ბარათი. მადლობ დიდათ. ქართველთა შორის მხოლოდ მიხეილ წერეთელი წვდა შინაღენას ჩემი შემოქმედებისა. ახლა ეხედავ: შენც წვდენიხარ ერთს ვლინებას ამა „დენისა", წვდენიხარ, როგორც მგოსანი... კე-თილი შობა-ახალწელი! იყავი მხნედ და მარჯვედ!"[246]

საგულისხმოა, რომ გიორგი გამყრელიძისათვის გაგზავნილი ბოლო წერი-ლი გრიგოლ რობაქიძეს გარდაცვალებამდე სამიოდე თვით ადრე დაუწერია...

გიორგი გამყრელიძე ფსევდონიმით – „გიორგი ლაშხი" მოღვაწეობდა რადიოსადგურ „ამერიკის ხმის" ქართულ განყოფილებაში,[247] სადაც ძირითა-დად ქართული ლიტერატურის საკითხებზე მსჯელობდა. 1972 წელს მეუღ-ლითურთ საცხოვრებლად გადავიდა მიუნხენში, სადაც მათ თავიანთი სიცოც-ხლის უკანასკნელი წლები გაატარეს.

ზოლელი *კონსტანტინე ეფრემის ძე გამყრელიძე* (1898-1926) 1924 წლის ანტისაბჭოთა სახალხო აჯანყებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და დახვრიტეს. ანტისაბჭოური განწყობის გამომჟღავნების ბრალდებით 1937 წელს დააპატიმრეს მისი უფროსი ძმაც – ინჟინერი *კალენიკე გამყრელიძე* (1896-1970), რომელიც ციმბირში გადაასახლეს.

მისი ვაჟი *ოთარ კალენიკეს ძე გამყრელიძე* (დაბ. 1932 წ.) იურიდი-ულ მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია. მისი სპეციალობაა: „სისხლის სამართალი და პროცესი, კრიმინალისტიკა, კრიმინოლოგია, შრომა-გასწორე-

[244] გ. რობაქიძე. ნაწერები. IV, პუბლიცისტიკა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა. გამომცემელი ლ. ბაქრაძე. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლ. ცომაიამ. თბ. 2012, გვ. 211.

[245] გ. რობაქიძე. ნაწერები. IV, გვ. 609-639.

[246] გ. რობაქიძე. ნაწერები. IV, გვ. 609.

[247] რ. დაუშვილი. ქართული ემიგრაცია ამერიკაში. თბ. 2014, გვ. 69.

ბის სამართალი“, ხოლო კვლევის სფეროა სისხლის სამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. 1963 წლიდან მუშაობდა თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განყოფილებას და სამეცნიერო საბჭოს. კანდიდატის ხარისხი მიენიჭა ნაშრომისათვის „დანაშაულის შეუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა“ (1974), ხოლო დოქტორობა – გამოკვლევისათვის „სისხლის სამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი“ (1994).

პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის უნივერსიტეტსა და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე. იყო უზენაესი სასამართლოს მეცნიერ-კონსულტანტი, ადვოკატთა ასოციაციის წევრი, სისხლის სამართლის კოდექსის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარე. მის მიერ შემუშავებელი კოდექსის ვერსია საფუძლად დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამთავრობო ვარიანტს. ავტორია 300-ზე მეტი სამეცნიერო, პუბლიცისტური და საენციკლოპედიო სტატიისა. სამეცნიერო მივლინებებით იმყოფებოდა გერმანიაში.

მისმა ვაჟმა, სამართლის დოქტორმა *სულხან გამყრელიძემ* (დაბ. 1968 წ.) იურიდიული განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო და პასაუს (გერმანია) უნივერსიტეტებში. მსახურობდა: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კონსულტანტად, საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების უფროსის მოადგილედ, განყოფილების უფროსად (1994-1999), გაერთიანებული ქართული ბანკის (ამჟამად VTB) იურიდიული სამმართველოს უფროსის მოადგილედ (1995-1996), იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის მრჩევლად (1999-2000), დირექტორად (2003-2009), გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) სამართლისა და სასამართლო რეფორმის პროექტის კოორდინატორად საქართველოში (2000-2003), საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მრჩევლად (2006-2009), საქართველოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანად (2010-2013). აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში მიმდინარე სამართლის რეფორმის განხორციელების პროცესსა და საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში (1996-1998). იყო საქართველოში პირველი კომენტატორი და ავტორი საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში დაწერილი პირველი მონოგრაფიისა: „სა-

ერთაშორისო კერძო სამართლის შესავალი“ (2000). პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქართულ-ამერიკულ (2010-2017) და აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო (2015-2018) უნივერსიტეტებში. ამჟამად არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი (2018 წლიდან) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი (2015 წლიდან).

ჭიათურაში დაიბადა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, საქართველოს ფსიქიატრთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე *შოთა აკაკის ძე გამყრელიძე* (1922-2015). იგი სხვადასხვა დროს მსახურობდა: სოხუმის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმად, რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის გამყოფილების გამგედ, მთავარ ექიმად, მიხეილ ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკურ განყოფილების გამგედ. მისი სამეცნიერო კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ფსიქოზთა ეტიოპათოგენეზი, კლინიკისა და მკურნალობის საკითხები.[248]

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი *ირაკლი დავითის ძე გამყრელიძე* (1908-1971) საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორად მოღვაწეობდა.

ჯინჭვისელი აკაკი პორფილეს ძე გამყრელიძე (1925-1993) მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მსახურობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუტიპლიკაციური ფილმების განყოფილებაში. დაფუძნა დიაფილმების გამყოფილება. იყო მხატვარ-რედაქტორი. მონაწილეობდა შემდეგი ანიმაციური ფილმების შექმნაში: „ჩხიკვთა ქორწილი“, „მტრობა“, „წუნა და წრუწუნა“. ავტორია მულტფილმისა „შაქრო და ზაქრო“. შექმნა დიაფილმების სერია: „საქართველოს არქიტექტურული ძეგლები“. იყო კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. დაჯილდოვებულია მედლით „სსრკ ფრიადოსანი კონემატოგრაფიაში“ და საქართველოს ღირსების მედლით – ქართული ფილმის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

კალაში დაბადებული ალექსანდრა ილარიონის ასული გამყრელიძე (დაბ. 1940 წ.) მსახურობდა ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, სადაც მიღწეული წარმატებისათვის მას მიენიჭა სსრ კავშირის სოციალისტური გმირის წოდება (1966).

[248] გამყრელიძე შოთა აკაკის ძე. ენციკლოპედია „საქართველო“. I. თბ. 1997, გვ. 547.

სომიწოს დამეწყრისა (1949) და მოსახლეობის უდიდესი ნაწილის აფხაზეთში გადასახლების შემდეგ, ამ სოფლის მკვიდრი კარლო გრიგოლის ძე გამყრელიძე (1938-2014) თავისი მშობლების ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ონში გადავიდა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი ხელმძღვანელობდა ონის რაიონის კავშირგაბმულობის განყოფილებას (1980-2005), სადაც მოსახლეობის პატივისცემა დაიმსახურა. იყო ონის საპატიო მოქალაქე და ღირსების ორდენის კავალერი.

მისი უფროსი ძმა – ჯუმბერ გრიგოლის ძე გამყრელიძე (1936-2011) – ფერმწერი და მხატვრული ჭედურობის ოსტატი გახლდათ. მან ლითონის და ხის შეხამებით, მისთვის დამახასიათებელი ორიგინალური სტილით შექმნა რთული ჭედური კომპოზიციები ბიბლიურ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სიუჟეტებზე და უნიკალური ჭედური ყდები.

სომიწოელი ზაალ ნიკოლოზის ძე გამყრელიძე (დაბ. 1944 წ.) მსახიობად მოღვაწეობს რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სადაც მისი მეუღლე ლარა ხაჭაპურიძე (დაბ. 1945 წ.) რეჟისორად და კოსტუმების მხატვარ-დეკორატორად მსახურობს. მათი ვაჟი, პროფესიით ყბა-სახის ქირურგი და სტომატოლოგი ზურაბ ზაალის ძე გამყრელიძე (დაბ. 1975 წ.) – საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგეი ანატოლის ძე გამყრელიძე (დაბ. 1956 წ.) ხელმძღვანელობს რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ვლადიმერ მოკეროვის სახელობის მაღალი სიხშირის ნახევარგამტარების ელექტრონიკის ინსტიტუტს (2016 წლიდან).

შპს „ელექტრომონტაჟის“ გენერალური დირექტორის, ინჟინერ მალხაზ გამყრელიძის (დაბ. 1959 წ.) ძალისხმევით განხორციელდა ელექტროსა-ინჟინრო სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე: თბილისის წმ. სამების საკათედრო ტაძარი, I გიმნაზია, სატელევიზიო ანძა, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი, მეტროპოლიტენის სადგურები, საავიაციო, ელმავალმშენებელი და რუსთავის მეტალურგიული ქარხნები, ფოთის პორტის ნავთობის ტერმინალი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის სატუმბო სადგური და სხვ.

არქიტექტორ-რესტავრატორმა ირაკლი გამყრელიძემ (დაბ. 1963 წ.) დააფუძნა და ხელმძღვანელობს აღნიშნული პროფილის შპს-ებს: „კად სტილი“ და “GASU”. მის მიერ განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია პროექტები, რომლებიც შესრულდა შემდეგ ობიექტებზე: უწერის წმ. გიორ-

გის ეკლესია, ისტორიულ ჰერეთში (ამჟამად აზერბაიჯანი) მდებარე ქურმუხის წმ. გიორგის და ალიბეგლოს წმ. ნინოს ეკლესიები, სოფელ გომარეთის ღვთისმშობლის ეკლესია (დმანისის მუნიციპალიტეტი), ასევე საქართველოს ეროვნული ბანკი, ჭრელი აბანო და ნაგებობები, რომლებიც თბილისის ისტორიულ ნაწილში, თანამედროვე ბეთლემისა და ბესიკის ქუჩებზე მდებარეობს.

პლასტიკური ქირურგი და მედიცინის დოქტორი ლელა ნოდარის ასული გამყრელიძე (დაბ. 1970 წ.) მოღვაწეობს მოსკოვში, ხოლო გურანდა გამყრელიძე (დაბ. 1974 წ.) „ავერსის კლინიკაში“ ექიმ-სტომატოლოგად, თერაპევტად და ქირურგად მსახურობს.

წინამდებარე ნაშრომის ამ ნაწილს სისრულის პრეტენზია არ გააჩნია. ამიტომაც, მას შეძლებისდაგვარად სრულყოფთ შემდგომი კვლევა-ძიების პროცესში.

## 10. გამყრელიძეთა თანამედროვე რაოდენობა და განსახლების არეალი

1995 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, საქართველოში ცხოვრობდა 1643 გამყრელიძე, რომელთა თითქმის ნახევარი, კერძოდ, 757 ადამიანი – თბილისში, ხოლო დანარჩენი 886 – რეგიონებში მკვიდრობდა.

რეგიონებში მოსახლე გამრელიძეთა გვარის წარმომადგენელთაგან 49 ცხოვრობდა მშობლიურ რაჭაში, 311 – იმერეთში, კერძოდ, ქუთაისსა და ჭიათურის რაიონში, ხოლო დანარჩენი 575 – სვანეთში, ქართლში, კახეთსა და სამეგრელოში სახლობდა.[249]

* * *

ამრიგად, გამყრელიძენი, რომლებიც ფეოდალურ ეპოქაში აზნაურები იყვნენ, თავდაპირველად ცხოვრობდნენ მშობლიურ კუთხეში – რაჭაში, ხოლო საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, მათი უმრავლესობა თანდათან გადასახლდა სვანეთში, იმერეთში, ქართლში, კახეთსა და სამეგრელოში.

გამყრელიძეებმა და მათ საგვარეულო განშტოებათა წარმომადგენლებმა სახელი გაითქვეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეცნიერო და ლიტერატურულ-სახელოვნებო სარბიელზე, როგორც სამშობლოში, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. ამ თვალსაზრისით გამყრელიძენი ქართულ ისტორიულ საგვარეულოთა მოწინავე რიგში დგანან.

[249] ა. სილაგაძე. ა. თოთაძე. გვარ-სახელები საქართველოში. თბ. 1997, გვ. 54.

***Niko Javakhishvili***
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## FROM THE HISTORY OF GAMKRELIDZE FAMILY

Summary

Among the native Georgian feudal houses, the Gamkrelidzes used to hold an honorable place as one of the noble (in georgian – *aznauri*) houses of the Kingdom of Georgia.

The Gamkrelidze family, which is now widespread throughout Georgia, originated from Racha region. As of February 1, 1995, there were 1643 Gamkrelidzes living in Georgia, of which 757 lived in Tbilisi and the rest 886 – in the regions of Georgia: Svaneti, Imereti, Kartli, Kakheti and Samegrelo.

The present work is the first attempt to study the past of this family and the history of its prominent representatives.

It is divided into ten parts: 1) The origin and the initial settlement area of the Gamkrelidzes – Racha; 2) Imereti branches of the Gamkrelidzes; 3) Kvemo Kartli branch of the Gamkrelidzes – the Shanshiashvilis; 4) Shida Kartli branch of the Gamkrelidzes; 5) Kakheti branches of the Gamkrelidzes; 6) Samegrelo branches of the Gamkrelidzes; 7) Composition of noble Gamkrelidze families in middle of the 19$^{th}$ century; 8) The representatives of the Gamkrelidzes and Shanshiashvilis, as reflected in 19$^{th}$ century Georgian literature; 9) Prominent representatives of the Gamkrelidze house after the end of 19$^{th}$ century); 10) Present day number of the Gamkrelidzes and their settlement area.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII
თბილისი. 2021

*აპოლონ თაბუაშვილი*
ასოცირებული პროფესორი, თსუ

# ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა 1774-1782 წლებში

ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის უთიერთობის შესწავლას ისტორიოგრაფიამ დიდი ყურადღება დაუთმო. მიუხედავად ამისა, 1774-1782 წლების ქართულ-რუსული ურთიერთობები, ჩვენი შეფასებით, არასათანადოდაა შესწავლილი.

როგორც ცნობილია, 1769 წელს ერეკლე II-მ რუსეთის სასარგებლოდ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა, რის შემდეგაც აქტიური სამხედრო მოქმედებები დაიწყო. ომში მონაწილეობის სანაცვლოდ რუსეთის მთავრობა ქართლ-კახეთის მეფეს ოსმალეთისაგან მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას და სამხედრო სფეროში ევროპული ტექნოლოგიების დანერგვას პირდებოდა. ომში გამარჯვების მიუხედავად, რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ ერეკლეს ინტერესები სრულად უგულებელყო. უფრო მეტიც, 1770-1772 წლებში საქართველოში მყოფი იმპერიის მოხელეები მას დაუფარავად ხელს უშლიდნენ, როგორც ახალციხის მიმართულებით ლაშქრობაში, ისე ევროპული ტექნოლოგიების ქართულ არტილერიაში დანერგვის პროცესში.[1]

ერეკლე II-ის მდგომარეობა კი თანდათან რთულდებოდა, რადგან ომში ჩაბმით არა მხოლოდ ოსმალეთის სულთანი გადაიმტერა, არამედ მეზობელი ხანებიც აიმხედრა, ხოლო დაღესტნელები ქართლ-კახეთს გაათმაგებული ძალებით უტევდნენ. უკმაყოფილებას გამოთქვამდა ირანის მმართველი ქერიმხანიც. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე II, დიპლომატიური ეტიკეტიდან გამომდინარე, ოფიციალურ წერილებში საიმპერატორო კარის პირდაპირ დადანაშაულ-

[1] იხ.: ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი I. თბ. 1988, გვ. 112-129, 537-541.

ებას ერიდებოდა და მხოლოდ კორპუსის გენერლების მიმართ გამოთქვამდა პრეტენზიას, მისთვის ცხადი იყო, რომ შექმნილი მდგომარეობა იმპერატორის გადაწყვეტილებებს უკავშირდებოდა. ამიტომ, ვითარების გამოსასწორებლად მეფემ 1772 წლის დასაწყისში თავისი ვაჟის ლევან ბატონიშვილისა და კათოლიკოს ანტონ I-ის მეთაურობით პეტერბურგში ელჩობა გაგზავნა.

ქართველი ელჩები, რომლებიც ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ მიიღეს საიმპერატორო კარზე, რუსეთის იმპერატორისგან ადრე გაცემული დაპირებების შესრულებას ითხოვდნენ. სანაცვლოდ ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორის სასარგებლოდ უდიდეს დათმობაზე მიდიოდა, მათ შორის ხარკის გადახდასა და მძევლების გაგზავნაზეც თანახმა იყო.[2]

ელჩების მისია იმთავითვე მარცხისთვის იყო განწირული, რადგან მას შემდეგ, რაც 1770 წლის განმავლობაში რუსეთის არმიამ გადამწყვეტ წარმატებას მიაღწია, ეკატერინე II-ისათვის ქართველი მეფეების ომში მონაწილეობის საკითხმა აქტუალობა დაკარგა. შედეგად, ჯერ კიდევ ელჩობის გამგზავრებამდე, 1771 წლის 15 დეკემბერს, რუსეთის სახელმწიფო საბჭომ საქართველოდან სამხედრო კორპუსის გაწვევის გადაწყვეტილება მიიღო. 1772 წლის მაისის ბოლოს ჯარი ცხინვალიდან რუსეთისაკენ გაემართა.[3] იმ იმედით, რომ რუსეთის მთავრობა ოსმალეთთან ზავის დადების დროს ქართველთა ინტერესებს გაითვალისწინებდა, ერეკლე II და სოლომონ I ბრძოლას განაგრძობდნენ და 1773 წელს ჯერ ახალქალაქის გარეუბანი დაიკავეს, შემდეგ ყარსის მიმართულებით გაილაშქრეს. ქართველ ელჩებს კი 1773 წლის 31 დეკემბრის წერილით ეკატერინე II-მ უარით უპასუხა. ელჩები თბილისში 1774 წლის აგვისტოში დაბრუნდნენ.

ერეკლე II-ს რუსეთთან მოკავშირეობამ უკიდურესად ნეგატიური შედეგები მოუტანა. ცხადია, მისთვის რთული არ უნდა ყოფილიყო რუსეთის საიმპერატორო კარის ქმედების შეფასება, რომელმაც ის უბრალოდ გაწირა. ამ მოსაზრების რელევანტურობას ადასტურებს თავად ერეკლე II-ის 1774 წლის 24 აგვისტოს წერილი რუსეთის მთავრობის უმაღლესი წარმომადგენლის გრაფ პანინისადმი, რომელშიც მეფე დანანებით აღნიშნავდა, რომ რუსეთის სასარგებლოდ ომში ჩაბმამდე, მის ქვეყანას არც ოსმალებისაგან და არც

[2] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Т. II. Вып. I. С 1768 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели. СПб. 1898, გვ. 90-92.

[3] ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი II. თბ. 1997, გვ. 74.

სპარსელებისგან საფრთხე არ ემუქრებოდა. რაც შეეხება ლეკებს, მათი ნაწილი შემორიგებული ჰყავდა, ნაწილი კი – სამხედრო ძალით დაშინებული. რუსეთის მხარეს ომში ჩაბმის შემდეგ კი ყველა მათგანი მის წინააღმდეგ ამხედრდა. „ჩემი ქვეყანა თურქ ვეშაპებს და სპარსეთის ლომებს და ლეკების მგლებს მიუგდეო“, – სწერდა მეფე და იმასაც დასძენდა, რომ მისმა სამეფომ საომარი კამპანიების წარმართვისათვის, ადამიანურ რესურსთან ერთად, იმ დროისათვის კოლოსალური თანხა – 43 ათასი თუმანი (430 000 მინალთუნი/რუბლი) გაიღო, სანაცვლოდ კი ვერანაირი შემწეობა ვერ მიიღო.[4]

წერილიდან კარგად ჩანს, რამდენად დიდი იყო ერეკლე II-ის იმედგაცრუება რუსეთის მიმართ. მეფე, რომელიც უცხო სახელმწიფოთა უმაღლესი რანგის წარმომადგენლებთან ოფიციალური მიმოწერისას განუხრელად იცავდა დიპლომატიურ ეტიკეტს, ქვეყნის საგარეო მდგომარეობის გართულებაში პირდაპირ ადანაშაულებდა რუსეთის ხელისუფლებას.

იმედგაცრუების მიუხედავად, ერეკლე II იმავე 1774 წლის 24 აგვისტოს წერილით რუსეთის მთავრობისაგან ომის დროს გაწეული დანახარჯების ოდენობის სესხის მიღებას ითხოვდა. პასუხის მოლოდინში მეფემ 1775 წლის გაზაფხულზე კიდევ ერთხელ სცადა რუსეთთან დაკავშირება, რაც რუსეთის ჯარის ნაწილების დარუბანდში შესვლასთან იყო დაკავშირებული. საქმე ის იყო, რომ ამ პერიოდში ერთ-ერთმა გავლენიანმა დაღესტნელმა ბატონმა – ყაითაღის მმართველმა ამირ-ჰამზამ, სხვა დაღესტნელ მოკავშირეებთან ერთად, ბრძოლა წამოიწყო აზერბაიჯანში ყველაზე გავლენიან ფათალი-ხანთან. ყუბის მმართველი ფათალი-ხანი, რომელმაც XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში დარუბანდი, შირვანი, ბაქო, სალიანი და სხვა ტერიტორიები დაიმორჩილა, დაღესტნელთა მოულოდნელ თავდასხმას მოუმზადებელი შეხვდა. მან სალიანს შეაფარა თავი. ამირ-ჰამზამ კი მისი რეზიდენცია – დარუბანდი, ალყაში მოაქცია. ფათალი-ხანმა ყიზლარის კომენდანტთან თავისი წარმომადგენელი გაგზავნა და რუსებს სამხედრო დახმარება სთხოვა. ამ პერიოდში რუსეთის მთავრობას, თავისი ერთ-ერთი ექსპედიციის წევრების დაღუპვის გამო, ამირ-ჰამზას დასჯა გადაწყვეტილი ჰქონდა და გენერალ დე მედემის სარდლობით ჯარი დარუბანდისაკენ გაგზავნა. რუსეთის ჯარის მოახლოებასთან ერთად, ამირ-ჰამზამ დარუბანდს ალყა მოხსნა. მალევე ის დე მედემის

[4] ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი II, გვ. 928-929.

ჯარმა დაამარცხა, ხოლო ფათალი-ხანმა რუსეთის ჯარის დახმარებით დაკარგული სამფლობელოები დაიბრუნა.[5]

როგორც ჩანს, ერეკლე II-მ რუსეთის ჯარების სამხრეთისაკენ გადაადგილების რეალური მიზეზი არ იცოდა და ჩათვალა, რომ ისინი სამხრეთ კავკასიაში ირანული სახანოების წინააღმდეგ ფართო სამხედრო კამპანიას იწყებდნენ. მეფეს არ სურდა რეგიონში მიმდინარე პროცესებისაგან დისტანცირებული ყოფილიყო და 1775 წლის 30 მაისს გენერალ დე მედემს ჯარის საქართველოსაკენ დაძვრა ურჩია. იმ შემთხვევაში თუ რუსეთის ჯარი შირვანისაკენ გამოემართებოდა, ერეკლე II დაღესტნელების შევიწროებასა და ჭარბელაქნის დაპყრობას აპირებდა. რუსებს კი აზერბაიჯანული სახანოების დამორჩილებას აღუთქვამდა და ირანზე ლაშქრობის პერსპექტივას სთავაზობდა.[6] ერეკლემ დაახლოებით იმავე შინაარსის წერილი გრაფ პანინსაც გაუგზავნა, რომელშიც მაღალჩინოსანს საყვედურნარევი ტონით კიდევ ერთხელ ახსენებდა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის შედეგად ქართლკახეთის სამეფომ დიდი ხარჯი გაწია და დახარჯულ თანხას სესხად ითხოვდა.[7]

რაღა თქმა უნდა, ერეკლეს ამ ინიციატივასაც არ მოჰყოლია შედეგი. მალევე, იმპერატორის ბრძანებით გენერალ დე მედემის კორპუსი უკან გაემგზავრა. რუსეთის მთავრობამ სესხის გამოყოფასთან დაკავშირებით ერეკლეს პასუხიც არ აღირსა.

იმის გასარკვევად, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა რუსეთის იმპერატორს ერეკლეს მიმართ, მრავლისმეტყველია ეკატერინე II-ის მიერ 1775 წლის 28 ივლისს გენერალ დე მედემისათვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც აღნიშნავდა: „[ერეკლე] ახლაც ცდილობს ჩვენი დახმარებით თავის ხელისუფებისმოყვარეობას სამსახური გაუწიოს, ისევე, როგორც ეს ჩვენი ჯარის საქართველოში ყოფნის დროს გამოჩნდა“. წერილში ეკატერინე II მკაცრი ტონით დასძენდა, რომ ერეკლეს წინადადება არ იმსახურებდა ყურადღებას. შესაბამისად, გენერალს პასუხი არ უნდა გაეცა მისთვის, ხოლო თუ ერეკლე მეორედაც მიმართავდა, უარით ეპასუხა და შეეტყობინებინა, რომ თუ

[5] გ. მაჭარაძე. ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობა აზერბაიჯანულ სახანოებთან. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბ. 1983. № 1, გვ. 82-83.

[6] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VI. ობ. 1973, გვ. 446.

[7] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Т. II. Вып. I. С 1768 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели, გვ. 178-180.

სურდა, საკუთარი ძალებით ეწარმოებინა დაპყრობითი ომები.[8]

ეს წერილი იმ მხრივაც იმსახურებს ყურადღებას, რომ მასში რუსეთის იმპერატორი ერეკლე II-ს არა მეფედ, არამედ ქართველ „მფლობელად“ მოიხსენიებდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეკატერინე II-ის მხრიდან ეს არ ყოფილა ერეკლეს მფლობელად მოხსენიების პირველი შემთხვევა. თუ 1770 წლის იანვარში ერეკლეს რუსეთ-ოსმალეთის ომში ჩაბმით კმაყოფილი იმპერატორი ცნობილ განმანათლებელ ვოლტერს აღფრთოვანებით სწერდა ერეკლეზე,[9] ომის მიმდინარეობის დროს მისი დამოკიდებულება აბსოლუტურად შეიცვალა. ტოტლებენისა და ერეკლეს დაპირისპირების საპასუხოდ 1770 წლის 9 ივნისს გამოცემული სიგელით, რომლის ადრესატი ქართლ-კახეთის მოსახლეობა იყო, ეკატერინე II ბრალს სდებდა რა ერეკლე II-ს, მას ამჯერადაც ქართველ „მფლობელს“ უწოდებდა. ეს ფაქტი თავისთავად ქართლ-კახეთის მეფის არაკანონიერ მმართველად გამოცხადებას ნიშნავდა.[10] რუსეთის იმპერატორის საქართველოში გამოგზავნილი წერილის შინაარსი, რაღა თქმა უნდა, ერეკლესათვის ცნობილი იყო.

ზოგადად, ეკატერინე II 1770-1774 წლებში ერეკლესათვის გამოგზავნილ ოფიციალურ წერილებში მას მეფედ მოიხსენიებდა, თუმცა საკუთარი მოხელეების მისამართით გაცემულ ბრძანებებში „მფლობელს“ უწოდებდა.[11]

ერეკლე, როგორც კახეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი, მუდმივ წინააღმდეგობას აწყდებოდა რუსეთში მცხოვრები ვახტანგ VI-ის შთამომავლებისგან, რომლებიც ქართლის ტახტზე გამოთქვამდნენ პრეტენზიას. ქართლ-კახეთის მეფე ამ საკითხს დიდ ყურადღებას უთმობდა და თვალყურს ადევნებდა, როგორც ვახტანგის შთამომავლებს, ისე რუსეთის იმპერიის პოზიციას. იმ პერიოდში ერეკლეს ლეგიტიმურობას პეტერბურგში რომ ეჭვით უყურებდნენ, მისთვის ცნობილი არა მხოლოდ ეკატერინე II-ის 1770 წლის 9 ივნისის წერილის შინაარსიდან იყო, არამედ – სხვა წყაროებიდანაც. კერძოდ, რუსეთში ელჩად წარგზავნილ ლევან ბატონიშვილსა და ანტონ I-ს პეტერბურგში შეუტყვიათ მოარული ხმები იმის შესახებ, რომ იმპერატო-

[8] გ. მაჭარაძე. ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობა აზერბაიჯანულ სახანოებთან, გვ. 84.

[9] ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი I, გვ. 105-106.

[10] დ. შველიძე. საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ. თბ. 2014, გვ. 30-32.

[11] ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი II, გვ. 861.

რი ერეკლეზე განაწყენებული ყოფილა, რუსეთში მყოფ ზოგიერთ ქართველ თავადს კი საიმპერატორო კარისათვის ერეკლეს მაგივრად ქართლის ტახტზე ვახტანგ VI-ის შვილიშვილის – ალექსანდრე ბაქარის ძის ან სხვა კანდიდატურის აყვანა შეუთავაზებია.[12]

ამდენად, ერეკლე II-მ 1774-1775 წლებში ნათლად დაინახა თუ რაოდენ დიდი ზიანის მომტანი იყო რუსეთის იმპერიასთან კავშირი. მათ სასარგებლოდ ომში ჩაბმით არათუ მტრისაგან მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნება ვერ შეძლო, არამედ საიმპერატორო კარზე ის არასანდო, ხელისუფლების მოყვარე პიროვნებადაც მიიჩნიეს და ქართლის ტახტზე მისი ლეგიტიმაცია ეჭვქვეშ დააყენეს. შესაბამისად, 1775 წლის მაისის შემდეგ ერეკლემ რუსეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა.

რაც შეეხება სოლომონ I-ს, ოსმალეთთან დაპირისპირების ფონზე, ის შემდგომშიც ცდილობდა რუსეთთან კავშირის შენარჩუნებას, თუმცა – უშედეგოდ. ომის წარმატებით დასრულების შემდეგ, რუსეთის იმპერია ქართული სამეფოების ბედით საერთოდ არ ინტერესდებოდა.

ეკატერინე II-ისათვის იმერეთის სამეფომ აქტუალობა დაკარგა, რადგან ოსმალეთთან ზავის პირობებში სოლომონს თავის სასარგებლოდ ვერ გამოიყენებდა, ხოლო მასთან კავშირს შესაძლოა, სულთნის კარის გაღიზიანება გამოეწვია. ამიტომ, საიმპერატორო კარმა 1775 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით ქართველი „მფლობელების“ – ერეკლესა და სოლომონის წარგზავნილ ელჩებს რუსეთის ტერიტორიაზე გადაადგილება აუკრძალა.[13]

მართალია, იმერეთის მეფე ასტრახანის გუბერნატორთან პერიოდულად გზავნიდა წერილებს და პეტერბურგში ელჩების გაგზავნის ნებართვას ითხოვდა, მაგრამ მუდმივად უარით პასუხობდნენ. განსაკუთრებული საჭიროებიდან გამომდინარე, რაც ძირითადად მეფის დაჟინებულ მოთხოვნას უკავშირდებოდა, სოლომონის წერილები საიმპერატორო კარზე რუს ოფიცრებს მიჰქონდათ.[14] ერთი სიტყვით, 1775 წლიდან ქართულ სამეფოებსა და რუსეთის იმპერიას შორის ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები შეწყდა.

---

[12] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ა. იოსელიანმა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვეთი 28. თბ. 1950, გვ. 66-67.

[13] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Т. II, вып. II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели. СПб. 1902, გვ. 10-11.

[14] მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში. თბ. 1982, გვ. 149-151.

ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის ურთიერთობები მომდენო წლებში კიდევ უფრო გამწვავდა. მსგავსი ვითარება 1782 წლის ზაფხულემდე შენარჩუნდა. აღნიშნულ პერიოდში „მოკავშირე რუსეთის იმპერიისაგან“ მიტოვებულმა ერეკლე II-მ ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად აქტიური და რადიკალური ნაბიჯები გადადგა. ცვლილებები შეეხო როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკას.

ქართლ-კახეთის მეფემ შედარებით ადვილად მოახერხა ირანის მმართველ ქერიმ-ხანთან ურთიერთობის ნორმალიზება. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ქერიმ-ხანის კარზე რუსეთიდან წამოსული ვახტანგ VI-ის შვილიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე იმყოფებოდა, ირანიდან რეალური საფრთხე ნაკლებად იყო მოსალოდნელი. ერეკლე II-ის მოწინააღმდეგე ალექსანდრე ბაქარის ძეს ქართლის ტახტის ხელში ჩაგდება სურდა, თუმცა ირანის მმართველმა მას არსებითი დახმარება არ გაუწია. ირანისაგან განსხვავებით, ქართლ-კახეთის სამეფოს დიდ პრობლემებს უქმნიდა ოსმალეთი. ერეკლეზე განაწყენებული ოსმალები დაღესტნელებსა და მეზობელ ხანებს ქართლ-კახეთზე თავდასხმისაკენ მოუწოდებდნენ და მათ გასამხნევებლად ფულს და საჩუქრებს არ იშურებდნენ. ერეკლე II კარგად ხედავდა, რომ ქვეყნის საკეთილდღეოდ აუცილებელი იყო ოსმალეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება. ოსმალებთან მოლაპარაკებების პროცესში მეფის პოზიციებს რამდენიმე გარემოება ამყარებდა: რუსეთთან ომში დამარცხების შედეგად სულთნის მთავრობა შედარებით დასუსტებული იყო; იზმირის, ახალციხისა და სხვა პროვინციების ფაშები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ; 1776 წელს ირანის მმართველის ქერიმ-ხანის ჯარებმა ოსმალეთს ქალაქი ბასრა წაართვეს. ახალციხის ფაშასთან მოლაპარაკების შემდგომ, ერეკლეს დესპანი სტამბოლში სწორედ 1776 წლის დეკემბერში ჩავიდა. მალევე ერეკლე II-სა და ოსმალეთის სულთანს შორის საიდუმლო შეთანხმება გაფორმდა, რომელმაც 1778 წელს ოფიციალური ხასიათი მიიღო.[15] შეთანხმების შესახებ დეტალური ცნობები არ მოგვეპოვება, თუმცა ცნობილია, რომ ერეკლე II ოსმალეთის მფარველობაში შევიდა. ამ შემთხვევაში მფარველობას გარკვეულწილად ფორმალური ხასიათი უნდა ჰქონოდა, რადგან ოსმალეთის მთავრობა, რუსეთთან და ირანთან ურთიერთობების კიდევ უფრო გაუარესებ-

[15] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ა. იოსელიანმა, გვ. 86; ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლ. მიქაშავილმა. თბ. 1989, გვ. 91-92.

ის შიშით, ქართლ-კახეთზე თავის ძალაუფლებას ვერ გაავრცელებდა. ოსმალეთთან მოლაპარაკების შედეგად ერეკლე II-მ რამდენიმე პრობლემა გადაჭრა: შეწყდა ოსმალთა თავდასხმები, გაცილებით გამარტივდა დაღესტნელების შემოსევების აღკვეთა, მეფეს მეზობელ სახანოებთან აქტიური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა მიეცა. ომან ხერხეულიძის გადმოცემით, ხელშეკრულების დადებისთანავე ახალციხიდან დაუბრუნებიათ მოტაცებული ქართველი ტყვეები და ქართლ-კახეთის სარბევად გამზადებული დაღესტნის ლაშქარიც დაუშლიათ.[16] თავის მხრივ, სულთანიც კმაყოფილი იყო შეთანხმებით, რადგან ირანთან დაპირისპირების დროს ერეკლე ოსმალეთის მოკავშირე ხდებოდა. რა თქმა უნდა, ოსმალეთთან შეთანხმებას თავისი უარყოფითი მხარეებიც გააჩნდა, კერძოდ, ერეკლესა და სოლომონის ურთიერთობა ძალზედ გამწვავდა, ხოლო ახალციხის საფაშოს დაბრუნების პერსპექტივამ უკანა პლანზე გადაიწია. მიუხედავად ამისა, ოსმალეთთან შეთანხმება ქართლ-კახეთის სამეფოსათვის იმ ეტაპზე გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა.

საგარეო პოლიტიკური აქტიურობის პარალელურად, ერეკლე II-მ დაღესტნელთა შემოსევების აღსაკვეთად შექმნა „მორიგე ჯარი“ და გაატარა სხვა საჭირო რეფორმები, რამაც ქართლ-კახეთის სამეფო მნიშვნელოვნად გააძლიერა. პოზიციების განმტკიცების შემდეგ, ერეკლემ ყურადღება მეზობელი სახანოებისაკენ მიმართა. მოხარკე განჯისა და ერევნის სახანოები დროდადრო სამსახურზე უარს აცხადებდნენ. 1778 წელს ყუბის ხანის გავლენით განჯის სახანომ ხარკი არ გადაიხადა. იმავე წელს ერეკლემ მოკავშირე ყარაბაღის ხანთან ერთად ყუბის მმართველი ფათალი-ხანის ჯარი სასტიკად დაამარცხა. ერეკლემ და ყარაბაღის ხანმა იბრეიმმა განჯა გაინაწილეს. მეფემ იქ თავისი „გუბერნატორი“ ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი დაადგინა. განჯის საკითხის მოგვარების შემდეგ, ერეკლე ერევნის სახანოს საქმეებით დაკავდა. იგი 1779-1780 წლებში ერევნის სახანოს წინააღმდეგ საიდუმლოდ ამზადებდა ჯარს. ამ წლებში ერევანზე ორჯერ მოეწყო ლაშქრობა. ერევნის ხანმა ხარკის გადახდაზე თანხმობა განაცხადა და განჯის სახანოს მსგავსად, მეფემ იქაც თავისი „გუბერნატორი“ – იოანე მუხრანბატონი განაწესა.[17] ერეკლე II მიღწეულით არ შემოიფარგლა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერებისათვის კიდევ უფრო აქტიური პოლიტიკის გატარებას გეგმავდა.

[16] ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 68.

[17] მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იანი წლების მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 681-682.

სწორედ ოსმალეთთან მიღწეული შეთანხმება და რეგიონში ერეკლეს გაძლიერება გახდა რუსულ-ქართული ურთიერთობების შემდგომი გამწვავების ძირითადი მიზეზი. ქართლ-კახეთის მეფის წარმატებულ პოლიტიკას ამჯერად რუსეთის იმპერია აღუდგა წინ. თუ საიმპერატორო კარი ოსმალეთთან ომის დასრულების პირველ წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ ინდიფერენტულობას იჩენდა, მას შემდეგ, რაც ერეკლემ ოსმალეთთან წარმატებული მოლაპარაკებები წამოიწყო და რეგიონშიც განიმტკიცა პოზიციები, რუსეთის დამოკიდებულება შეიცვალა.

საქმე ის იყო, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მსგავსი გაძლიერება რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა და ერეკლეს პოლიტიკას დაუფარავად შეეწინააღმდეგა. იმპერიისთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ქართლ-კახეთის მეფისა და ოსმალეთის ურთიერთობა. რუსეთის მზვერავები ერეკლეს ელჩების დიპლომატიურ ნაბიჯებს გამალებით ადევნებდნენ თვალს. სტამბოლში მყოფი რუსეთის ელჩი სტახიევი 1776-1778 წლებში საიმპერატორო კარს ატყობინებდა ერეკლეს ელჩ გიორგის (გურგინა ენაკოლოფაშვილი) სტამბოლში ჩასვლის ამბავს. ის ანუგეშებდა იმპერატორს, რომ ქართველი დიპლომატი დიდმა ვეზირმა ცუდად მიიღო, ხოლო სულთანთან შეხვედრა არ იგეგმებოდა. ერთ-ერთ შემდგომ მოხსენებაში კი გაწბილებული სტახიევი ეკატერინე II-ს სულთანსა და ერეკლეს შორის სამეგობრო-სამოკავშირეო „ტრაქტატის“ გაფორმების შესახებ ატყობინებდა და დასძენდა, რომ ხელშეკრულების შინაარსის გასარკვევად თბილისისკენ მიმავალ ერეკლეს ელჩს თავის აგენტს, სომეხ ვაჭარს, გააყოლებდა.[18] რაღა თქმა უნდა, რუსეთის საგარეო დაზვერვას არ გაუჭირდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეკრება.

საიმპერატორო კარზე მიიჩნევდნენ, რომ ოსმალეთთან კავშირში მყოფი ერეკლეს გაძლიერებით სამხრეთ კავკასიაში მათი გავლენა მნიშვნელოვნად შესუსტდებოდა, ამიტომ ქართველ მეფეს სხვადასხვა მეთოდით დაუპირისპირდნენ. რუსეთის მთავრობისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ერეკლეს სწრაფვა გაეფართოებინა ქვეყნის საზღვრები ისტორიული სომხეთის ტერიტორიების ხარჯზე. შესაბამისად, ერევნის სახანოში ერეკლეს ლაშქრობის შემდეგ რუსი დიპლომატები გააქტიურდნენ.

ერეკლე II ერევნის სახანოზე დაუფარავად გამოთქვამდა პრეტენზიას და ხანების გადახდილი ხარკით არ კმაყოფილდებოდა. იგი XVIII საუკუნის

[18] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი IV. თბ. 1967, გვ. 168-169.

70-იანი წლების მიწურულს სახანოს ქართლ-კახეთის სამეფოსათვის შემოერთებას გეგმავდა. ამ პროცესში მეფისთვის მნიშვნელოვანი იყო იქ მცხოვრები სომხური მოსახლეობისა და ეჩმიაწინის საკათოლიკოსოს კეთილგანწყობა. სწორედ იმ დროს, როდესაც ქართულმა ჯარმა ერევნის სახანოს შეუტია, რუსეთის მთავრობამ საჯაროდ განაცხადა, რომ მფარველობას გაუწევდა სომეხ ხალხს და სომხურ სახელმწიფოს აღადგენდა.

რუსეთი ირანში თავისი სავაჭრო ინტერესების განმტკიცებას გეგმავდა. 1779 წლის გაზაფხულზე ქერიმ-ხანის გარდაცვალებისა და ირანში შიდა არეულობის დაწყების შემდეგ, რუსეთის მთავრობა სამხრეთის მიმართულებით გააქტიურდა და გავლენის გასაძლიერებლად კასპიისპირეთში ირანელი მმართველების წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა გადაწყვიტა. საექსპედიციო კორპუსის მეთაურად ცნობილი სარდალი ალექსანდრე სუვოროვი დაინიშნა, რომელიც ასტრახანისაკენ 1780 წლის იანვარში გაემგზავრა. საბოლოოდ, რუსეთის მთავრობის ამ წამოწყებას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. თუმცა, ერეკლეს გვერდის ავლით, სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის დაგეგმილი ექსპედიცია მის საწინააღმდეგო ღონისძიებადაც უნდა მივიჩნიოთ. ამავდროულად, რუსეთის მთავრობის წევრებმა ეჩმიაწინის კათოლიკოს სიმეონის წარგზავნილ არქიეპისკოპოს იოსებ არღუთიანთან მოლაპარაკებები დაიწყეს. მას 1780 წლის იანვარში რამდენიმეჯერ შეხვდა ალექსანდრე სუვოროვიც. რუსეთის მთავრობის წევრები სომეხ არქიეპისკოპოსს აიმედებდნენ, რომ ეკატერინე II-ის დახმარებით სომხური სახელმწიფო აუცილებლად აღდგებოდა. ამისათვის კი კათოლიკოსისა და სომეხთა წარმომადგენლების მიმართვა იყო საჭირო. ამ დაპირებით გახარებულმა იოსებ არღუთიანმა 1780 წლის 18 თებერვალს ახალაგებულ სომხურ ეკლესიაში, ხალხმრავალ შეკრებაზე ეკატერინე II-ს სომეხთა მფარველობისათვის საჯაროდ გულითადი მადლობა გადაუხადა.[19] მალე, ასტრახანიდან ალექსანდრე სუვოროვი ყარაბაღის მელიქებსაც დაუკავშირდა.[20] სომეხ მოსახლეობასთან ერთად, ეჩმიაწინის კათოლიკოსი სიმეონიც დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთის სამომავლო დახმარებაზე. თავისი რეზონანსულობიდან გამომდინარე, ამ ფაქტს ერეკლე II უყურადღებოდ ვერ დატოვებდა, რადგან სომხურ საეკლესიო წრეებსა და მოსახ-

[19] А. Иоаннисян. Россия и Армянсское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия. Ереван, 1947, გვ. 20-25.

[20] А. Иоаннисян. Россия и Армянсское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, გვ. 29-31.

ლეობაში გავრცელებული ეს ხმები, რა თქმა უნდა, მის გავლენას ამცირებდა. ამრიგად, ცხადია, რომ ერევნის სახანოს შემოერთების საქმეში ერეკლეს წინ აღუდგა რუსული დიპლომატია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ერევნის სახანოს წინააღმდეგ 1780 წლის სამხედრო კამპანია ერეკლე II-მ სწორედ რუსეთის იმპერიის ქმედებების გამო დაგეგმა.[21] ისიც აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიის დაპირებებით დაიმედებულმა სომეხი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ერეკლეს საწინააღმდეგოდ ირანელი ხანის ერთგულება გამოიჩინა.[22] აშკარაა, რომ რუსული დიპლომატიის საპასუხო ქმედებას წარმოადგენდა ერევანზე ლაშქრობის დროს ერეკლე II-ის დემონსტრაციული სვლა ეჩმიაწინისაკენ – სომეხთა საკათოლიკოსო ცენტრში ქართული ჯარის თანხლებით მისულ მეფეს კათოლიკოსი და სამღვდელო დასი შეეგებნენ და შეუძღვნენ ტაძარში. კათოლიკოსმა თავად ილოცა ერეკლესათვის.[23] რაღა თქმა უნდა, ქართლ-კახეთის მეფემ ამ დემარშით სომეხ სამღვდელოებასა და მოსახლეობას შეახსენა, რომ მათი მფარველობა მხოლოდ და მხოლოდ მას შეეძლო.

განსაკუთრებული მომზადების მიუხედავად, ერეკლემ ერევნის ხანის წინააღმდეგობა დაძლია და ქალაქში შევიდა, თუმცა სახანოს შეერთება მაინც ვერ მოახერხა. მიზეზი კი კვლავ რუსულ დიპლომატიას უკავშირდებოდა. სწორედ იმ პერიოდში ქართლის ტახტის პრეტენდენტი – ალექსანდრე ბაქარის ძე გააქტიურდა. მეფე იძულებული გახდა, სასწრაფოდ თბილისში დაბრუნებულიყო. ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრებით, ალექსანდრე ბატონიშვილის უკან რუსი მოხელეები იდგნენ.[24] საქმე ის იყო, რომ ერეკლეზე განაწყენებულმა სოლომონ I-მა 1778 წელს ირანში ელჩად ბესარიონ (ბესიკი) გაბაშვილი გაგზავნა, რომელიც მეფის თხოვნით ასტრახანის გუბერნატორმა გემით უსაფრთხოდ გაამგზავრა დანიშნულების ადგილამდე.[25] მართალია, მისი მოგზაურობის მიზანი და უკან დაბრუნების მარშრუტი ცნობილი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ელჩობის დასრულების შემდგომ ხანებში

[21] მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იანი წლების მიჯნაზე, გვ. 682-683.

[22] ლ. ტუხაშვილი. ქართლ-კახეთის ურთიერთობა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. II. თბ. 1972, გვ. 107.

[23] ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 96-97.

[24] მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იანი წლების მიჯნაზე, გვ. 683.

[25] ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე. თბ. 1968, გვ. 35-36.

ალექსანდრე ბატონიშვილი იმერეთში იმყოფებოდა.[26] სწორედ მისმა აქტიურობამ აიძულა ერეკლე, ლაშქრობა მოეშალა და თბილისში დაბრუნებულიყო. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ასტრახანში მყოფი ალექსანდრე სუვოროვი 1780 წლის 30 ოქტომბრის მოხსენებაში დეტალურად აღწერდა ერევანსა და ქართლში განვითარებულ მოვლენებს. გენერალი საიმპერატორო კარს მოახსენებდა, რომ ალექსანდრე ბაქარის ძე იმერეთში, სოლომონთან იმყოფებოდა. ის ლეკებისა და იმერლების დახმარებით ცდილობდა ქართლში შეჭრას, რის გამოც ერეკლემ ერევნიდან ჯერ ლევან ბატონიშვილი გამოგზავნა თბილისში, შედეგ კი დროებით საბრძოლო მოქმედებები მიატოვა და თავადაც დაბრუნდა.[27] ერთი სიტყვით, ერევნის სახანოს შემოერთების საკითხში ერეკლეს ძირითადი წინააღმდეგობა რუსეთის იმპერიის მოხელეებმა გაუწიეს, რის გამოც მნიშვნელოვანი წამოწყება წარუმატებლად დასრულდა. ხოლო, საიმპერატორო კარის გაცემული დაპირებების მიუხედავად, სომეხი მოსახლეობის დასახმარებლად არცერთი რეალური ქმედება არ განხორციელებულა. აშკარაა, რომ იმ პერიოდში რუსეთის მთავრობის მიერ სომეხთა მფარველობის იდეის გახმოვანება ერეკლეს გავლენის შესუსტებას ისახავდა მიზნად.

რუსეთის მთავრობა ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერებას 1778 და 1782 წლებში სხვა მხრივაც შეეწინააღმდეგა: როგორც ცნობილია, სამხედრო ძალების გაზრდის მიზნით ერეკლე II-მ 1778 წელს წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები როგორც მცირე, ისე დიდ ყაბარდოში, რათა ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი საქართველოში გადმოესახლებინა. მეფემ მოსამზადებელი სამუშაოებიც ჩაატარა: გაწმინდა დარიალის გზა, შეაკეთა ხიდები არაგვსა და თერგზე, მოსახლეობის გადმოსაყვანად გამოყო თანხები და ა.შ. საქართველოში გადმოსახლების მსურველი საკმაოდ ბევრი ყოფილა. ერეკლე მათ დასახლებას ახალციხის საფაშოსა და იმერეთის სამეფოს მოსაზღვრე ტერიტორიებზე გეგმავდა. ყაბარდოელთა ჩამოსახლების შემდეგ მათგან უნდა დაკომპლექტებულიყო ნახევრად რეგულარული ცხენოსანი პოლკი. სამზადისის დასრულების შემდეგ ერეკლეს წარმომადგენლები ჩრდილოეთ კავკასიაში ჩავიდნენ, თუმცა წამოწყება რუსმა მოხელეებმა ჩაშალეს. მათ ერეკლეს წარგზავნილი ელჩები მოზდოკში დაუპატიმრეს, ხოლო ყაბარდოელთა თავკაცებს

[26] ისტორიოგრაფიაში გაზიარებული მოსაზრების საპირისპიროდ, ვ. მაჭარაძე მიიჩნევს, რომ ალექსანდრე ბაქარის ძე ბესიკს არ უნდა ჩამოეყვანა და ამ საქმეში არც რუსეთის მოხელეების კვალი იკითხება. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის მოსაზრება სათანადო არგუმენტებით არ არის გამყარებული. იხ.: ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 45-46.

[27] Г. Пайчадзе. Георгиевский трактат. Тб. 1983, გვ. 97-98.

სასტიკად აუკრძალეს საქართველოში გადმოსახლება. ერეკლე II-მ ყაბარდოელთა ჩამოსახლება 1782 წელსაც სცადა, თუმცა რუსეთის მთავრობა ამჯერადაც წინ აღუდგა მის სურვილს.[28] როგორც ირკვევა, რუსეთის მთავრობამ არა მხოლოდ ყაბარდოელთა საქართველოში გადმოსახლების გეგმა ჩაშალა, არამედ ქართლ-კახეთის მეფეს ომის დროს მათი დროებით დაქირავების უფლებაც შეუზღუდა, რამაც დიდად დააზარალა ქვეყნის სამხედრო პოტენციალი.[29]

ამდენად, XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე რუსეთის იმპერია აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ერეკლე II-ის პოლიტიკას და ყველანაირად ხელს უშლიდა მის გაძლიერებას.[30]

რაც შეეხება რუსეთის იმპერიის იმერეთის სამეფოსთან დამოკიდებულებას, აღნიშნულ პერიოდში არც მის მიმართ შეცვლილა არჩეული კურსი. საიმპერატორო კარი სოლომონ I-თან ოფიციალურ ურთიერთობას თავს არიდებდა და მის ელჩებს ასტრახანიდან გზის გაგრძელების უფლებას არ აძლევდა. ეს შეზღუდვა 1781 წელსაც მოქმედებდა.[31]

1782 წლის ზაფხულში კი რუსეთის იმპერიის დამოკიდებულება ქართული სამეფოების მიმართ რადიკალურად შეიცვალა. ამჯერად რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები ქართველ მეფეებს ამცნობდნენ, რომ ეკატერინე II მათ დაუყოვნებლივ მიიღებდა მფარველობაში, რისთვისაც ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ოფიციალური თხოვნა უნდა გაეგზავნათ იმპერატორისათვის.[32] ამასთანავე, რუსი მოხელეები ქართველ მეფეებს შერიგებისაკენ მოუწოდებდნენ.

---

[28] თ. ბოცვაძე. საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1963, გვ. 111-117; ლ. ტუხაშვილი. ქართლ-კახეთის ურთიერთობა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 96-97.

[29] სწორედ აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს მოგვიანებით, 1797 წელს, გარსევან ჭავჭავაძის იმპერატორ პავლესადმი მიმართვა, რომლის მიხედვითაც ქართველი ელჩი ითხოვდა, რომ რუსეთის სასაზღვრო ჯარების სარდლობას აღარ აეკრძალა ჩერქეზებისათვის ქართულ ჯარში დაქირავებით მსახურება. იხ.: Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Т. II. Вып. I. С 1768 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели, გვ. 145.

[30] პროცესი იმდენად შესამჩნევი იყო, რომ საბჭოური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებიც მიუთითებდნენ ამის შესახებ. იხ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი. IV. თბ. 1967, გვ. 169.

[31] სოლომონის იმპერატორისადმი მიწერილი წერილი ასტრახანიდან პეტერბურგში 1781 წელსაც რუსმა ოფიცერმა ჩაიტანა. იხ.: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). H-609, ფ. 102v.

[32] როგორც ცნობილია, რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები 1782 წელს მფარველობაში მიღების შესახებ მოლაპარაკებებს, ერეკლესთან ერთად, იმერეთის მეფესთანაც მართავდნენ. აღნიშნულ გარემოებას თავდაპირველად ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება. იხ.: ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII. თბ. 1998, გვ. 413.

საინტერესოა ასე ერთბაშად რატომ შეიცვალა საქართველოს მიმართებით რუსეთის იმპერიის სტრატეგიული მიზნები? მით უმეტეს, რომ რუსეთის იმპერია იმ პერიოდში ოსმალეთთან არასაომარ ვითარებაში იმყოფებოდა და ქუჩუქ-კაინარჯის ზავის პირობები ჯერ კიდევ ძალაში იყო.

ჩვენ ამჯერად 1782 წელს მიმდინარე რუსულ-ქართული მოლაპარაკებების დეტალებს არ შევეხებით, თუმცა განვიხილავთ იმ მიზეზებს, რამაც რუსეთის იმპერიის პოზიციის ასე მკვეთრად შებრუნება გამოიწვია.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებმა ამ საკითხის შესწავლას სათანადო ადგილი დაუთმეს. დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ქართული სამეფოების მიმართ რუსეთის იმპერიის გააქტიურება, ძირითადად განაპირობა ყირიმის საკითხმა, ე.წ. „საბერძნეთის პროექტმა“ და ირანის დასუსტებამ.[33]

ქუჩუქ-კაინარჯის ზავის თანახმად ყირიმის სახანო ოსმალეთისაგან დამოუკიდებლად გამოცხადდა. ამით ოსმალეთმა შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში უმნიშვნელოვანესი პლაცდარმი დაკარგა. ამავე ზავით რუსეთმა მიიღო ქერჩი და ენიკალე, ხოლო დნეპრსა და ბუგს შორის ტერიტორიებისა და კინბურნის სიმაგრის მიღებით შავ ზღვაზე გავიდა და თავისუფალი ნაოსნობის უფლებაც მოიპოვა.[34] ზავის დადების შემდეგ ყირიმის საკითხი განსაკუთრებით XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე გამწვავდა. რუსეთის მომხრე ხანს – შაჰინ გირეის პროოსმალური ძალები ებრძოდნენ და ხშირად უწევდა ძალაუფლების დათმობა. რუსეთი შიშობდა, რომ ოსმალებს შეეძლოთ ტამანის ნახევარკუნძულიდან ყირიმში შეჭრა. ამიტომ, იმპერატორმა ყირიმის სახანოს, ტამანისა და ყუბანისპირა ტერიტორიების საკითხის საბოლოოდ გადაჭრა სწორედ 1782 წელს გადაწყვიტა. ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ რუსეთის მთავრობამ ყირიმის საკითხის წარმატებით მოგვარების შემთხვევაში, შესაძლებლად ჩათვალა საქართველოს მიმართულებით გააქტიურება.[35]

რაც შეეხება ე.წ. „საბერძნეთის პროექტს“, მისი დეტალების შესახებ

[33] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბ. 1960, გვ. 23-45; გ. პაიჭაძე. ქართლ-კახეთისა და რუსეთის ურთიერობის განახლება 80-იანი წლების დასაწყისში. 1783 წ. ხელშეკრულება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 686-688; გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა. თბ. 1983, გვ, 12-14.

[34] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 12-13.

[35] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 13.

ეკატერინე II-ისა და საღვთო რომის იმპერატორი, ავსტრიის ერცჰერცოგ იოზეფ II-ის მიმოწერიდანაა ცნობილი. სხვადასხვა საკითხში უთანხმოების მიუხედავად, ავსტრია და რუსეთი ოსმალეთის საწინააღმდეგოდ 1780-იანი წლების დასაწყისიდან დაახლოვდნენ. ავსტრიის იმპერატორი ოსმალეთთან მოსალოდნელ ომში ეკატერინე II-ს მოკავშირეობას ჰპირდებოდა. რუსეთის საიმპერატორო კარზე დამუშავებული „დიდი გეგმის“ მიხედვით, რომელსაც ევროპელი დიპლომატები „საბერძნეთის პროექტს“ უწოდებდნენ, რუსეთსა და ავსტრიას ოსმალეთი ევროპის კონტინენტიდან სრულად უნდა განედევნათ და საბერძნეთის სახელმწიფო აღედგინათ. ამასთან, მოლდოვის, ვლახეთის და ბესარაბიის ტერიტორიებზე უნდა შექმნილიყო ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო დაკია.[36]

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ რუსეთის იმპერიამ „დიდი გეგმის“ („საბერძნეთის პროექტის“) დამუშავების პარალელურად, თითქოს შექმნა „ახალი გეგმაც“, იგივე „ამიერკავკასიის გეგმა“. ამ პროექტის მიხედვით, ირანში მიმდინარე არეულობის ფონზე, სამხრეთ კავკასიაში იგეგმებოდა „სომხეთ-ალბანეთის სახელმწიფოს“ აღდგენა, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოსათვის არსებითი ხასიათის დახმარების გაწევა. ამავე მოსაზრების თანახმად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ბუფერული სახელმწიფოს აღდგენა და ქართლ-კახეთის გაძლიერება იმპერიის სტრატეგიულ ინტერესებს შეესაბამებოდა, რადგან „ეს სახელმწიფოები რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი პოლიტიკური ერთეულები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ იმავე დროს მასთან მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი“. მათი მეშვეობით კი რეგიონში რუსეთის გავლენა გაძლიერდებოდა.[37]

რა თქმა უნდა, არანაირ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ 1782 წელს რუსეთის მთავრობის ქართული სამეფოებით დაინტერესება სწორედ ყირიმის, ტამანისა და ყუბანისპირეთის საკითხის გააქტიურებას უკავშირდებოდა. ამასთან, რუსეთის გეგმებზე გარკვეულ გავლენას იქონიებდა ირანში მიმდინარე შიდა არეულობაც. თუმცა, დასაზუსტებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება: რუსეთის მთავრობა, მართლაც ყირიმის, ტამანისა და ყუბანისპირეთის პრობლემის წარმატებით გადაჭრის შემთხვევაში აპირებდა ქართული სამეფოების მფარველობაში მიღებას თუ პირიქით, – ამ ტერიტორიების შეერთებისა

[36] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 27-29.

[37] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 33-44; გ. პაიჭაძე. ქართლ-კახეთისა და რუსეთის ურთიერთობის განახლება 80-იანი წლების დასაწყისში. 1783 წ. ხელშეკრულება, გვ. 686.

და ოსმალეთთან მოსალოდნელი ომისათვის დასჭირდა საქართველოში გავლენის მოპოვება? ასევე, დასადგენია რამდენად რეალური იყო „საბერძნეთის პროექტის“ მსგავსი გეგმის არსებობა, რომლის მიხედვითაც „სომხეთ-ალბანეთის“ აღდგენა და ქართული სახელმწიფოს გაძლიერება იგეგმებოდა? კითხვას რელევანტურობას მატებს ის ფაქტიც, რომ სომხური სახელმწიფოს აღდგენაზე მსჯელობა, როგორც ზემოთ ვნახეთ, რუსეთის მთავრობამ ერეკლეს საწინააღმდეგოდ წამოიწყო. „სომხეთ-ალბანეთის სახელმწიფოს“ აღდგენის საკითხზე კი პეტერბურგში მხოლოდ ზოგადი მოსაზრებები გამოითქვა და ამ მიმართულებით არცერთი კონკრეტული ნაბიჯი არ გადადგმულა.

ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად და ქართული სამეფოების მიმართ რუსეთის რეალური ინტერესების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია, როგორც 1782 წლისათვის არსებული საერთაშორისო ვითარების გათვალისწინება, ისე რუსულ-ქართული მოლაპარაკებების დაწყების თარიღის დადგენა.

როგორც ცნობილია, 1782 წლის ზაფხულის დასაწყისში ეკატერინე II-ს ყირიმის საკითხის საბოლოოდ გადაჭრა გადაწყვეტილი ჰქონდა. რუსეთის მთავრობის შეფასებით, მათ ყირიმში გააქტიურებას ოსმალეთთან გარდაუვალი ომი უნდა მოჰყოლოდა. სწორედ ამ საკითხს ეხება რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორების მიმოწერა. ეკატერინე II-მ 1782 წლის 15 ივნისის წერილით იოზეფ II-ს მოსალოდნელი ომის შესახებ ამცნო და მისგან დახმარებას იმედოვნებდა, რაზეც ავსტრიის იმპერატორმა დადებითი პასუხი გასცა და რუსეთის გეგმების გაცნობა ითხოვა. იმავე წლის 21 სექტემბერს ეკატერინე II-მ ავსტრიის იმპერატორს გრაფ ალექსანდრე ბეზბოროდკოს მიერ შემუშავებული საიდუმლო გეგმა გააცნო, რომელიც ოსმალეთის ტერიტორიების განაწილებას ისახავდა მიზნად.[38]

ერთი სიტყვით, ეკატერინე II 1782 წლის ზაფხულის დასაწყისში ვარაუდობდა, რომ ყირიმის, ტამანისა და ყუბანისპირეთის დაკავების შემდეგ, ოსმალეთთან ომის დაწყება იყო მოსალოდნელი. რუსეთის იმპერატორმა იოზეფ II-სთან ომის ის დეტალები შეათანხმა, რაც ავსტრიის იმპერიის ინტერესებს უკავშირდებოდა. შესაბამისად, ე.წ. „საბერძნეთის პროექტის“ წინა პლანზე წამოწევაც ავსტრიის მოკავშირეობის უზრუნველყოფისთვის იყო საჭირო. ამავე დროს, გეგმის გახმაურება ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფ ქრისტიან მოსახლეობაში წინააღმდეგობის გაღვივებას შეუწყობდა ხელს. ასე რომ, ოსმალეთთან მოსალოდნელ ომში მსგავსი პროპაგანდისტული გეგმა

[38] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 27-28.

რუსეთისათვის მომგებიანი იყო.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ რუსულ-ქართული მოლაპარაკებების დაწყების თარიღზე. ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრის თანახმად, რუსულ-ქართული მოლაპარაკებების დაწყება 1782 წლის შემოდგომაზე გრიგოლ პოტიომკინის „კომისიონერის“ – იაკობ რაინეგსის საქართველოში ჩამოსვლასა და კავკასიის ხაზზე პავლე პოტიომკინის გამოცხადებას (1782 წლის ნოემბერის დასაწყისი) უკავშირდება. ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროების ანალიზის შედეგად კი განსხვავებული ვითარება იკვეთება. კერძოდ, სხვადასხვა ცნობით დასტურდება, რომ რეალურად რუსეთის მთავრობამ ქართველ მეფეებთან მოლაპარაკებები იაკობ რაინეგსის საქართველოში ჩამოსვლამდე წამოიწყო. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ერეკლე II-ის გრიგოლ პოტიომკინისათვის გაგზავნილი ერთ-ერთი წერილი, რომელიც ქართლ-კახეთის მეფემ მას შემდეგ დაწერა, რაც რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლაზე თანხმობა განაცხადა. წერილში აღნიშნულია, რომ იაკობ რაინეგსის საქართველოში ჩამოსვლამდე რუს ოფიცერს, წარმომავლობით ქართველ, კაპიტან ბაღდათლუ სოლაღოვს (სოლოღაშვილი) მეფის უფროსი ვაჟისთვის, გიორგი ბატონიშვილისთვის, გრიგოლ პოტიომკინის გამოგზავნილი წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი ჩამოუტანია.[39]

პ. ბუტკოვის ნაშრომში მოხმობილი ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტის მოკლე შინაარსიდან კი ირკვევა, რომ გიორგი ბატონიშვილთან ერთად, ორდენით დაჯილდოებულა იმერეთის მეფეც. სოლომონ I-ს წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენის გარდა, იმპერიისგან „ძლიერი მფარველობის“ დაპირებაც მიუღია. რუსეთის იმპერიის უმაღლესი ხარისხის ორდენით სოლომონის დაჯილდოება და მფარველობის პირობის გაცემა 1782 წლის ივნისში გადაწყვეტილა.[40]

ვინაიდან გიორგი ბატონიშვილს ორდენი გრიგოლ პოტიომკინის გამოგზავნილმა ბაღდათლუ სოლაღოვმა გადასცა, ცხადია იმერეთის მეფის ორდენსა და საიმპერატორო კარის სხვა გზავნილებსაც სწორედ ის ჩამოიტანდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერატორმა, 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში ჩაბმის სანაცვლოდ, ერეკლე II-ს წმ. ანდრია პირველ-

[39] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Т. II. Вып. II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели, გვ. 27.

[40] П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Ч. 3. СПб., 1869, გვ. 162.

წოდებულის ორდენი ჯერ კიდევ 1770 წლის გაზაფხულზე გადასცა.[41] როგორც ჩანს, გრიგოლ პოტიომკინმა მეფის გულის მოსაგებად ამჯერად მისი უფროსი ვაჟის დაჯილდოება გადაწყვიტა.

რუსულ-ქართული მოლაპარაკების შესახებ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს სოლომონ I-ის წერილები, რომელიც მან მიღებული შეთავაზებების საპასუხოდ პეტერბურგში გაგზავნა. თავდაპირველად განვიხილავთ გრიგოლ პოტიომკინისათვის გაგზავნილ წერილებს. ისინი, სხვა საარქივო მასალასთან ერთად, ე.წ. „პოტიომკინის ფონდიდან“ ამოკრიბა ი. ცინცაძემ და 1960 წელს გამოაქვეყნა. ექვსი წერილი 1782 წლით თარიღდება. მართალია, თვე და რიცხვი მითითებული არ არის, მაგრამ ექვსივე წერილი მოკლეა და შინაარსობრივად ერთმანეთთანაა დაკავშირებული, რაც მათ ერთ კორესპონდენციად გაგზავნაზე მიუთითებს.[42]

გრიგოლ პოტიომკინისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში იმერეთის მეფე ორდენისა და იმპერატორის წყალობის გამო მადლობას იხდიდა და მზადყოფნას გამოთქვამდა მთელი თავისი შესაძლებლობებით ებრძოლა ოსმალების წინააღმდეგ. ამავე დროს, სოლომონი გრიგოლ პოტიომკინს მოახსენებდა, რომ ფოთიდან, ბათუმიდან და მიმდებარე ტერიტორიებიდან ოსმალები უნდა განდევნილიყვნენ და ეს ტერიტორიები მას უნდა გადასცემოდა. მეფე სხვა წერილში იმპერატორის მფარველობაში შესვლასთან დაკავშირებით თანხმობას აცხადებდა – „მათის იმპერატორობის წინაშე განცხადებულად სამსახურსა ქვეშე ვიმყოფებოდე“. იმპერიის წინაშე კი თავისი „სისხლით“ სამსახურის პირობას დებდა. ერთ-ერთი წერილიდან ვიგებთ, რომ სოლომონს გრიგოლ პოტიომკინისათვის საჩუქრად საკუთარი ხმალი გაუგზავნია. მეფე ამჯერადაც მადლობას იხდიდა ბოძებული ორდენის, იმპერატორის მიერ

[41] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Т. I. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели, გვ. 88; ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი II, გვ. 273; ნ. ჯავახიშვილი. ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა). თბ. 1995, გვ. 68.

[42] აღნიშნულ ეპოქაში უცხო ქვეყნებში სხვადასხვა შინაარსის რამდენიმე წერილის ერთ კორესპონდენციად გაგზავნის პრაქტიკა მუდმივად გამოიყენებოდა. ცხადია, მგზავრობის ხანგრძლიეობიდან გამომდინარე ერთ კონკრეტულ საკითხზე შედგენილ მოკლე წერილს ცალკე არ გზავნიდნენ. ასე მაგალითად, 1782 წლის 21-22 დეკემბერს ერეკლე II-მ ერთდროულად სულ მცირე 4 წერილი გაგზავნა. იხ.: Из истории Российско-Грузинских отношений. К 230-летию заключения Георгиевского трактата. Сборник документов. Москва, 2014, გვ. 123-128; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Т. II. Вып. II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели, გვ. 24-28.

მფარველობის წყალობისა და, ასევე, მისთვის ექიმის გაგზავნის გამო. კორესპონდენციაში ისიც აღნიშნული იყო, რომ მეფის პორტრეტის დასახატად პეტერბურგიდან მხატვარი მიუვლენიათ, რომელსაც წერილის გაგზავნის დროისთვის ხატვა დაუსრულებია, სურათი კი პეტერბურგში გაუგზავნიათ. სოლომონი იმპერატორის ფავორიტს მორიგი წერილით ატყობინებდა, რომ მისი რჩევით, ერეკლე II-ს შეურიგდა და მათ შორის მტრობა დასრულდა, ხოლო ერეკლეს მოწინააღმდეგე ალექსანდრე ბაქარის ძე პოტიომკინისავე დავალებით რუსეთისაკენ გაგზავნა.[43]

პ. ბუტკოვის ნაშრომში მოცემულია სოლომონ I-ის მიერ გრიგოლ პოტიომკინისათვის გაგზავნილი ზემოთ განხილული რამდენიმე წერილის მოკლე ანოტაცია. აღნიშნული გამოცემის მიხედვით კორესპონდენცია 1782 წლის აგვისტოთი თარიღდება.[44]

საიმპერატორო კარზე სოლომონ I-ის წერილების 1782 წლის აგვისტოში გაგზავნა, ბუტკოვის ცნობის გარდა, სხვა გარემოებითაც დასტურდება. კერძოდ, 1782 წლის 6 აგვისტოს ერეკლე II ყიზლარის კომენდანტს სწერდა, რომ ის და სოლომონი შერიგდნენ, ხოლო მანამდე ალექსანდრე ბაქარის ძე იმერეთიდან რუსეთისაკენ წავიდა. მეფე კომენდანტს აუწყებდა, რომ მას ალექსანდრესთვის დაღესტანში გადასვლის უფლება არ უნდა მიეცა. ყიზლარის კომენდანტთან იმავე შინაარსის წერილი 1782 წლის 6 აგვისტოს სოლომონმაც გაგზავნა.[45]

გამოდის, რომ აგვისტოს დასაწყისში ქართველ მეფეებს, კაპიტან ბაღდათლუ სოლაღოვის საშუალებით, გრიგოლ პოტიომკინის გზავნილი მიღებული ჰქონიათ. მისი რეკომენდაციით სოლომონს ერეკლესთან დაპირისპირებაც შეუწყვეტია და ალექსანდრე ბაქარის ძეც რუსეთში გაუძევებია. ერეკლე II დეკემბერში შედგენილ ერთ-ერთ კორესპონდენციაში იმასაც წერდა, რომ მასა და სოლომონ I-ს შორის არსებულ ურთიერთობას კაპიტანი ბაღდათლუ სოლაღოვი კურირებდა.[46]

იმერეთის მეფემ 1782 წლის აგვისტოში იმპერატორის სახელზეც გაგზავნა კორესპონდენცია. ერთ წერილში ის წმ. ანდრია პირველწოდებულის

[43] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. საბუთები, გვ. 269-274.

[44] П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Ч. 3, გვ. 163.

[45] ი. ლორთქიფანიძე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვეთი II. თბ. 1940, გვ. 29.

[46] Из истории Российско-Грузинских отношений. К 230-летию заключения Георгиевского трактата. Сборник документов. გვ. 127-128.

ორდენისა და „ძლიერი მფარველობის“ წყალობისათვის მადლობას იხდიდა.[47] პ. ბუტკოვის ნაშრომის მიხედვით, ეს წერილი 1782 წლის 15 აგვისტოთი თარიღდება.[48] მეფემ იმპერატორის სახელზე ამავე დღეს კიდევ ერთი წერილი გაგზავნა,[49] რომელიც ოსმალეთთან მის დაპირისპირებას ეხებოდა და დახმარებას ითხოვდა.[50]

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ცნობები ადასტურებს, რომ 6 აგვისტოსთვის, ბაღდათლუ სოლაღოვის ხელით ჩამოტანილი, გრიგოლ პოტიომკინის რეკომენდაციები სოლომონ I-ის მხრიდან უკვე შესრულებული იყო. მაშასადამე, ბაღდათლუ სოლაღოვი საქართველოში 1782 წლის ივლისის შუა რიცხვებში მაინც უნდა ჩამოსულიყო, ხოლო თუ პეტერბურგიდან საქართველომდე მგზავრობის ხანგრძლივობასაც გავითვალისწინებთ გამოდის, რომ ის გრიგოლ პოტიომკინს 1782 წლის ივნისში გამოუგზავნია.

ამ არასრული ცნობებით ნათელი ხდება, რომ გრიგოლ პოტიომკინის მიერ საქართველოში სპეციალური მისიით გამოგზავნილ კაპიტან ბაღდათლუ სოლაღოვს ქართველი მეფეებისათვის მნიშვნელოვანი გზავნილი ჩამოუტანია. კერძოდ, 1782 წლის ივლისში სოლომონ I-ს რუსეთის მთავრობის მფარველობაში მიღება შესავაზეს. ეჭვგარეშეა, რომ ბაღდათლუ სოლაღოვმა ანალოგიური წინადადებით ერეკლე II-საც მიმართა, რაც გიორგი ბატონიშვილისათვის ორდენის გადაცემითაც დასტურდება.[51]

როგორც ვხედავთ, ოსმალეთთან ომის სამზადისის დაწყებისთანავე (1782 წლის ივნისი) გრიგოლ პოტიომკინმა ქართველ მეფეებთან წამოიყო მოლაპარაკებები. მოხმობილი ფაქტების გათვალისწინებით ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რუსეთის საიმპერატორო კარი, 1768-1774 წლების ომის ანალოგიურად, ხომ არ გეგმავდა კავკასიის ფრონტის გააქტიურებას? საყურადღებოა

[47] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Т. II. Вып. II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели, გვ. 29.

[48] П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Ч. 3, გვ. 163.

[49] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Т. II. Вып. II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели, გვ. 13.

[50] იმპერატორთან გაგზავნილ პირველ წერილზე თვე და რიცხვი მითითებული არ არის, ამიტომ ის გვიან გაგზავნილად იყო მიჩნეული. რადგან, წერილში მეფე ანდრია პირველწოდებულის ორდენის წყალობისათვის მადლობას იხდიდა, ის უთოდ ორდენის მიღების ახლო ხანებში, ანუ ივლის-აგვისტოში უნდა დაეწერა.

[51] წარმოუდგენელიც კი არის, რომ რუსეთის მთავრობას სოლომონისათვის ქართლ-კახეთის მეფის გვერდის ავლით შეეთავაზებინა მფარველობაში მიღება, რადგან ოსმალეთთან მოსალოდნელ ომში სწორედ ერეკლე II-ის პოზიციას ენიჭებოდა დიდი მნიშვნელობა.

ის გარემოებაც, რომ ომის ეპიცენტრი კავკასიის რეგიონთან ახლომდებარე ტერიტორიები (ყირიმი, ტამანი და ყუბანისპირეთი) შეიძლება ყოფილიყო.

ამ საკითხის შესახებ დეტალურ ინფორმაციას შეიცავს ეკატერინე II-ის მიერ გრიგოლ პოტიომკინისადმი გაგზავნილი 1782 წლის საიდუმლო რესკრიპტი, რომელშიც ქართულ სამეფოებთან დაკავშირებით რუსეთის იმპერიის სტრატეგიული მიზნები არაორაზროვნად არის ჩამოყალიბებული.

საიდუმლო რესკრიპტში ეკატერინე II აღნიშნავდა, რომ ყირიმის საკითხის საბოლოოდ გადაჭრა იმპერიისათვის ღირსების საქმეს წარმოადგენდა, ხოლო ოსმალეთის სავარაუდო წინააღმდეგობის შესაჩერებლად შემდეგ ბრძანებას გასცემდა: ერთ, გაძლიერებულ კორპუსს მდინარე დნესტრზე, საზღვართან, თვალ-ყური ედევნებინა ოსმალეთის არმიის გადაადგილებისათვის, მეორე კორპუსს კი – ბუგსა და ქალაქ ხერსონზე, საიდანაც მათი სამხედრო ძალები ყირიმის სიღრმეში იმოქმედებდა. გეგმა, რეგულარული ჯარის ნაწილებითა და დიდი რაოდენობით დონის კაზაკების მეშვეობით ყუბანისპირეთში მოქმედებებსაც ითვალისწინებდა. რაც შეეხება კავკასიის რეგიონს, იმპერატორი დასძენდა: „როდესაც აღნიშნული გარემოების გამო პორტასთან სამხედრო მოქმედებები დაიწყება და მათი ჯარი ევროპულ მხარეს მოიყრის თავს, დივერსიისათვის, ასევე მათთვის მოულოდნელი დარტყმის მისაყენებლად, ვბრძანებთ, რომ მზადყოფნაში იყოლიოთ საკმარისი რაოდენობის ჯარი კასპიის ზღვის პირას მდებარე სპარსეთის პროვინციებში, რომლებიც ადრე რუსეთს ეკუთვნოდა, საიდანაც საქართველოზე გავლით შესაძლებელი იქნება შეტევა თურქეთის აზიურ საზღვრებზე“.[52]

როგორც ვხედავთ, ოსმალეთთან მოსალოდნელ ომში ეკატერინე II დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კავკასიის ფრონტს. კავკასიის ფრონტზე „დივერსიებისა“ და მოულოდნელი თავდასხმების გარდა, რომლის მომწყობებად ეჭვგარეშეა, რომ ქართველი მეფეები იგულისხმებოდნენ, რუსეთის ჯარს ოსმალეთის „აზიურ საზღვრებზე“ იერიში კასპიისპირეთიდან საქართველოზე გაელით უნდა მიეტანა.

ეკატერინე II-ის საიდუმლო ბრძანება 1782 წლით თარიღდება და თვე მითითებული არ არის, თუმცა ის ზაფხულში ან სექტემბრის დასაწყისში უნდა იყოს შედგენილი,[53] რადგან რესკრიპტის მითითების თანახმად კავკასიის

[52] Сборник Императорского Русского Исторического Общества. Т. 27. Собраны академиком Я. Гротом и напечатаны под наблюдением Г. Штендмана. СПб.,1880, გვ. 225-226.
[53] ო. მარკოვა დოკუმენტს 1782 წლის სექტემბრით ათარიღებს. იხ.: О. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966, გვ. 160.

ხაზის მიმართულებით ჯარების გადაჯგუფება შემოდგომისათვის უკვე დასრულებული იყო. 1782 წლის ნოემბრის დასაწყისში გაძლიერებული კავკასიის კორპუსი მოითვლიდა 23 ბატალიონს, დრავუნთა 20 ესკადრონს, 4 საარტილერიო ასეულს 30 საარტილერიო კომპლექტით, კაზაკთა 4 პოლკს და ასტრახანის კაზაკთა შენაერთს. ცხადია, პეტერბურგიდან გაცემული ბრძანების აღსრულება, რომელიც იმპერიის სხვადასხვა ტერიტორიიდან არტილერიისა და სამხედრო ძალების კავკასიის ხაზისაკენ გადაჯგუფებას გულისხმობდა, მოკლე დროში ვერ მოხერხდებოდა. აღნიშნული სამხედრო ძალების ცენტრმა ასტრახანიდან კავკასიის ხაზისაკენ გადაინაცვლა. ასტრახანის კორპუსს სწორედ იმ პერიოდში შეუცვალეს სახელი და კავკასიის კორპუსი უწოდეს.[54] ოსმალეთთან მოსალოდნელი ომის დროს დარუბანდიდან იერიში სწორედ ამ კორპუსს უნდა განეხორციელებინა.

ერთი სიტყვით, 1782 წლის ივნისიდან რუსეთის საიმპერატორო კარი აქტიურად ემზადებოდა ყირიმის (ასევე ტამანისა და ყუბანის) საკითხის საბოლოოდ გადაჭრისა და ოსმალეთთან ომისთვის. შემუშავებული გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის იმპერატორის შესაბამისი ბრძანება გამოიცა და მისი აღსრულებაც დაიწყო. ბრძანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი კასპიისპირეთიდან საქართველოს გავლით არნახულად გაძლიერებული კავკასიის კორპუსის იერიშის განხორციელება იყო. ქართველი მეფეები კი რუსულ ჯარს ოსმალეთის წინააღმდეგ მოწყობილი „დივერსიების“ საშუალებით უნდა დახმარებოდნენ. მათი ომში მონაწილეობის გარეშე თითქმის შეუძლებელი ხდებოდა სამხრეთ კავკასიაში დაგეგმილი ოპერაციის წარმატებით განხორციელება. ამრიგად, ეკატერინე II-ის გეგმაში ქართულ სამეფოებს სოლიდური მისია დაეკისრა. სწორედ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უბიძგა რუსეთის მთავრობას რადიკალურად შეეცვალა თავისი დამოკიდებულება ერეკლესა და სოლომონის მიმართ.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ იმპერატორმა ქართველ მეფეებთან ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფა ოსმალეთის წინააღმდეგ სომარი გეგმის სულისჩამდგმელ გენერალ-ანშეფ გრიგოლ პოტიომკინს დააკისრა. ხოლო, ეკატერინე II-ის საიდუმლო რესკრიპტის გამოცემისა და არმიის გადაჯგუფების დაწყების პარალელურად, 1782 წლის 6 სექტემბერს, კავკასიის

[54] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под ред. В. Потто. Тфл. 1899, გვ. 156; ვ. გურული. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა (1782-1784 წწ.). ქართული უნივერსიტეტის შრომები. ტ. III. თბ. 2017, გვ. 37-38.

კორპუსის მეთაურად გრიგოლ პოტიომკინის ნათესავი, გენერალი პავლე პოტიომკინი დაინიშნა. მის ძირითად დავალებად კი ქართულ მხარესთან ხელშეკრულების გაფორმება განისაზღვრა.[55] მალევე, იმავე წლის ოქტომბერში, სამხრეთის მეორე კორპუსის (ყუბანის კორპუსი) სარდლად გენერალი ალექსანდრე სუვოროვი დაინიშნა.[56] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საიმპერატორო კარმა სწორედ ეკატერინე II-ის საიდუმლო რესკრიპტის გამოცემისა და ომისათვის აქტიური მზადების პროცესში გააათმაგა თავისი ძალისხმევა ერეკლე II-ის დასარწმუნებლად, რათა მას რუსეთის წინადადება მიეღო.

ამდენად, მოხმობილი ფაქტები სრულიად ნათელს ხდის ქართული სამეფოების მიმართ რუსეთის სტრატეგიულ მიზნებს. რუსეთის იმპერიამ ქართველი მეფეების მფარველობაში მიღება ოსმალეთის წნეხის ქვეშ მოქცევის შემდეგ მათი დახმარების სურვილის გამო კი არ გადაწყვიტა, როგორც ეს ხაზგასმულია საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსების ნაშრომებში, არამედ – მოსალოდნელ ომში წარმატების მისაღწევად და ოსმალეთთან დაპირისპირებაში მათ ჩასართავად.

[55] О. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, გვ. 159-160.

[56] Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под ред. В. Потто, გვ. 155-156.

*Apolon Tabuashvili*
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## KARTLI-KAKHETI KINGDOM AND THE RUSSIAN EMPIRE IN 1774-1782

Summary

In 1769 king Erekle II of Kartli-Kakheti agreed to participate in war against the Ottoman Empire in favor of the Russian Empire. This was marked with active military actions. Alliance with Russia brought negative results for Ereke II. Therefore, he decided to terminate relations with the Russian Imperial court in 1775. After Russia gained the upper hand in the war against Ottomans, even the Imperial government lost interest in obtaining support from the Georgian kingdoms. Consequently, on the behalf of the order issued on October 7, 1775 the Georgian emissaries were deprived the right to enter in the Russian territory. Since Ereke II finished his negotiations successfully with the Ottomans Empire and started active foreign policy in Caucasus he openly faced the Russian diplomacy.

In summer 1782 the Russian attitude towards the Georgians kingdoms was radically changed. The representatives of the Russian government informed the Georgians kings (Erekle II and Solomon I of Imereti) that Catherine II was ready to accept these kingdoms under protection immediately. They were required to send the official note to Empress for this purpose.

As it has been established, the rapid change of the Russian policy was a result of the following. In the early summer of 1782, the Russian imperial court decided to finally settle the issue of Crimea, Taman, and Kuban. The Russian government believed that the annexation of these territories would lead to war with the Ottomans. Therefore, active preparations for the impending war began. For the successful implementation of the developed plan, the relevant order of the emperor was issued and its implementation swiftly began. One of the most important components of the plan was a stealth attack throuth the Caucasus. The Georgian kings were to help the Russian army through "sabotage" against the

Ottomans. Without their participation in the war, it would have been almost impossible to successfully carry out the planned operation in the South Caucasus. Accordingly, according to the plan of Catherine II, a significant part of the mission was assigned to the Georgian kingdoms.

The above circumstances prompted the Russian government to radically change its attitude towards Erekle II and Solomon I. For this very purpose, the Russian imperial court decided to raise the issue of patronage and began negotiations with the Georgian side.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII
თბილისი. 2021

*დიმიტრი შველიძე*
ასოცირებული პროფესორი, თსუ

# საქართველოს დამფუძნებელი კრება – ნოე ჟორდანიას კონცეფციის მიხედვით

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ოპოზიციაში აღმოჩენილი დემოკრატიული ძალები, დამფუძნებელი კრებაზე ამყარებდნენ იმედს. მათი რწმენით, კრებაში ბოლშევიკები უმცირესობას წარმოადგენდნენ, რაც თითქოს საბჭოთა ხელისუფლების გადადგომას და დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას გამოიწვევდა. გამონაკლისი არც ქართული პოლიტიკური ელიტა იყო. 1917 წლის ნოემბერში, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია მოითხოვდა „დაუყოვნებლივ" აღდგენილიყო რუსეთის რევოლუციური მთავრობა და მოწვეული ყოფილიყო დამფუძნებელი კრება.

მაგრამ მაშინდელი ქართველი პოლიტიკოსები რეალისტები იყვნენ და ძნელი სათქმელია, რამდენად იმედიანად ელოდებოდნენ კერენსკის მთავრობის დაბრუნებას რუსეთის ხელისუფლების სათავეში. ამიტომ სანამ რუსეთში დემოკრატია აღდგებოდა, ქართველებმა და კავკასიელებმა გადაწყვიტეს საკუთარი თავისთვის თვითონვე მიეხედათ. ზუსტად ამგვარ პათოსს გამოხატავდა ეროვნული ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციის მეცხრე და მეათე მუხლები: „9. თუ რუსეთის სამოქალაქო ომი გაგრძელდა და დამფუძნებელი კრების მოწვევა ახლო მომავალში ვერ მოხერხდება, უნდა იქმნას მოწვეული ადგილობრივი კრებები, რომელიც ურთიერთის თანხმობით დაამყარებენ შესაფერ დემოკრატიულ და ნაციონალურ წესწყობილებას, როგორც თვითოეულ ეროვნულ ტერიტორიულ ერთეულში, ისე მთელ ამიერკავკასიაში.

10. საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე ზრუნვა და მისი მოწვევა ევალება ეროვნულ საბჭოს".[1]

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირების დროსაც დამფუძნებელი კრების მოწვევა აუცილებელ ნორმად რჩებოდა. ეროვნული საბჭო, რომელსაც პარლამენტი ეწოდა, მხოლოდ დროებით ასრულებდა საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას. ასევე, დროებითი იყო მთავრობაც და ეს გარემოება ცალკე მუხლის სახით აღინიშნა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში". ამ საპროგრამო დოკუმენტის მეშვიდე პუნქტი იუწყებოდა რომ ეროვნული საბჭო უძღვებოდა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს, მის წინაშე იყო პასუხისმგებელი დროებითი მთავრობა და ეს ყველაფერი უნდა გაგრძელებულიყო „დამფუძნებელი კრების შეკრებამდე".[2]

დამფუძნებელი კრების მოწვევა რამდენიმე გარემოებით იყო გამოწვეული. მთავარი მიზანი მთავარი მიზეზიდან გამომდინარეობდა; ეროვნული საბჭო პოლიტიკური პარტიების წინასწარ შერჩეული წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული და ქვეყნის მხოლოდ პოლიტიკური სპექტრის რეალობას ასახავდა და არა – მოსახლეობის განწყობას. ამ ნაკლის გამოსასწორებლად ეროვნული საბჭოს შემადგენლობა რამდენჯერმე გაზარდეს და შეავსეს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლების ჩართვით. თავდაპირველად ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობა 67 წევრი და 61 კანდიდატი იყო. 1918 წლის 11 თებერვალს მისი რაოდენობა 88 წევრამდე გაიზარდა, ხოლო 1918 წლის 29 მაისს ეროვნული საბჭოს წევრთა რიცხვი 121 კაცით განისაზღვრა. მასში შევიდნენ პარტიების, ეროვნული უმცირესობების და სხვა ჯგუფების წარმომადგენლები.

მიუხედავად პერსონალური შემადგენლობის რაოდენობრივი ზრდისა, ეროვნული საბჭოს ლეგიტიმაციის ხარისხი ამით მაინც არ გაზრდილა. ამ გარემოებას მაშინდელი პოლიტიკოსებიც აღნიშნავდნენ. 1919 წლის მარტის დასაწყისში ნოე ჟორდანია საგანგებოდ განმარტავდა, რომ ის პარლამენტი რომელიც ეროვნული საბჭოს სახით ფუნქციონირებდა 1918 წლის მეორე ნახევარში, არ იყო ნამდვილი პარლამენტი. რეალური „პარლამენტი დგება

[1] დოკუმენტები ციტირებულია აპოლონ სილაგაძისა და ვახტანგ გურულის წიგნიდან: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918. გამომცემლობა „ინტელექტი". თბ. 1998. გვ. 75.

[2] დამოუკიდებლობის 1028 დღე. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე. (1918-1921). რედაქტორი დიმიტრი შველიძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 2013. გვ. 12.

კონსტიტუციის ძალით, ხოლო კონსტიტუციას იძლევა დამფუძნებელი კრება. იმით რომ ჩვენს ნაციონალურ საბჭოს პარლამენტი დავარქვით, მართლა პარლამენტი არ გამხდარა და თვით ეს სახელი მას ისე შეეფერება, როგორც ძროხას – უნაგირი. ის არსებითად დარჩა ნაციონალურ საბჭოდ. ჩვენ პრაქტიკულად შემოვიღეთ პარლამენტალური რეჟიმი, თუმცა საამისო არც კონსტიტუცია გვაქვს და არც ადათი".[3]

ასეა თუ ისე, დამფუძნებელი კრების მოწვევის საკითხი მუდმივად იდგა ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) ფუნქციონირების მთელი პერიოდის მანძილზე. კრების მოწვევის საკითხს, მის მნიშვნელობას თუ სხვა ფაქტორებს, ორჯერ სპეციალური მოხსენებით შეეხო ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერი ნოე ჟორდანია. პირველად ეს მოხდა 1918 წლის აგვისტო-სექტემბრის მიჯნაზე, როცა მან მოხსენება გააკეთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა ერთ-ერთ თათბირილობაზე. ჩვენ სპეციალურად გვინდა განვიხილოთ ეს მოხსენებები, რადგან მათში ჩამოყალიბებულმა მოსაზრებებმა განაპირობა, როგორც ზოგადად, – პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემა, ისე კერძოდ – დამფუძნებელი კრების სტრუქტურა და დანიშნულება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს საკითხი პირველად შეისწავლა მალხაზ მაცაბერიძემ ნაშრომში: „უზენაესი ბატონი ქვეყნისა. როგორი უნდა ყოფილიყო საქართველოს პარლამენტი 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით".[4]

დღემდე არსებული ყველანაირი სახელმწიფო, ნოე ჟორდანიას, როგორც მარქსისტის აზრით – იყო გაბატონებული კლასების პოლიტიკური ორგანიზაცია, სულ ერთია, ის იქნებოდა – მონარქისტული თუ ბურჟუაზიული. მარქსის სქემის მიხედვით, ქართველი სოციალ-დემოკრატები იძულებული იყვნენ რომ გაევლოთ ბურჟუაზიული სახელმწიფოს საფეხური და აეშენებინათ შესაბამისი ბურჟუაზიული სახელმწიფო სტრუქტურები. მაშ რიღათი განსხვავდებოდნენ სოციალ-დემოკრატები ბურჟუაზიული პარტიებისაგან? ნოე ჟორდანია ირწმუნებოდა რომ მათ უნდა აეშენებინათ ბურჟუაზიული სტრუქტურები – სოციალიზმის პერსპექტივით; მათ უნდა თანდათანობით გარდაექმნათ ბურჟუაზიული სახელმწიფო სოციალისტურად – დემოკრატიული რე-

[3] საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტომი XIII. ნოე ჟორდანია. ოფიციალური დოკუმენტები, სიტყვები და გამოსვლები. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბ. 2018, გვ. 168.

[4] „ახალი აზრი". თბ. 2008.

ფორმების გზით. აი, რით განსხვავდებოდნენ, ჟორდანიას თქმით, სოციალ-დემოკრატები ჩვეულებრივი ბურჟუაზიული ლიბერალებისაგან – ანუ ახალი ქართული სახელმწიფო და მისი სტრუქტურები უნდა ყოფილიყო – დემოკრატიული.

თუ როგორი პოლიტიკური სისტემის მატარებელი უნდა ყოფილიყო ახალი ქართული სახელმწიფო, დამოკიდებული იყო იმაზე თუ როგორი შემადგენლობისა იქნებოდა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებული იყო საქართველოს მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაზე, განწყობასა და მიზანზე. ჟორდანიას კონცეფციის მიხედვით, თვით საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა იყო – დემოკრატიული.

ჟორდანია ჩამოთვლიდა ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ ფენებს და განმარტავდა მათ სოციალურ ორიენტაციას. კერძოდ, „ქართველი ერის“ დიდ უმრავლესობას ანუ 90 პროცენტს შეადგენდა გლეხობა, რომელსაც ქრონიკულად არ ჰქონდა საკმარისი მიწა. თუ მას მიწა გადაეცემოდა კერძო საკუთრებაში, ეს სოციალური ფენა იქცეოდა დემოკრატიის დასაყრდენად.

შემდეგ სოციალურ ფენას, ჟორდანია ქალაქის „მეშჩანებს“, იგივე „წვრილ ბურჟუაზიას“ უწოდებდა. მისი უმრავლესობა გლეხობიდან იყო წარმოშობილი და თან ატარებდა „ანტიმემამულურ მისწრაფებებს და თვისებებს“. ჟორდანიას თქმით და სამართლიანადაც, ეს კლასიც დემოკრატიულად იყო განწყობილი და „ეკედლებოდა რევოლუციონურ კლასებს“. ჩვენც დავამატებთ, რომ ეს კლასიც სოციალური დემოკრატიის მომხრე იყო.

ჟორდანიას სქემის მიხედვით, შემდეგ სოციალურ ფენას წარმოადგენდა მუშათა კლასი – „ყველაზე უფრო შეგნებული და ორგანიზაციულად მოწყობილი“, რომელსაც მთელი გლეხობა და წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი... მისდევდა და სცნობდა მის პოლიტიკურ გეგემონიას“.[5]

აი, ამ სამი ძირითადი სოციალური ფენისაგან შედგებოდა პირველი რესპუბლიკის დროინდელი საქართველოს მოსახლეობა, ჟორდანიას სქემის მიხედვით. მართალია, იგი აღნიშნავდა, რომ მოსახლეობაში თავისი ადგილი გააჩნდა თავადაზნაურობას და ბურჟუაზიასაც, მაგრამ ავტორ-მომხსენებლის აზრით, ამ უკანასკნელებს დაკარგული ჰქონდათ ადრინდელი ფუნქცია და არ წარმოადგენდნენ ანგარიშგასაწევ ძალას. ამ მხრივ, საქართველო განსხვავდებოდა რუსეთისაგან, სადაც თავადაზნაურობა მონარქიის აღდგენისათვის იბრ-

[5] საქართველოს სახელმწიფო ხელმძღვანელები. ტ. XIII, გვ. 49-50.

ძოდა; აზერბაიჯანისაგან – სადაც ბეგები მიწების დიდ ნაწილს ფლობდნენ; სომხეთისაგან – სადაც ბურჟუაზია ძლიერი იყო და სხვა ბევრი ქვეყნისაგან, რომლებშიც თავადაზნაურობა და ბურჟუაზია გაბატონებულ ან ძლიერ ძალას წარმოადგენდა. ზემოაღნიშნული ფაქტორების გამო, ნოე ჟორდანიას გამოჰქონდა, შეიძლება ითქვას, ფუნდამენტური დასკვნა, რომ: „ამ რიგათ საქართველოს საზოგადოებრივი ურთიერთობა ეწყობა სამი დემოკრატიული კლასისაგან: მუშათა, გლეხობის და წვრილი ბურჟუაზიის, რომელიც შეადგენს საძირკველს საქართველოს სახელმწიფო შენობისათვის. ამ პირობებში შეიძლება სახელმწიფო იქნეს დემოკრატიული ან სულ არ იქნება“.[6]

ცოტა ქვემოთ, იგივე აზრი უფრო მკვეთრად კონკრეტდება: „საქართველოს ფაქტიური კონსტიტუცია ეყრდნობა სამ კლასის მუშათა, წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის საზოგადოებრივ ურთიერთდამოკიდებულებაზე. ეს კლასები სავსებით დემოკრატიულია და მათი ცხოვრების ინტერესები თხოულობენ დემოკრატიულ პოლიტიკურ დაწესებულებებს. ამ სოციალურ საფუძველზე შეიძლება აშენება სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის მხოლოდ ერთი ფორმის – რესპუბლიკის“.[7]

ამის შემდეგ ჟორდანია გადადიოდა შემდეგი საკითხის განხილვაზე – რესპუბლიკის რომელი ფორმა უნდა მიეღო საქართველოს დემოკრატიას და სახელმწიფოს. ჟორდანია მარქსისტი იყო და ბუნებრივია რომ ეყრდნობოდა ან მარქსის ან მარქსიზმის სხვა ავტორიტეტების, მაგ., კარლ კაუცკის კონცეფციებს. ამ უკანასკნელებს მიაჩნდათ რომ არსებობდა რესპუბლიკის სამი ფორმა: პარლამენტალური, დემოკრატიული და სოციალური. ჟორდანია თავიდანვე გამორიცხავდა „სოციალური რესპუბლიკის“ ანუ სოციალისტური რესპუბლიკის ფორმას, რადგან იგი „კერძო საკუთრების გარეშე“ იდგა. ცხადია ქართველი სოციალ-დემოკრატიის დალაი ლამა“ (არჩილ ჯორჯაძე), რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას გულისხმობდა, რომელიც მისი აზრით, არც დემოკრატიული იყო და არც სოციალისტური – ის „ბალშევიკური“ ვანდალიზმი“ იყო.

ნოე ჟორდანია უპირობოდ უარყოფდა აგრეთვე „პარლამენტალურ რესპუბლიკასაც“. მომხსენებელი განმარტავდა რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკა სულაც არ იყო და არც უნდა ყოფილიყო პარლამენტარული სახელმწიფო. ამის შემდეგ, ჟორდანია ვრცლად ასაბუთებდა, რატომ არ შეიძ-

[6] საქართველოს სახელმწიფო ხელმძღვანელები. ტ. XIII, გვ. 50.
[7] საქართველოს სახელმწიფო ხელმძღვანელები. ტ. XIII, გვ. 56.

ლებოდა შეექმნათ პარლამენტური რესპუბლიკა. ის იშველიებდა ისტორიული წარსულის მაგალითებს. მივყვეთ მის მსჯელობას. პირველად ტიერმა უწოდა საფრანგეთის რესპუბლიკას – პარლამენტალური. ეს მოხდა 1849 წელს, როცა საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანოდან განდევნეს მონტანიარები, როლენტის მეთაურობით. მას შემდეგ, მარქსისტები და შესაბამისად – ჟორდანიაც, პარლამენტარულ რესპუბლიკას მიიჩნევდნენ ბურჟუაზიის ბატონობის ფორმად. ჟორდანია თავის თანაპარტიელებს მოახსენებდა რომ პარლამენტარულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში „მთელი ძალაუფლება, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი და სასამართლო არის მხოლოდ პარლამენტის ხელში. თვითმპყრობელი მეფის მაგივრად არის თვითმპყრობელი პარლამენტი, თვითმპყრობელი თავადაზნაურობის მაგივრად ბურჟუაზია, პრინციპი ერთნაირია – უსაზღვრო გაძლიერება ცენტრალური მთავრობის...“.

მთავრობის თავმჯდომარე განაგრძობდა: პარლამენტარული რესპუბლიკა აძლიერებს მხოლოდ ბურჟუაზიას, არა მხოლოდ პოლიტიკურად არამედ მატერიალურადაც და ანიჭებს მას „თფილ ადგილებს“ – ჟორდანიას გამოთქმაა. ამ დროს მთელი ძალაუფლება პარლამენტის ანუ ბურჟუაზიის ხელშია, მის ხელშია ეკონომიკა, საზოგადო დაწესებულებები და სხვ. სად არის ამ დროს ხალხი და რა უფლება რჩება მას? ჟორდანია განმარტავს: „ხალხმა თუ დეპუტატები ამოირჩია და პარლამენტში გაგზავნა, შემდეგ მას არაფერს არ ჰკითხავენ, ის მართვა-გამგეობაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს, ხოლო მისი ადგილობრივი თვითმმართველობა იმყოფება ცენტრის სასტიკ ოპეკის ქვეშ. ერთი სიტყვით, პარლამენტარული რესპუბლიკა არ ითმენს ხალხის პოლიტიკურ თვითმმართველობას“.[8]

ნოე ჟორდანიას აზრით, რომელიც პირველი ქართული რესპუბლიკის პირველ არქიტექტორად გვევლინება, „პრინციპიალურად“ განასხვავებს პარლამენტარულისაგან – დემოკრატიულ რესპუბლიკას. მას საფუძვლად ედო ხალხის პოლიტიკური თვითმმართველობა. ამ დროს ხალხი ირჩევს არა მარტო დეპუტატებს, არამედ კანონების აღმასრულებლებსაც, ადმინისტრატორებს, მოსამართლეებს და სხვ. იმისათვის რომ ცენტრალური ხელისუფლება მეტისმეტად არ გაძლიერდეს, მას ზღუდავს ძლიერი თვითმმართველობა.

ამავე დროს, ნოე ჟორდანიას ლოგიკის მიხედვით, იმისათვის რომ მეტისმეტად არ გაძლიერებულიყო პარლამენტი, უნდა შემოეღოთ ისეთი საკანონმდებლო ორგანო, რომლის ძალაუფლებაც „შეზღუდვილი“ იქნებოდა: „ჩვენ... ვდგე-

[8] საქართველოს სახელმწიფო ხელმძღვანელები. ტ. XIII, გვ. 59.

ვართ კანონმდებლობითი ორგანოს შეზღუდვილი უზენაესობის ნიადაგზე".

ასეთი უნდა ყოფილიყო საქართველოს დამფუძნებელი კრება. მისი უპირველესი მიზანი იყო გამოემუშავებინა დემოკრატიული კონსტიტუცია. ამ უკანასკნელის რატიფიკაცია უნდა მოეხდინა ხალხს – რეფერენდუმის გზით. „ჩვენ შევდივართ ძნელ და სადავო უფლებრივ სფეროში, როგორ გავანაწილოთ საკანონმდებლო ძალა უფლება ხალხის და საკანონმდებლო ორგანოს შორის" – ამბობდა ნოე ჟორდანია და მხედველობაში ჰქონდა ორივე შემთხვევა. ერთის მხრივ, არ უნდა გაძლიერებულიყო პარლამენტი ზომაზე მეტად და მეორეს მხრივ – პროგრესული კანონები არ უნდა უარეყო ხალხს, რომელსაც ყოველთვის შეიძლება ვერ აღექვა კონკრეტული კანონის ავკარგიანობა და როგორც ეს ხანდახან შვეიცარიაში ხდებოდა, „პროვინციალიზმს არ ჩაეყლაპა ცენტრი".

უნდა მონახულიყო კომპრომისი ამ ორი უკიდურესობის დასაძლევად. ნოე ჟორდანიას სანიმუშოდ მიაჩნდა 1793 წლის საფრანგეთის კონსტიტუციური კომპრომისი. ამ სქემის მიხედვით, კანონთა ერთი ნაწილი უპირობოდ უნდა გამოემუშაავებინა დამფუძნებელ კრებას. მეორე შემთხვევაში, რეფერენდუმის საშუალებით და ხალხის პირდაპირი ჩარევით უნდა გადაჭრილიყო „ყველა ის საკითხები რომელსაც კავშირი აქვს ხალხის ჯიბესთან, მაგ., სახელმწიფოს შემოსავალი და გასავალი (გადასახადები, სახელმწიფო ქონება, ფულის სისტემა), ომი და ზავის (ომის გამოცხადება), საბაჟო, ვაჭრული ხელშეკრულებების, სახალხო განათლების საკითხი (შკოლა)". გარდა ამისა, ჟორდანია საზოგადოებას სთავაზობდა, რომ ადმინისტრატორების ამორჩევის უფლებაც მინიჭებოდა ადგილობრივ მუნიციპალურ და საერობო თვითმმართველობებს. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრატორები პირდაპირ დაემორჩილებოდნენ უშუალო ამომრჩევლებს, ხოლო არაპირდაპირ მინისტრებს, რომლებიც თვალყურს გაადევნებდნენ მათი მოქმედების კანონიერებას.

დამფუძნებელი კრების თემას, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, მის გახსნამდე ორი კვირით ადრე, კიდევ ერთხელ შეეხო. ამჯერად მან მოხსენება გააკეთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შეერთებულ კრებაზე, 1918 წლის თებერვლის ბოლოს. მოხსენების სათაური იყო: „დამფუძნებელი კრება, მისი ფუნქცია და ძალა-უფლება". მოხსენება გამოქვეყნდა გაზეთ „ერთობის" 1919 წლის მარტის დასაწყისში, 44 და 48-ე ნომრებში. მომხსენებელს თანაპარტიელებისათვის, კიდევ ერთხელ უნდა განემარტა დამფუძნებელი კრების მიზანი და ფუნქციები.

ჟორდანია ისტორიულ ანალოგიებს კვლავ საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან იღებდა და ამიტომაც საუბრის ნახევარი, რევოლუციის პერიპეტიებს დაეთმო. დასკვნა იმაში მდგომარეობდა, რომ კონსტიტუციის გამომუშავება უნდა მომხდარიყო პოლიტიკური ბრძოლების დამთავრების შემდეგ, მშვიდობიანობის დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას გაუქმების საფრთხე ელოდა, მოწინააღმდეგე პოლიტიკური ჟგუფის მხრიდან. ასეც მოხდა საფრანგეთში, როცა 1789 წლის კონსტიტუცია „ერთიანად დაანგრია“ 1791 წლის 10 აგვისტოს აჯანყებამ. შემდგომშიც – კონვენტის კონსტიტუცია გააუქმეს ტერმიდორიანელებმა, ხოლო ამ უკანასკნელებისა – დირექტორიამ. კონსტიტუციების მიღებისა და გაუქმებების სერია ამით არ დასრულებულა: წინა ხელისუფლებების კონსტიტუციებს აუქმებდნენ ჯერ კონსულები, შემდეგ – ნაპოლეონი, შემდეგ ბურბონები და ა. შ. ამიტომაც დაასკვნიდა ნოე ჟორდანია, დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის შემუშავება უნდა მომხდარიყო „თავის დროზე“ – „არც აჩქარებით, არც დაგვიანებით“.

ჟორდანია გამოყოფდა დამფუძნებელი კრების ორ ტიპს. ერთ შემთხვევაში, დამფუძნებელი კრება თვით აცხადებდა თავს, აღმასრულებელ ძალად, სხვადასხვა კომისიების სახით. მეორე შემთხვევაში, კრება ირჩევდა და ნიშნავდა ერთ პირს, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად და მას ანდობდა მთავრობის შედგენას. ასეთ შემთხვევაში, დამფუძნებელი კრება თითქმის შეუზღუდავ ორგანოს წარმოადგენდა, მაგრამ ეს გამართლებული იყო ქვეყნის არასტაბილური მდგომარეობით – „რაც უფრო მეტი გაჭირება ადგია ქვეყანას, მით უფრო მეტ უფლებას იჩენს კრება, მით უფრო მეტად დიქტატორობს“ – დაასკვნიდა ჟორდანია.

მაინც კონკრეტულად, რომელ ვარიანტს უნდა მისცემოდა უპირატესობა, იმ დროს, როცა ჟორდანია მოხსენებას აკეთებდა? „ჩვენი დამფუძნებელი კრება უეჭველია აიღებს შუათანა ხაზს, ვინაიდან ჩვენ არც დიდ გაჭირვებაში ვართ და არც დალხინებაში, – არჩევანს აკეთებდა მომხსენებელი და განმარტავდა – ე. ი. იმ დაბრკოლებების დასაძლევად, რომელიც ჩვენ წინ გვიდგას, საჭირო არ იქნება დიქტატურა, კონვენტისებური, მარა ვერც პარლამენტარული ბიუროკრატიზმი გვიშველის“.

ჟორდანიამ განსაზღვრა მომავალი დამფუძნებელი კრების კონკრეტული ფორმა და ფუნქცია: კრება არ იქნებოდა აღმასრულებელი ხელისუფლება. საკმარისი იქნებოდა, რომ მას აერჩია ერთი პირი – აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად და ის შეადგენდა მთავრობას. ამ შემთხვევაში, როგორი

ურთიერთდამოკიდებულება იქნებოდა დამფუძნებელ კრებასა და მინისტრთა კაბინეტს, მთავრობას შორის? მისი აზრით, დემოკრატიული პრინციპი აქაც დაცული იქნებოდა. ხალხის ნებით არჩეული დამფუძნებელი კრება უფლებამოსილი იქნებოდა ჩარეულიყო მთავრობისა და სამინიტროების საქმიანობაში, შესაბამისი კომისიების მეშვეობით.

ნოე ჟორდანიას მოხსენებაში წამოყენებული რეკომენდაციები და იდეები, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კრებამ თეზისების სახით მიიღო. კერძოდ, თეზისების მეორე პუნქტი იუწყებოდა რომ ,,დამფუძნებელი კრება, გარდა თავისი ჩვეულებრივი მოქმედებისა – დეკრეტებით, კანონების და კონსტიტუციის შემუშავებით, – აარსებს კომისიებს, რომელნიც თვალყურს ადევნებენ აღმასრულებელ ძალის მოქმედებას და უფლება აქვს, რომ ამ მოქმედებაში ჩაერიოს, როცა საჭიროდ დაინახავს.

დამფუძნებელი კრება ახორციელებს პირდაპირ აღმასრულებელ ძალას მთლათ თუ ნაწილობრივ, როცა ამას ქვეყნის მდგომარეობა მოითხოვს“[9].

დავასკვნით, რომ:

1. საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას მიერ ჩამოყალიბებული კონცეფცია საფუძვლად დაედო დამფუძნებელი კრების კონსტრუირებას და ახალი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემას. ამ კონცეფციის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა იყო დემოკრატიული, რადგან ძირითადად შედგებოდა სამი დემოკრატიული ფენისაგან: გლეხობა, წვრილი ბურჟუაზია და მუშათა კლასი.

2. ჟორდანია უარყოფდა პარლამენტალური რესპუბლიკის იდეას და ფორმას, რადგან ამ სისტემის პირობებში, პარლამენტი ხდებოდა ერთი სოციალური ფენის – ბურჟუაზიის ბატონობის იარაღი და ხალხი ვერ იღებდა ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობას.

3. საქართველოს პირველი რესპუბლიკა არ იყო – პარლამენტალური და პრინციპულად განსხვავდებოდა მისგან. ის იყო – დემოკრატიული რესპუბლიკა. საპირისპიროდ გავრცელებული აზრისა, ჟორდანია ფიქრობდა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის ვითარებაში ძლიერია ხალხის თვითმმართველობითი ორგანოები. ხალხი ირჩევდა არამარტო დეპუტატებს, არამედ კანონების აღმასრულებლებსაც – ადმინისტრატორებს, მოსამართლეებს და ა. შ.

[9] ნ. ჟორდანიას მოხსენება სოც-დემ. ორგანიზაციების შეერთებულ კრებაზე. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. XIII, გვ. 168.

4. თვით დამფუძნებელი კრების უფლებამოსილება, ისევე როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისა, შეზღუდული უნდა ყოფილიყო. კრების მიერ შემუშავებული კონსტიტუციის რატიფიკაცია უნდა მომხდარიყო ხალხის მიერ, რეფერენდუმის გზით და სხვა ნორმებით. დამფუძნებელი კრება დარგობრივი კომისიების საშუალებით, მონაწილეობას მიიღებდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში და გააკონტროლებდა მას.

ამ და სხვა დემოკრატიული ნორმატივების გათვალისწინებით შეიკრიბა 1918 წლის 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრება, თავის პირველ სხდომაზე. ჩვენ აღარ შევეხებით, ახლა უკვე საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს და მოვლენებს: რა შემადგენლობისა იყო კრება, მის მიერ გამომუშავებულ-მიღებულ კანონებს და სხვ. დავასრულებთ, ნოე ჟორდანიას სიტყვებით: „ჩვენს წინაშე სდგას მეტის მეტად ძნელი და რთული კითხვა – უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება – ესეთი წეს-წყობილების დაფუძნება და განმტკიცება, რომელიც ჯერ-ჯერობით არსად არ განხორციელებულა... და თუ ჩვენ მიზანს მაინც ვერ მივაღწიეთ და დავმარცხდით, ერთი კი უეჭველი იქნება და ამას პირუთვნელი ისტორია აუცილებლად იტყვის – ჩვენ მივდიოდით სწორი გზით და გავაკეთეთ, რისი გაკეთებაც კი შეგვეძლო“.[10]

2018 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი. სხვათა შორის, ფორუმის სახელწოდება გახლდათ: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება ასი წლის შემდეგ – მოდელი ევროპისათვის?“ და ის შორეულად ეხმაურებოდა ჟორდანიას სურვილს, ისტორიის ფურცლებიდან არ გამქრალიყო, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და მისი თანამებრძოლების ძალისხმევა.

[10] საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. XIII, გვ. 74-75.

***Dimitri Shvelidze***
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## THE CONSTITUENT ASSEMBLY OF GEORGIA ACCORDING TO NOE JORDANIA'S CONCEPT

Summary

From the very beginning, the Georgian political elite believed that the national council (hereinafter – the parliament) was not a legitimate legislative body, since it had not been elected by the population of the country. Because of this, the first national assembly decided to convene the constituent assembly, which should have been made up from the elections results. The structure, functions and purpose of the constituent assembly were determined in accordance with the concept formulated by the head of government of Georgia, Noe Jordania. The latter rejected the idea of a parliamentary republic. He thought that parliament would become an instrument for the domination of the bourgeoisie. A democratic republic is "fundamentally different" from a parliamentary republic. According to Jordania's concept, the powers of the constituent assembly and the executive branch should have been limited. The constitution drawn up by the assembly must have been ratified by the people through a referendum and other norms. The constituent assembly through the sectoral commissions would have participate in the work of the executive branch and essentially control it.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII
თბილისი. 2021

*გიორგი სოსიაშვილი*
პროფესორი,
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

# სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ქრისტეფორე ციცქიშვილის ცხოვრების უცნობი ფურცლები

1921 წელს ბოლშევიკური ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ქართული საზოგადოება უაღრესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. ქვეყანას რეპრესიები დაატყდა. ქართული ეკლესია, ათეისტური მმართველობის წნეხის შედეგად გაუსაძლის პირობებში მოექცა. მშრომელთა ინტერესებს ამოფარებულმა ბოლშევიკებმა იერიში მიიტანეს არა მარტო მართლმადიდებელ ეკლესიაზე, არამედ სხვადასხვა რელიგიურ უმცირესობებზეც.[1] საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 15 აპრილს მიიღო №22 დეკრეტი, რომლის მე-14, მე-15 მუხლებში აღნიშნული იყო: „არც ერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არ აქვს უფლება, იქონიოს საკუთრება. მათ არ აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება, საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებუ-

[1] გ. სოსიაშვილი. კათოლიკური ეკლესია შიდა ქართლში ბოლშევიკური რეპრესიების პერიოდში (უცნობი დოკუმენტების მიხედვით). აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კონფერენციის მასალები. თბ. 2014, გვ. 224; G. Sosiashvili. The religious conditions of the Jewish people in the Georgia region in the first quarter of the 20th century (during the period of repression). Occasional Papers on Religion in Eastern Europe (OPREE). Vol. 34. Iss. 3/2. Available at: http://digitalcommons.georgefox.edu/rec/vol34/iss3/2/; G. Sosiashvili. Educational Aspect of the "Red Terror" Against Religious Confession Exiting in Georgia, International Conference on Education and Learning Technologies. Barcelona. 2013, EDULEARN Abstracts – ISBN 978-84-616-3823-9; G. Sosiashvili. The Orthodox Church and Religious Minorities in Shida Kartli Region in Georgia in the First Quarter of the Twentieth Century Occasional Papers on Religion in Eastern Europe (OPREE): 2017, Vol. 37: Iss. 5, Article 4. Available at: http://digitalcommons.georgefox.edu/rec/vol37/iss5/4; G. Sosiashvili. Armenian Church in Gori in the Early Soviet Years. "Banber Yerevani hamalsarani. Armenian Studies". 2017, № 3 (24), p. 64-73

ლია სახალხო კუთვნილებად“[2]. როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ბოლშევიკებმა ეკლესია ყოველგვარი უფლების გარეშე დატოვეს, ხოლო რელიგიურ საზოგადოებებს კი იურიდიული სტატუსის მოპოვების პერსპექტივა მოუსპეს. ბოლშევიკებმა მართლმადიდებლური ეკლესიების ძარცვა დაიწყეს. ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულმა კამპანიამ ისტერიული სახე მიიღო. ბოლშევიკებმა ე.წ. ,,უღმერთოთა კავშირის“ ჩამოყალიბებით დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და სასულიერო პირებს. სამაზრო ხელმძღვანელობა და მის დაქვემდებარებაში მყოფი რევკომები ეწეოდნენ ეკლესიის დისკრედიტაციას, იტაცებდნენ საეკლესიო ქონებას. ბოლშევიკური ხელისუფლების რეპრესიები დაატყდა არა მარტო დაბალი იერარქიის სასულიერო პირებს არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავრებსაც. თუ როგორი განწყობა არსებობდა ეკლესიის მიმართ იმჟამინდელი ხელისუფლების მხრიდან, ამის შესახებ ძალზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის სიტყვები, რომელიც მან 1921 წლის 14 სექტემბერს მცხეთაში სვეტიცხოვლის ტაძარში აღსაყდრების დროს წარმოსთქვა: ,,მამამთავრობის ტვირთის სიმძიმე? მაგრამ ვინ ჩვენგანმა არ უნდა იცოდეს სიმძიმე და სიძნელე მოვალეობის ასრულებისა. მეტადრე ამ აუტანელ დროს, როდესაც სათავეში მყოფნი სიძულვილითა და მტრულად უყურებენ ეკლესიას, როდესაც ურწმუნოება გარეგნულად მაინც გამეფებულა და სირცხვილათ მიაჩნიათ თავის სარწმუოების გამოაშკარავება.“[3] აღსაყდრებისას პატრიარქის მიერ გამოთქმული საწუხარი შემთხვევითი არ იყო. ბოლშევიკებმა ეკლესიების დახურვასთან ერთად სასულიერო პირების დევნა დაიწყეს. ქვეყანაში არსებული ბოლშევიკური ტერორის შესახებ 1922 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ გენუის კონფერენციას მიმართა, სადაც მონაწილეობას იღებდა 29 სახელმწიფო და ინგლისის 5 დომინიონი. კონფერენციაზე გაგზავნილ მიმართვაში პატრიარქი ცივილიზებულ სამყაროს იმ საშინელ ვითარებას აცნობდა, რაც საქართველოში დაატრიალეს ბოლშევიკებმა. წერილში საუბარი იყო ქართული საზოგადოების და მართლმადიდებლური ეკლესიის უმძიმეს მდგომარეობაზე.[4] კათალიკოს-პატრიარქმა არც გენუის კონფერენციის შემდეგ შეწყვიტა ბოლშევიკური ეკლესიის მხილება. აღსანიშნავია ის

[2] ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927). თბ. 2009, გვ. 71.

[3] ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927), გვ. 75.

[4] ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია). თბ. 2004, გვ. 547-550.

ფაქტი, რომ ხელისუფლებამ სულ მცირე ხანში უწმინდესი დააპატიმრა. პატრიარქთან ერთად მძიმე რეპრესიები დაატყდათ ქართული სამღვდელოების სხვა წარმომადგენლებს. კათალიკოს-პატრიარქს 1923 წელის 29 ივლისს შეხვდა ინგლისის მუშათა კომიტეტის „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან“ გენერალური მდივანი კოუტსი. უცხოელი სტუმარი საბჭოთა რუსეთში სამოგზაუროდ იყო ჩამოსული. იგი დასავლეთში საბჭოთა რუსეთის პროპაგანდას ეწეოდა. კათალიკოს-პატრიარქი კოუტსთან საუბარში ღიად ამბობდა: „მაგრამ მე ჩემი მდგომარეობა იმდენად საყურადღებოდ არ მიმაჩნია, როგორც მორწმუნე ერისა, ეკლესიისა და საზოგადოდ სამღვდელოებისა, როგორც ის გარემოება, რომ ჩემი გულისთვის ეს შვიდი თვეა ციხეში იტანჯებიან უდანაშაულოდ საკათ[ალიკოზო] საბჭოს წევრნი და სხვა მოსამსახურენი და ცენტრალური მართვა-გამგეობის აპარატი დაშლილია. ეს მტანჯავს და მოსვენებას არ მაძლევს.“[5] ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულმა კამპანიამ ისტერიული სახე მიიღო. ბოლშევიკებმა ე. წ. „ულმერთოთა კავშირის“ ჩამოყალიბებით დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და სასულიერო პირებს, რაც საზოგადოებაში დიდ აღშფოთებას იწვევდა. სასულიერო პირების რეპრესიებმა იმდენად მძაფრი სახე მიიღო, რომ ეკლესიის მსახურნი თავადვე ამბობდნენ უარს სასულიერო მოღვაწეობაზე. თავისი ხელით იხდიდნენ ანაფორას. მოდური გახდა მღვდლების გაკრეჭვა, ამას სასულიერო პირები ხშირად თავისი ნებით აკეთებდნენ, რომ ამით ხელისუფლების რისხვა თავიდან აეცილებინათ.[6] ბოლშევიკები სოფლის ეკლესიებში მოღვაწე მღვდლებს მიწის ნაკვეთების გადაცემაზე უარს ეუბნებოდნენ, რაც მათი სარჩო-საბადებლის გარეშე დარჩენას ნიშნავდა, ამიტომ ისინი თავისი ნებით სტოვებდნენ ეკლესიას და ამის თაობაზე განცხადებით მიმართავდნენ ადგილობრივი მაზრების აღმასრულებელ კომიტეტებს. გორის არქივში დაცული მასალების მიხედვით ნათელი ხდება, რომ გორის სამაზრო აღმასკომმა 1923 წელს გააფთრებული ბრძოლა აწარმოა ეკლესიების დახურვის და სასულიერო პირთა დისკრედიტაციის თვალსაზრით. ერთ-ერთ ცირკულარში ვკითხულობთ:

---

[5] ნ. შიოლაშვილი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის უცნობი ხელნაწერი – საუბარი ინგლისის მუშათა ორგანიზაციის წევრ კოუტსთან. კრებ. „პოეტური სულის მეცნიერი“ (გიორგი ნადირაძე – 80). თბ. 2012, გვ. 289-290.

[6] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-ანი წლები). დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა. თბ. 2013, გვ. 462-464.

„ცირკულიარულად
საიდუმლოდ ფრ. სასწრაფო

ყველა თემის აღმასკომის თავმჯდომარეებს

სამაზრო აღმასკომი გავალებთ ფრიად საჩქაროთ მოაწოდოთ ცნობები ქვემო აღნიშნულ კითხვების მიხედვით.

1. რამდენი ეკლესიაა მაზრაში (სინაგოგები, მეჩეთები), მათში
   ა) სოფლად
   ბ) ქალაქებში
   გ) რამდენში ხდება წირვა-ლოცვა
   დ) რამდენში არა
2. რამდენი ეკლესიაა დაკეტილი მცხოვრებლების მიერ, მათში
   ა) სოფლად
   ბ) ქალაქებში
   გ) რამდენში ხდებოდა წირვა-ლოცვა
   დ) რომელშიაც არ ხდებოდა
3. რამდენი ეკლესია დარჩა დაუხურავი
   ა) სოფლად
   ბ) ქალაქებში
4. რამდენი მონასტერია
5. რამდენია დაკეტილი მათში
   ა) მამაკაცების
   ბ) ქალების
6. რამდენმა ეკლესიის მსახურმა (მღვდელმა, დიაკვნებმა) დაანებეს ეკლესიას თავი
7. რამდენმა გაიკრიჭა თავის სურვილით.
8. რამდენი იქმნა გაკრეჭილი ძალით.
9. რამდენი მღვდელია მაზრაში, რომელნიც აშკარად გამოდიან პროპაგანდით სარწმუნოების წინააღმდეგ.
10. რამდენი ეკლესიაა ფაქტიურად გადაკეთებული კლუბებათ, ბიბლიოთეკებათ ან სხვა კულტურულ დაწესებულებად.
11. რამდენი იყო შემთხვევა სარწმუნოებრივი გამოსვლებისა მორწმუნეთა მიერ.
12. ხდება თუ არა წირვა-ლოცვა კერძო სახლებში ეკლესიების დაკეტვის შემდეგ.

13. ხდება თუ არა უპარტიოთა შორის გასვენება, ნათლობა, ქორწინება მღვდელთა დაუსწრებლად.

22 მაისი 1923 წ. №3139

შინა მმართველობის განყ.

გამგე (ცხოვრებაშვილი)

მდივანი (მალიევი)“ [7]

ბოლშევიკებმა სასტიკი ტერორი განახორციელეს სრულიად კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას წინააღმდეგ. ხელისუფლებამ საეკლესიო წრეებში განხეთქილება შეიტანა და არაერთი უმაღლესი საეკლესიო იერარქი გადმოიბირა. 1922 წლის 13 ივნისს, საპატრიარქო სასახლეში მიმდინარეობდა საკათალიკოსო საბჭოს სხდომა, სადაც მივიდნენ „ჩეკას“ წარმომადგენლები და გამოაცხადეს, რომ კათალიკოსი დაკითხვაზე მიჰყავდათ ჩეკას თავმჯდომარესთან. პატრიარქმა ეკლესიის დროებითი მმართველობა მანგლელ-ურბნელ ეპისკოპოსს ქრისტეფორე ციცქიშვილს ჩააბარა. 1922 წლის 17 ნოემბერს ხელისუფლებამ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას საპატრიარქო სასახლე ჩამოართვა. პატრიარქი ამბროსი შინაპატიმრობაში დარჩა.[8] 1923 წლის 13 ივნარს, საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის (ჩეკას) გადაწყვეტილებით დაპატიმტებულ იქნა სრულიად საქართველოს კათალოკოს-პატრიარქი ამბროსი და საკათალიკოსო საბჭოს მთელი შემადგენლობა. ეკლესიის დროებითი მმართველობა ქრიტეფორე ციცქიშვილის ხელში გადავიდა.[9] როგორც აღინიშნა, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საეკლესიო იერარქებს შორის განხეთქილება შეიტანა. მაღალი სასულიერო პირების ერთი ნაწილი შეურიგებელი იყო საოკუპაციო ხელისუფლების მხრიდან, მათ წარმომადგნლებს ბოლშევიკები სასტიკად დევნიდნენ. ხოლო სასულიერო პირთა ერთი ჯგუფი ხელისუფლებასთან თანამშრომლობას და დიალოგს ამჯობინებდა. სწორედ ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა მომავალი პატრიარქი ქრისტეფორე, რომელიც თვლიდა, რომ ეკლესიის გადასარჩენად ხელისუფლებასთან დათმობაზე წასვლა აუცილებელი იყო.[10] ქრისტეფორე ციცქიშ-

[7] გორის არქივი. ფონდი №3. აღწერა №1. საქმე №37, გვ. 4.

[8] ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წ.წ). თბ. 2009, გვ. 47.

[9] ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წ.წ), გვ. 48.

[10] ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წ.წ), გვ. 48.

ვილს ხელისუფლებასთან დიალოგის თვალსაზრისით მხარს უჭერდნენ ისეთი მაღალი იერარქები, როგორებიც იყვნენ: დავით კაჭახიძე, ნესტორ ყუბანეიშვილი, სვიმეონ ჭელიძე. აღნიშნულმა ჯგუფმა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ ბოლშევიკების მიერ განხორციებული ტერორის მიზეზად ის მემურანდუმი მიიჩნია, რომელიც პატრიარქმა ამბროსიმ გენუის კონფერენციას გაუგზავნა.[11] სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ტერორს შეეწირა. წამებული მღვდელმთავარი 1927 წლის 29 მარტს გარდაიცვალა. საპატრიარქო ტახტი ქრისტეფორე III დაიკავა, რომლის აღსაყდრება 1927 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლობას მოხდა. ხელისუფლებისათვის ქრისტეფორეს კანდიდატურა მისაღები იყო, ამის შესახებ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ს პასუხისმგებელი ინსტრუქტორი ვლადიმერ დეკანოზოვი აღნიშნავდა. მისი ინფორმაციით, საეკლესიო კრებაზე, სადაც ახალი პატრიარქი უნდა აერჩიათ დაპირისპირება მოხდა პატრიარქ ამბროსის და ქრისტეფორეს მომხრეებს შორის. უპირატესობა საბოლოოდ ქრისტეფორეს ჯგუფმა მოიპოვა. ამბროსის მომხრეებმა საეკლესიო კრება პროტესტის ნიშნად დატოვეს. როგორც დეკანოზოვი აღნიშნავს, ახალი პატრიარქი ქრისტეფორე ბოლშევიკების მიმართ სიმპატიებს გამოხატავდა და მწვავედ უპირისპირდებოდა მენშევიკური მთავრობის წევრებს.[12] მიუხედავად არსებული ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულისა, სულ მალე ახალი პატრიარქიც ბოლშევიკური წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. ხელისუფლებამ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი წამოიწყო. 1928 წლის მდგომარეობით მოქმედ ეკლესიათა რაოდენობა 1450-დან 350-მდე შემცირდა. ღვთისმსახურთა რიცხვი კი 1600-დან 300-მდე. 1928 წელს საქართველოში შეიქმნა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“, ხოლო 1930 წელს კი ანტირელიგიური უნივერსიტეტი.[13] დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, ეკლესიის მიმართ განხორციელებული ტერორის შესახებ აღნიშნავდა: „საქართველოს ეკლესია სულს ღაფავს... თუ ასე გაგრძელდა კათალიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე უსამწყსო და უსამღვდელო კა-

[11] ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წ.წ), გვ. 50.

[12] ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წ.წ). გვ. 117.

[13] ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წ.წ), გვ. 118.

თოლიკოსი დარჩება.“[14] კათალიკო-პატრიარქი ქრისტეფორე III 1928 წლის 1 ოქტომბერს იძულებული გახდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი საპროტესტო წერილით მიემართა და ხელისუფლების მიერ ეკლესიის მიმართ განხორციელებული ძალადობა დაეგმო.[15] კათალიკოს-პატრიარქი ერთი ეპარქიიდან მღვდელმთავრის სხვა ეპარქიაში გადაყვანას ადგილობრივ ხელისუფლებას უთანხმებდა. ამას ასახავს გორის არქივში დაცული წერილი, რომელსაც ხელს აწერს ქრისტეფორე III. წერილში ვკითხულობთ: გორის რაიაღმასკომს, ურბნის-მაწყვერის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი სიმეონი განთავისუფლებულია ურბნისის ეპარქიიდან ქუთაის-გენათის ეპარქიაში გადაყვანის გამო, ხოლო ურბნის-მაწყვერის ეპარქიის მართვა დროებით მინდობილი აქვს ეპისკოპოზ ეფრემს. აღნიშნულს ვაცნობებ გორის რაიაღმასკომს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე (ციცქიშვილი) 1930 წ.[16] ქრისტეფორეს ასეთი ნაბიჯები საბჭოთა ხელისუფლებისადმი მის მიერ შეშუშავებული გარკვეული ტაქტიკა იყო, რაც ბოლშევიკებს ნამდვილად არ გამოეპარებოდათ. ამან ვერ შეაჩერა პატრიარქის ოჯახის მიმართ განხორციელებული ძალადობა. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს ხელისუფლებამ სურამში არსებული საცხოვრებელი სახლი ჩამოართვა. კათალიკოსმა 1930 წლის იანვარში საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახლის და საკარმიდამო ნაკვეთის დაბრუნების თხოვნით მიმართა, რაზეც მან დადებითი პასუხი მიიღო, თუმცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ, კერძოდ, სურამის აღმასკომმა მას ქონება არ დაუბრუნა. ამის გამო პატრიარქმა 1930 წლის 2 თებერვალს გორის ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ასეთი შინაარსის წერილი გაგზავნა: „მე და ჩემს შვილებს გვაქვს სურამში სახლი, რომელიც ადგილობრივმა აღმასკომმა დაგვიბეჭდა და წინადადება მოგვცა მიგვეტოვებინა. სახლის ჩამორთმევის შესახებ ჩვენ ვთხოვეთ ც.ა.კ.ს-ს, რომელმაც შეიწყნარა ჩვენი თხოვნა და დაადგინა დაგვიბრუნდეს სახლ-კარი. მიუხედავად ამისა სურამის აღმასკომმა სახლი ჯერ არ ჩაგვაბარა. გთხოვთ განკარგულებას მიეცეს წინადადება, ვისაც ჯერ არს, რათა შეს-

[14] ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წ.წ), გვ. 118.

[15] ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წ.წ), გვ. 119.

[16] გ. სოსიაშვილი. მართლმადიდებელი ეკლესია და რელიგიური უმცირესობანი შიდა ქართლში XX საუკუნის I მეოთხედში. თბ. 2014, გვ. 17-18.

რულებული იქნეს ც.ა.კ-ის დადგენილება. 2/II 30 წ. ციცქიშვილი."[17] როგორც ჩანს, ამ თხოვნამ შედეგი ვერ გამოიღო და კათალიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ ქონების დაბრუნების თხოვნით სსრ-ის და ამიერკავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარეს მიხა ცხაკაიას კვლავ მიმართა. წერილში ვკითხულობთ: „მე და ჩემს ძმას კირილე ციცქიშვილს ამა წლის იანვარში ჩამოგვართვეს სახლები გორის ოლქის სოფ. ჯვაფინაურში (სურამის ნაწილია), რადგანაც ჩვენ ვართ კულტის მსახურნი და ამ მიზეზით გვაკუთვნებენ კულაკთა კატეგორიას. ჩემის სახლიდან გამოასახლეს ჩემი ქალიშვილი ელენე და თან აგვიკრძალეს სურამში ცხოვრება. მე ვთხოვე სსსრ-ის ცაკს დაებრუნებინათ ჩემთვის სახლ-კარი და ცაკმაც ინება ამა წლის 16 იანვრის დადგენილებით დაეკმაყოფილებია ჩემი თხოვნა, რის შესახებაც მიეწერა გორის აღმასკომს, მაგრამ ეს დადგენილება დღესაც არ არის სისრულეში მოყვანილი ადგილობრივ, თუმცა ჩემმა ქალმა, ელენე ციცქიშვილმა სთხოვა ამის შესახებ სურამის აღმასკომს. გამოასახლეს აგრეთვე თავის სახლიდან. ჩემი ძმაც კირილე ციცქიშვილი, რომელიც იყო ადგილობრივ მღვდლად. იგი თავის შვილებით ეკუთვნის ღატაკთა კატეგორიას და თუ მღვდლობდა დღემდე, მღვდლობდა მორწმუნეთა სურვილით და ამასთან დაიმედებული საბჭოთა კანონებზე, რომლებიც მას ნებას აძლევდა მღვდლობაზე. სხვა დანაშაული ამას არ მიუძღვის წინაშე საბჭოთა ხელისუფლებისა და ან სხვა მიზეზი ამის გორის ოლქიდან გადასახლებისა არ მოიპოვება. გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება მოიყვანონ სისრულეში ცაკის დადგენილება ამა წილს 16 იანვრიდან ჩემი სახლის ჩემდა დაბრუნების შესახებ. მასთანავე გთხოვთ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ეს ყოველად უვნებელი და ღატაკი კაცი, ჩემი ძმა კირილე ციცქიშვილი დააბრუნოთ თავის ცოლშვილით თავისსავე სახლში და დაუბრუნოთ ჩამორთმეული მცირე ფასის მისი ქონებაც.

კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე ციცქიშვილი."

აღნიშნულ წერილს ფანქრით, გაკრული ხელით აქვს მინაწერი: „როგორც გამოირკვა კათალიკოს ციცქიშვილს არ დაბრუნებია ქონება. რადგან ჩასაბარებლად იგი სურამის საბჭოში არ გამოცხადებულა. რაიაღმასკომის მიერ სას. საბჭოს აქვს განკარგულება ქონების დასაბრუნების შესახებ. რაც შეეხება კათალიკოსის ძმას კირილეს იგი გასახლებულია, მაგრამ თავის ნებით ჩასახლებულა სახლში. ჩამო(...)“ ამ ადგილზე მინაწერი წყდება და წი-

[17] საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი №3. ანაწერი №1. საქმე 758, გვ. 459.

ნადადების შინაარსის გარკვევა შეუძლებელია. კათალიკოსის აღნიშნული წერილი 1930 წლის 14 მარტით თარიღდება. მას აქვს ასეთი სახის მინაწერი რეზოლუციის სახით ,,საიდ. (სავარაუდოდ უნდა ეწეროს საიდუმლოდ), გორის ოლქის აღმასკომს მოეთხოვოს ახსნა-განმარტებები ამ საკითხის გარშემო. რეზოლუციას გაკრული ხელმოწერა აქვს, ჩვენი აზრით ის წერილის ადრესატს მიხა ცხაკაიას უნდა ეკუთვნოდეს.[18] როგორც ჩანს, ცაკის გადაწყვეტილება ადგილობრივმა ხელისუფლებამ სისრულეში კვლავ არ მოიყვანა. კათალიკოსისათვის ქონების გაცემა ჭიანურდებოდა. ამას ადასტურებს 1930 წლის 14 აპრილით დათარიღებული ქრისტეფორე ციცქიშვილის კიდევ ერთი წერილი. ,,სრულიად საქართველოს სსრ-ის ცაკის თავმჯდომარეს

კათოლიკოს-პატრიარქის ქრისტეფორესაგან

განცხადება

ამა წლის იანვარში მე მივართვი სრულიად საქართველოს სსრ-ის ცაკს განცხადება, რომლითაც ვითხოვდი მოეხდინა განკარგულება დაებრუნებინათ ჩემთვის სახლი თავის ეზოთი და ბაღ-ვენახით (ბაღ-ვენახი ზომით 0.13 დესეტინა), რომელიც მდებარეობს სურამის ნაწილში, სოფელ ჯაფინაურში. ეს სახლკარი სურამის აღმასკომმა ჩამომართვა, ჩემი ქალიშვილი, რომელიც იმ ჟამად იქ ცხოვრობდა და ავადაც იყო, გამოასახლა და დატუსაღების მუქარით აუკრძალა სურამის რაიონში ცხოვრება. მე ამ ზომით ვიქმენ ვითომ განკულაკებული, მაგრამ რა კულაკურის მეურნების წარმოება შეიძლება 0. 13 დესეტინა ბაღ-ვენახში, ეს ყველასათვის ცხადია. საქართველოს სსრ-ის ცაკმა ამა წლის 16 იანვარს ინება ჩემი თხოვნის დაკმაყოფილება და შესაფერი განკარგულებაც გაუგზავნა გორის აღმასკომს, მაგრამ გადაწყვეტილება ადგილობრივ არ მოიყვანეს სისრულეში. როდესაც მივაკითხე სურამის აღმასკომს შვილების პირით საქმის სისრულეში მოყვანა, ხან დატუსაღებით დაემუქრნენ და ხან კიდევაც დაატუსაღეს. ჩემი ბაღ-ვენახის გარეშემო მეზობელ მეურნეობათა კოლექტივიზაცია არ მომხდარა და თუ მოხდება, ჩემი ბაღ-ვენახიც შეიტანონ შიგ და შეიყვანონ ჩემი შვილები, რომლეთაც არჩევნების ხმა აქვთ და რომელნიც მონაწილენი არიან სახლკარისა და ბაღვენახისა, თუმცა ჩემგან სრულიად ცალკე და დამოუკიდებლად ცხოვრობენ. გთხოვთ მოახდინოთ სასწრაფოდ განკარგულება, რათა სახლ-კარი ჩამბარდეს მე და ამის შესახებ მიბოძოთ ხელში სათანადო საბუთი ადგილობრივ ხელისუფლებათადამი

[18] საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი №3. ანაწერი №1. საქმე 758, გვ. 525.

წარსადგენად. უკვე ძალაშია გაზაფხული და და ჩემს ბაღ-ვენახს ვერც მე ვაკეთებ, ვერც სხვა. საქმე ცაკის მიერ უკვე გადაწყვეტილია და უნდა მხოლოდ სისრულეში მოყვანა. მოქალაქე კათოლიკოს-პატრიარქი ქრისიტეფორე, 1930 წლის 14 აპრილი.“ კათალიკოსის წერილს ახლავს მინაწერი: „ასეთივე შინაარსის განცხადება მირთმეული მაქვს ცაკის თავმჯდომარისადმი ა/წ. 6 მარტს, ხოლო ცაკის სამდივნოსადმი 14 მარტს. შეპირება იყო დადგენილების ასრულებისა, მაგრამ ადგილობრივ მაინც უარია. კათ.-პატ. ქრისტეფორე.“[19] კათალიკოს-პატრიარქის განცხადების საფუძველზე საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გორის ოლქის აღმასკომს წერილი გაუგზავნა. დოკუმენტს, რომელსაც გრიფი „საიდუმლო“ ახლავს, 1930 წლის აპრილით თარიღდება (რიცხვი არ აწერია). ცენტრალური ხელისუფლებიდან გორში გაგზავნილ წერილს ხელს აწერს. სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სამდივნოს გამგე ჟღენტი და საიდუმლო ნაწილის გამგე გოგიჩაიშვილი. წერილს დანართის სახით ახლავს კათალიკოს-პატრიარქის ზემოთ ნახსენები წერილი, რომლის ადრესატი იყო მ. ცხაკაია. გორის ოლქის აღმასკომისადმი გადაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ს.ს. ცაკ-ის პრეზიდიუმის სამდივნო გიგზავნის, რა ამასთანავე კათოლიკოზ ქრისტეფორეს განცხადებას მისთვის სახლის და მიწის ჩაუბარებლობის გამო ს.ს. ცაკ-ის თავმჯდომარეს დავალებით გთხოვთ საჩქაროთ წარმოადგინოთ ახსნა განმარტება მიზეზი ს.ს. ცაკ-ის დადგენილების და მომართვების შეუსრულებლობისა. დანართი: ერთ. ფურც. ს.ს. ცაკ-ის პრეზ. სამდივნოს გამგე ჟღენტი, საიდუმლო ნაწ. გამგე გოგიჩაიშვილი.[20] გორის რაიაღმასკომის კომიტეტის მდივანმა ლ. პარკაძემ ვინმე ს. ნასარიძეს დაავალა აღნიშნული საკითხის მოკვლევა. ამას მოწმობს ერთ-ერთი დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია: „ამზ. ს. ნასარიძეს პირადად მიდით ადგილზე და შეამოწმეთ არის თუ არა ცაკის დადგენილება სისრულეში მოყვანილი კატალიკოზ ციცქიშვილის ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ.“[21]

ს. ნასარიძემ ადგილზე შეისწავლა კათალიკოს-პატრიარქის ჩამორთმეული ქონების საკითხი და გორის ოლქის აღმასკომს ასეთი შინაარსის სამსა-

[19] საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი №3. ანაწერი №1. საქმე 758, გვ. 622-623.

[20] საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი №3. ანაწერი №1. საქმე 758, გვ. 621.

[21] საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი №3. ანაწერი №1. საქმე 758, გვ. 524.

ხურებრივი ბარათი გაუგზავნა: „თანახმად თქვენი განკარგულებისა ადგილობრივ შევამოწმე ცაკის მოწერილობის შესრულება კათალოკოზ ციცქიშვილი ქონების დაბრუნების შესახებ. რაიაღმასკომის განკარგულება სურამის სას. საბჭოს მიმართ ა. წ. აპრილის 2 და № 38/II სურამის სას. საბჭოს არ შეუსრულებია, რადგან საბჭოში განკარგულების მიღების შემდეგ არავინ გამოცხადებულა ქონების ჩასაბარებლად და ასეთი დაუყოვნებლივ ჩაბარდება ციცქიშვილს ან მისი რწმუნებულის გამოცხადებისთანავე. რაც შეეხება განცხადებაში აღნიშნულ კათალიკოზის ძმას კირილე ციცქიშვილის ქონების დაბრუნებას, გარემოება ასეთია: კირილე ციცქიშვილი გასახლებული იყო სოფლიდან მხოლოდ ამ ამჟად ნება დაურთველად დაბრუნდა და ჩასახლდა თავის სახლში. სას. საბჭოს არცა აქვს განზრახვა მისი შეივიწროებისა, მხოლოდ ქონება მას არ ჩამოურთმევია არაფერი და არცა ქონია არაფერი. ს. ნასარიძე, 17/IV/ 1930.[22]

ს. ნასარიძის სამსახურებრივ ბარათზე დაყრდნობით გორის ოლქის აღმასკომმა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს 1930 წლის 26 აპრილს წერილი გაუგზავნა. დოკუმენტში, რომელსაც გრიფი „საიდუმლო“ აქვს, ვკითხულობთ: „თქვენ მოწერილობაზე კათალიკოზ ქრისტეფორეს განცხადების ირგვლივ მისთვის ქონების დაბრუნების შესახებ ოლქაღმასკომი მოგახსენებთ, რომ თქვენი დადგენილების შესასრულებლად თავის დროზე გაცემულ იყო განკარგულება სტალინისის რაიაღმასკომის მიმართ, რომელმაც თავის მხრით გასცა განკარგულება სურამის სას. საბჭოს მიმართ ა. წ. 2 აპრილის თარიღით და 38/ს. №-ით. როგორც ადგილობრივ შემოწმებული რაიაღმასკომის განკარგულება სურამის სას. საბჭოს არ შეუსრულებია, რადგან განკარგულების მიღების შემდეგ კატალიკოზ ქრისტეფორეს ქონების ჩასაბარებლად არავინ გამოცხადებულა და ასეთი დაუყოვნებლივ გამოცხადებისთანავე ჩაბარდება კათალიკოსს ან მის რწმუნებულს. რაც შეეხება განცხადებაში აღნიშნულ კათალიკოზის ძმას კირილე ციცქიშვილის ქონების დაბრუნებას, გარემოება ასეთია კირილე ციცქიშვილი გასახლებული იყო მაგრამ ნება დაურთველად დაბრუნდა სოფელში და ჩასახლდა  თავის სახლში. სას. საბჭოს არც აქვს განზრახვა მისი შეივიწროებისა მხოლოდ ქონება მას არ ჩამორთმევია არაფერი და არც ქონია არაფერი." (წერილის ბოლო ნაწილი ს. ნასარიძის სამსახურებრივი ბარათიდან არის გადაწერილი)

[22] საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი №3. ანაწერი №1. საქმე 758, გვ. 523.

წერილს ხელს აწერენ გორის ოლქის აღმასკომის თავმჯდომარე ს. ცხოვრებაშვილი და ოლქის აღმასკომის მდივანი ლ. პარკაძე.[23]

დაიბრუნა თუ არა საბოლოოდ ჩამორთმეული ქონება კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ, უცნობია. საბჭოთა ხელისუფლებასთან ურთიერთობის დალაგების ბევრი მცდელობის მიუხედავად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ბოლშევიკური რეჟიმის სუსხი ვერ აიცილა. ქრისტეფორე ციცქიშვილს დიდხანს აღარ უცოცხლია, პატრიარქი 1932 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა.

[23] საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი №3. ანაწერი №1. საქმე 758, გვ. 521-522.

*Giorgi Sosiashvili*
Professor,
Gori State Teaching University, Georgia

# UNKNOWN PAGES OF THE LIFE OF CHRISTEPHORE TSITSKISHVILI – CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA (ACCORDING TO THE DOCUMENTS FROM THE GORI ARCHIVE)

Summary

After the establishment of the Bolshevik government in 1921 the Georgian society was in a rather difficult situation. Repressions hit the country, while the Georgian church found itself in an unbearable situation. The government attacked not only the Orthodox Church, but different religious minorities as well. On April 15, 1922 the Georgian Revolutionary Committee passed a decree №22, with 14th and 15th paragraphs saying: "Neither ecclesiastical nor religious community has the right to have the property. They do not have the right to be a legal entity; all the ecclesiastical and religious property in the Georgian Republic is announced to be public". As we see from the document, the Bolsheviks did not give the Georgian church any rights, and religious societies were deprived of gaining the legal status.

The robbing of churches turned into a hysterical campaign. The Bolsheviks created the so-called "Union of the Atheists" and declared a ruthless fight against the Orthodox religion and ecclesiastical figures. The district government and the revolutionary committees under its guidance discredited church workers and appropriated the church property. The Bolshevik government repressions hit not only the ecclesiastical people of low hierarchy, but also the authorities of the Georgian Orthodox Church. Catholicos-patriarch of all Georgia, Ambrosi (Khelaia) became a victim of the Bolshevik government terror as a result of which the tortured patriarch died on March 29, 1927. The patriarchal throne was occupied by Christephore III, whose enthronement was held in Svetitskhoveli on October 14, 1927. The candidacy of Christephore was acceptable to the government. Vladimer Dekanozov noted about this fact in his letter to the Central Committee of the Communist Party.

According to his information, there was a controversy between the supporters of patriarch Ambrosi and Christephore at the church council, where the patriarch should have been elected. It was to the advantage of Christephore. The supporters of Ambrosi left the council as a sign of protest. As Dekanozov noted, the new Patriarch Christephore sympathized the Bolsheviks and confronted the members of the Menshevik government.

Despite Christephore's loyal attitude towards the existing government, soon the Bolsheviks turned against him. It was proved by the violence committed against the patriarch's family. The leader of the Georgian Church was deprived of the house in Surami. In January, 1930, the patriarch asked the Georgian Central Executive Committee to return him the house and his land plot. He received a positive answer, though the local government, particularly the Surami Executive Committee did not return him his property. The documents in the Gori Archive give a clear picture about the government's attitude towards the patriarch. Christephore repeatedly asked the government to return him his property. At the request of catholicos-patriarch to return his house and land plot, he received a positive answer, though the local representatives of the Bolshevik government acted unofficially, according to the instructions of the Central Government, and neglected the patriarch's pleas. The patriarch of the Georgian Church passed away on January 10, 1932.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII**
**თბილისი. 2021**

***თენგიზ სიმაშვილი***
პროფესორი,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# გერმანული დესანტი კახეთში: ქართველები მეორე მსოფლიო ომში

2021 წელს 22 ივნისს, გერმანიის თავდასხმიდან საბჭოთა კავშირზე 80 წელი გავიდა. უამრავი ქართველი ჯარისკაცი შეიწირა მეორე მსოფლიო ომმა. ქართველები იბრძოდნენ, როგორც საბჭოთა კავშირის „წითელი არმიის", ასევე ფაშისტური გერმანიის „ვერმახტის" რიგებში.

დღემდე კამათის საგანია, თუ ვინ იყვნენ გერმანელების მხარეს მებრძოლი ქართველები – პატრიოტები თუ მოღალატეები? გამოსარკვევია, თუ რა მიზეზები აპირობებდა მათ ბრძოლას გერმანული „ვერმახტის" რიგებში? და სხვ. ასევე არ არის სიღრმისეულად შესწავლილი ქართველების თანამშრომლობა გერმანული არმიის დაზვერვის სამსახურის ქვედანაყოფებთან.

ქალაქ თელავის აღმოსავლეთით, „ნადიკვრის" სახელობის პარკის გვერდით მდებარეობს მცირე გორა, რომელსაც „გიგოს გორას" ეძახიან.[1] აქ, 1920-იან წლებში ხვრეტდნენ თელავის მაზრის მცხოვრებლებს – ძირითადად საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელ პირებს. 1924 წლის აგვისტოს შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით, სწორედ „გიგოს გორაზე" დახვრიტეს და აქვე ჩამარხეს უამრავი თელაველი.[2]

„გიგოს გორაზე" დახვრეტილ ბოლო მსხვერპლს კი, ქალაქ თელავთან არაფერი აკავშირებდა. თუმცა, თელავის მოსახლეობის მეხსიერებაში შე-

[1] რუსეთის იმპერიის პერიოდში ეს ადგილი თავად გიგო ვახვახიშვილს საკუთრება იყო. შესაბამისად, „გიგოს გორას" ამიტომ უწოდებდნენ.

[2] თელავში 1924 წლის რეპრესიების და „გიგოს გორაზე" დახვრეტების ისტორიით დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ ნახოთ ჩემი კვლევა: თ. სიმაშვილი. 1924 წლის სისხლიანი სექტემბერი თელავში. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XVI. თბ. 2020, გვ. 198-236.

მორჩა ზეპირი გადმოცემა, რომ იმ ადგილზე, სადაც 1920-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების ძალისმიერი ორგანოები ხვრეტდნენ თელაველებს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, 1942 თუ 1943 წელს, გერმანელების მიერ თვითმფრინავით გადმოსმული დესანტის ერთ-ერთი წევრი დახვრიტეს. როგორც დამახასიათებელია მსგავსი ზეპირი გადმოცემისთვის, თვითმხილველების და მათი შთამომავლების მონაყოლში ბევრი რამ ერთმანეთს ემთხვევა, გარკვეულწილად კი განსხვავებულია.[3]

ამ ამბის ერთ-ერთი თვითმხილველის მეხსიერებაში, რომელიც უშუალოდ შეესწრო „გიგოს გორაზე" ამ დახვრეტას, შემორჩა ინფორმაცია, რომ დახვრეტილი იყო „გერმანული დესანტის" წევრი გვარად „ჭირაქაძე".[4]

სხვა პირების მონათხრობით „ცივის მთაზე" ტყეში, საუბარია იმ მთის კალთაზე, რაზეც გაშენებულია ქალაქი თელავი, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანულმა თვითმფრინავმა, ორი პირი გადმოსვა. ერთ-ერთი იყო წოდებით პოლკოვნიკი, რომელმაც ტყიდან თავისი თანაშემწე გააგზავნა რადიოგადამცემის ანტენის საშოვნელად ქალაქ თელავში. ეს უკანასკნელი კი, ადგილობრივ – თელავის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში (შინსახკომი) გამოცხადდა, პოლკოვნიკი დააბეზღა და დააჭერინა. სხვა თელაველების სიტყვებით თელავში „გიგოს გორაზე" „გერმანული დესანტის" წევრის დახვრეტის შესახებ, ინფორმაცია წინასწარ გავრცელებულა. ზოგი ამბობს, გაზეთში დაიბეჭდაო, ზოგი კი, ქალაქში გამოაკრეს განცხადებებიო. ამასთან, ადასტურებენ, რომ „გიგოს გორაზე", დახვრეტის ადგილზე, ბევრი ადამიანი შეკრებილა.[5]

ამ ზეპირ გადმოცემებში, „გიგოს გორაზე" მეორე მსოფლიო ომის დროს „გერმანული დესანტის" წევრის დახვრეტის სცენაც თითქმის ერთნაირადაა აღწერილი. აღვნიშნავ, რომ ერთი მონათხრობით, რომელიც სტუდენტობის პერიოდში მე პირადად მომისმენია, ჩემი ლექტორის ვაჟა ხაჩიძისგან,

[3] 2013 წელს „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის" მკლევარმა, ირაკლი ხვადაგიანმა, ჩაიწერა ამ თემაზე თელაველების მონაყოლი ზეპირი ისტორიები, რასაც უშუალოდ ვესწრებოდი. „გიგოს გორა", https://vimeo.com/122046995?fbclid=IwAR11pdnI1tnQH35eB6JfIYKTz-jif8qnaHQprliJNp8HQJWxugj3rzW0UtU

[4] საუბარია ერთ-ერთ ინტერვიუერზე, ბატონ კაკო სესიკაშვილზე, რომელმაც ასევე მოყვა, რომ 1990-იან წლებში, მან და სხვა ასაკიანმა თელაველებმა, რომლებიც ჭირაქაძის დახვრეტის ადგილის მახლობლად მდებარე ფეხბურთის სტადიონზე დადიოდნენ სავარჯიშოდ, გაიხსენეს ეს ადამიანი და მის საფლავთან, მისი სულის მოსაგონრად დაკლეს ცხვარი, შემდეგ კი სუფრაც გაშალეს.

[5] „გიგოს გორა", https://vimeo.com/122046995?fbclid=IwAR11pdnI1tnQH35eB6JfIYKTz-jif8qnaHQprliJNp8HQJWxugj3rzW0UtU

დახვრეტის წინ, როდესაც წაიკითხეს განაჩენი და გაიცა ბრძანება, ,,სიკვდილი სამშობლოს მოღალატეს!“, დასახვრეტად გამზადებულ, თეთრი პერანგის ამარა მდგარ ხელებშეკრულ ჭირაქაძეს მოუსწრია და წამოუძახია -„მე საქართველო მიყვარს, მოღალატე არ ვარ, ისტორია გაარკვევს ვინ არის მოღალატე!“.

მეორე ზეპირი ისტორიის თანახმად, განაჩენის გამოცხადების შემდეგ, დასახვრეტად გამზადებულ პირს, ანუ ჭირაქაძეს წამოუძახია – „მაგას კიდევ ისტორია იტყვის ,მოღალატე მე ვარ, თუ თქვენ ხართ!“-ო.[6]

სწორედ ამ სიტყვების შემდეგ გაისმა შაშხანების ზალპი, რომელმაც ვერ გადაფარა საბჭოთა ხელისუფლების მცდელობა, ამ ადამიანის დახვრეტა თავისი იდეოლოგიური მიზნებისთვის გამოეყენებინა. მართალია, იგი ფიზიკურად მოსპეს, მაგრამ თელავის მოსახლეობამ მასში სულიერად განადგურებული, დამფრთხალი და შეშინებული მტერი ვერ დაინახა, რასაც ადასტურებს ზემომოყვანილი ზეპირი ისტორიების შინაარსი. მეტიც, დახვრეტილის მიერ წარმოთქმული ბოლო სიტყვები, თვითმხილველებმა და მათმა შთამომავლებმა ათეული წლების შემდეგაც კი შემოინახეს.

დახვრეტის შემდეგ მიცვალებულის სხეული, დახვრეტის ადგილზე, იქვე სახელდახელოდ გათხრილ სამარეში ჩააგდეს, მიწა წააყარეს და მცირე ბორცვი გაჩნდა „გიგოს გორის“ სამხრეთ ფერდობზე. მხოლოდ ზეპირ ისტორიად შემორჩა თელავს ეს ამბავი, რადგან სამარის ადგილზე არსებული ბორცვი 1960-იან წლებში გაქრა.[7]

სწორედ ეს მწირი, მაგრამ ერთდროულად ტრაგიკული და ისტორია იქცა ჩემთვის ამ პიროვნების შესახებ ინფორმაციის მოძიების დასაწყებად, რომელმაც გერმანული არმიის საზღვაო დაზვერვის ორგანოს, ე.წ. "Nachrichtenbeobachter"-ს საქართველოში საქმიანობის „კვალთან“ მიმიყვანა.[8]

---

[6] „გიგოს გორა“, https://vimeo.com/122046995?fbclid=IwAR11pdnl1tnQH35cB6JflYKTz-jif8q-naHQprliJNp8HQJWxugj3rzW0UtU

[7] „გივი ჩოხელის სახელობის“ ფეხბურთის სტადიონის მშენებლობამ და იქ დარგულმა ხეებმა საერთოდ შეცვალა იმ ადგილის შემოგარენი. თუმცა, საფლავის მდებარეობა ამ რამოდენიმე წლის წინ მაპოვნინა, ზემონახსენებ თელაველების მონათხრობის ჩანაწერის ერთ-ერთმა რესპონდენტმა ბატონმა არსენ ყველიაშვილმა.

[8] "Nakhrikhtenbeobachter" (შემოკლებით – NBO), საზღვაო დაზვერვის ორგანო, ჩამოყალიბდა 1941 წლის ბოლოს – 1942 წლის დასაწყისში ბერლინში. შემდეგ გაგზავნეს სიმფეროპოლში, განლაგებული იყო 1943 წლის ოქტომბრამდე ქუჩაზე „სევასტოპოლსკაია“ №6. ის იყო ვერმახტის უმაღლეს სარდლობას დაქვემდებარებული სამხედრო დაზვერვის და კონტრდაზვერვის ორგანოს (აბვერ) საზღვაო დაზვერვის განყოფილება. ოპერატიულად, საზღვაო დაზვერვის ეს ორგანო უშუალოდ ექვემდებარებოდა „აბვერ-საზღვარგარეთის“ სამმართველოს და მიმაგრებული იყო ადმირალ შუსტერის შტაბზე, რომელიც მეთაურობდა სამხრეთ-აღმოსავ-

სწორედ გერმანული არმიის საზღვაო დაზვერვის ორგანოს "Nachrichtenbeobachter"-ის სიმფეროპოლის სადაზვერვო ბანაკში მოამზადეს და 1942 წლის 17 სექტემბერს თვითმფრინავით „გადმოგზავნეს" ქართველების ერთი ჯგუფი საქართველოში, კახეთში.

დოკუმენტურად ეს ისტორია გამოვიკვლიე დიდი ხნის კვლევის, ძიების და ძებნის შემდგომ. ვიცოდით მხოლოდ თელავში დახვრეტილი ადამიანის გვარი – „ჭირაქაძე", მაგრამ 1942-1943 წლებში გამომავალ ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში, ვერავითარ ინფორმაციას ვერ მივაკვლიე. მხოლოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში აღმოჩნდა „შინსახკომის" საგამოძიებო, ახლა კი უკვე „საარქივო საქმე №42/1265".[9]

რომლის დამუშავების და ანალიზის შედეგად, ამ და სხვა საარქივო საქმეებში ჩვენი კვლევის ობიექტთან და პიროვნებებთან დაკავშირებული სხვადასხვა მასალები მოვიძიეთ. ზემოდასახელებული საარქივო საქმის მიხედვით, 1942 წლის 27 სექტემბერს, ღამის 1 საათზე, თელავის „შინსახკომში" გამოცხადდა ორი პირი – ფიცხელაური და ბაცაცაშვილი.[10]

---

ლეთის აუზში განლაგებულ გერმანიის საზღვაო ძალებს. ქვედანაყოფს 1943 წლის ბოლომდე მინიჭებული ჰქონდა საველე ფოსტის ნომერი 47585, რომელიც დასტურდება ჩვენი კვლევის მასალებითაც (იხ. დოკ. №1).. „აბვერ"-ის საზღვაო დაზვერვის ამ ქვედანაყოფს, 1942 წლის ივლისამდე მეთაურობდა იყო საზღვაო სამსახურის კაპიტანი ბოდე, ხოლო 1942 წლის ივლისიდან – კორვეტ-კაპიტანი რიკგპოფი. სხვა სახის სადაზვერვო საქმიანობასთან ერთად, ეს ქვედანაყოფი აგროვებდა სამხედრო ტყვეებიდან მოხალისეებს, რომლებიც გადიოდნენ სპეციალურ მომზადებას სიმფეროპოლში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ სკოლებში, პოლიგონებზე. შესაბამის სწავლა-გავლილ და მომზადებულ აგენტებს 3-4 კაციან ჯგუფებად აგზავნიდნენ წითელი არმიის ზურგში „სამუშაოდ". მათი გადასროლა ხორციელდებოდა თვითმფრინავების, სახმელეთო გზის, ან ზღვაზე კატერების მეშვეობით. როგორც წესი, გადასროლილ ჯგუფებში ერთ-ერთი იყო რადისტი, რომელსაც თან ჰქონდა პორტატული რადიოგადამცემი. აგენტებთან ურთიერთობას ამყარებდნენ ქერჩის, სიმფეროპოლისა და ანაპას რადიოსადგურების საშუალებით. კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ გერმანული არმიის საზღვაო დაზვერვის ორგანოს, ე.წ. "Nachrichtenbeobachter"-ს საქართველოში რამდენიმე ჯგუფი „გადაუგზავნია", თუმცა მათ შემადგენლობას და საქმიანობას აქ არ შევეხები. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ჩემს მიერ მოძიებული მასალები საკმაოდ საინტერესოა და საჭიროებს დამატებითი კვლევების ჩატარებას.

[9] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომები 1-5.

[10] სხვადასხვა მიზეზების გამო კვლევაში ამ საქმის უშუალო ფიგურანტების მხოლოდ გვარს ვწერ. მათ შორის, იმიტომ რომ, ჩემი აზრით, არავინ იცის იმ დროს და იმ სიტუაციაში, ვინ როგორ მოიქცეოდა, რადგან ეს იყო ძალიან რთული და სასტიკი ეპოქა; და მეორე, ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული პერიოდის შესწავლა-გადაფასების პროცესი და შესაძლებელია კვლევაში მოხსენიებული პირების შთამომავლები არ არიან თანახმა შეცვალონ წარმოდგენა თავისი წინაპრების საქმიანობაზე. ამიტომ, ვისაც შედარებით სრული ინფორმაციის მიღება სურთ კვლევაში ნახსენებ ადამიანებზე, შეუძლიათ მიმართონ შესაბამის საარქივო დაწესებულებას.

ე.წ. „დაკავების აქტში“ ნათქვამია, „გამოცხადებულებმა განაცხადეს, რომ ისინი 1942 წლის 17 სექტემბერს გერმანულმა თვითმფრინავმა გადმოსხა პარაშუტით საჯაშუშო-დივერსიული საქმიანობის საწარმოებლად. მათთან ერთად გადმოსხდნენ გერმანიის არმიის მაიორი „ემიგრანტი ჭირაქაძე“ და ორი ყოფილი სამხედრო ტყვე, ებანოიძე და დურგლიშვილი, რომლებიც იმყოფებიან გომბორის უღელტეხილზე მდებარე ტყეში“.[11]

ამ დოკუმენტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერენ თელავის „შინსახკომის“ უფროსი, თელავის „გამანადგურებელი ბატალიონის“ შტაბის უფროსი და „გამანადგურებელი ბატალიონის“ კომისარი,[12] დასახელებულ პირებს მათთვის განუცხადებიათ, „მათ და კიდევ ორმა ყოფილმა ტყვემ, ჯერ კიდევ საქართველოში გამოფრენამდე მოილაპარაკეს მისვლა „შინსახკომში“, ახლა კი გამოცხადნენ, რათა ხელი შეეწყოთ მათთან ერთად მყოფი ემიგრანტის ჭირაქაძის დაკავებაში“.[13]

ადგილობრივი „შინსახკომის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, 1942 წლის 27 სექტემბრის დილით ფიცხელაური და ბაცაცაშვილი, თელავის „შინსახკომის“ და „გამანადგურებელი ბატალიონის“ წევრებთან ერთად უკან გაბრუნდნენ გომბორის მთებში. დასახელებული პირები სოფელ აშროშანთან ტყეში მდებარე ქოხში შევიდნენ და დღის 12 საათზე გაისმა სროლის ხმა. ეს იყო ნიშანი და როდესაც საბჭოთა ხელისუფლების ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენლები ადგილზე მივიდნენ, მათ დაინახეს ძირს დაგდებული ხელებშეკრული პირი. იგი, როგორც შემდგომ გამოარკვიეს აღმოჩნდა ჭირაქაძე. ის გაკავებული ჰყავდა ფიცხელაურს. ბაცაცაშვილი და კიდევ ორი სხვა ადამიანი იქვე ისხდნენ და მათ ელოდნენ.[14]

ხელებშეკრული პირი „ემიგრანტი ჭირაქაძე“, მისი ჯგუფის წევრებთან ერთად დააპატიმრეს. ხუთივე თელავში წაიყვანეს და მოათავსეს „შინსახკომის“ შენობაში არსებულ საკნებში.

---

[11] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 8.

[12] გამანადგურებელი ბატალიონები იყო, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შექმნილი საბჭოთა მოქალაქეების გასამხედროებული მოხალისე ფორმირებები. ძირითადად კომპლექტდებოდა პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირის აქტივისტებისაგან, რომლებიც შეიარაღებულ ძალებში გაწვევას არ ექვემდებარებოდნენ. ბატალიონის წევრებს ჰქონდათ იარაღის ტარების უფლება. ევალებოდათ წითელი არმიის ზურგში დივერსანტებთან, ჯაშუშებთან, დეზერტირებთან, ბანდიტებთან, სპეკულანტებთან ბრძოლა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. გამანადგურებელი ბატალიონების უფროსებად ინიშნებოდნენ სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულების, ძირითადად „შინსახკომის“ ხელმძღვანელები. ისინი ექვემდებარებოდნენ შესაბამისი რესპუბლიკის „შინსახკომის“ სპეციალურ შტაბებს.)

[13] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 8.

[14] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 9.

დაკავებული პირები იმავე დღეს, 27 სექტემბერს დაუკითხიათ. მათი პირველი დაკითხვის ოქმები, სწორედ ამ დღითაა დათარიღებული. საქმეში ასევე დაცულია დროის სხვა პერიოდით დათარიღებული დაკითხვის ოქმები, მათი ჩხრეკის ამსახველი დოკუმენტაცია. დაკავებულებისათვის ჩამოურთმევიათ ფურცლზე დაწერილი რადიო-კოდი, რუსულ და გერმანულ ენაზე შევსებული დოკუმენტები (იხ. დოკ. №1). მათ შორის – წითელარმიელების წიგნაკები მათი გვარებით, ფოტოსურათები წარწერებით. ასევე ჩამოურთმევიათ იარაღი – ავტომატი, პისტოლეტები, გერმანული რადიომიმღები და სხვა ნივთები.[15]

დაკავებული პირებიდან, ოთხნი ყოფილი ტყვე – ებანოიძე, ფიცხელაური, დურგლიშვილი და ბაცაცაშვილი – იყვნენ. სწორედ მათი და, ასევე, ჭირაქაძის ჩვენებების მიხედვით ირკვევა, რომ ისინი 1942 წლის 17 სექტემბერის საღამოს, გერმანული თვითმფრინავით ქალაქ ევპატორიასთან მდებარე ე.წ. „საკის“ აეროდრომიდან გამოფრინდნენ. გადმოსხმა საქართველოში სოფელ მელაანიის მახლობლად უნდა მომხდარიყო, თუმცა, იმის გამო, რომ გერმანულ თვითმფრინავს თბილისთან საბჭოთა საზენიტო არტილერიამ სროლა აუტეხა, პილოტმა გეზი დაკარგა და ისინი, ღამის 10 საათზე, იმ დროს თელავის რაიონის შემადგენლობაში შემავალი გომბორის უღელტეხილის ტერიტორიაზე მდებარე აშროშანის ტყეში გადმოსხდნენ პარაშუტებით.[16]

„გერმანული დესანტის“ ამ ხუთ კაციანი ჯგუფის წევრიდან, ოთხი ყოფილი საბჭოთა წითელარმიელის ბიოგრაფია ერთმანეთს ძალიან ჰგავს. ამ პირების დაკავების დღით, 1942 წლის 27 სექტემბრით, დათარიღებული ერთ-ერთი პირველივე დაკითხვის ოქმი „ეკუთვნის“ დასახელებული ჯგუფის წევრ ებანოიძეს.[17]

ამ და სხვა დოკუმენტების ანალიზიდან აშკარად ჩანს, რომ იგი დაკავებულებს შორის ყველაზე „აქტიური“ და ა.ვ. „პროსაბჭოთად განწყობილი“ პირი იყო. მეტიც, შეიძლება ითქვას ებანოიძე „ხალისით“ თანამშრომლობდა გამოძიებასთან. საარქივო საქმეში გამომძიებლის მიერ ჩატარებული დაკითხვის ოქმების გარდა, მისი საკუთარი ინიციტივით დაწერილი ჩვენება-ავტობიოგრაფიის მსგავსი დოკუმენტის რამოდენიმე ათეული ფურცელია დაცული.[18]

[15] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 20.
[16] აშროშანის ტყე, ეს ის ადგილია, რომელსაც კახეთში, შორეულ 1920-იან წლებში, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი „შეფიცულები“ აფარებდნენ თავს.
[17] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 20-41.
[18] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 71-111.

მასალებში ებანოიძის ბიოგრაფია საკმაოდ კარგადაა ასახული. მას დაუმთავრებია ერთ-ერთი პროვინციული პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც უსწავლია ისტორიის ფაკულტეტზე და ფაკულტეტის კომკავშირის მდივანი ყოფილა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გაუგზავნიათ, რაიონში მდებარე სოფლის საშუალო სკოლის დირექტორად. მისი სიტყვებით, „1927 წლიდან იყო კომკავშირელი, 1941 წლის იანვარში გახდა კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი, დღემდე პარტიის წევრია“.[19]

1941 წელს ებანოიძე გადაუყვანიათ რაიონული გაზეთის რედაქტორად, საიდანაც ჯარში მალევე 1941 წლის სექტემბერში გაიწვიეს. მისი ნაწილი თავდაპირველად განლაგებული იყო ქალაქ წულუკიძეში,[20] სადაც პოლკის კომისარმა და პოლკის მეთაურმა გამოიძახეს და რადისტის საქმიანობის შესასწავლად გააგზავნეს როგორც კეთილსაიმედო პიროვნება.[21]

ებანოიძე მისი ინიციატივით დაწერილ, ასე ვთქვათ „ჩვენება-ავტობიოგრაფიაში“ წერს შემდეგს, „1940 წლიდან რაიონში ვმუშაობდი „შინსახკომის“ ორგანოში „სარკის“ სახელით. ასევე, ჯარში გაწვევის შემდეგ დივიზიაში „ზერკალას“ სახელწოდებით. ჩემს მიერ დადებული ხელწერილები და ჩატარებული მუშაობა შეგიძლიათ შეამოწმოთ დასახელებულ ადგილებზე“ (იხ. დოკ. №2).[22] ანუ, ებანოიძე ტიპური „შინსახკომის“ აგენტი იყო, სამოქალაქო ცხოვრებაში აგენტურული მეტსახელით – „სარკე“, ხოლო ჯარში გაწვევისას კი, „სარკის“ რუსული სახელით, „ზერკალა“-თი ცნობილი. ბუნებრივია, რომ გარდა პარტიულობისა, სწორედ ამის გამოც „ენდობოდნენ“ მას პოლკის კომისარი და პოლკის მეთაური. საბჭოთა ჯარის ნაწილებში, იმ დროს არც თუ ხშირი რადიო-გადამცემის ოპერატორის მოვალეობის დაკისრება, კომკავშირელის, თუ ბოლშევიკური პარტიის წევრისთვის მიღებული პრაქტიკა იყო. მეტიც, ებანოიძის სიტყვებით, იგი ასევე ყოფილა შესაბამისი პოლკის ე.წ. „პოლიტხელის“, ანუ „პოლიტიკური ხელმძღვანელის“ თანაშემწე.[23]

ებანოიძე თავის სამხედრო ნაწილთან ერთად, სადაც იგი ერთდრო-

[19] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 72, 74.
[20] ქალაქი ხონი.
[21] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 72.
[22] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 73.
[23] პოლიტიკური ხელმძღვანელი, შემოკლებით „პოლიტხელი“ სსრკ-ის შეიარაღებული ძალების სამხედრო-პოლიტიკური თანამდებობა. იგი უფლებამოსილი იყო განეხორციელებინა პოლიტიკური კონტროლი ქვედანაყოფების მეთაურების მოქმედებებზე, ეწეოდა „პოლიტიკურ განათლებას“ და „აკვირდებოდა“ შესაბამისი ქვედანაყოფების შემადგენლობის მორალურ „მხარეს“. ფაქტობრივად ანხორციელებდა „პოლიტიკურ“ კონტროლს ჯარისკაცებზე და ოფიცრებზე.

ულად ასრულებდა რადისტის და ამავე დროს, „პოლიტზელის“ თანაშემწის მოვალეობას საქართველოდან 1941 წლის დეკემბერში „გადაისროლეს“ ქალაქ სევასტოპოლში. ებანოიძეს სხვა ჯარისკაცებივით უშუალოდ ბრძოლასთან შეხება არ ჰქონია. იგი წინა ხაზზე არ იყოფებოდა. თუმცა, 1942 წლის მაისში გერმანელების და რუმინელების საარმიო ნაწილების შეტევის დაწყების შედეგად, უკვე 1942 წლის 3 ივლისს, ის თავის სამხედრო ნაწილთან ერთად, ზღვის სანაპიროზე ალყაში მოექცა და ტყვედ ჩავარდა. თავდაპირველად ქალაქ ბახჩისარაის ტყვეთა ბანაკში მოხვდა. შემდეგ კი, სიმფეროპოლში არსებულ ტყვეთა ბანაკში გადაიყვანეს, სადაც ცუდი პირობები ყოფილა – ტყვეები შიმშილობდნენ და გავრცელებულა დიზინტერია. ებანოიძის სიტყვებით, იგი შიმშილისგან ისე დასუსტებულა, რომ ფეხზე ვერ დგებდა. ამ დროს, „მისულა მისი პოლკის ექიმი და უთქვამს – შენ მაინც კვდები, ბანაკში გავრცელებულია დაავადებები და დეზინტერია, აქ ქართველი ემიგრანტია, ეძებს ქართველ რადისტს, წაყევი და შემდეგ შენს მოხერხებაზეა დამოკიდებული ყველაფერი“-ო.[24]

მართლაც, ამ ბანაკში ებანოიძის სიტყვებით, „ხშირად მიდოდა ჩინით მაიორი ქართველი ოფიცერი, რომელიც ეძებდა რადისტს“.[25]

სწორედ ამ ადამიანს, „ემიგრანტ ჭირაქაძეს“ შეხვედრია ებანოიძე და „დათანხმებულა ემუშავა გერმანიის სასარგებლოდ და საქართველოში ყოფილიყო გადმოსროლილი“.[26] ებანოიძის სიტყვებით მისი „გადაბირების“ პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა. ჭირაქაძე მას გასაუბრებია და უკითხავს, „პარტიული ხომ არ ყოფილხარ? მეც ვუთხარი – არა“. სხვა კითხვები არ დაუსვამს“.[27]

როგორც ჩანს, ჭირაქაძემ ან არ იცოდა, ანდა არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ „წითელ არმიაში“ რადისტები, თითქმის ყოველთვის ბოლშევიკური პარტიის „სანდო“ ადამიანები – კომკავშირლები ან ბოლშევიკური პარტიის წევრები, უშიშროების ორგანოებთან დაკავშირებული პირები იყვნენ.

ამ მცირე „გამოკითხვის“ შემდეგ, 1942 წლის 3 აგვისტოს ებანოძე, რომელიც, მისივე სიტყვებით, საკმაოდ დაუძლურებულ მდგომარეობაში იყო, ჭირაქაძემ წაიყვანა და სიმფეროპოლში მდებარე „საზღვაო დაზვერვის“ ორ-

[24] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 75.
[25] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 28.
[26] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 28.
[27] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 76.

განოს, სადაზვერვო სკოლის კუთვნილ საცხოვრებელ ფართში მიიყვანა. რამოდენიმე დღიანი დასვენების და კარგი კვების შემდგე, ებანოიძისთვის რადიოგადამცემის მოხმარებაში მცირე გამოცდა ჩაუტარებიათ და რადისტის მოვალეობის შესასრულებლად უცვნიათ ვარგისად.[28]

საინტერესოა, რომ მისი ჯგუფის სხვა წევრებისგან განსხვავებით, დაზვერვის ოფიცერს ებანოიძისთვის გერმანელებთან თანამშრომლობაზე ხელწერილის ჩამორთმევის გარდა, მისთვის მიუცია მეტსახელი „ვიქტორ“-ი. შეუვსია ანკეტა და მისი სიტყვებით, „ასე გახდა გერმანიის დაზვერვის აგენტი“.[29]

ამის შემდეგ, ებანოიძე გაუგზავნიათ ქალაქ სიმფეროპოლში სპეციალურ სკოლაში, სადაც გერმანიის დაზვერვა ამზადებდა რადისტებს სსრკ-ში, წითელი არმიის ზურგში „გადასასროლად“. მასთან ერთად რადისტების ამ სკოლაში ოცდაერთ ადამიანს უსწავლია. ისინი სწავლობდნენ შესაბამის შიფრს და მორზეს ანბანს. ებანოიძეს უსწავლია ოცი დღე და სწავლის დამთავრების შემდეგ, მისი ჯგუფის წევრებთან ერთად საქართველოში „გადასასროლად“ გაუგზავნიათ ქალაქ ევპატორიაში, სადაც მდებარეობდა „საკის“ აეროდრომი.[30]

გომბორის უღელტეხილზე, სოფელ აშროშანის მიდამოებში გადმოსხმული გერმანული დესანტის სხვა წევრი, ომამდე მწყემსად მომუშავე ფიცხელაური, 1941 წლის სექტემბერში ქალაქ ორჯონიკიძედან (ვლადიკავკაზი) გაუწვევიათ ჯარში. იგი ყოფილა „წითელი არმიის“ რიგითი. 1942 წლის 30 ივნისს, ქალაქ სევატოპოლის მახლობლად, საჰაერო თავდასხმისას მხარში დაჭრილი ფიცხელაური ტყვედ ჩავარდა. თავდაპირველად მოხვდა ქალაქ ბახჩისარაის ტყვეთა ბანაკში, საიდანაც მალევე გადაიყვანეს სიმფეროპოლის ტყვეთა ბანაკში.[31]

1942 წლის 1 აგვისტოს, აქ მას გამოლაპარაკებია ემიგრანტი ლეო ბალარჯიშვილი, რომელსაც გაუგია, რომ ფიცხელაური საუბრობდა რამდენიმე ენაზე – ქართული, რუსული, ოსური და ინგუშური. ბალარჯიშვილს უთქვამს, რომ მზადდებოდა საქართველოში გასაგზავნად ჯგუფი, რომლისთვისაც უნდა ეხელმძღვანელა „ემიგრანტ ჭირაქაძეს“. შესაბამისად, ფიცხელაური, როგორც ამ ენების მცოდნე, აღნიშნული საქმისთვის გამოსადეგი იყო. ფიც-

[28] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 75.
[29] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 29.
[30] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 28-29.
[31] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 130.

ხელაურს თანხმობა მიუცია თანამშრომლობაზე და დურგლიშვილთან ერთად გაანთავისუფლეს და მიიყვანეს ქალაქ სიმფეროპოლში იმ შენობაში, სადაც სადაზვერვო სკოლა იყო განლაგებული.[32]

ათი დღის შემდეგ, „საზღვაო დაზვერვის“ ორგანოს ერთ-ერთ ოფიცერს მისთვის და დურგლიშვილისთვის ჩამოურთმევია ხელწერილი თანამშრომლობაზე. გადაცია შესაბამისი დოკუმენტები გერმანულ ენაზე, მათი ფოტოსურათებით, სადაც ეწერა, რომ ამ ადამიანებს უფლება ჰქონდათ ეტარებინათ იარაღი და ნებისმიერ დროს გასულიყვნენ ქალაქში.[33]

ჯგუფის მესამე წევრი დურგლიშვილი, თბილისის მცხოვრები, კომკავშირის წევრი და პროფესიით ექიმი იყო.[34] იგი ჯარში 1941 წლის 26 აგვისტოს გაუწვევიათ. ყოფილა სამედიცინო-სანიტარული ბატალიონის ქირურგის თანაშემწე. 1941 წლის 10 ნოემბერს, მისი ნაწილი „გადაუსროლიათ“ სოხუმში და იმავე წლის 25 დეკემბერს, გემით ჩასულან ქალაქ სევასტოპოლში. აქ დურგლიშვილი დაუნიშნიათ ე.წ. „პირველი ჰოსპიტალის“ ქირურგის თანაშემწედ. 1942 წლის 30 ივნისს, ზღვის პირას ალყაშემორტყმული მისი სამხედრო ნაწილი გერმანელებს ტყვედ აუყვანიათ. დურგლიშვილი სიმფეროპოლის ტყვეთა ბანაკში მოხვედრილა.[35]

დურგლიშვილი თავის ჩვენებაში წერს, რომ – „ტყვეთა ბანაკში მათთან ხშირად მიდიოდნენ ემიგრანტები გოგი(გიორგი) ჭირაქაძე და ლეო ბალარჯიშვილი. ჭირაქაძეს მისთვის უთქვამს, „შენ ჩემო ძმაო, წამოხვალ თუ არა ჩემთან?“, რაზეც დურგლიშვილს მაშინვე თანხმობა მიუცია, რადგან ბანაკში გავრცელებული იყო დეზინტერია და სხვა დაავადებები“.[36]

მისი ჩვენებით, 1942 წლის 1 აგვისტოს ისინი გადაუყვანიათ სიმფეროპოლში,საზღვაო დაზვერვის შენიბაში, სადაც 3 აგვისტოს ასევე მიუყვანით ებანოიძე.[37]

თავის ჩვენებაში დურგლიშვილი ალნიშნავს, რომ „ჭირაქაძესთან და ფიცხელაურთან ერთად გადიოდა სადაზვერვო-დივერსიული საქმიანობის წარმოებისთვის სპეციალურ მომზადებას, ებანოიძე კი სწავლობდა რადიო-საქმეს“.[38]

---

[32] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 197.
[33] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 5, გვ. 148-155.
[34] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 252.
[35] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 268.
[36] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 268.
[37] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 269.
[38] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 269.

1942 წლის 20 აგვისტოს, ჭირაქაძეს თავისი „სადესანტო ჯგუფის" მეხუთე წევრად მიუყვანია ბაცაცაშვილი. მასალების მიხედვით, წითელარმიელი ბაცაცაშვილი, 1941 წლის 4 აგვისტოს გაიწვიეს ჯარში. იგი თბილისიდან ირანის ქალაქ პრიშტში გაგზავნეს წითელი არმიის სამხედრო ნაწილებთან ერთად. 1941 წლის დეკემბერში კი, უკან გამოიწვიეს და „გადაისროლეს" ქერჩში, სადაც 15 მაისს, ბაცაცაშვილი ტყვედ ჩავარდა. მისი სიტყვებით, იგი ჯერ ქალაქ სიმფეროპოლთან ახლოს მდებარე ტყვეთა ბანაკში მოხვდა, ხოლო 1942 წლის 20 აგვისტოს ქალაქ ევპატორიაში გადაიყვანეს.[39]

თავის ჩვენებაში ბაცაცაშვილი არ საუბრობდა ევპატორიაში მისი „გადაყვანის" გარემოებებზე. იგი მხოლოდ ერთგან ამბობს, რომ „პირადად მე მაქვს წითელარმიელის წიგნაკი ვიღაც ემიგრანტის ძმის, წაწალაშვილი შალიკოს სახელით".[40]

საქმე იმაშია, რომ 1942 წლის 20 აგვისტოს, ბაცაცაშვილი, როგორც თავისი მეგობრის ძმა, სიმფეროპოლის ტყვეთა ბანაკიდან გამოიყვანა და ევპატორიაში წაიყვანა ჭირაქაძემ. ბაცაცაშვილმა ჭირაქაძეს, თავისი თავი ემიგრანტ ნიკო (ნიკოლოზ) წაწალაშვილის ძმად „შეასაღა", რათა ტყვეთა ბანაკიდან გამოსულიყო. აღსანიშნავია, რომ მას თან ჰქონდა გერმანული დაზვერვისგან მიცემული წითელარმიელის ყალბი წიგნაკი სხვა გვარზე – წაწალაშვილზე.

ჯგუფის სხვა წევრებს სადაზვერვო-დივერსიული მომზადება უკვე გავლილი ჰქონდათ და საქართველოში „გადასასროლად" მზად იყვნენ. ბაცაცაშვილს კი, რადგანაც გვიან შეუერთდა მათ, შესაბამისი წრთვნა არ გაუვლია.[41]

ამ ინფორმაციებს „აზუსტებს" ებანოიძე თავის ჩვენებებში. იგი ბაცაცაშვილზე საუბარს ასე იწყებს, „რაც შეეხება ბაცაცაშვილს ფსევდონიმით „წაწალაშვილი", იგი ჩვენთან 20 დღის დაგვიანებით მოიყვანა ემიგრანტმა ჭირაქაძემ".[42]

მისი სიტყვებით, „ემიგრანტი წაწალაშვილი იმ ხანებში ადრე გადაფრენილა ბათუმში თავისი ჯგუფით. ჭირაქაძესთვის უთქვამს ჩემი ძმა „პლენია". ბაცაცაშვილს გაუგია და დაუხსომებია წაწალაშვილის სახელი და გვა-

[39] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 384.
[40] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 385.
[41] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 286.
[42] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 77.

რი. თავისი თავი წაწალაშვილად გაუსაღებია".[43] ნიკო(ნიკოლოზ) წაწალაშვილის ჯგუფი ბათუმში არ გაფრენილა, ისინი დასავლეთ საქართველოში სხვა ადგილზე ჩამოსხეს, სადაც რამოდენიმე თვის შემდეგ დააპატიმრეს და დახვრიტეს. მასალები საინტერესოა, თუმცა მას სხვა კვლევაში შევეხები.

წაწალაშვილ-ბაცაცაშვილის მისვლიდან რამდენიმე დღეში, ჭირაქაძის ჯგუფს მიუღია სადესანტო საჭურველი და სევასტოპოლში გამგზავრებულან, სადაც ებანოიძის სიტყვებით „მას ბაცაცაშვილი გამოსტყდომია, რომ იყო არა წაწალაშვილი, არამედ ბაცაცაშვილი".[44]

თვითონ ჭირაქაძეს კი, მხოლოდ მაშინ გაუგია მის მიერ წაწალაშვილად მიჩნეული პირის ვინაობა, როდესაც იგი გაკოჭეს და მისთვის შეუძახია, „შენც წაწალაშვილოო", რაზეც ამ უკანასკნელს უპასუხია, „წაწალაშვილი კი არა ბაცაცაშვილი ვარო" და ფეხი წაურტყავს.[45]

ამრიგად, ჭირაქაძემ თავისი მეგობრის ძმა კი არა, სულ სხვა პიროვნება გადაარჩინა გერმანელების ტყვეთა ბანაკში გარდუვალ სიკვდილს და საქართველოშიც ჩამოიყვანა.

სანამ ჭირაქაძეზე დავიწყებდეთ საუბარს, მინდა აღვნიშნო, რომ როდესაც კითხულობ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ მასალებში, საქართველოში გერმანული არმიის სხვადასხვა ორგანოს მიერ თვითმფრინავებით გადმოსხმული დესანტის წევრების ჩვენებებს, შეინიშნება მათი ტყვეთა ბანაკებიდან გამომყვანი და ფაქტობრივად სიცოცხლის შემნარჩუნებელი ემიგრანტების ასე ვთქვათ „საერთო" მოტივაცია. დაპატიმრებული პირების ჩვენებებიდან აშკარად გამოსჭვივის, რომ ქართველ ემიგრანტებს, ვინც ტყვეთა ბანაკებში შედიოდნენ და ქართველი ეროვნების ტყვეებს ესაუბრებოდნენ სჯეროდათ, რომ ისინი ბოლშევიკებისგან საქართველოს გასანთავისუფლებლად იბრძოდნენ.

მსგავსი ინფორმაციებია დაცული ჭირაქაძის ჯგუფის წევრების ჩვენებებში. მაგალითად, ებანოიძის ერთგან წერს, „ჭირაქაძე ამბობდა, რომ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ შეიქმნება „დამოუკიდებელი საქართველოს" მთავრობა ემიგრანტებისგან"-ო.[46]

ერთ-ერთ ჩვენებაში კი ამბობს, „ემიგრანტმა ჭირაქაძემ" მითხრა, წამოხვალ თუ არა ჩემთან ერთად საქართველოში საქართველოს განთავისუფ-

[43] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 79.
[44] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 80.
[45] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 81.
[46] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 69.

ლებისთვის მუშაობის საწარმოებლად“-ო.[47]

ჯგუფის სხვა წევრი ფიცხელაური უჩვენებდა, რომ მას ემიგრანტმა ლეო ბალარჯიშვილმა უთხრა „იგი, როგორც ენების მცოდნე გამოსადეგი იყო საქართველოს განთავისუფლებისთვის ბრძოლაში ბოლშევიკებისგან და საბჭოთა ხელისუფლებისგან, რომ საქართველო იქნებოდა დამოუკიდებელი“.[48]

აღსანიშნავია, რომ ფიცხელაურის სიტყვებით, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გიორგი ჭირაქაძე, მათი ჩამოსხდომის ადგილზე მდებარე სოფლების მცხოვრებლებს ესაუბრებოდა და ეუბნებოდა, რომ - „საქართველო დამოუკიდებელი იქნებოდა“.[49]

ამ კუთხით, ასევე საინტერესოა დურგლიშვილის ჩვენება. მისი სიტყვებით „ჭირაქაძე ტყეთა ბანაკში ყოფნისას ხშირად მიდიოდა ტყეებთან და ამბობდა – ჩვენი მიზანი არის და ასეც უნდა გავაკეთოთ, რომ ამ ბრძოლებში ქართველი ხალხი არ დაიხოცოს. ხელი უნდა შევუწყოთ ქართველი ხალხის აჯანყებას ადგილობრივი საბჭოების წინააღმდეგ“. დურგლიშვილი ასევე უჩვენებდა – „ქართველი ემიგრანტები მოითხოვდნენ ჩვენგან დახმარების გაწევას, რათა საქართველოში საბჭოების დამხობის შემდეგ გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა“.[50]

მასალების მიხედვით, თელავის რაიონის გომბორის უღელტეხილის ტერიტორიაზე მდებარე აშროშანის ტყეში ჩამოსხმული გერმანული დესანტის ხელმძღვანელის გიორგი სამსონის ძე ჭირაქაძე, 1909 წელს თბილისში დაბადებულა. იგი იზიარებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) იდეოლოგიას. რამოდენიმე წელი მუშაობდა ინკასატორად შორაპანის რკინიგზაზე. ჭირაქაძეს მისი ჩვენების მიხედვით, 1930 წლის 2 სექტემბერს, ფული წაუღია ხაშურში, მაგრამ მგზავრობისას დაუკარგავს 20000 მანეთი. თანხა ვერ უპოვია და უკან, შორაპანში გაბრუნებულა, სადაც შეხვედრია მეზობლებს, ტარიელ ჟღენტს და ვალერიან ღლონტს.[51]

საუბრისას გაურკვევია, რომ ისინი აჭარის ტერიტორიიდან საზღვარგარეთ აპირებდნენ ემიგრირებას. მათთან ერთად წასულა და საზღვარზე რა-

[47] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 75.
[48] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 197.
[49] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 87.
[50] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 268.
[51] დამატებითი მასალები მათზე არ მომიძიებია. ამ სახელების და გვარების მქონე პირების საფლავები არის ლეჟილის ე.წ. „ქართველების სასაფლაოზე“.

მოდენიმე დღიანი ლოდინის შემდეგ, სამივე თურქეთში გადასულან.[52]

თურქეთში იგი შეხვედრილა საქართველოდან მასავით არალეგალურად გადასულ პირებს. მათ შორის, იმ ადამიანებს ვინც საფრანგეთში დევნილობაში მყოფი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელმძღვანელების მიერ გარკვეული დავალებით იყვნენ გაგზავნილი საქართველოში და უკან გაბრუნდნენ.[53]

ჭირაქაძე და მისი თანმხლები პირები, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლების დახმარებით თურქეთიდან გადასულან საფრანგეთში. გიორგი ჭირაქაძეს თავდაპირველად ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში უმუშავია მიწის სამუშაოებზე, შემდეგ მიუღია საფრანგეთში ცხოვრების უფლება და გადასულა პარიზში.[54]

სწავლა დაუწყია ინსტიტუტში, რომელიც ვერ დაუმთავრებია. სამაგიეროდ, პარიზში შეისწავლა ავტო-საქმე და 1936 წლამდე უმუშავია მძღოლად საზღვარგარეთ მცხოვრებ ერთ-ერთ ქართველთან. აქვე, ამავე პერიოდში გაუვლია რუსი თეთრგვარდიელების „რუსული სამხედრო კავშირის“ სამხედრო ოფიცრის კურსები და მიუღია ფეხოსანი ჯარის ლეიტენანტის წოდება. უმუშავია ასევე „რენოს“ ავტომობილების ქარხანაში სხვა ქართველებთან ერთად: სევერიან ჭირაქაძე, გიგო ჟორდანია, შოთა ბერეჟიანი, მიხეილ ბახტაძე, კოლია თაყაიშვილი, სერგო მათიკაშვილი და სხვები.[55]

1936 წლის ოქტომბერში ჭირაქაძე საფრანგეთის ჯარში გაუწვევიათ, მოხვედრილა საარტილერიო პოლკში, შემდეგ შეეხო დემობილიზაცია. იგი ჯარში, 1939 წელს კვლავ გაიწვიეს, ოღონდ უკვე სატანკო ნაწილში მოხვდა, სადაც მისი სიტყვებით „მსახურობდა გერმანიის და საფრანგეთის დაზავებამდე“.[56]

ამის შემდეგ აღმოჩნდა მუშათა ბანაკში, სავარაუდოდ ეს იყო ფრანგი ჯარისკაცებისგან შემდგარი მუშათა ბატალიონი. აქ, 1941 წლის 10 მარტს მისულა მიხეილ კედია, რომელსაც გერმანიაში გასაგზავნად შეუგროვებია მუშები. მას ჭირაქაძესთან ერთად სანდრო დემეტრაშვილი და სევერიან ურუშაძე შურჩევია. ისინი გაუგზავნია გერმანიაში, სადაც ჭირაქაძეს ქალაქ ბერ-

[52] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 450.
[53] სხვებთან ერთად იგი ასახელებს ძმებ შალვა და ტიტე ბერიშვილებს. 1930 წლის ზაფხულში შალვა ბერიშვილი ნამდვილად იმყოფებოდა საქართველოში და თურქეთში.
[54] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 453.
[55] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 455.
[56] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 456.

ლინში ავტოსარემონტო სახელოსნოში დაუწყია მუშაობა.[57]

ჭირაქაძე თავის ჩვენებაში აღნიშნავდა, რომ მისი გერმანიაში ყოფნის დროს ის შეხვედრია სოსო გვარამაძეს, რომელსაც შეუდგენია გერმანიის არმიის გენერალური შტაბის საზღვაო დაზვერვის განყოფილებში წარსადგენად, ქართველი ემიგრანტების სია 15-20 კაცის ოდენობით. 1941 წლის ივლისში იგი გამოუძახიათ შტეტინში მდებარე გენერალური შტაბის საზღვაო დაზვერვის განყოფილებაში.[58] ჭირაქაძე ჩასულა შტეტინში და იქ მდებარე სამხედრო დაზვერვის და კონტრდაზვერვის ორგანოს („აბვერ“) საზღვაო დაზვერვის განყოფილების სადაზვერვო სკოლაში, სხვა ქართველებთან ერთად, რადიოგადაცემის შემსწავლელ კურსებზე დაუწყია სწავლა, რომელიც ვერ დაუმთავრებია, რადგან აღმოაჩნდა ცუდი სმენა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ მოძიებულ ერთ-ერთ საარქივო საქმეში, მასთან ერთად შტეტინში მდებარე სადაზვერვო სკოლაში მყოფი პირი, მისი მეგობარი ნიკო (ნიკოლოზ) წაწალაშვილი, თავის ჩვენებაში ადასტურებდა, რომ ჭირაქაძემ ვერ ისწავლა დასახელებულ სკოლაში, რადგან სმენასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. სწორედ, რადიოგადამცემის მოხმარების არცოდნით უნდა აიხსნას, მის მიერ რადისტის აქტიური ძებნა ქართველ ტყვეთა ბანაკებში. სხვა ჯგუფებს, რომლებსაც ჭირაქაძის მსგავსად ემიგრანტი ქართველები ადგენდნენ, რადისტებად სწორედ შტეტინის სადაზვერვო სკოლაში სწავლაგავლილი პირები ხელმძღვანელობდნენ.

ჭირაქაძე ბერლინში დაბრუნებულა, მაგრამ 1942 წლის ივნისში, იგი კვლავ გამოიძახეს შტეტინში საზღვაო დაზვერვის განყოფილება, სადაც მიიღო შესაბამისი დოკუმენტები და გაგზავნილ იქნა სიმფეროპოლში „აბვერ“-ის შავი ზღვის აუზის დაზვერვის განყოფილების უფროს, კაპიტან ბოდეს განკარგულებაში.[59]

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გიორგი ჭირაქაძეს მინიჭებული ჰქონდა საზღვაო მაიორის წოდება. სწორედ ამის გამო იყო, რომ მისი ჯგუფის წევ-

[57] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 456.

[58] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 456) (შტეტინი – თანამედროვე პოლონური ქალაქი – შჩეცინი, შეცინი. შედიოდა პრუსიის შემადგენლობაში. 1945 წლამდე იყო გერმანიის პორტი ბალტიის ზღვაზე. აქ 1940 წლის დეკემბერში, სამხედრო დაზვერვის და კონტრდაზვერვის ორგანოს („აბვერ“) საზღვაო დაზვერვის განყოფილებამ ჩამოაყალიბა სადაზვერვო სკოლა. მასში იწვრთნებოდნენ მზვერავი-დივერსანტები და რადისტები. სკოლაში ჩარიცხვის შემდეგ აგენტებს აძლევდნენ მეტსახელებს, ყალბ პასპორტებს. სწავლის ვადა იყო ექვსი თვე.

[59] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 457.

რები, ვისთან ერთადაც „გადაისროლეს“ საქართველოში, მას ხანდახან „მაიორი ჭირაქაძე“ მოიხსენიებდნენ.

სიმფეროპოლში ყოფნისას ჭირაქაძეს, მისი სიტყვებით, უცდია დაკავშირებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) ხელმძღვანელობას საფრანგეთში. წერილიც კი გაუგზავნია ამ პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს წევრ ვალიკო ინწკირველთან. ატყობინებდა, რომ მას უპირებდნენ საქართველოში გადაგზავნას და ითხოვდა მითითებებს, თუ როგორ მოქცეულიყო საქართველოში „გადასროლის“ შემთხვევაში. ვალიკო ინწკირველი ჩასულა სიმფეროპოლში, შეხვედრია ჭირაქაძეს, თუმცა მისთვის რაიმე მითითება, ან ქმედითი დახმარება ვერ გაუწევია.[60]

ცხადია, რომ დაკითხვისას გიორგი ჭირაქაძე გარკვეულ ინფორმაციებს დამალავდა და მხოლოდ მისი ჩვენებები, მის პიროვნებაზე წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისი არაა. შესაბამისად, მის შესახებ მეტი ინფორმაციის გასაგებად და შედარებით სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად, სხვა ინფორმაციებსაც გაგაცნობთ.

ებანოიძე თავის ერთ-ერთ ჩვენებაში ამბობდა, „ემიგრანტი ჭირაქაძე დიდი ქადილით გვესაუბრებოდა თავის გმირულ წარსულზე, საქართველოდან ემიგრაციაში წასვლაზე, საფრანგეთში 11 წელი ყოფნაზე, იქიდან გერმანიაში გადასვლაზე, 1936 წელს საქართველოში ყოფნაზე, დესანტით ყოფნაზე ესპანეთში, პოლონეთში და საბერძნეთში“.[61]

სხვა ჩვენებაში კი აკონკრეტებდა, რომ ჭირაქაძე „1936 წელს საფრანგეთიდან სოხუმში ჩასულა სხვა ემიგრანტებთან ერთად და იქიდან უკვე თბილისში გამგზავრებულა სპეციალური დავალების შესასრულებლად. აქ მოუწვევია არალეგალური კრება და შეუსრულებია მიცემული დავალება. შემდეგ მახარაძის რაიონის ერთ-ერთ სოფელში წასულა, სადაც უქეიფია კიდეც. ამის შემდეგ კი, ოჩამჩირეს გავლით საზღვარგარეთ გამგზავრებულა“.[62]

აქვე აღვნიშნავ, რომ სხვა მასალებში რაიმე ინფორმაცია ებანოიძის ამ მონათხრობის დასადასტურებლად ვერ მოვიძიე. როგორც ჩანს ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

გიორგი ჭირაქაძის საბრალდებო დასკვნაში კი, აღნიშნულია რომ „ჭირაქაძე იყო ბერლინის მცხოვრები. იგი 1930 წლამდე ცხოვრობდა და მუ-

[60] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 458.
[61] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 76.
[62] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 67.

შაობდა შორაპანში, მოლარე-ინკასატორად რკინიგზაზე, საიდანაც თანამზრახველებთან, ტარიელ ჟღენტი და ვალერიან ღლონტი (იმყოფებიან ემიგრაციაში), გაიტაცა 65 000 მანეთი და ემიგრირებულ იქნა საზღვარგარეთ".[63]

საბრალდებო დასკვნაში ასევე წერია, „ჭირაქაძე 1939 წელს პარიზიდან გაწვეულ იქნა სატანკო „სიკვდილის დივიზია"-ში. გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ კი იყო შრომით ბანაკებში, სადაც იგი გერმანიის დაზვერვის აგენტმა მიხეილ კედიამ გადაიბირა გერმანიაში სამუშაოდ".[64]

გამოძიების მიერ შედგენილ დოკუმენტებში ვკითხულობთ, რომ „ჭირაქაძემ შტეტინში გაიარა დაზვერვის რადიო-სკოლა და სიმფეროპოლში ჩასვლის შემდეგ ტყვეთა ჯგუფი მოამზადა საქართველოში გადასასროლად".[65]

ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით კი „ჭირაქაძე სპეციალობით მძღოლი, 1931 წლიდან „ქართული თეთრი ემიგრაციის ორგანიზაცია სოციალ-დემოკრატების წევრი იყო. დაპატიმრებისას კი „აბვერ"-ის შავი ზღვის აუზის დაზვერვის განყოფილების მაიორი, პარაშუტისტ-დივერსანტების ჯგუფის უფროსი".[66]

წოდებით მაიორი, „პარაშუტისტ-დივერსანტების ჯგუფის უფროსი" ჭირაქაძე, ჯერ კიდევ სიმფეროპოლში ყოფნისას იყო „გაცემული" მის მიერ შერჩეული ჯგუფის წევრების, ყოფილი წითელარმიელების მიერ. ფიცხელაურის ჩვენებიდან ჩანს, რომ „მას, დურგლიშვილს და ებანოიძეს, ჯერ კიდევ სიმფეროპოლში ყოფნისას მოულაპარაკიათ ჯგუფის ხელმძღვანელი გოგი (გიორგი) ჭირაქაძე „ჩაებარებინათ" „შინსახკომში".[67]

ყოფილი ტყვეები ერთ ოთახში ცხოვრობდნენ, რამაც მათ „გულის გადაშლა" გაუდვილა. ფიცხელაურმა გამოძიების პროცესში რამდენჯერმე განაცხადა, „ამ საკითხზე საუბრის ინიციატორი ვიყავი მე".[68] თუმცა, ფიცხელაური სანამ ჯგუფის წევრებს გაანდობდა განზრახვას, თავისი სურვილი მასავით გერმანელების სამსახურში ჩამდგარი ყოფილი წითელარმიელის, იმჟამად კი, სიმფეროპოლში განლაგებული, ერთ-ერთი გერმანული სადაზვერვო ორგანოს უფროსის მძღოლ ავსანჯალიშვილისთვის გაუნდია.[69]

---

[63] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 514.
[64] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 514.
[65] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 515.
[66] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 516.
[67] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 236.
[68] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 343.
[69] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 238.

ამ უკანასკნელს მოსწონებია ფიცხელაურის განზრახვა, რომ მას სურდა ჭირაქაძე საქართველოში „გადმოსროლის“ შემდეგ „შინსახკომში“ „ჩაებარებინა“. საუბრით შეგულიანებულ ფიცხელაურს მოულაპარაკია თავისი ჯგუფის წევრებთანაც.[70]

მას ამ საკითხზე ასევე ულაპარაკია, იმ ყოფილ საბჭოთა ტყეებთან, ვინც იმჟამად შედიოდნენ სიმფეროპოლში განლაგებული გერმანული დაზვერვის მიერ მომზადებულ, საქართველოში გადმოსასროლ სხვა ჯგუფებში და რომლებიც მათზე ადრე უნდა გამოეჩრენილიყვნენ საქართველოში. მათ რიცხვში იგი ასახელებდა ვინმე ვარდი(ო)შვილს, რომელიც 1942 წლის 25 აგვისტოს ერთ-ერთი ჯგუფის შემადგენლობაში „გადმოისროლეს“ საქართველოში. აღნიშნავდა, რომ ამ პირის ჯგუფის წევრებსაც, ასევე სურდათ ნებაყოფილობით გამოცხადება „შინსახკომში“. ფიცხელაურის სიტყვებით, მათ თავისი ჯგუფის გადაწყვეტილებაზე იმიტომ ესაუბრებოდა, რომ „საქართველოში მასზე ადრე გადაგზავნილებს საქმის კურსში ჩაეყენებინათ „შინსახკომი“ მისი ჯგუფის განზრახვაზე“.[71]

თავის მხრივ, ებანოიძე უჩვენებდა, რომ იგი საქართველოში თვითმფრინავით გადმოგზავნამდე „მოლაპარაკებია სხვა ჯგუფის რადისტ ბაკურაძეს, რომელიც ადრე იქნა „გადმოსროლილი“ თავისი ჯგუფის წევრებთან ერთად, რომ მისი ჯგუფის წევრები აპირებდნენ „შინსახკომში“ გამოცხადებას“.[72]

ებანოიძე ასევე ჩამოთვლის პირებს, ვინც საქართველოში გადმოსროლის შემდეგ ნებაყოფილობით უნდა გამოცხადებულიყვნენ „შინსახკომში“. მათ შორის ახსენებს ვარდი(ო)შვილს თბილისიდან.[73]

შესაძლოა ეს პირი სწორედ ფიცხელაურის მიერ დასახელებული ვარდი(ო)შვილია. აღსანიშნავია, რომ ებანოიძე ამ პირების ჩამონათვალში ახსენებდა ვინმე ცალუღელაშვილსაც, რომელიც აპირებდა ნკვდ-ში გამოცხადებას.[74] ჩემს მიერ მოძიებული საარქივო მასალების მოხედვით, ცალუღელაშვილი მართლაც გამოცხადდა „შინსახკომში“, თუმცა ამის მიუხედავად იგი მაინც დახვრიტეს.

თუ რატომ ჰქონდათ ებანოიძეს, ფიცხელაურს, დურგლიშვილს და ბაცაცაშვილს იმის იმედი, რომ „შინსახკომში“ გამოცხადების შემდეგ მათ არ

[70] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 240.
[71] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 24.
[72] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 30.
[73] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 40.
[74] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 40.

დახვრეტდნენ, ამის ასახსნელად ნიშანდობლივია ებანოიძის ჩვენება – „რადგან ჭირაქაძე ნამყოფი იყო საქართველოში 1936 წელს და შეიძლებოდა ჰქონოდა აქ კავშირები, კარგი იქნებოდა მათი ჩაბარება. ამიტომ თუ ასეთ კაცს ჩვენ წავიყვანთ ცოცხლად ჩავაბარებთ, შეიძლება დიდი ბანდები აღმოეჩინათ“.[75]

ანუ, თავისი სიცოცხლის გადასარჩენად, ჭირაქაძის ჯგუფის წევრები, ფაქტობრივად სხვა ადამიანს სწირავდნენ, რაც მათ გამოუვიდათ კიდეც. თუმცა რის ფასად, ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

ებანოიძის სიტყვებით, „ფიცხელაური მეხვეწებოდა ადრე შემესწავლა ეს საქმე. მითხრა მალე შეისწავლე რადიო-საქმე, თორემ ეს ხალხი მშიერს მოგვკლავსო“.[76] სიმფეროპოლის სადაზვერვო სკოლაში სწავლის დაწყებიდან ძალიან მალე, ჭირაქაძის ჯგუფი მზად იყო გასაფრენად საქართველოში, მაგრამ 1942 წლის 22 აგვისტოს „საკის“ აეროდრომისკენ მიმავალი მათი მანქანა ავარიაში მოყვა და და ებანოიძემ ფეხი იღრძო.[77]

ამიტომ, როგორც ირკვევა ჭირაქაძემ შეარჩია სხვა რადისტი, ეროვნებით რუსი, მაგრამ ჯგუფის დანარჩენ, ასე ვთქვათ „შეთქმულ“ წევრებს უარი უთქვამთ ამ პირის მათ ჯგუფში „შეყვანაზე“. ებანიძის სიტყვებით, „ბიჭებს არ უქნიათ, მაგას ვერ ვენდობით რუსიაო“. ასევე უარი განუცხადებიათ ეროვნებით სომეხ რადისტთან ერთად საქართველოში გაფრენაზე“.[78]

აშკარაა, რომ მათ სურდათ ერთობლივად ჩაფრენა, რათა თავისი გაზრახვა უცხო ადამიანის გარეშე, უფრო იოლად მოეყვანათ სისრულეში.

ებანოიძის გამოჯანმრთელების შემდეგ ჭირაქაძის ჯგუფი, 1942 წლის 17 სექტემბერს, საღამოს საათებში, „საკის“ აეროდრომიდან გაფრინდა საქართველოში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისინი უნდა სხვა ადგილზე „ჩაესხათ“. ებანოიძე უჩვენებდა, რომ „მათი ჯგუფი მელაანის მახლობლად უნდა გადაესროლათ, სადაც მათზე ადრე ჩაფრენილი ქართველები ელოდებოდნენ“.[79]

იგივეს იმეორებდა ფიცხელაური „ისინი თვითმფრინავს უნდა გადაესხა სოფელ მელაანში, მაგრამ თელავის რაიონის სოფელ აშროშანთან მოხვდნენ“.[80]

სწორედ თვითმფრინავში დამალა რადიოგადამცემის ანტენა, უფრო სწორედ პარაშუტით გადმოხტომის წინ თვითმფრინავის სავარძლის ქვეშ შე-

[75] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 77.
[76] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 77.
[77] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 464.
[78] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 85.
[79] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 27.
[80] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 179.

აგდო ფიცხელაურმა. ამ ნივთის გარეშე კი, რადისტი ვერ მოახერხებდა რადიოგადამცემით სიმფეროპოლში სადაზვერვო სკოლასთან დაკავშირებას. საუბარია იმ ანტენაზე, რომლის შოვნის საბაბით ფიცხელაური და ბაცაცაშვილი თელავში წავიდნენ, მაგრამ „შინსახკომში“ გამოცხადნენ.[81]

რადიოგადამცემის ანტენის დამალვის ეპიზოდი, სხვა მხრითაც არის საინტერესო. ანტენის დამალვის იდეის „მითვისებას“ ებანოიძე ცდილობდა. თავის პირველ ჩვენებაში იგი ამბობდა რომ ანტენა მან დამალა.[82] თავისი ხელით დაწერილ „ავტობიოგრაფია-ჩვენებაში“ ებანოიძე კვლავ ადასტურებდა, რომ „ფიცხელაურს მე ვუთხარი ჩამოსვლისას დაემალა ანტენა“.[83] რეალურად კი, როგორც მასალების ანალიზიდან ჩანს, თავდაპირველად სწორედ ფიცხელაურს წამოუყენებია წინადადება ნკვდ-ში „ჩაებარებინათ“ ჭირაქაძე და სწორედ მან გადამალა რადიოგადამცემის ანტენაც.[84]

თუ რატომ გავამახვილე ამ ფაქტებზე ყურადღებას, ცოტა ქვემოთ ვისაუბრებ.

1942 წლის 17 სექტემბერს, ღამის 10 საათზე, ჭირაქაძის ჯგუფის წევრების გომბორის ულელტეხილის ტერიტორიაზე თვითმფრინავიდან პარაშუტებით ტყიან რელიეფზე დაშვებას ინციდენტების გარეშე არ ჩაუვლია. ჯგუფის ორი წევრი, ებანოიძე და დურგლიშვილი, დაშავდნენ. ორივემ ფეხი იღრძო. მათ სიარული არ შეეძლოთ, მაგრამ დილით ისინი ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა იპოვეს და შეიფარეს. უფრო მეტიც, როგორც მასალებიდან ირკვევა, ამ ადამიანებმა გერმანული დესანტის წევრების მიმართ კეთილგანწყობა გამოამჟღავნეს. თავდაპირველად სახლებში შეიფარეს, დაშავებულებს უმკურნალეს, დაეხმარნენ ერთმანეთის მოძებნაში და შემდეგ ტყეში, უსაფრთხო ადგილას ქოხის აშენებაშიც დაეხმარნენ.

ჭირაქაძის ჯგუფის წევრები უჩვენებდნენ, რომ გომბორის ულელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სოფლების მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა, ხევსურები, საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილი.[85]

მათ, როდესაც ჭირაქაძისგან გაიგეს, ის და მისი ჯგუფის წევრები იყვნენ გერმანელების მიერ გამოგზავნილი, „შინსახკომში“ დაბიზღების მაგივ-

[81] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 30.
[82] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 30.
[83] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 90.
[84] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 30.
[85] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 222.

რად გვერდში დაუდგნენ და დაეხმარნენ.[86]

ადგილობრივ ხევსურებს მათთვის მორიგეობით მიჰქონდათ საკვები პროდუქტები, ასევე მოამარაგეს სხვადასხვა ნივთებით.[87]

ჭირაქაძის ჯგუფის დაპატიმრების შემდეგ, ტყეში მათ საცხოვრებელ ქოხში აღმოჩნდა: ხევსურული ფარდაგი, ქვაბი, კოვზები, თოხი და სხვა ნივთები.[88]

მასალებიდან ჩანს, ჭირაქაძის ჯგუფის წევრები, გამოძიებას მათთვის დახმარების გამწევ ადგილობრივ მაცხოვრებლებზე უამრავ მაკომპრომიტირებელ ინფორმაციას „აძლევდნენ". ასევე საუბრობდნენ ჭირქაძის მიერ გაწეულ აგიტაციაზე გერმანელების სასარგებლოდ – „ჭირაქაძე მათ ესაუბრებოდა ბოლშევიკებისგან განთავისუფლებაზე, ჰპირდებოდა მიწების, იარაღის დარიგებას".[89]

ისინი ასევე აღნიშნავდნენ – „ადგილობრივები ჩვენ ძალიან კარგად გვეპყრობოდნენ. ჭირაქაძის აგიტაციით აღფრთოვანებულები იყვნენ და უხაროდათ გერმანელების მალე მოსვლა".[90]

ჯგუფის ყველაზე, ასე ვთქვათ „საბჭოურად" განწყობილი წევრი, „შინსახკომის" ყოფილი აგენტი „სარკე", ბოლშევიკი ებანოძე თავის ჩვენებაში აღნიშნავდა: „ჭირაქაძემ გარს შემოიკრიბა ადგილობრივი მოსახლეობა, ვინც მას იცავდნენ".[91]

ებანოძე თავისი ხელით დაწერილ „ავტობიოგრაფია-ჩვენებაში" პირდაპირ ასახელებს ადგილობრივი მოსახლეობის „დანაშაულებებს" საბჭოთა ხელისუფლების წინაშე და როგორც გამოცდილი აგენტი, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად მოიძიოს და გაანალიზოს ინფორმაცია წერს შემდეგს:

„ა) შვიდი დღის განმავლობაში ჩვენი გლეხებთან ყოფნის და საუბრის დროს აღმოვაჩინე და შევამჩნიე შემდეგი – ახალგაზრდა ბიჭებს ვანოს, პეტრეს, სხვადასხვა დღეს ეცვათ სხვადასხვა სამხედრო შარვლები და ზედა ტანსაცმელი. ეს მე მაეჭვებს, სად შეიძინეს. იქ ხომ არ იმალებიან სხვა გადმოფრენილი ხალხი, რომლებიც ასეთი ფორმით მოდიან;

ბ) ემიგრანტს ჰპირდებოდნენ ერთ კვირაში ორას კაცს გაგიჩენთ აჯ-

[86] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 224.
[87] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 224.
[88] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 142.
[89] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 87, 228.
[90] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 229.
[91] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 30.

ანყებაში მონაწილეობისთვისო, იარაღი „გააჭირებს“ საქმესო და საყველურობდნენ ემიგრანტს იარაღი რატომ არ ჩაიტანა;

დ) 27 სექტემბერს ემიგრანტის დაჭერის დღეს გამოვიარე ცხენით, გლეხ გიორგის (35 წლის) სახლთან. სახლის ზედა მხარეზე დავინახე ორმოცდაათზე მეტი ცხვრის ტყავი და გავიფიქრე ვინ ჭამს ამდენ ცხვრებს;

დ) ერთ-ერთი საუბრის დროს გლეხმა პეტრემ ემიგრანტს უთხრა, „ოღონდ მოვიდნენ გერმანელები და მე აქ „მაქსიმკა“ პულიმიოტს ავაკაკანებო“;

ე) გლეხებს აქვთ პატარა რევოლვერები. მათთან საუბრისას ადგილობრივი ხევსურები აღნიშნავდნენ, რომ ისინი ინახავდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილს. იქნება ახლაც ინახავენ ქაქუცებს?“.[92]

სწორედ ამ კითხვას ამატებდა ებანოიძე თავის ზემომოყვანილ ჩვენებას, რითაც „შინსახკომს“ გომბორის უღელტეხილის ტერიტორიაზე მდებარე სოფლების მოსახლეობის წინააღმდეგ რეპრესიული ზომების გატარებისკენ უბიძგებდა.

ჭირაქაძის ჯგუფს ეხმარებოდნენ და შემდეგ ხელისუფლების მხრიდან დევნის ობიექტი გახდნენ შემდეგი ადგილობრივი მცხოვრებლები: „გიორგი არაბული, ვანო არაბული, პეტრე (პეტო) არაბული, აბრამ არაბული, სოფელ ვაშლოვანის მცხოვრებლები, ასევე ამ სოფლის მაცხოვრებელი ვინმე გიგაური და კიდევ ერთი პიროვნება, რომლის სახელი და გვარი უცნობია სოფელ თეთრწყლებიდან“.[93] საბჭოთა ხელისუფლებამ ზემოდასახელებული პირების ნაწილი დაპატიმრა, ნაწილი კი დაიმალა ტყეებში.

ჭირაქაძეს განაჩენი გამოუტანეს და დახვრიტეს, ხოლო მისი ჯგუფის წევრები, მათი მოლოდინის მიუხედავად, პატიმრობიდან არც გაანთავისუფლეს და მით უმეტეს, არც დააჯილდოვეს. ისინი „დააგენტურებულ“ იქნენ საბჭოთა სამხედრო კონტრდაზვერვის მიერ.[94] მასალებში დაცულია ებანოიძის, ფიცხელაურის, დურგლიშვილის და ბაცაცაშვილის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ ისინი სამხედრო კონტრდაზვერვის ე.წ. „ამომცნობი აგენტები“ გახდნენ.

საინტერესოა, თუ როგორ ხდებოდა მსგავს „სამუშაოზე“ ადამიანების

[92] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 100-101.

[93] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 227.

[94] საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამხედრო კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველო, შეიქმნა 1943 წლის აპრილში.

„დააგენტურება“. ირკვევა, რომ დასახელებული პირები ოფიციალურად გაასამართლეს და თითოეულს ხუთ-ხუთი წელი ციხე მიესაჯა.[95]

ეს საკმაოდ ლმობიერი განაჩენი იყო, რადგან საქართველოში გერმანელების მიერ „გადმოსროლილი“ პირების უმეტესობა, იმის მიუხედავად, რომ ბევრი მათგანი ნკვდ-ში გამოცხდდა დახვრეტილ იქნენ.[96]

„ლმობიერება“ გამოიხატა იმაშიც, რომ 1943 წლის მაისიდან ოთხივე – ებანოიძე, ფიცხელაური, დურგლიშვილი და ბაცაცაშვილი – გადაგზავნილ იქნენ სამხედრო კონტრდაზვერვის განკარგულებაში და 1944 წელს, პატიმრობიდანაც გაანთავისუფლეს. მოვლენებს გავუსწრებ და ვიტყვი, რომ მათი სამხედრო კონტრდაზვერვის განკარგულებაში გადაგზავნა მოხდა ჭირაქაძის დახვრეტის თანადროულად.

დაახლოებით იმავე დროით, 1943 წლის ივნისით, არის დათარიღებული ზემოდასახელებული „ოთხეულის“ მიერ სამხედრო კონტრდაზვერვისთვის მიცემული თანხმობები აგენტურული საქმიანობის გაწევაზე. ამ დოკუმენტს, რომელზეც ისინი სამხედრო კონტრდაზვერვასთან „თანამშრომლობაზე“ აწერენ ხელს „მემორანდუმი“ ეწოდებოდა.[97]

მასალებში დაცულ „მემორანდუმებს“ აწერია – „საქმე № 3251 სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველო“. ყველა მათგანის თავფურცელზე ეკითხულობთ – „მტკიცდება ერთდროულად საბრალდებო დასკვნასთან ერთად“. დოკუმენტის შინაარსი ანკეტის მსგავსია – ჩამოწერილია პიროვნების გვარი, სახელი; სოციალური წარმოშობა; პარტიულობა; ბრალი; და ა.შ. ზემოდასახელებულ პირებზე უკვე შევსებულ „მემორანდუმებში“ მითითებულია – „მონაწილე გერმანელი პარაშუტისტების ჯგუფის, გადმოსროლილი საქართველოს ტერიტორიაზე დაზვერვითი და აჯანყებითი საქმიანობისთვის წითელი არმიის ზურგში“.[98]

აღნიშნული დოკუმენტის მე-12 პუნქტი პირდაპირ გვიჩვენებს, თუ „მემორანდუმი“ რეალურად რას წარმოადგენდა – „დასახელებული პირი შეიძლება თუ არა გადაბირებულ იქნას და რა საქმისთვის?“ ამ კითხვის პასუხად შესაბამისი გრაფაში წერია – „მხედველობაშია მისაღებია მიწაზე დაშვების შემდეგ „შინსახკომის“ ორგანოში ნებაყოფილობითი გამოცხადება და გაწეული დახმარება პარაშუტისტების ჯგუფის ხელმძღვანელის, ჭირაქაძის და-

[95] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 518.
[96] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1245.
[97] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 5, გვ. 121.
[98] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 5, გვ. 121.

კავების საქმეში. შესაბამისად, შესაძლებელია მისი გადაბირება".[99]

მე-13 პუნქტში კი ვკითხულობთ – „რა განსაკუთრებული მოთხოვნებია გასათვალისწინებელი პირის აგენტურული მოსმახურებისას?". აქ უკვე აღნიშნულია, თუ რომელი პირისგან, ჯგუფისგან უნდა იყოს „გადაბირებული" იზოლირებული.[100] ეს ალბათ იმიტომ, რომ არ მომხდარიყო მისი აგენტურული საქმიანობის შემთხვევითი გამჟღავნება. მაგალითად, დასახელებული „ოთხეულის" მიერ დაბიზღებული ადგილობრივი, უკვე დაპატიმრებული პირების შეხვედრა ციხის საკნებში, ავტომატურად გამოიწვევდა მათ, როგორც სამხედრო კონტრდაზვერვის აგენტების გამოაშკარავებას.

1944 წლის 12 იანვრის სამხედრო კონტრდაზვერვის დადგენილებით ებანოიძეს, ფიცხელაურს, დურგლიშვილს და ბაცაცაშვილს, წინასწარი დაკავების ვადა ჩაეთვალათ პატიმრობაში ყოფნად, სასჯელის მოხდად და უკვე 22 იანვარს, ისინი პატიმრობიდან განთავისუფლდნენ.[101]

აქვე მასალებში დაცულია, 1944 წლის თებერვლით დათარიღებული, მათი „ხელწერილები": „მე ქვემოთ ხელისმომწერი (აქ წერია შესაბამის გვარ-სახელი – თ.ს.) ვალდებული ვარ არ გავამჟღავნო სამხედრო კონტრდაზვერვის მიერ ჩემთვის დასმული კითხვები და საკითხები, ასევე ჩემგან გაცემული პასუხები, როდესაც ვიყავი დაპატიმრებული და ვიმყოფებოდი სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველოში. მე გაფრთხილებული ვარ, რომ ამ „ხელწერილის" დარღვევა გამოიწვევს სამხედრო დროის შესაბამისად ჩემს პასუხისგებას".[102]

ამრიგად, დასახელებული პირები ციხეში ყოფნის დროს ასრულებდნენ სამხედრო კონტრდაზვერვის სხვადასხვა დავალებას და როგორც ჩანს, პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგაც „მუშაობდნენ" გერმანული არმიის რიგებში მყოფი თანამემამულეების გამომაშკარავებლებად, ანუ ე.წ. „ამომცნობ აგენტებად". საუბარია იმ ადამიანებზე, ვინც გერმანულ არმიაში მსახურობდნენ და საქართველოში დაბრუნებულები მათზე არსებული „მაკომპრომიტირებელი" მასალების „მოშველიებით" შესაძლო დაპატიმრების შიშით, ანდა უკვე დაპატიმრების შემდეგ გარკვეული შეღავათების, როგორცაა ვადაზე ადრე განთავისუფლება, სასჯელის ზომის შემცირება, სანაცვლოდ აქციეს გერ-

[99] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 5, გვ. 122.
[100] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 5, გვ. 122.
[101] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 1, გვ. 532.
[102] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 5, გვ. 36, 38, 120.

მანული არმიის რიგებში მებრძოლი, მათი ყოფილი თანამებრძოლების აღმოსაჩენად და გამოსააშკარავებლად. ამაზე პირდაპირ მეტყველებს 1945 წელს ფიცხელაურის ხელახლა გასამართლების მასალების შინაარსი.

საარქივო დოკუმენტების მიხედვით, ფიცხელაური, 1945 წლის იანვარში ხელახლა დააპატიმრეს. კერძოდ, სამხედრო კონტრდაზვერვის გამომძიებლის 1945 წლის 25 იანვრით დათარიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ – „განხილულ იქნა რა ფიცხელაურის საქმე, რომელიც გასამართლდა 1943 წელს, როგორც გერმანიის დაზვერვის აგენტი, რომელიც „გადმოსროლილ" იქნა საქართველოში 1942 წელს, ვპოვე: ფიცხელაური საქართველოს ტერიტორიაზე დააპატიმრეს და სასჯელის მოხდის შემდეგ გამოყენებული იქნა სამხედრო კონტრდაზვერვის ფარული სამუშაოსთვის სპეც-დავალებების შესასრულებლად, მაგრამ სამუშაოზე ვერ გაამართლა".[103]

თუ რაში გამოიხატებოდა ფიცხელაურის „ვერ გამართლება", ირკვევა სხვა მასალებიდან. ერთ-ერთ დოკუმენტში წერია: „ფიცხელაურმა გაშიფრა თავისი თავი, როგორც საბჭოთა კონტრდაზვერვის აგენტმა უცხო პირებთან. ამასთან ერთად, 1945 წლის 19 იანვარს სამხედრო კონტრდაზვერვის თანამშრომლებთან და მოსამსახურეებთან გამოთქვამდა ანტისაბჭოთა მოსაზრებებს და აქებდა ჰიტლერს" (იხ. დოკ. №3).[104]

დიახ, არც მეტი და არც ნაკლები, ჯერ კიდევ სიმფეროპოლში ჭირაქაძის ჯგუფის „შინსახკომში" გამოცხადების ინიციატორი და თავისი ნებით გამოცხადებული ფიცხელაური, რაღაცა მიზეზების გამო, ომის დასასრულს იწყებს ჰიტლერის ქებას. ისმის კითხვა – რატომ?

პასუხი შემდეგში უნდა ვეძიოთ: როგორც ხელმეორედ დაპატიმრებული ფიცხელაურის შესახებ გამომძიებელი წერს, „ემონაწილეობდი რა ფიცხელაურის დაკითხვაში, ბრალდებულმა თავის სცნო დამნაშავედ იმაში, რომ იყო საიდუმლო თანამშრომელი და გაშიფრა თავისი თავი, ასევე მთვრალ მდგომარეობაში მყოფი გამოთქვამდა მუქარას სამხედრო კონტრდაზვერვის ხელმძღვანელობის მისამართით".[105]

როგორც ირკვევა, მუქარის შემცველ სიტყვებს და შეურაწმყოფელ გამონათქვამებს ფიცხელაური, არც მეტი და არც ნაკლები, თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, იმ დროს პლეხანოვის, ამჟამად დავით აღმაშენებელის

[103] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 2, გვ. 1.
[104] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 2, გვ. 4.
[105] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 2, გვ. 13.

გამზირზე მდებარე სამხედრო კონტრდაზვერვის შენობაში გამოთქვამდა.[106]

სავარაუდოდ, მისი ასეთი საქციელი თავისი „აგენტურული მოვალეობის" მიმართ გამოწვეული პროტესტი იყო. მასალებში არსებულ დოკუმენტებში ფიცხელაურის „აგენტურული მოვალეობა" დაკონკრეტებულია, პირდაპირ წერია, რომ იგი იყო ე.წ. „ამომცნობი აგენტი", ანუ იმ დროს სამხედრო კონტრდაზვერვის მიერ გამოყენებული საიდუმლო აგენტურის ერთ-ერთი კატეგორიის აგენტი.[107]

საინტერესო და ამ გადასახედიდან თითქოსდა ირონიულია, მასალებში არსებული შემდეგი ინფორმაცია: „ფიცხელაური 1944 წლის მარტში სასჯელის მოხდის შემდეგ, თავისი ნებით გამოცხადდა სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველოში და გამოთქვა სურვილი დახმარებოდა სამხედრო კონტრდაზვერვას მისთვის ცნობილი მტრის აგენტების გამოსააშკარავებლად".[108]

ირონიული იმიტომ, თითქოს მემორანდუმში აღნიშნული არ იყო, რომ პირის სამხედრო კონტრდაზვერვის აგენტად გახდომის დადგენილება-მემორანდუმი ძალაში შედიოდა სასამართლოს განაჩენთან ერთად. ანუ, სასჯელის მოხდის შემდეგ მისი ნებაყოფილობით გამოცხადება, რომ აგენტი გამხდარიყო არის ტყუილი ინფორმაცია. თუმცა, ვისთვის სჭირდებოდათ ამ სახის ჩანაწერის გაკეთება გაუგებარია. საქმე იმაშია, რომ ეს დოკუმენტები შედიოდა სრულიად საიდუმლო მასალების კატეგორიაში და თვით სამხედრო კონტრდაზვერვის თანამშრომლებს „გარდაუვალი საჭიროების" გარეშე, მათი ნახვის უფლება იმ დროს არ ჰქონდათ.

ფიცხელაური სხვადასხვა მოწმის ჩვენებების საფუძველზე, მათ შორის მისი მეუღლის, ვისთანაც უთქვამს, რომ იყო სამხედრო კონტრდაზვერვის აგენტი, ასევე სამხედრო კონტრდაზვერვის იმ თანამშრომლების, ვინც სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველოს შენობაში შეესწრნენ მის „გამოხდომას", გაასამართლეს და როგორც ყოფილ „საიდუმლო(ფარულ) თანამშრომელს" ხუთი წელი ციხე მიუსაჯეს.[109]

საარქივო დოკუმენტებში ზემოაღნიშნული ჯგუფის წევრების, დურგლიშვილის და ბაცაცაშვილის, შესახებ სხვა საინტერესო ინფორმაცია არ გვხვდება. სამაგიეროდ, რამოდენიმეჯერ იხსენიება და აღნიშნულ პერიოდთან შედარებით გვიანდელ მასალებში ებანოიძე.

---

[106] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 2, გვ. 9, 13.
[107] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 2, გვ. 9, 13.
[108] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 2, გვ. 9.
[109] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 2, გვ. 9-11.

ესენია 1985 წლით დათარიღებული დოკუმენტები. საქმე ეხება ებანოიძის და იმდროინდელი საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკი) მაღალი და საშუალო რანგის თანამშრომლების „მიმოწერას“.

1985 წლით დათარიღებულ პირველ წერილში, საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უფროსის ინაურის სახელზე, ებანოიძე წერს, რომ იგი „იმ დივერსანტული ჯგუფის წარმომადგენელია, ვინც ჩამოვიყვანეთ და თქვენს ორგანოს ჩავაბარეთ ემიგრანტი ჭირაქაძე“.[110]

მისი სიტყვებით, „ვიყავი თქვენს განკარგულებაში ერთი წელიწადნახევარი, სადაც ვლებულობდი დავალებებს, ხშირად ვიყავი კამერებში, სადაც იქ მყოფებს ხანდახან არ აძლევდნენ საჭმელს. როგორც თქვენთვის ცნობილია მე უნდა შევგუებოდი ამას და არ ვლებულობდი იმას, რაც ნორმით მეკუთვნოდა“.[111]

მეორე წერილში ებანოიძე წერს „გავთავისუფლდი 1944 წელს, როგორც ავადმყოფი. უშიშროებაში მიმიყვანეს საფაროვთან, მახსოვს იქ იყვნენ ქუციავა, დოლაბეგიშვილი, კოჭლავაშვილი და სხვები. ჯანმრთელობა მისურვეს და წავედი ჩემს ოჯახში“.[112]

მასალების ანალიზიდან ჩანს, რომ იგი, არა როგორც „სამშობლოს მოღალატე“, არამედ საბჭოთა ხელისუფლებისთვის სავსებით ლოიალური და მისაღები პიროვნების რანგში მოევლინა მშობლიურ რაიონს და სოფელს, „დავბრუნდი ჩემს რაიონში ისტორიის მასწავლებლად და ომიდან დაბურნების შემდეგ, ვასრულებდი უშიშროების მუშაკთა ყველა დავალებას“ (იხ. დოკ. №4).[113]

ანუ, ებანოიძემ გააგრძელა თავისი „საიდუმლო თანამშრომლის“, აგენტის საქმიანობა, ოღონდ უკვე არა „ამომცნობი აგენტის“, არამედ სხვა კატეგორიის „აგენტ-ინფორმატორის“ რანგში.

ებანოიძეს 1985 წელს დაწერილ წერილებში, თავისი თავზე რამოდენიმე ადგილას გამოთქმული აქვს, როგორც ჭირაქაძის ხელისუფლებისთვის ჩამბარებლის ქება. რატომ იქებდა თავს და რატომ წერდა წერილებს საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტე-

[110] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 2, გვ. 27.
[111] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 2, გვ. 27.
[112] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 2, გვ. 37.
[113] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 42/1265. ტომი 2, გვ. 37.

ტის ხელმძღვანელ ინაურს ებანოიძე?

წერილებიდან ირკვევა, რომ მას სურდა მიეღო საპენსიო დანამატი 20 მანეთი!? და საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში წერილებს, სწორედ ამ მოტივით აგზავნიდა. საქმე იმაშია, რომ შესაბამის „ავადმყოფობის ფურცელში", სადაც აღნიშნული უნდა ყოფილიყო, რომ მან მიიღო ჭრილობა, ან დაავადდა ომში ყოფნის პერიოდში, ეს ინფორმაცია არ ჩაუწერეს.

იგი ითხოვდა, 1943-1944 წლებში, მისი საპატიმროში ყოფნის დროს გადატანილი ავადმყოფობა და ციხეში ყოფნისას გაკეთებული ყელის ოპერაცია, „სამამულო ომში" მონაწილეობისას მომხდარად ჩაეწერათ. ებანოიძეს მხოლოდ პენსიის დანამატის, 20 მანეთის, მოთხოვნაზე კი არ უთხრეს უარი, არამედ განუცხადეს, რომ შესაძლებელია „გაუქმებოდა" სამამულო ომში მონაწილის სტატუსიც. ებანოიძე ამიტომაც წერდა ინაურს - „71 წლის მოხუცისთვის პენსიაზე 20 მანეთის მომატება, როგორც მე ვარ დიდს ნიშნავს. მეორეც – რას იტყვის ხალხი". სხვა წერილში კი აღნიშნავდა, „მისი დესანტად ჩამოსვლის საქმე ინახება მათ ორგანოში და რომ 20 მანეთი დანამატი ნამდვილად ეკუთვნოდა".[114]

წერილების შინაარსიდან ისიც ირკვევა, რომ ებანოიძეს ამ საკითხზე, ჯერ იმ რაიონის უშიშროების ორგანოს ხელმძღანელებისთვის მიუმართავს ვის დავალებებსაც „პირნათალად ასრულებდა", მაგრამ მათ არაფერი „გაუკეთებიათ".[115]

მისი თხოვნა უყურადღებოდ დატოვეს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელებმაც. ებანოიძის წერილების პასუხად, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ, შესაბამისი რაიონის უშიშროების უფროსთან გაგზავნილ, რუსულ ენაზე დაწერილ წერილში პირდაპირაა უარი ნათქვამი ებანოიძის თხოვნის დაკმაყოფილებაზე. მასში ვკითხულობთ - „ებანოიძემ დივერსანტების ჯგუფთან ერთად ნებაყოფილობთ გასცა მოღალატე ჭირაქაძე". თუმცა, აქვე შესაბამისი რაიონის უშიშროების უფროსს სთხოვდნენ, რომ აეხსნა ებანოძისთვის „მის დავადებას არ ჰქონდა კავშირი ომთან და რომ 20 მანეთის დანამატი პენსიაზე არ ეკუთვნოდა".[116]

აი ასეთი უარით გაისტუმრეს „ხანდაზმულობამდე უშიშროების მუ-

[114] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6/1265. საქმე 42. ტომი 2, გვ. 34.
[115] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6, საქმე 42/1265. ტომი 2, გვ. 37.
[116] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6, საქმე 42/1265. ტომი 2, გვ. 47.

შაკთა ყველა დავალების“ შემსრულებელი, ხელისუფლების „ერთგული“ ებანოიძე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან. ზემონახსენებ რუსულ ენაზე დაწერილ დოკუმენტზე გაკეთებულია შემდეგი რეზოლუცია რუსულ ენაზე: „1985 წლის 24 ოქტომბერს ებანოიძეს გააცნეს პასუხი, რითაც იგი უკმაყოფილო დარჩა და განაცხადა, რომ დაწერდა განცხადებას სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელის და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე“.[117]

თუ, რა მოხდა შემდგომ დოკუმენტებიდან არ ჩანს, მაგრამ ვფიქრობ საკმარისია იმისათვის, რომ შეგვექმნას წარმოდგენა კვლევაში მოხსენიებულ ყოფილ საბჭოთა ტყვეებზე.

რაც შეეხება „ემიგრანტ ჭირაქაძეს“ აღვნიშნავ, რომ ზემოაღნიშნულ საარქივო საქმეში, არ მოიპოვება მასალა გიორგი ჭირაქაძის დახვრეტის შესახებ. შესაბამისად, გაურკვეველი იყო, სასამართლოს მიერ როდის იქნა გამოტანილი მასზე სასიკვდილო განაჩენი, განაჩენის „აღსრულების“ ზუსტი თარიღი და სხვა დეტალები. თუ რატომ დავინტერესდი ამ საკითხით, ეს კვლევის დასაწყისშივე აღვნიშნე – მინდოდა გამომეკვეა, რამდენად შეესაბამებოდა თელაველების მეხსიერებაში შემორჩენილი ზეპირი ისტორია რეალობას.

ჭირაქაძის დახვრეტის შესახებ, ოფიციალური ინფორმაცია თავდაპირველად ერთ-ერთ ინტერნეტ-საიტზე მოვიძიე, სადაც განთავსებულია სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობის შესახებ სხვადასხვა მასალა.[118]

სავარაუდოდ, სსრკ-ს რომელიღაც უშიშროების ორგანოს არქივში დაცულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ერთგან, სადაც საუბარია მათ მეორე მსოფლიო ომის პერიოდზე მითითებულია, რომ „1942 წლის 27 სექტემბერს თელავის რაიონში დააპატიმრეს გერმანელი პარაშუტისტი, ქართველი მეშვეიკი ჭირაქაძე, რომელიც გადაგზავნილი იყო დავალებით, დაემყარებინა კავშირი საქართველოში ანტისაბჭოთა პარტიების ყოფილ წევრებთან. მათი დახმარებით მოეხდინა შეიარაღებული აჯანყება და ჩაედინა დივერსიული აქტები. ასევე, შეეგროვებინა სამხედრო-სადაზვერვო ინფორმაცია და გადაეცა რადიოგადამცემით მტრისთვის. 1943 წლის 13 მარტს, სსრკ-ს „შინსახკომთან“ არსებული განსაკუთრებული თათბირის მიერ ჭირაქაძე გასამართლებულ იქნა

[117] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6, საქმე 42/1265. ტომი 2, გვ. 48.

[118] Статьи и публикации. «Органы государственной безопасности СССР в годы Великой отечественной войне». Том 3. Книга вторая (01.07.1942 - 31.12.1942), http://mozohin.ru/article/a-141.html

და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა".[119]

რაც შეეხება კონკრეტულ თარიღს, თუ როდის დახვრიტეს გიორგი ჭირაქაძე, ეს ინფორმაცია მოვიძიე ვახტანგაძის შესახებ არსებულ საქმეში. ვახტანგაძე იხსენიება ზემომოყვანილ მასალაში, ჭირაქაძის ერთ-ერთი დაკითხვის ოქმში. შესაბამისად, მის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოკვლევისას, არქივში აღმოჩნდა საქმე, სადაც თავის მხრივ ჭირაქაძეზეც არის საუბარი. ამ დოკუმენტების შექმნის თარიღი 1962 წელია.[120]

მათში აღნიშნულია, რომ 1930-იან წლებში ვახტანგაძე იყო „თეთრემიგრანტული სოციალ-დემოკატების საქართველოს ორგანიზაციის წევრი" და იცნობდა იმ დროს ემიგრაციაში მყოფ თანაპარტიელებს, მათ შორის გიორგი ჭირაქაძეს.

აქვე ჭირაქაძის მოკლე ბიოგრაფიული ცნობებია მოყვანილი, რომლებიც, როგორც ამ და სხვა მასალების ანალიზიდან ჩანს, ზემომოყვანილი საარქივო საქმიდან არის ამოღებული ჭირაქაძის შტეტინის სადაზვერვო სკოლაში სწავლა, მის მიერ სიმფეროპოლში ჯგუფის შედგენა საქართველოში გადმოსასროლად და სხვ. აღნიშნულია, რომ „ჭირაქაძის ჯგუფის წევრები გერმანელების დავალების შესრულებაზე არ ფიქრობდნენ და 1942 წლის 27 სექტემბერს, იგი ებანოიძის, ფიცხელაურის, დურგლიშვილის და ბაცაცაშვილის დახმარებით იქნა დაპატიმრებული. სსრკ-ს „შინსახკომთან" არსებული განსაკუთრებული თათბირის, 1943 წლის 13 მარტის დადგენილებით ჭირაქაძეს მიესაჯა დახვრეტა. გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი 1943 წლის მაისს".[121]

დახვრეტის „აღსრულების" გარემოებების შესახებ არქივებში იშვიათად „ილექება" მასალები. აქ თავის როლს თამაშობს სპეციფიკა, დღევანდელი საარქივო მასალა მაშინდელი ძალისმიერი სტურქტურების სამსახურებრივი დოკუმენტაციაა, სადაც ძირითადად ბ„მშრალი" ინფორმაციებია შემონახული. თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ეს მასალები აღმოჩნდა. აღნიშნული დოკუმენტები გარკვეულწილად გვაძლევენ საშუალებას აღვდგინოთ ამ კონკრეტული შემთხვევის სრული სურათი.[122]

---

[119] Статьи и публикации. «Органы государственной безопасности СССР в годы Великой отечественной войне». Том 3. Книга вторая (01.07.1942 - 31.12.1942), http://mozohin.ru-/article/a-141.html

[120] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 45303.

[121] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საქმე 45303, გვ. 29.

[122] დიდი მადლობა შსს-ს არქივის თანამშრომლებს აღნიშნული დოკუმენტების მოძიებაში გა-

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ჭირაქაძის დახვრეტა, იმდროინდელი კანონების თანახმად სასიკვდილო განაჩენის გამოტანიდან მალევე უნდა აღესრულებინათ, მაგრამ ვადა დროებით გადაუწევიათ. ამაზე მეტყველებს, 1943 წლის 21 აპრილით დათარიღებული საიდუმლო წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ „გამომდინარე „ოპერატიული საჭიროებებიდან" გთხოვთ გადადოთ განაჩენის აღსრულება".[123]

აქვე აღმოჩნდა სხვა დოკუმენტი, რომლიდანაც ირკვევა, თავდაპირველად გიორგი ჭირაქაძის დახვრეტა გადაწყვეტილი ჰქონიათ თბილისში, „შინსახკომის" შინაგან ციხეში.[124]

1943 წლის 11 მაისს საქართველოს სსრ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო კომისარი რაფავა უგზავნის უგზავნიდა, „შინსახკომის" შინაგანი ციხის უფროსს კაპიტან მუღალაშვილს შემდეგ მიწერილობას: „1943 წლის 13 მარტის სსრკ-ს „შინსახკომთან" არსებული განსაკუთრებული თათბირის გადაწყვეტილების და სსრკ-ს „შინსახკომის" 1943 წლის მოწერილობის № 8/13237 თანახმად, გავალებთ მოიყვანოთ განაჩენი - უმაღლესი ზომა სოციალური დაცვის – დახვრეტა შემდეგ პირზე: 1. ჭირაქაძე გრიგოლი სამსონის ძე. დაბადებული 1909 წელს, თბილისის მცხოვრები. ემიგრანტი. საშუალო განათლებით. დაპატიმრების მომენტში გერმანიის პარაშუტისტ-მზვერავების ჯგუფის უფროსი. განაჩენი სისრულეში მოიყვანეთ 1943 წლის 12-13 მაისის ღამით."[125] დოკუმენტი საწერი კალმით, თუ ფანქრით ჯეარედინად არის გადახაზული.

უკვე, მეორე დღეს, 1943 წლის 12 მაისს, მაისს საქართველოს სსრ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო კომისარი რაფავა, „შინსახკომის" შინაგანი ციხის უფროსს მუღალაშვილს ახალ მიწერილობას უგზავნის. ამ დოკუმენტში მეორდება ზემომოყვანილ 1943 წლის 11 მაისის მიწერილობაში არსებული ტექსტი, ოღონდ აქ უკვე „შინსახკომის" შინაგანი ციხის უფროსს მუღალაშვილს, თელავის „შინსახკომის" უფროს კვაშალთან ერთად ევალება ჭირაქაძეზე განაჩენის, „უმაღლესი ზომა სოციალური დაცვის – დახვრეტა", სისრულეში სახალხოდ მოყვანა უშუალოდ თელავის რაიონში იმ ადგილზე სადაც დააკავეს გერმანელი პარაშუტისტი. დახვრეტის წინ ჭირაქაძეს უნდა

წეული დახმარებისთვის.

[123] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 12. საქმე 040, გვ. 27.

[124] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 12. საქმე 040, გვ. 29.

[125] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 12. საქმე 040, გვ. 29.

გადაულონ ფოტოები ორ ეგზემპლარად".[126]

დოკუმენტში ასევე ვკითხულობთ: ,,განაჩენის აღსრულების ადგილზე, განსაჯელი მიყვანილ უნდა იქნას გაძლიერებული ბადრაგით, არ შეატყობინონ ფართო მოსახლეობას. დახვრეტის დროს უზრუნველყონ მხოლოდ თხუთმეტი-ოცი ადამიანის დასწრება, ვინც მონაწილეობას იღებდნენ პარაშუტისტის დაკავებაში. დახვრეტის წინ აუხსნან მშრომელებს, რომ დაკავებულ გერმანელ მზვერავ-პარაშუტისტს მისჯილი აქვს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, განსაკუთრებით გაესვას ხაზი, იმას, რომ იგი გადმოსროლის შემდეგ მონანიებით, ნებაყოფილობით არ გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლებასთან.

უფროსი ან საშუალო მეთაურის ხელმძღვანელობით გამოიყოს მებრძოლების ჯგუფი ,,შინსახკომი"-ს ჯარიდან, ექვსიდან ათ ადამიანამდე – შემოწმებული მებრძოლი კომუნისტებით, კომკავშირლებით.

დახვრეტა განხორციელდეს შაშხანების ზალპით, ბრძანებით – ,,სამშობლოს მოღალატეს ცეცხლი!"

განაჩენის შესრულების შემდეგ გვამი შესაბამის დგილზე ჩამარხეთ და აღსრულებაზე შეადგინეთ აქტის ორი ეგზემპლარი ,,შინსახკომში" წარსადგენად" (იხ. დოკ. №5).[127]

ამრიგად, ზეპირი გადმოცემების თანახმად, სწორედ ეს სიტყვები წაიკითხეს თელავში ,,გიგოს გორაზე" ჭირაქაძის დახვრეტის წინ. ვფიქრობ, უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საპასუხოდ ჭირაქაძის წამებახილიც რეალობას შეესაბამება, რადგან სხვა შემთხვევაში ხალხის მეხსიერება მას არ ,,შემოინახავდა".

უფრო მეტიც, ამ მასალებში არის სხვა დოკუმენტი, რომელიც უკვე პირდაპირ აკონკრეტებს და შეიძლება ითქვას, ავსებს გიორგი ჭირაქაძის დახვრეტის ისტორიას. დოკუმენტს ხელს აწერს შემდგომ პერიოდში ისტორიკოსი, იმ დროს კი, საქართველოს სსრ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი ალექსანდრე კოჭლავაშვილი. იგი 1943 წლის 11 მაისს, საქართველოს სსრ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს ,,შინსახკომის" პირველი განყოფილების უფროს მოროზოვს სწერს შემდეგს: ,,დახვრეტა გერმანელი აგენტ-პარაშუტისტის, ემიგრანტი ჭირაქაძე გ.ს.-ის მიზანშეწონილად მივიჩნევ განხორციელდეს თელავის რაიონში, ადგილზე

[126] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 12. საქმე 040, გვ. 24.
[127] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 12. საქმე 040, გვ. 20.

„გიგოს მთა – გორა“, ნადიკვრთან“ (იხ. დოკ. №6).[128] სავარაუდოდ სწორედ ამ მიწერილობამ გადაწყვიტა ჭირაქაძის დახვრეტა არა ციხეში, არამედ თელავში განეხორციელებინათ.

როგორც ვნახეთ, ამ დოკუმენტში უკვე პირდაპირ მითითებულია ჭირაქაძის დახვრეტის ადგილი. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, სადაც საბჭოთა პერიოდში დახვრეტის კონკრეტული ადგილის შესახებ გვაქვს წერილობითი წყარო შემორჩენილი.

საარქივო მასალებმა შემოინახა ჭირაქაძის დახვრეტის დოკუმენტური დადასტურებაც. ეს არის ე.წ. „დახვრეტის აქტი“:

„სავსებით საიდუმლოდ,

13 მაისი 1943 წელი. ქ. თელავი.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერებმა, „შინსახკომი“-ს ციხის უფროსი მუღალაშვილი, თელავის „შინსახკომი“-ს უფროსი კვაშალი, თელავის პროკურორის ამხანაგი გიგაური, შევადგინეთ ქვემდებარე აქტი შემდეგზე, რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, მესამე რანგის კომისარ რაფავას 1943 წლის 12 მაისის მოწერილობის თანახმად, განაჩენი

სსრკ-ს „შინსახკომ“-თან არსებული განსაკუთრებული თათბირის გადაწყვეტილების 1943 წლის 13 მარტის, უმაღლესი ზომა სოციალური დაცვის - დახვრეტა განესაჯელზე: 1. ჭირაქაძე გრიგოლი სამსონის ძე, დაბადებული 1909 წელს, მცხოვრები ქალაქი თბილისი, ემიგრანტი, საშუალო განათლებით, სისრულეში იქნა მოყვანილი 1943 წლის 13 მაისს, სახალხოდ ადგილზე „გიგოს მთა“. აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად „შინსახკომი“-ს 1 სპეც-განყოფილების უფროსისთვის.

„შინსახკომი“-ს შინაგანი ციხის უფროსი, კაპიტანი მუღალაშვილი

თელავის „შინსახკომი“-ს უფროსი კვაშალი

თელავის რაიონის პროკურორი გიგაური“.[129]

ამრიგად, როგორც ვნახეთ თელავის მოსახლეობაში შემორჩენილი ზეპირი ისტორია, 1943 წლის 13 მაისს „გიგოს გორაზე“ გიორგი ჭირაქაძის დახვრეტის გარემოებების შესახებ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სიმართლეს შეეფერება.

[128] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 12. საქმე 040, გვ. 25.
[129] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 12. საქმე 040, გვ. 26.


15. Aug. 1942

Ausweis Nr. 96

Der [redacted] Ebanoidze

geb. [redacted].1917 ist Angehöriger des Sonderkommandos OKW. Feldpostnummer 47585. Er ist durch Armbinde gekennzeichnet und ist berechtigt, sich zu jeder Tag- und Nachtzeit auch außerhalb seines Quartiers aufzuhalten.

Alle militärischen, polizeilichen und zivilen Dienststellen werden gebeten, ihm nötigenfalls Schutz und Hilfe zu gewähren.

Er ist berechtigt, Waffen zu tragen.

Dienststelle Feldpostnummer 47585


[redacted] Ebanoidze

Eigenhändige Unterschrift.

I. V.

Korvettenkapitän

დოკუმენტი №1


დოკუმენტი №2

НАШЕЛ:

ПИЦХЕЛАУРИ [redacted] в сентябре 1942 г. в группе 5 парашютистов агентов германской разведки немцами был заброшен на территорию Грузии с разведзаданием. После отсидки наказания ПИЦХЕЛАУРИ использовался упр. контрразведки "СМЕРШ" Закфронта на негласной работе по выполнению спецзаданий, однако, на работе себя не оправдал. Более того, ПИЦХЕЛАУРИ разоблачил себя как агента советской контрразведки перед посторонними лицами.

Кроме того, 19 января 1946 года в присутствии работников "СМЕРШ" Закфронта высказывал антисоветские суждения и восхвалял Гитлера.

[redacted]

ПОСТАНОВИЛ:

ПИЦХЕЛАУРИ [redacted]
фамилия, имя и отчество

проживающего по _____


подвергнуть аресту и обыску.

Ст. Следователь [redacted] Контрразв. „Смерш" [redacted] /КАЛАНТАРОВ/

„СОГЛАСЕН" [redacted] /ЗАМЕСТИТЕЛЬ НАЧАЛЬНИКА УПР. „СМЕРШ" ЗАКФРОНТА ПОЛКОВНИК [redacted] ЦИНЦАДЗЕ/

დოკუმენტი №3

დოკუმენტი №4



20 24.

СТРОГО СЕКРЕТНО
ТОЛЬКО ЛИЧНО

ной защиты РАССТРЕЛ в исполнение публично на месте задержания в Телавском р-не над осужденным задержанным германским агентом парашютистом:

1/ ЧИРАКАДЗЕ Григорий Самсонович- 1909г.р. урож.г.Тбилиси эмигрант, образование среднее, в момент ареста Нач.группы германской парашютной разведки.

Перед приведением приговора в исполнение сфотографировать осужденного ЧИРАКАДЗЕ Г.С. в 2-х экз.

К моменту доставки осужденного под усиленным конвоем из Тбилиси в г. Телави, а затем и на месте приведения приговора в исполнение не оповещать широко население, обеспечить при расстреле 15-20 чел. принимавших участие в задержании парашютиста.

Перед приведением приговора в исполнение разъяснить собравшимся трудящимся, что задержанный германский разведчик парашютист приговорен к Высшей мере наказания РАССТРЕЛУ, особо подчеркнуть, что он после выброски с германского самолета не явился добровольно с повинной в органы Сов. власти.

Выделить группу бойцов из Войск НКВД во главе со старшим или средним командиром, в составе от 6-10 чел., из числа проверенных бойцов коммунистов, комсомольцев.

Расстрел произвести из винтовок залпом под команду:
" По изменнику родине ОГОНЬ!"


По исполнении приговора, расстрелянного зарыть в надлежащем месте и об исполнении составить акт в 2-х экз. и вместе со всей перепиской предоставить в НКВД ГССР.

ПРИЛОЖЕНИЕ: Выписка из протокола Особого Совещания в отношении осужденного.

СПРАВКА: Осужденного ЧИРАКАДЗЕ Г.С. содержащегося под стражей во Внутренней тюрьме НКВД ГССР надлежит доставить под усиленным конвоем в Телавское РО НКВД ГССР.

1943г. НАРОДНЫЙ КОМИССАР ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР /РАПАВА/

დოკუმენტი №5



25 21.

Нач. I см. отдела НКВД СССР
Полковнику ГБ
г. Морозову

Расстрел германского агента - парашютиста, эмигранта Чиранашвили Г.Г. считаю целесообразным осуществить в Телавском районе в местности "Чигос мта" - гора" около Надиквара.

Жочиев

11/V-43 г.

დოკუმენტი №6

*Tengiz Simashvili*
Professor,
Iakob Gogebashvili Telavi State University, Georgia

## THE GERMAN LANDING IN KAKHETI: THE GEORGIANS IN THE WORLD WAR II

Summary

Our research deals with participation of the Georgians in the Second World War. In this article we focus on the Georgians in the special military unit of the German Army.

June 22, 2021 is noteworthy, just as it marks 80 years since the German invasion in the Soviet Union. It is still a matter of debate who were the Georgians fighters on the German side – patriots or traitors? What were the reasons for their struggle in the ranks of the German army? How many Georgians were united in the German army units and many other issues. Also, the cooperation of some Georgians with the special units of the German army has not been studied in details. In our study, we pay attention to one of the special forces of the German army – the so-called naval intelligence body. We are discussing about the activities of the Nachrichtenbeobachter (NBO).

The object of our research is specifically the story of the Georgian paratroopers who were trained in the Nachrichtenbeobachter and landed in Georgia on September 17, 1942 in Kakheti.

The oral tradition of the population of the city of Telavi claims that in Telavi so-called emigrant "Someone Chirakadze" was shot during the Second World War on "Gigo Hill", the place where in the 1920s people were executed by Soviets.

Describing the scenario of Chirakadze's shooting, it was noted that he shouted before the execution – "I am not a traitor, history will find out who is a traitor". This evidence became the starting point for finding the information about this person. It turned out from the archival materials that on May 13, 1943 Giorgi Samson Chirakadze was shot in Telavi. He fled from the USSR in 1930. In early 1942, based on the patriotic views, he decided to join the German army and "take part in the liberation of Georgia from the Communist Regime". He

studied at the Abwehr School in Stettin (Szczecin). In 1942 he became a major in the Wehrmacht naval intelligence.

The analysis of the materials that we found revealed that on September 17, 1942 Giorgi Chirakadze and four former prisoners of war were airlifted to Georgia, near Telavi, on the territory of Gombori Pass. The locals sheltered them, but Giorgi Chirakadze was betrayed to Soviets by his crew the former prisoners of war. He was arrested by Telavi district security.

The materials found during the research to some extent supplement the existing knowledge about the identities of the Georgian soldiers who fought in the ranks of the German Army and they reveal the activities of the German Army special forces in the Caucasus and Georgia.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII
თბილისი. 2021

*შალვა კიკალიშვილი*
ასისტენტ პროფესორი,
ქუვეითის ახლო აღმოსავლეთის ამერიკული უნივერსიტეტი, ელ-ქუვეითი

# ქართული სამხედრო შენაერთების მონაწილეობა ერაყის საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში (2003-2008)

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მალევე განაცხადა სურვილი მჭიდროდ დაკავშირებოდა ევროპულ რეალობას. ამის ერთ-ერთი მაგალითი 1992 წელს საქართველოს ჩრდილო ატლანტკური თანამშრომლობის საბჭოში გაერთიანება იყო. ეს პლატფორმა შემდგომში, 1997 წელს, გადაიზარდა ევრო-ატლანტიკური თანამშრომლბის საბჭოს ფორმატში.[1] ამავე პერიოდიდან ვითარდება ურთიერობა დღემდე ერთ-ერთ ყველაზე სანდო და მნიშვნელოვან პარტნიორთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან. თავად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 25 დეკემბერს აღიარა.[2] ქვეყნებს შორის პარტნიორობა მას შემდეგ უწყვეტად ვითარდება.

2001 წელს მოკავშირეთა თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადადის. ამ პერიოდიდან იწყება თავდაცვის მიმართულებით სხვადასხვა პროგრამის გაღრმავება, როდესაც საქართველო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეუერთდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდგომ.[3] მიღწეული

[1] Relations With Georgia. North Atlantic Treaty organization. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_38988.htm

[2] A Guide to the United States' History of Recognition, Diplomatic, and Consular Relations, by Country, since 1776: Georgia. Office of the Historian. https://history.state.gov/countries/georgia#:~:text=The%20United%20States%20recognized%20Georgia's,constituent%20republic%20of%20the%20USSR.

[3] თანამშრომლობა აშშ-სთან. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. https://mod.gov.ge/ge/page/119/tanamshromloba-ashsh-stan

შეთანხმებების შედეგად ქართული სამხედრო შენაერთები ჩაერთნენ სამშვიდობო მისიებში და დისლოცირდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ის რთული ვითარება რაც ქართველ სამხედროებს ომისშემდგომ ერაყში დაუხვდათ და გარკვეულწილად აღვნუსხოთ მრავალათასიანი ქართული სამხედრო მისიების წარგზავნის სხვადასხვა ასპექტი. შესაბამისად, ნაშრომი ორ ძირითად ნაწილად იქნება წარმოდგენილი. პირველ ნაწილში განვიხილავთ ერაყის ომისშემდგომ ვითარებას, აჯანყებების საწყისს, მაროდიორობასა და ტერირისტულ აქტებს. ასევე განხილულია მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური პირების ჩართულობა მიმდინარე პროცესებში. მეორე ნაწილში კი შევეხებით ერაყში ქართული მისიის დასაწყისსა და მის განვითარებას და ამერიკის შეერთებული შტატების როლს ქართველი სამხედროების წვრთნისა და აღჭურვის საქმეში.

2003 წლის 19 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო შენაერთები შევიდნენ ერაყში. 21 დღის შემდეგ ამერიკულმა ნაწილებმა ფაქტობრივად სრული კონტროლი დაამყარეს ერაყზე. მიუხედავად ამისა, ეს აღმოჩნდა კლასიკური მაგალითი, თუ როგორ შეიძლება „მოიგო ომი, მაგრამ წააგო მშვიდობა." ერაყის ტერიტორიის დაკავების შემდეგ აშშ-ს ხელისუფლება წააწყდა უამრავ ახალ პრობლემას, რომელთა გადაჭრას დიდი რესურსი და დრო დასჭირდა.

9 აპრილს აშშ-ს სამხედრო ძალები ბაღდადში გამოჩნდნენ, რაც ფაქტობრივად ერაყის მხრიდან ორგანიზებული წინააღმდეგობის დასასრულს ნიშნავდა. მიუხედავად ამისა, ეს არ აღმოჩნდა ერაყის კამპანიის ბოლო წერტილი. მართალია, სადამ ჰუსეინის დასამხობად წარმოებული კამპანია სამხედრო თვალსაზრისით ნამდვილად წარმატებული იყო, კოალიციურმა ჯარებმა საკმაოდ დიდი ზომისა და მოსახლეობის მქონე ქვეყანა 21 დღეში დაიკავეს, მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა ერაყელებსაც და კოალიციურ ჯარსაც უსაფრთხოების განცდა დაუკარგა. ამერიკელები ბევრად უფრო დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ მას შემდეგ, რაც დაამყარეს კონტროლი ერაყზე.

აჯანყებებთან გამკლავება იყო პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის ძირითადი დილემა. რესპუბლიკური პარტიის საგარეო პოლიტიკის მეთაურს აღარ სურდა სისუსტის გამოვლენა.[4] როგორც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის მოადგილემ ჯონ მაკლაფლინმ განაცხადა,

[4] B. Woodward. State of Denial: Bush at War Part III. New York: Simon and Schuster, 2006, e-Book. გვ. 474

ერაყის ავკანყება ოთხი ძირითადი ფრაქციის მიერ იყო ორგანიზებული: ყოფილი ბაასისტების, ყოფილი მებრძოლების, ერაყის ნაციონალისტებისა და ტომების მიერ.[5] ირანსაც დიდი გავლენა ჰქონდა ერაყში. ირანის რევოლუციურ რაზმს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა გზებზე ბომბების განლაგებაში, რამაც მრავალი ამერიკელის სიცოცხლე იმსხვერპლა.[6] 2010 წლის იანვარში პრემიერმა ტონი ბლერმა განაცხადა, რომ პოსტსადამური ერაყის ერთ-ერთი ასპექტი, რაც არავის მოსვლია აზრად, იყო ის, რომ ირანი მზარს დაუჭერდა ალკაიდას. ამ შემთხვევაში ფიქრობდნენ, რომ ეს ორი „სამყარო" ერთმანეთს არასდროს შეერეოდა. რაც გაუთვალისწინებლად მოხდა, იყო ის, რომ ორივეს საერთო ინტერესი გამოუჩნდა – ერაყის დესტაბილიზაცია.[7]

ამ ალიანსს კიდევ ერთი ღერძი ჰქონდა. ჯორჯ ბუშ უმცროსის ადმინისტრაციაში თავდაცვის მინისტრის მოადგილე დაგლას ფეისი აღნიშნავს, რომ ბუშის ადმინისტრაცია ელოდა შურისძიებებს, მაროდიორობას, ტერორისტულ თავდასხმებს, ერაყში ძალადობის აღზევებას მეზობელი ქვეყნების მიერ, მაგრამ არავინ ელოდა მდგრად ამბოხებას, რომელსაც დამხობილი ბაასისტები უხელმძღვანელებდნენ უცხოელ ჯიჰადისტებთან ერთად.[8] როდესაც ერაყი დაეცა, ბაასისტებმა გადაწყვიტეს, რომ ისლამი იყო ყველაზე კარგი საშუალება ამბოხების გასაძლიერებლად და გასაგრძელებლად. ამიტომ რადიკალმა ჯიჰადისტებმა და ყოფილი რეჟიმის წევრებმა საერთო ენა გამონახეს.[9] ფეისი დამატებით აღნიშნავს, რომ ამერიკას არ გაახსენდა 1996 წლის ოსამა ბენ ლადენის ფატვა,[10] სადაც იგი ომს უცხადებდა ამერიკას არაბეთის ნახევარკუნძულზე სამხედროების განთავსების გამო და ამას სამხედრო ოკუპაციას უწოდებდა. ამის შესახებ აქცენტი არც პენტაგონს გაუკეთებია და არც ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს მოუხდენია მისი ხაზგასმა.[11] ფეისი ირწმუნება, რომ ასეთი სახის ამბოხებას არც დაზვერვის ოფიცრები და არც პოლი-

[5] B. Woodward. State of Denial: Bush at War Part III. p.261-562

[6] T. Blair. Rt Hon Tony Blair transcript. The Iraq Inquiry. 2010. http://www.iraqinquiry.org.uk/media/45139/20100129-blair-final.pdf

[7] T. Blair. Rt Hon Tony Blair transcript. The Iraq Inquiry.

[8] D. Feith. War and Decision: Inside the Pentagon at the Dawn of the War on Terrorism. New York: Harper Collins Publishers, 2008, e-Book. გვ. 415

[9] M. Gordon, B. Trainor. Cobra II: The Inside Story of the Invasion and Occupation of Iraq. London: Atlantic Books, 2007, e-Book. გვ. 586

[10] O. Bin Laden Fatwa Nr. 1. 1996. https://is.muni.cz/el/1423/jaro2010/MVZ203/OBL___AQ_-_Fatwa_1996.pdf

[11] D. Feith. War and Decision: Inside the Pentagon at the Dawn of the War on Terrorism. გვ. 407

ტიკის აღმსრულებლები არ ელოდნენ. ბაასისტებმა, ჯიჰადისტებთან თანამრომლობით, შეძლეს ზიანის მომტანი სამხედრო კამპანიის გაჩაღება ერაყში.[12]

ერაყის რეკონსტრუქცია საგრძნობლად დააზარალა დაწყებულმა აფეთქებების სერიამ. თავდაპირველად ბაღდადში იორდანიის საელჩო ააფეთქეს 2003 წლის 7 აგვისტოს. 19 აგვისტოს გაერთიანებული ერების ცენტრალური ოფისის აფეთქებას გაეროს სპეციალური წარმომადგენელი სერჟიო ვიეირა დე მელო და გაეროს თანამშრომლები ემსხვერპლნენ.[13] აიათოლა მოჰამედ ბაქირ ალ ჰაკიმისა და მისი მიმდევრების მცირე ჯგუფის მკვლელობამ 29 აგვისტოს ასევე დიდი გავლენა იქონია. ეს აფეთქებები მოასწავებდნენ ამბოხებების დაწყებას.[14]

ამბოხების, რომლის საწყის ეტაპში თავად ჰუსეინიც მონაწილეობდა, მეთაურებმა შექმნეს ოთხნაწილიანი გეგმა. მათი მიზანი იყო, პირველ რიგში, განედევნათ ოკუპანტები, დაესუსტებინათ ერაყის ინსტიტუტები, შეექმნათ ერაყელებში უკმარისობის გრძნობა ახალი ხელისუფლების მიმართ და შეენარჩუნებინათ სუნიტების გავლენა.[15]

2003 წლის აპრილში აღმოაჩინეს ერაყის სადაზვერვო სააგენტოს – მუხაბარატის ბრძანება. იგი შეიცავდა სამოქმედო გეგმას ბაასის მთავრობის, სადამის ფიდაინებისა და დაზვერვის წევრებისათვის სადამის რეჟიმის დამხობის შემთხვევაში. ბრძანება შეიცავდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობაში მყოფთა დახოცვის, სამინისტროების დაწვის, მაროდიორობისა და დოკუმენტთა განადგურების მითითებას. ყველაფერი უნდა ექნათ ერაყში ქაოსის გასაღვივებლად. ბრძანება ბაასის პარტიის ყველა წევრს ურჩევდა ჯოჯოხეთის მოწყობას ერაყში სადამის დამხობის შემთხვევაში.[16] 2003 წლის 23 იანვრით დათარიღებულ ბრძანებაში კი მითითება კეთდებოდა ოფიცრებისადმი, რა უნდა ექნათ, თუ ერაყს დაიპყრობდნენ. საბოტაჟისა და მაროდიორობის გარდა ელექტროსადგურები უნდა გაენადგურებინათ და შიიტთა წმინდა ადგილებში შეეღწიათ.[17] მართალია, ჩვენს ხელთ არსებულ არც ერთ წყაროში ამაზე საუბარი არ არის, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ამ ბრძანების აღმოჩენამ გამოიწვია დებაასიფიკაციის მასშტაბების ზრდა.

[12] D. Feith. War and Decision: Inside the Pentagon at the Dawn of the War on Terrorism. გვ. 275
[13] P. Symonds. The UN bombing: a product of the US occupation of Iraq. 20 August. 2003. http://www.wsws.org/en/articles/2003/08/iraq-a20.html
[14] D. Feith. War and Decision: Inside the Pentagon at the Dawn of the War on Terrorism. გვ. 449
[15] M. Gordon, B. Trainor. Cobra II: The Inside Story of the Invasion and Occupation of Iraq. გვ. 584
[16] B. Woodward. State of Denial: Bush at War Part III. გვ. 184
[17] B. Woodward. State of Denial: Bush at War Part III. გვ. 184

2003 წლის ივლისისთვის კოალიციური დროებითი მთავრობის მეთაური პოლ ბრემერი გაღიზიანებას ვერ მალავდა პენტაგონის გულგრილობის გამო, რასაც იგი მიმდინარე ამბოხებების მიმართ იჩენდა. ბრემერი ფიქრობდა, რომ სამხედროები, რომლებიც თავდაცვის მდივანმა დონალდ რამსფელდმა დანიშნა, ცდილობდნენ აშშ-ს ჯარების გაყვანას ერაყიდან.[18] ბრემერი თვლიდა, რომ აშშ-ს სამხედროებს „უჭირდათ მტერთან საბრძოლველად სათანადო ეფექტური საშუალებების მოძებნა."[19]

2004 წლის 31 მარტს, როდესაც ამბოხება მოძლიერებული იყო და ფალუჯას კრიზისიც იწყებოდა, პრეზიდენტმა ჯორჯ უოკერ ბუშმა გააკეთა განცხადება. მან აღნიშნა: „ჩვენ კვლავ ვებრძვით ავაზაკებსა და ტერორისტებს ერაყში, რომლებიც უდანაშაულოთა მკვლელობებზე უფრო წავლენ, ვიდრე თავისუფლების უპირატესობას აღიარებენ." მან ასევე დაამატა, რომ ამერიკელებმა გადაწყვიტეს, აღდგომოდნენ ამ პრობლემას. „მკვლელების ეს ნაკრები ვერ აღუდგება წინ ჩვენ სურვილს. ამერიკა არასდროს იქნება შეშინებული ავაზაკებისა და მკვლელების მიერ. ჩვენ აგრესიულად დავარტყამთ ტერორიზმს ერაყში."[20] ამერიკის ტაქტიკა ამბოხების ჩასახშობად წარმატებული იყო დროის მცირე მასშტაბში, თუმცა მას მრავალი ხარვეზი ჰქონდა სტრატეგიის მხრივ.

ვიცე-პოლკოვნიკ სტივენ პეტერსონის აზრით, საჰაერო და სახმელეთო კამპანია, რასაც შოკი და შიში უნდა მოეტანა ბაღდადის რეჟიმის დამხობასთან ერთად, დამღუპველი იქნებოდა ერაყის აღდგენითი პროცესისა და წესრიგის შენარჩუნ-ებისათვის. მისი აზრით, აღდგენითი პროცესისათვის სხვა სახის მართვისა და კონტროლის დამყარება იქნებოდა საჭირო. სამხედრო და საპოლიციო ძალები კვლავ საქმეში უნდა ჩაბმულიყო. მისივე თქმით, სამხედროთა ყოველი ძალისხმევა აღიქმებოდა, როგორც ომის შემდგომი ერაყისათვის გათვალისწინებული სტრატეგიის ნაწილი.[21]

ბუშის ადმინისტრაცია ალბათ არც ელოდა, ბაღდადი ასე მალე თუ დაეცემოდა. მხოლოდ სამი კვირა და მცირე სამხედრო ძალისხმევა დასჭირდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობას. ბუშის ადმინისტრაციის აზრით, უფრო გრძელვადიანი ომი გამოიწვევდა გაცილებით მეტ დანაკარგებს ბრძოლის ველზე.

[18] P. Bremer, M. McConnell. My Year in Iraq: The Struggle to Build a Future of Hope. New York: Simon & Schuster, 2006, e-Book. გვ. 106

[19] P. Bremer, M. McConnell. My Year in Iraq: The Struggle to Build a Future of Hope. გვ. 220

[20] B. Woodward. State of Denial: Bush at War Part III. გვ. 297

[21] M. Gordon, B. Trainor. Cobra II: The Inside Story of the Invasion and Occupation of Iraq. გვ. 168

იგივე ლოგიკით, დანაკარგების თავიდან ასაცილებლად, სადამის ჩამოგდების შემდეგ ერაყში ამერიკელი სამხედროების არასაკმარისი რაოდენობა იქნა გაგზავნილი,[22] ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ქაოსს და ავანყების წამოწყებას. ცენტრალური სარდლობის მეთარუმა, გენერალმა ტომი ფრენკსმა ეს ადრევე გაითვალისწინა და ამას „კატასტროფული წარმატება" უწოდა.[23]

ავანყებების ერთ-ერთი მთავარი მაპროვოცირებელი მიზეზი გახდა მარიდიორობა. საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება უმთავრესი ფაქტორი იყო ერაყში სტაბილურობის შესაქმნელად და ერაყელთა მხრიდან განმათავისუფლე-ბლებისადმი ნდობის დასამყარებლად. გენერალ ჯეი გარნერის მიერ თეთრ სახლში შეტანილი წინადადება ერაყში საპოლიციო მრჩეველების წარგზავნის შესახებ, რათა წესრიგი და კანონი აღედგინათ, მალევე უარყვეს.[24] პრემიერი ტონი ბლერის განცხადებით, არსებობდა მოლოდინი, რომ კოალიციური ძალები ჩავიდოდნენ სამოქალაქო სერვისით სრულად გამართულ ერაყში და ერაყის პოლიცია საშინაო უსაფრთხოებას თავის თავზე აიღებდა. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, რადგან პოლიციაში მრავლად იყვნენ ბაასის პარტიის წარმომადგენლები. ბაასისტები არ გამოცხადდნენ სამსახურში, ხოლო სხვა თანამშრომლები, სასჯელის თავიდან არიდების მიზნით, არ დაბრუნდნენ უკან. დამატებით, კორუფციის გამო ერაყის პოლიციას სუსტი რეპუტაცია და იმიჯი ჰქონდა.[25] 2003 წლის 10 მარტს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე ეროვნული უსაფრთხოების თავდაცვის შტაბის დირექტორმა ფრენკ მილერმა განაცხადა, რომ კონფლიქტის შემდგომ სტაბილურობის შესანარჩუნებლად კანონის უზენაესობის წარმატებით დამყარება კრიტიკული იქნებოდა. ეს კი რეკონსტრუქციისა და აღდგენის სამუშაოებს გაამარტივებდა.[26]

ცენტრალური მმართველობის წარმომადგენლებს მიეცათ ინსტრუქცია, არ მოეხდინათ „ომისშემდგომ მოვლენებზე რეაგირება", უმთავრესად იმ მოტივით, რომ სათანადო რაოდენობის სამხედრო პერსონალი არ ჰყავდათ.[27]

---

[22] P. Galbraith. Unintended Consequences: How War in Iraq Strengthened America's Enemies. New York: Simon and Schuster, 2008, e-Book. გვ. 50

[23] T. Franks, M. McConnell. American Soldier. New York: HarperCollins, 2004, e-Book. გვ. 392

[24] M. Gordon, B. Trainor. Cobra II: The Inside Story of the Invasion and Occupation of Iraq. გვ. 180

[25] T. Blair. A Journey: My Political Life. Chapter 15 Iraq: The Aftermath. New York: Vintage Books, 2010, e-Book.

[26] B. Woodward. Plan of Attack. New York: Simon & Schuster, 2004, e-Book. გვ. 39

[27] G. Packer. The Assassins' Gate: America in Iraq. New York: Farrar, Straus and Giroux, 2005, e-Book. p.123

დონალდ რამსფელდმა ამავე პერიოდში ჩამოაყალიბა საკუთარი მიდგომა, რომელიც რამსფელდის დოქტრონის სახელით გახდა ცნობილი. რამსფელდის დოქტრინის უმთავრესი პრინციპი იყო ჯარის გარდაქმნა კარგად დაფინანსებულ, მაღალტექნოლოგიურ ძალად, რომელიც მინიმალური დანაკარგებით გამანადგურებლად იმოქმედებდა ნებისმიერ წერტილში.[28]

მორიგი პრობლემა, რაც ამერიკამ ერთგვარად ხელოვნურად შექმნა, ერაყის არ-მიის დაშლა იყო. შეჭრამდე რამდენიმე ხნით ადრე უილიამ ლუტის სპეციალური დაგეგმვის სამსახურმა 2003 წლის 21 იანვარს წარმოადგინა გეგმა, რომელიც ითვა-ლისწინებდა შესაძლო რეფორმებს ან ახალი არმიის ჩამოყალიბებას. გარნერმა, თავის მხრივ, სხვა გეგმა წარმოადგინა. ამან განსაზღვრა ერაყის არმიის როლი რეკონს-ტრუქციის პროცესში. იგი მოექცეოდა სამოქალაქო კონტროლის ქვეშ.[29] ომის დაწყებისას სახმელეთო შემადგენლობის მეთაურ გენერალ დევის მაკკირმანს სჯეროდა, რომ ომის შემდგომ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ერაყის არმიის გამოყენება შეიძლებოდა. გარნერს კი სურდა ამ სამხედროების იაფ მუშახელად გა-მოყენება, სანამ მათ ახალი ერაყული არმიისთვის გადაამზადებდნენ. ამას კი იგი საჭიროდ თვლიდა საკუთარი პერსონალის სიმცირის გამო.[30] გარნერმა მოახსენა უფროსობას, პრეზიდენტის ჩათვლით, ერაყის არმიის შენარჩუნების შესახებ. მისი წინადადება დაამტკიცეს ხელფასების დანიშვნასთან ერთად.[31] ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს კრებაზე 2003 წლის 12 მარტს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დაგლას ფეისმა განაცხადა, რომ ერაყის რეგულარული არმიის დაშლაზე თავი უნდა შეეკავებინათ. მისი აზრით, არმიის 3-5 დივიზიის გამოყენება შეიძლებოდა ახალი ერაყული არმიის ბირთვად. ფეისის გეგმა იყო, „უცებ არ მოეხდინათ დემობილიზაცია და ხალხი ქუჩაში არ გაეყარათ, არამედ ისინი გამოეყენებინათ აღმშენებელ ძალად„,[32] ფრენკ მილერის აზ-

[28] B. Graham. Chapter 14. By His Own Rules: The Ambitions, Successes and Ultimate Failures of Donald Rumsfeld. New York: Public Affairs, 2009, e-Book. B. Buley. Chapter 4. The New American Way of War: Military Culture and the Political Utility of Force. London: Routledge, 2008, e-Book. A. J Bacevich. Chapter 6. The New American Militarism: How Americans are Seduced by War. Oxford University Press, 2005, e-Book. J. Kitfield. Chapter 2. Chapter 3.War and Destiny: How the Bush Revolution in Foreign and Military Affairs Redefined American Power. Washington, D.C.: Potomac Books, 2005, e-Book. D. R Herspring. Chapter 2. Rumsfeld's Wars: The Arrogance of Power. Kansas University Press, 2008, e-Book.

[29] D. Feith. War and Decision: Inside the Pentagon at the Dawn of the War on Terrorism. გვ. 367

[30] M. Gordon, B. Trainor. Cobra II: The Inside Story of the Invasion and Occupation of Iraq. გვ. 236

[31] G. Packer. The Assassins' Gate: America in Iraq. e-Book. გვ. 133

[32] B. Woodward. Plan of Attack. Cahpter 31. e-Book.

რით, ერაყის არმიის შემცირება შეიძლებოდა, თუმცა მისი გამოყენებაც უნდა მომხდარიყო კონკრეტული სარეკონსტრუქციო პროექტებისათვის.[33]

აჯანყება არ იყო გარდაუვალი. იგი გააძწვავა სამხედრო და პოლიტიკურმა შეც-დომებმა. აშშ-მ ვერ შეძლო ომის შემდგომი ოპერაციებისათვის მომზადება, მას შემ-დეგ, რაც გადაწყვიტა ომი მინიმალური სამხედრო ძალებით დაეწყო. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ძალებისა და დამხმარე შენაერთების განთავსების უარყოფით, ერაყის არმიის დაშლითა და ათასობით შეიარაღებული ადამიანის ქუჩაში გაშვებით, ად-გილობრივი არჩევნების ჩაუტარებლობით დიდი ზიანი მიადგა ომისშემდგომ სტაბი-ლიზაციას.

არმიის დაშლისა და დროებითი მთავრობის დამყარების პარალელურად მიმ-დინარეობდა ერაყის სახელმწიფო უწყებების გაწმენდა ბაასისტური ელემენტებისაგან. გარდამავალი პერიოდისათვის წარმომადგენლობითი და რაიმე მნიშვნელობის მქონე მთავრობის შესაქმენლად, ბრემერმა დაიწყო ,,ბაასის მთავრობის მოშორების გა-დაჭარბებულ,, მნიშვნელობაზე გადაკვრით საუბარი. ეს იყო აშშ-ს სტრატეგიაში ცვლილების ერთგვარად ფარული აღიარება. საყურადღებო ფაქტორია ახალ მთავრო-ბაში დიდი რაოდენობის სუნიტების თანამონაწილეობაც.[34] კოალიციის დროებითი მთავრობის ბრძანებები ერაყის ხელისუფლების დებაასიფიკაციასა და არმიის დაშლაზე იყო ძირითადი შემაგულიანებელი და წამაქეზებელი ფაქტორი აჯანყებებისათვის.[35]

2003 წლის 4 ნოემბერს ბრემერმა შეადგინა ,,კოალიციური დროებითი მთავრობის მემორანდუმი ნომერი 7,, და მმართველ საბჭოს მიანიჭა უფლება, მოეხდინა ერაყის საზოგადოების გაწმენდა ბაასისტებისაგან კოალიციური დროებითი მთავრობის ნომერ პირველი ბრძანების შესაბამისად. ეს პროცესი განხორციელდა უმაღლესი ეროვნული დებაასიფიკაციის კომისიის მიერ, რომელსაც აჰმედ ჩალაბი მეთაურობდა. ბრემერი წერს, რომ მან ერაყელთა მოთხოვნას მეტი ძალაუფლების შესახებ პროცესის მსვლელობისას ეტაპობრივად უპასუხა. საბოლოოდ, ბაასისტებისაგან ერაყის გაწმენდა ერაყელ პოლიტიკოსებს დაევალათ, რაც, ბრემერის აზრით, შეცდომა იყო.[36] ჩვენი აზრით, ბრემერი ამ შემთხვევაში სწორია, რადგანაც ერაყელების საქმისადმი მიდგომამ და

[33] G. Packer. The Assassins' Gate: America in Iraq. e-Book. გვ. 129

[34] A. Allawi. The Occupation of Iraq: Winning the War, Losing the Peace. Yale University Press, 2007, e-Book p.283

[35] A. Allawi. The Occupation of Iraq: Winning the War, Losing the Peace. p.283

[36] P. Bremer. J. Dobbins. D. Compert. Early Days in Iraq Decision of The CPA. Survival Vol. 50, No. 4. 2008. გვ. 21-56 http://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/00396330802328925

კლანურ-ნათესაური ურთიერთობებმა ამ პროცესზე უარყოფითი გავლენა ნამდვილად მოახდინა. დებაასიზაციის პროცესის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ამერიკა აირიდებდა იმ პრობლემებს, რაც ერაყში შეიქმნა.

ზემოხსენებული მიზეზების გარდა გარდა, ერაყში კრიზისის აღზევებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თურქეთმა, რომელმაც არ მისცა უფლება აშშ-ს ძალებს ერაყის ჩრდილოეთში გადაადგილებულიყვნენ, რის გამოც რეგიონში ამერიკული ძალების რაოდენობა ვერ გაიზარდა.[37]

ერაყის ოკუპაციის საწყისი პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა. ამერიკელების მიერ ამ დროს დაშვებულ შეცდომებს გრძელვადიანი ეფექტი აღმოაჩნდა. ბუნებრივია, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება უცხო ქვეყნის ძალებისადმი პრაქტიკულად ყოველთვის უარყოფითია, ხოლო როდესაც საოკუპაციო ნაწილები ვერ ახერხებენ ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას და აგვიანებენ სამოქალაქო ხელისუფლების გადაცემას, ეს კიდევ უფრო ზრდის უკმაყოფილებას. ხშირად ეს იწვევს არა მარტო სიტუაციის გამწვავებას, არამედ ახალი გარეშე მოთამაშეების გამოჩენასაც. სწორედ ასე მოხდა ერაყში და გარკვეულწილად ირონიული გამოდგა ის ფაქტი, რომ დღე როდესაც ამერიკამ მოიგო ომი ერაყთან, ასევე იქცა დღედ, როდესაც მან იგი დაკარგა.

პრემიერი ტონი ბლერი ასკვნის, რომ ერაყში ვითარების გართულების კიდევ ერთი მიზეზი იყო ირანისა და ალ-კაიდას ერთობლივი ხელის შემშლელი როლი.[38] საზღაური, რაც ამერიკამ და მისმა საგარეო პოლიტიკამ გადაიხადა, იყო შესამჩნევი. ნაცვლად იმისა, რომ მძლავრი მესიჯი გაეგზავნათ ირანისა და ჩრდილო კორეისათვის, ამერიკა ერაყში მიმდინარე რთულ პროცესებში აღმოჩნდა ჩართული. არ გაამართლა იმედმაც, რომ ერაყი გახდებოდა ერთგვარი „დემოკრატიის ლოკომოტივი" ახლო აღმოსავლეთში. ეს ისედაც რთული მისაღწევი იქნებოდა, მაგრამ მას შემდეგ, დემოკრატიაზე გადასვლის სიცოცხლისუნარიანობის ჩვენების ნაცვლად, ეს პროცესი ძალიან რთულად წარმოჩინდა, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები მარტო აღმოჩნდნენ და სხვა ერების ჩართვაც ვერ უზრუნველყვეს.[39] სუნიტურ ელიტას დემოკრატია არ მოსწონდა, რადგან ეს შიიტურ უმრავლესო-

[37] K. von Hippel. State-Building After Saddam: Lessons Lost. In: The Future of Kurdistan in Iraq. Ed. Brendan O'Leary, John McGarry and Khaled Salih. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 2005, e-Book. გვ. 255

[38] T. Blair. A Journey: My Political Life. Chapter 15 Iraq: The Aftermath.

[39] M. Gordon, B. Trainor. Cobra II: The Inside Story of the Invasion and Occupation of Iraq. გვ. 582

**16) პაპაშვილი მურმან გულიკოს ძე.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს 1998 წლის 24 ივნისის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა პროფესორი დავით კაციტაძე. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეებში“.*

**17) სანიკიძე გიორგი თამაზის ძე.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს 2001 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე,

რომელსაც თავმჯდომარეობდა პროფესორი დავით კაციტაძე. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„შიიზმი და სახელმწიფო ირანში“.*

**18) სანიკიძე გუბაზ ლევანის ძე.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს 1999 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა პროფესორი დავით კაციტაძე. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„ანტიკურ-რომაული რესპუბლიკის კრიზისი და დაცემა (ძვ. წ. I საუკუნე)“.*

**19) სურგულაძე კახაბერ აბელის ძე.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს 2002 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა პროფესორი დავით კაციტაძე. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„ციცერონი და სამოქალაქო ომი რომში (49-45 წლები)“.*

**20) სურგულაძე ნუგზარ ივანეს ძე.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს 1993 წლის 9 ივნისის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა პროფესორი დავით კაციტაძე. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა“.*

**21) ტატიშვილი ირინე მიხეილის ასული.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს 2002 წლის 19 ივნისის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა პროფესორი დავით კაციტაძე. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„ხეთური რელიგია. გენეზისი, ფორმირება, პანთეონის სტრუქტურა“.*

**22) ტიკაძე მერაბ ილიას ძე.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს 2003 წლის 24 დეკემბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა პროფესორი დავით კაციტაძე. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„ოსმალთა ბატონობა სირიაში და ისლამური ინსტიტუტები (კონსერვატიზმი და ევოლუციის ნიშნები, XVIII ს.)“.*

**23) ხუბაშვილი ლეილა ბაგრატის ასული.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს 2003 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა პროფესორი დავით კაციტაძე. საკვალიფი-

კაციო ნაშრომის თემა: *„ვენეციისა და ფლორენციის დიპლომატია XIII-XV საუკუნეებში“.*

5) სპეციალობა – **„კავკასიის ისტორია“**

**1) კელაპტრიშვილი ზაქარია გურამის ძე.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს 2006 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„საქართველო-დაღესტნის ურთიერთობა უძველესი დროიდან – XVIII საუკუნის ბოლომდე“.*

6) სპეციალობები: **„ეთნოგრაფია“, „ეთნოლოგია“, „ანთროპოლოგია“, „ფიზიკური ანთროპოლოგია“**

**1) აბასოვი არიფ აკიმ ოღლი** *(ბაქო, აზერბაიჯანის რესპუბლიკა).*

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს 1994 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თინათინ ოჩიაური. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„ცხოვრების წესი აზერბაიჯანის ახალ ქალაქებში XX საუკუნის 70-იან წლებსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში (ეთნო-სოციოლოგიური გამოკვლევა)“.*

**2) აბაკელია ნინო კონსტანტინეს ასული.**

ხარისხი მიენიჭა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სადისერტაციო საბჭოს 1997 წლის 27 ივნისის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში“.*

**3) ბახია-ოქრუაშვილი სალომე ივანეს ასული.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს 2006 წლის 24 თებერვლის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები. კავკასიის ეთნოლოგიის საკითხები“.*

**4) ბითაძე ლიანა ოთარის ასული.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს 2006 წლის 22 დეკემბრის სხდო-

მაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„კავკასიონის ტიპის გენეზისი (ანთროპოლოგიური მონაცემების მიხედვით)“.*

**5) გოცირიძე გიორგი შალვას ძე.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს 2002 წლის 26 აპრილის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„ქართული ტრადიციული ყოფითი კულტურა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში (კვების ხალხური სისტემა და სუფრის ტრადიციები, ხალხური ეტიკეტი)“.*

**6) კანდელაკი მარინა ბიძინას ასული.**

ხარისხი მიენიჭა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის სადისერტაციო საბჭოს 1997 წლის 6 ივნისის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„სოციალური სიმბოლიკა ქართველ მთიელთა ტრადიციულ ყოფაში“.*

**7) კახიძე ნოდარ აბდულის ძე.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს 2001 წლის 16 ნოემბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“.*

**8) მელიქიშვილი ლიანა შალვას ასული.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს 2001 წლის 28 სექტემბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„ტრადიციული კულტურის როლი ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში (კონფლიქტი და სოციალური განწყობა ჯავახეთის პოლიეთნიკურ საზოგადოებაში)“.*

**9) მიმინოშვილი ოთარ გიორგის ძე.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს 2003 წლის 28 მარტის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„ეთნოლოგიის განვითარებისა და ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები საქართველოში“.*

**10) მინდაძე ნუნუ რევაზის ასული.**

ხარისხი მიენიჭა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის სადისერტაციო საბჭოს 2000 წლის 18 თებერვლის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თინათინ ოჩიაური. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა“.*

**11) ნადირაძე ელდარ შალვას ძე.**

ხარისხი მიენიჭა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის სადისერტაციო საბჭოს 1998 წლის 13 ნოემბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თინათინ ოჩიაური. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„საქართველოს მემორიალური კულტურა“.*

**12) ნანობაშვილი ბიძინა ილიას ძე.**

ხარისხი მიენიჭა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის სადისერტაციო საბჭოს 1997 წლის 28 ნოემბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თინათინ ოჩიაური. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„საოჯახო მეურნეობა კახეთში XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ და XX საუკუნის პირველ მეოთხედში“.*

**13) სურგულაძე ირაკლი კონსტანტინეს ძე.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს 1994 წლის 15 ივნისის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თინათინ ოჩიაური. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა“.*

**14) ფუტკარაძე თამაზ ქაზიმის ძე.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს 2002 წლის 4 ოქტომბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“.*

**15) ცაგარეიშვილი თამილა შალვას ძე.**

ხარისხი მიენიჭა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის სადისერტაციო საბჭოს 2000 წლის 3 თებერვლის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თინათინ

ოჩიაური. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„ტყეთსარგებლობის ეთნოეკოლოგიური კულტურა საქართველოში“.*

**16) ხუციშვილი ქეთევან გიორგის ასული.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს 2005 წლის 25 მარტის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„რელიგიური ფაქტორის გავლენა ეთნოკულტურულ იდენტიფიკაციასა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებზე“.*

**17) ჯამირზაევი სალმან მირზაკის ძე** *(გროზნო, ჩეჩნეთის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია).*

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს 1999 წლის 23 სექტემბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„საქართველოს და კავკასიის ძველი ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ნახურ ტომთა ისტორიისათვის III-I ათასწლეულებიდან – ჩვენს ერამდე“.*

**18) ჯანიაშვილი ლავრენტი მამიას ძე.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს 2006 წლის 6 ოქტომბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის ეთნოკულტურული და ეთნოსოციალური პრობლემები“.*

7) სპეციალობა – **„ისტორიული კულტუროლოგია“**

**1) ბახტაძე ინგა ვლადიმერის ასული.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს 2002 წლის 20 მაისის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„ქართული მუსიკალურ-ესთეტიკური კულტურის განვითარების ძირითადი ისტორიული პრობლემები (ქართული კულტურა – დასავლეთი)“.*

**2) მჭედლიშვილი გიორგი მიხეილის ძე.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს 2002 წლის 13 მაისის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ძირითადი მიმართულებები და „ვეფხისტყაოსანი“.*

**3) ჩიქოვანი ნინო ილარიონის ასული.**

ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს 2002 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა: *„საქართველოს კულტურული რაობა და ცივილიზაციური კუთვნილება ცივილიზაციათა თეორიის კონტექსტში“.*

***შეადგინა ნიკო ჯავახიშვილმა***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII
თბილისი. 2021

ანგარიში

*ალექსანდრე ბოშიშვილი*
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

*ლერი თავაძე*
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

*ეკა კვირკველია*
თსუ

*აკაკი ჩიქობავა*
თსუ

# კვირიკე რანთა და კახთა მეფის ასულის ელენეს ეპიტაფია

## წარწერის შესახებ

კალაური კახეთის მხარის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელია. მის ტერიტორიაზე არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია. მათი დიდი ნაწილი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაკლებადაა შესწავლილი და წლების განმავლობაში მკვლევართა ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი. გამორჩეულ ისტორიულ ძეგლებს შორისაა კალაურის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. სამონასტრო კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკლესიას.

იოანე ნათლისმცემლის ეკლესია სამეკლესიან ბაზილიკას წარმოადგენს. სამი ნაგებობა ერთმანეთთან ყრუ კედლებითაა დაკავშირებული და ერთი დიდი ტაძრის დამოუკიდებელ ეკლესიებს ჰქმნიან.[1] ამათგან ჩვენ გვაინტერესებს სამხრეთი ეკლესია.

კალაურის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ტერიტორიაზე 2007 წელს არქეოლოგიური-გაწმენდითი სამუშაოები დაიწყო, რომელსაც არქეოლოგი გიორგი რჩეულიშვილი ხელმძღვანელობდა, ეკლესია ხელოვნებათმცოდნეობითი და არქიტექტურული კუთხით თამაზ დვალმა შეისწავლა.[2] აღნიშნუ-

[1] თ. დვალი, გ. რჩეულიშვილი. ნათლისმცემლის მონასტერი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. I-I (გუჯაანის, დედოფლისწყაროს, ყვარლის მუნიციპალიტეტები). თბ. 2013, გვ. 148-157.

[2] თ. დვალი, გ. რჩეულიშვილი. ნათლისმცემლის მონასტერი, გვ. 156-157.

ლი სამუშაოების შედეგად მონასტრის ტერიტორიაზე გამოვლინდა საფლავი, ის დაახლ. 45-50 წლის ქალს ეკუთვნოდა.[3] ამ აღმოჩენების შემდეგ გამოითქვა ვარაუდი, რომ კომპლექსი დედათა მონასტერი იყო, რომელიც IX საუკუნეში უნდა აეგოთ.[4]

ათი წლის შემდეგ, 2017 წლის აგვისტოში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოებულ სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოებისას კალაურის იოანე ნათლისმცემლის ტაძრის სამხრეთი ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის წინ გამოვლინდა სამარხი. მასთან ერთად აღმოჩნდა საფლავის წარწერაც. ამავე სააგენტოს ფეისბუქის ოფიციალური გვერდის მიხედვით, საფლავი, სავარაუდოდ, კვირიკე III დიდის განსასვენებელი გახლდათ. თავდაპირველი იდენტიფიკაცია მოხდა ზემოხსენებული წარწერის მიხედვით, რომელზეც გარკვევით იკითხება „რანთა და კახთა მეფე კვირიკე".[5] აღნიშნულ ცნობაში მითითებულია შემდეგი სახის ინფორმაცია: *„სააგენტოს სპეციალისტები დიდი ალბათობით ვარაუდობენ, რომ სამარხი სწორედ კვირიკე დიდის განსასვენებელი უნდა იყოს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელოვნებათმცოდნის, გიორგი გავოშიძის მიერ უკვე აღებულია სამარხის ეპიტაფიის ასლი, რომელსაც სხვა სპეციალისტებთან ერთად მომდევნო დღეების განმავლობაში დეტალურად შეისწავლიან".*[6] წარწერის შესახებ სოციალურ მედიაში ინფორმაცია გაავრცელეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალისტმა, თამაზ მარკოზაშვილმა; რუსთავის საკრებულოს დეპუტატმა ზვიად სეხნიაშვილმა და სხვ.

ახლადგამოვლენილი წარწერა გახდა ჩვენი დაინტერესების საგანიც. ამ აღმოჩენის შესახებ გაკეთებული განცხადებების გაცნობის შემდეგ, 2017 წლის 27 აგვისტოს, სოფელ კალაურის ნათლისმცემლის სახელობის სამო-

---

[3] თ. დვალი, გ. რჩეულიშვილი. ნათლისმცემლის მონასტერი, გვ. 157.

[4] კალაურის ნათლისმცემლის მონასტრის შესწავლასა და აღმოჩენებთან დაკავშირებით რამდენიმე წერილი გაზეთ „ვერსიის" ვებგვერდზე გამოაქვეყნა გელა ქოქიაშვილმა. მისი ვარაუდით, ნათლისმცემლის მონასტერი აგებული უნდა იყოს ილარიონ ქართველის აქტიურობის შედეგად, რომელსაც ერთ-ერთი საგალობლის მიხედვით, ექვსი მონასტერი აუგია, თუმცა არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელი მონასტრები ააშენა ილარიონმა. იხ.: გ. ქოქიაშვილი. საიდუმლოს გასაღები. გაზ. „ვერსია". 2013 (http://www.versia.ge/index.php/2013-07-31-11-23-15/item/2374-saidumlos-gasaRebi); გ. ქოქიაშვილი. რას გვეუბნება აკურა?. გაზ. „ვერსია". 2013 (http://www.versia.ge/index.php/2013-07-31-11-23-15/item/2367- ras-gveubneba-akura).

[5] https://www.facebook.com/georgianheritage/photos/a.1402594056484960.1073742375.112117398865972/1402594436484922/?type=3&theater (ხელმისაწვდომია 25. 08. 2017)

[6] იქვე.

ნასტრო კომპლექსის მოსანახულებლად გავემგზავრეთ. კახეთისა და ჰერეთის მეფის საფლავის აღმოჩენა, დადასტურების შემთხვევაში, მართლაც მნიშვნელოვანი აღმოჩენის წინაშე გვაყენებდა, ვინაიდან XI საუკუნის მეფეთა საფლავები, მით უმეტეს, მეფის წარწერიანი სამარხები, პრაქტიკულად არ მოგვეპოვება. დამატებით ინტერესს აღძრავდა წარწერის შინაარსი, რომელიც მითითებულ ცნობაში მხოლოდ ფრაგმენტულად იყო წარმოდგენილი, ხოლო ეპიგრაფიკული ძეგლის მნიშვნელოვანი ნაწილი უცნობი რჩებოდა.

27 აგვისტოს ჩვენი ჯგუფი თსუ-ს ოთხი თანამშრომლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთი ჟურნალისტის თანხლებით სოფელ კალაურში ჩავიდა, ხოლო იქიდან მონასტრის მიმართულებით გაემგზავრა. კომპლექსისკენ მისასვლელი გზა ახალი გაჭრილი ჩანდა, ხოლო საკუთრივ ნათლისმცემლის მონასტერსა და სამარხს დაცვა მთელი დღის განმავლობაში მორიგეობით იცავდა. თუმცა დილაობით მონასტრის ტერიტორიას, უპირატესად, ადგილობრივი წინამძღვრის, მამა ილია ჯანიაშვილის, მრევლი უფრთხილდებოდა.

ადგილზე მისვლისას მასპინძლობა მამა ილიას მრევლის ერთ-ერთმა წევრმა გაგვიწია. მისივე თქმით, წარწერა ნაწილობრივ მამა ილია ჯანიაშვილმა წაიკითხა. ჯანიაშვილის წაკითხვით, საფლავის ქვის წარწერაში იხსენიებოდა *„რანთა და კახთა მეფე კვირიკე“*; ანუ კვირიკე III დიდი, ხოლო მეფის გარდა, ნახსენები იყო დედოფალიც. როგორც აღმოჩნდა, წარწერის კარგად შემორჩენილი მონაკვეთის ერთი ნაწილი უკვე წაკითხული იყო და ეპიგრაფიკულ ძეგლში კვირიკე მეფის გარდა, დედოფალიც ფიგურირებდა.[7] სოციალური ქსელის მეშვეობით თამაზ მარკოზაშვილმა და მამა ილია ჯანიაშვილმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ კვირიკე III დიდი, შესაძლოა, წარმოშობით აქედანაც ყოფილიყო.[8]

წარწერა იმაზე ვრცელი აღმოჩნდა, ვიდრე ის თავდაპირველად სოციალურ მედიაში გავრცელებულ სურათებზე ჩანდა. ადგილზე დაკვირვებით ცხადი გახდა, რომ საფლავი რამდენიმე ქვის ფილისგან შედგება. ისინი ერთმანეთზე კარგად არის მიდგმული. საფლავის ოთხივე კიდეზე მსხვილი ფი-

[7] მამა ილია ჯანიაშვილმა თავისი ფეისბუქის გვერზე განათავსა წარწერის მცირე მონაკვეთის მისეული წაკითხვა. მამა ილიას მიხედვით, საფლავის მარცხენა მხარის ერთ-ერთი მონაკვეთი იკითხება შემდეგნაირად: *„დედოფლისა ნებითა და ბრძანებთა მათითა ინება დამარხვა“*. მეტის წაკითხვა ვერ მოხერხდა, ვინაიდან წარწერა, მისივე განცხადებით, დაზიანებულია. იხ.: https://www.facebook.com/ilia.janiashvili.1 (ხელმისაწვდომია 09.17.2017)

[8] https://www.facebook.com/tamazi.markozashvili/posts/745497655656919 (ხელმისაწვდომია 09.17.2017); https://www.facebook.com/ilia.janiashvili.1 (ხელმისაწვდომია 09.17.2017).

ლებია. ზედა და ქვედა ჰორიზონტალურად, ხოლო მარცხნივ და მარჯვნივ რამდენიმე ფილა ვერტიკალურად არის დალაგებული. აღნიშნულ ფილებზე თავიდან ბოლომდე ლამაზად შესრულებული ასომთავრული წარწერაა ამოღარული.

საფლავის წარწერა, პირობითად, ოთხ ძირითად ნაწილად იყოფა: 1. საფლავის ზედა ჰორიზონტალური კუთხის წარწერა, რომელზეც ეპიტაფიის პროლოგია წამოდგენილი; 2. მარჯვენა ვერტიკალური კუთხის წარწერა, რაც ეპიტაფიის პროლოგის გაგრძელებაა. მასში საუბარია გარდაცვლილ დედოფალზე და მის ვინაობაზე. მარჯვენა კუთხის წარწერა ქვედა რეესტრში მნიშვნელოვნად არის დაზიანებული და, ფაქტობრივად, არ განირჩევა; 3. მარჯვენა კუთხის წარწერას აგრძელებს მარცხენა ვერტიკალური კუთხის წარწერა, რომელიც გარკვეულ ადგილებზე დაზიანებულია, თუმცა ტექსტის აღდგენა შესაძლებელია; 4. ქვედა ჰორიზონტალური კუთხის წარწერა ეპიტაფიის ერთგვარი ეპილოგია, რომლითაც აღნიშნული საფლავის წარწერა სრულდება.

ამგვარად, როგორც ვარკვევთ საფლავის წარწერა საკმაოდ ვრცელი მოცულობისაა და ზემოდან მარჯვნივ მიემართება, ხოლო გრძელდება მარცხენა კიდეზე და სრულდება საფლავის ქვედა ფილაზე, რომელიც ყველაზე კარგად არის შემორჩენილი. თავდაპირველად, სწორედ ქვედა ნაწილის წარწერამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება, რომელიც კარგად იკითხებოდა. სოციალურ მედიაში გავრცელებულ სურათებში კარგად ჩანდა, რომ წარწერები უნდა ყოფილიყო საფლავის სხვა მონაკვეთებზეც.

წარწერის მნიშვნელვანი ნაწილი უკვე წაკითხული გვქონდა, როდესაც სოციალურ მედიაში გავრცელდა კიდევ ერთი ინფორმაცია კალაურის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის საფლავის წარწერასთან დაკავშირებით. თამაზ მარკოზაშვილის განცხადებით, რომელიც მან თავის ფეისბუქის გვერდზე გამოაქვეყნა, საფლავის წარწერაში იხსენიება დედოფალი ელენე, ასული მეფე კვირიკე დიდისა.[9] თითქმის იდენტური ინფორმაცია გამეორებულია სოციალურ მედიაში, სადაც იმავე თამაზ მარკოზაშვილის ციტატაა დამოწმებული ტექსტის წაკითხვასთან დაკავშირებით.[10] მარკოზაშვილის მიხედვით, არის მოსაზრება, რომ მონასტერში შეიძლება იყოს სამეფო ოჯახის საგვარეუ-

[9] https://www.facebook.com/photo.php?fbid=748069978733020&set=pcb.748080112065340&type=3

[10] მარინა პეტრიაშვილი. ახალი წარწერა კვირიკე მეფის საფლავზე (15:13/05.19.2017) http://www.speqtri.ge/sazogadoeba/article/26945-akhali-tsartsera-kvirike-mefis-saflavze (ხელმისაწვდომია 09.17. 2017). რეალურად, აქ გაჟღერებული მონაკვეთი წარწერის მხოლოდ ერთი მონაკვეთია და არა ახალი წარწერა.

ლო აკლდამა, ხოლო კვირიკე მეფესთან ერთად იქ, სავარაუდოდ, მისი ცოლი და ასულია დაკრძალული.[11] თამაზ მარკოზაშვილი აღნიშნულ მოსაზრებებაზე საუბრობს, ასევე, ჟურნალ ისტორიანის 2017 წლის ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილშიც, იმავე წერილში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკა ათიძე აღნიშნავდა, რომ საუბარია კვირიკე III-ის საფლავზე და საჭირო იყო მისი სიღრმისეული კვლევა.[12]

აღნიშნული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში წარწერის შინაარსის ამოკითხვაზე აღარ გვიმუშავია. სოციალურ მედიაში წარწერაზე ბევრი რამ იწერებოდა, თუმცა მთელი ეს ინფორმაცია, პრაქტიკულად, იმისი გამეორება იყო, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. სოციალურ მედიაში გავრცელებული ამბებიდან ყურადღება მიიპყრო ხელოვნებათმცოდნე გიორგი გაგოშიძის ინტერვიუმ, რომელიც „იმედი ნიუსმა" გამოაქვეყნა 2018 წლის 22 თებერვალს. გიორგი გაგოშიძის მიხედვით, საფლავი კვირიკე დიდის ქალიშვილს, ელენე დედოფალს ეკუთვნის. მისივე ცნობით, წარწერის დაახლ. 40% დაზიანებულია, ხოლო მასში იხსენიება „ვინმე" დემეტრე, რომელსაც საქართველოს მეფე გიორგი I-ის უმცროს ვაჟიშვილს, უფლისწულ დემეტრეს უკავშირებენ. გიორგი გაგოშიძის ინტერვიუს მიხედვით, სპეციალისტების ვარაუდით, ელენე დედოფალი დემეტრეს ცოლი უნდა ყოფილიყო.[13] მოგვიანებით, იმავე საინფორმაციო სააგენტომ გააშუქა მონასტრის შიდა სივრცის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ახალი აღმოჩენები, თუმცა მასში წარწერასთან დაკავშირებულ სიახლეებზე არაფერი იყო ნათქვამი.[14]

### წარწერის წაკითხვა და შინაარსი

საკუთრივ წარწერა შესრულებულია საფლავის ქვის ოთხივე კიდეზე. იგი იწყება ვერტიკალურად დადებული ქვიშაქვის ზედა მარცხენა კუთხიდან და გრძელდება ზედა ჰორიზონტალური ქვიშაქვის ფილასა და მარჯვენა ვერტიკალურ ფილაზე. ეს ყველაფერი ერთგვარი პროლოგია. აქედან მოყოლებუ-

[11] http://www.speqtri.ge/sazogadoeba/article/26945-akhali-tsartsera-kvirike-mefis-saflavze (ხელმისაწვდომია 09.17.2017).

[12] ნ. ჯაფარიძე. კახეთ-ჰერეთის მეფის საფლავი სოფელ კალაურში აღმოაჩინეს. ისტორიულ შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი". 2017 წლის ოქტომბერი. №10(82), გვ. 8-9.

[13] https://imedinews.ge/ge/kultura/49800/sopel-kalauris-tadzarshi-napovni-samarkhi-kvirike-iiiis-ar-agmochnda (ხელმისაწვდომია 09.15.2018).

[14] https://imedinews.ge/ge/kultura/73891/arqeologebma-gurjaanshi-shua-saukuneebis-artepaqtebi-agmoachines (განთავსებულია 13.08.2018; ხელმისაწვდომია 09.15.2018).

ლი წარწერა გრძელდება ვერტიკალურად დალაგებული ფილების ბოლომდე.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით წარწერა კიდურწაისრულია, რაც ქართულ ლაპიდარულ წარწერებში X საკუნიდან ჩნდება. ასომთავრული ასოები ოდნავ დაგრძელებული და გაოვალურებულია. ვერტიკალური ხაზი ჩამოგრძელებული აქვს შემდეგ ასოებს: Ⴗ (გ), ⴒ (ქ), Ⴖ (წ). ხოლო Ⴕ (ბ) ყველგან თავგახსნილია. ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია განივი, ვიწრო, სწორი ხაზი წაისრული ბოლოებით. წარწერა ქანწილით იწყება.

მისი შინაარსი ამგვარია:

*ქ. გ(ა)ნგ(ე)ბ(ი)თა ს(ა)ღ(მრ)თ(ო)ჲთა, მსგ(ა)ვს(ა)დ / წოდ(ე)ბ(ულ)სა მის ად(ა)მ(ი)ს ნ(ა)შ(ო)ბთ(ა)ჲსა, გ|ურ|დაი|ცვ(ა)ლა / ელ(ე)ნე / დედ(ო)ფ(ა)|-ლი, ას(უ)|ლი ყ(ოვლად) დ|ედ(ე)ბ(უ)ლი|სა კ(ჳრიკ)ე / მ(ე)[ფ](ი)[სა], ცოლი დ|ემ(ე)ტრე / უ[ფ]ლ(ი)სწ[(უ)ლ(ი)სა].* აქედან მოყოლებული საფლავის მარჯვენა კიდის ქვედა ნაწილის დაზიანებული სტრიქონები აღარ იკითხება. გაინირჩევა მხოლოდ ბოლო ოცდამეოთხე სტრიქონის ბოლო ორი გრაფემა „რი“ და დაზიანებული ოცდამეორე სტრიქონის ორი ასონიშანი „მე“. ამის შემდეგ ტექსტი საფლავის კიდის მარცხენა სტრიქონებიდან გრძელდება. „რი“ წინამძღვრის საკუთარი სახელის ბოლო ორი ასონიშანი უნდა იყოს. ეს საკუთარი სახელი შეიძლება, პირობითად, აღვადგინოთ როგორც [მაკ(ა)]რი.[15] თუ ასეთი აღდგენა მართებულია, მაშინ გამოდის, რომ აღნიშნული პიროვნება დაკავშირებული უნდა იყოს ელენე დედოფალთან, ის შესაძლოა ყოფილიყო მისი სულიერი მოძღვარი ან ეპისკოპოსი, ანდა ორივე ერთად. აღდგენა პირობითია, და მხოლოდ იმას ემყარება, რომ ახალგაზრდა დედოფლის ელენეს მამისა და ქმრის გვერდით დასახელებული შეიძლება ყოფილიყო მონასტერში დაკრძალული მისი სულიერი მოძღვარი, რომელსაც, ამავე დროს, დიდი სასულიერო თანამდებობა ჰქონდა.

ამის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, გრძელდება მარცხენა კიდის წარწერა, რომელიც გარკვეულ მონაკვეთებში დაზიანებულია, თუმცა წარწერის შინაარსის აღდგენა მაინც ხერხდება. მარცხენა ვერტიკალური ფილების მესამე სტრიქონი გრძელდება ამავე კიდის თითქმის ბოლომდე. ამ ვერტიკალური რიგის ბოლო ოთხი სტრიქონი მიბმულია საფლავის ქვედა ჰორიზონტალურად დადებულ ქვაზე მოთავსებულ წარწერაზე. ქვედა ჰორიზონტალური ფი-

[15] დაახლოებით ამ პერიოდში ცხოვრობდა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, მოგვიანებით, წმინდანად შერაცხული, გიორგი მთაწმიდელის სულიერი მოძღვარი – მაკარი მმარხველი (გარდ. 1034 წ. შემდეგ). მაკარი წინამძღვრის წოდებას ატარებდა. ის ხახულის მონასტრის წინამძღვარი გახლდათ. ამგვარად, აღნიშნული სახელი ამ დროს ცნობილი იყო.

ლის წარწერა კარგად იკითხება, მასზე სულ ოთხი ძირითადი სტრიქონია. წარწერის მიხედვით შეიძლება აღვადგინოთ მასთან დაკავშირებული მარცხენა ვერტიკალური ფილის ოთხი სტრიქონიც. აღსანიშნავია, რომ ცალკეული გრაფემები შემორჩენილია. ჰორიზონტალურ ფილაზე არის დამაგვირგვინებელი, მეხუთე ხაზზე შესრულებული წარწერაც. ის პატარა ასონიშნებითაა შესრულებული. აღნიშნული ხაზის წარწერა მოთავსებულია ქვედა ჰორიზონტალური ფილის მარჯვენა კუთხეში, რაც ეპიტაფიის ეპილოგის დასასრულია.

მარცხენა ვერტიკალური ფილების მესამე ხაზიდან დაწყებული ქვედა ჰორიზონტალური ფილის გაგრძლებით დასრულებული ტექსტი ამგვარი შინაარსისაა:

წარწერის ტექსტის მიხედვით, აღნიშული წარწერა ეკუთვის კვირიკე III-ის ასულს ელენე დედოფალს. შესაბამისად, ესაა ელენე დედოფლის ეპიტაფია და არა კვირიკე რანთა და კახთა მეფის წარწერა. არც საფლავი ეკუთვნის კვირკე მეფეს. საფლავი, ასევე, ელენე დედოფლისაა, სადაც მან თავისივე უკანასკნელი განსასვენებელი ჰპოვა. ელენე დედოფალი აქამდე სხვა საისტორიო წყაროებით უცნობი პიროვნება გახლდათ.

წარწერის მიხედვით, ტაძარში ელენე დედოფლის დაკრძალვა თავისი სურვილით მოხდა. როგორც ჩანს, სიკვდილის წინ ელენემ დატოვა ანდერძი, რათა მისი გვამი კალაურის ნათლისმცემლის დედათა მონასტერში დაეკრძალათ.

ელენე დედოფლის ნება წარწერაში საგანგებოდაა ხაზგასმული, მასში ვკითხულობთ: *„დ[ედ(ო)ფლ(ი)ს(ა)ჲ / ნებ(ი)თა / და ბრ[ძ(ა)ნ(ე)ბ(ი)თა / მ(ა)თ(ი)თა, / ენ(ე)ბა დ[ამ(ა)რხვ(ა)ს წმ(იდასა) ს(ა)[ყდ(ა)]რ[ს(ა) ნ(ა)თლ(ი)სმ(?)]ც[(ე)მლ(ი)ს(ა)ს(?)][ა].“*. ელენეს ნება აღასრულა კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკემ, რაც, ასევე, აღნიშულია ეპიტაფიაში – *„დ(აი)დვ(ა)(?)] / ლი[...] გუ(ა)მი მ(ა)თი საფლ(ა)ვსა ამ(ა)ს, /... ყ[(როლა)დ უძლ(ე)(?)]ვ(ელი)სა კ(ჯრიკ)ე რანთა და კ(ა)ხთა მ(ე)ფ(ი)ს[ა. ნ(ე)ბ(ი)თ(?)]ს მ(ა)თ(ი)ს(ა)სა.“*. საინტერესოა, რომ წარწერაში ელენე დედოფლის ნების აღმსრულებელი არის არა მისი ქმარი, არამედ მამა. ელენე დედოფლის ეპიტაფიაში არ იხსენიება კახეთ-ჰერეთის დედოფალი, ერთადერთი დედოფალი არის ელენე, რომელიც რეალურად „დედოფლის“ წოდებით იხსენიება მხოლოდ იმიტომ, რომ არის მეფის ქალიშვილი და უფლისწულის მეუღლე. ელენეს დაკრძალვის ადგილი და მამის უპირატესი როლი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ცოლ-ქმარი კვირიკე მეფის სამეფო კარზე ცხოვრობდნენ და, სავარაუდოდ, კახეთ-ჰერეთის სამეფო ტახტის ყველაზე რეალური კანდიდატები იყვნენ.

ელენე დედოფლის ეპიტაფია პალეოგრაფიული ნიშნებითაც XI საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება.[16] ის გაკეთებულია კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე III დიდის (1010, 1014-1039) დროს, შესაბამისად, უნდა დათარიღდეს მისივე მეფობის პერიოდით. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს წარწერაში მოხსენიებული კვირიკე მეფის ეპითეტები (*„ყოვლად დიდებული“, „ყოვლად უძლეველი“*).

დემეტრე უფლისწული კიდევ ერთი ისტორიული პიროვნებაა, რომელიც წარწერაში მოიხსენიება. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში რამდენიმე დემეტრეა[17] ცნობილი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის შეიძლება იყო საქართველოს მეფე გიორგი I-ის ვაჟი – დემეტრე უფლისწული.[18] გ. გაგოშიძე აღნიშნავს, რომ „კალაურის ეპიტაფიაში ნახსენები ელენე დედოფლის ქმრის დემეტრეს საკითხი ბუნდოვანია“.[19]

წარწერაში მოხსენიებული უფლისწული, შესაძლოა, გურგენ კლარჯი ხელმწიფის ძე დემეტრე იყოს, რომელსაც სუმბატ დავითის ძე თავის თხზულებაში იხსენიებს[20] და ისიც, იმავე პერიოდის პოლიტიკურ მოვლენებთან

---

[16] ანალოგიებისთვის იხ. ქართული წარწერების კორპუსი. I. ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1980; ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი. I. დმანისის რაიონი. V-XVIII სს. თბ. 2017 და სხვ.

[17] ცნობილია, მაგალითად, ტაშირ-ძორაგეტის დიდი ფეოდალი და გაგის მფლობელი დემეტრე, რომელიც მართლმადიდებლად მოინათლა, რის გამოც ტაშირ-ძორაგეტის მეფე დავით I-ს (989-996; 1048 წწ.) დაუპირისპირდა. დავითმა დემეტრე დაამარცხა და დასაჯა, თუმცა ჰნევანქის ტაძრის ერთი წარწერის მიხედვით, ჩანს, რომ დემეტრეს ვაჟს გიორგის ეს რისხვა არ შეხებია და ის კვლავ ჰნევანქის მთავარეპისკოპოსი იყო. დემეტრე გაგის მარზპარნისა და მისი შვილის შესახებ ვრცლად იხ. დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან. თბ. 2014, გვ. 398-402; დემეტრე უფლისწული იყო აფხაზთა სამეფო ოჯახიც. მისი მოღვაწეობა კვირიკე II-ის პერიოდს ემთხვევა. აფხაზთა და კახთა სამეფო ოჯახების დამოყვრების შესახებ ცნობა „მატიანე ქართლისასშია“ დაცული. მატიანეს მიხედვით, დემეტრეს ძმისშვილი, ლეონ III-ის ასული შეირთო კვირიკეს ვაჟმა. თუმცა აფხაზი დედოფალი მალე გარდაცვლილა და კახელებსა და აფხაზ მეფეებს შორის კვლავ ბრძოლები გაჩაღებულა (იხ. მატიანე ქართლისაი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ., 2008, გვ. 265). ცნობებიდან გამომდინარე, აღნიშნულ პიროვნებებს ჩვენთვის საინტერესო წარწერასთან ვერ დავაკავშირებთ.

[18] იხ. გ. გაგოშიძე. ეპიტაფია კალაურის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან. ჟურნ. „ძველი ხელოვნება დღეს“. №8. 2017. გვ. 124. დემეტრე უფლისწულის შესახებ იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973.

[19] გ. გაგოშიძე. ეპიტაფია კალაურის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან. ჟურნ. „ძველი ხელოვნება დღეს“. №8. 2017. გვ.

[20] სუმბატ დავითის ძე. ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955, გვ. 382, 386.

იყო დაკავშირებული. ელენე დედოფლის ქმრის, დემეტრე უფლისწულის, ზუსტი ვინაობა, ვფიქრობთ, დღეისთვის მაინც გადაჭრილი ვერ არის.

ელენე დედოფლისა და მისი მეუღლის, დემეტრე უფლისწულის, მოხსენიება, გარკვეულწილად, ნათელს ჰფენს კვირიკე მეფის მემკვიდრეობის საკითხს.

საფლავის წარწერაში არ იხსენიება კვირიკეს ვაჟი, შესაძლოა იმდროისთვის მეფეს ვაჟი უკვე აღარ ჰყავდა, ვფიქრობთ, ამის გამო მემკვიდრეობის დატოვებას ქალიშვილისთვის და სიძისთვის აპირებდა, მაგრამ ელენეს გარდაცვალებამ, როგორც ჩანს, მეფე აიძულა რომ სხვა მემკვიდრე მოეძებნა. საბოლოოდ, კვირიკე III-მ არჩევანი უკვე საკუთარ დისწულზე, გაგიკზე შეაჩერა.

ელენეს დედოფლის ეპიტაფია ადასტურებს, რომ, კვირიკე III უშვილო არ ყოფილა, მით უფრო, რომ ასეთ მითითებას ვერც საისტორიო წყაროებში ვხვდებით. წყაროებიდან ცნობილია მხოლოდ ის, რომ მემკვიდრის გარეშე დარჩენილმა კვირიკე III-მ თავისი დის უმცროსი ვაჟი სამეფო ტახტის მემკვიდრედ მოითხოვა, რასაც იმ დროისთვის მემკვიდრის არარსებობა განაპირობებდა.[21]

[21] აღნიშნული ტექსტის ძირითადი ნაწილი შესრულებული იყო 2017 წელს, მაგრამ მისი გამოქვეყნება დღემდე ვერ მოხერხდა. წარწერის სრული ტექსტი, რომელიც ნაწილობრივ ამ წაკითხვას ეფუძნება, თავისი აღგენებით, ანალიზით და ორიგინალური წაკითხვით გამოქვეყნდა ამ სტატიის ერთ-ერთი თანაავტორის მონოგრაფიაში, იხ.: ლ. თავაძე. კვირიკე III დიდი. თბ. 2020, გვ. 106-111, 157-158. აქვე, მკითხველს ვთხოვთ გაითვალისწინოს, რომ ლერი თავაძის აღდგენილ წარწერაში (იქვე, გვ. 107) ერთი მონაკვეთი (სულიერი... მაკარი) უნდა ყოფილიყო მოცემული დახრილი შრიფტით, როგორც კონტექსტის მიხედვით აღდგენილი და პირობითი (იქვე, 158), მაგრამ, აეტორის ნებართვის გარეშე, კორექტორებმა დახრილი შრიფტი წაშალეს. ერთობლივ წაკითხვაზე დაფუძნებულ დანარჩენ აღდგენებს, რაც მონოგრაფიაშია წარმოდგენილი, თავაძე არც დღეს უარყოფს და, თვლის, რომ ისინი ოპტიმალურია.

## წარწერის ტექსტი

საფლავის ქვის ზედა ფილა
1. ⁋. ⵢⵏⵢⵍⵆⵔⵚⵑⵒⵆⵔⵛⵒⵚⵢⵐⵚⵒ
2. ⵠⵁⵒⵍⵏⵛⵒⵖⵏⵚⵛⵒⵛⵒⵚⵏⵒⵣⵍⵆⵔⵒⵚⵛⵢ
მარჯვენა ქვის ფილა
3. ⵛⵃ
4. ⵒⵛⵛⵏ
5. ⵚⵐⵖⵛ
6. ⵢⵖⵒⵏ
7. ⵒⵏⵒⵝⵋ
8. ⵖⵏⵛⵚ
9. ⵖⵏⵍⵋⵒ
10. ⵏⵒⵍⵢⵖⵏ
11. ⵚⵛⵇⵏ
12. ⵒ[ⵋ][ⵙ]ⵚ
13. ⵁⵖⵏⵒ
14. ⵢⵒⵧⵃⵏ
15. ⵁⵍ[ⵋ]ⵖⵚ
16. .....
17. .....
18. .....
19. .....
21. .....
22. ...ⵒⵏ
23. .....
24. ...ⵃⵏ
მარცხენა ქვის ფილა
25. ⵠⵒⵛⵒ
26. ⵃⵏⵃⵏ
27. ⵛⵒⵏⵚ
28. ⵠⵒ
29 ⵚⵍⵋⵃ(?)
29. ⵙ ⵑⵒⵒ ⵏⵚⵛ
31. ⵢⵋⵒ
32. ⵣⵁⵛⵛⵒ
33. ⵢⵒⵋⵖⵚⵑ
34. ⵒⵢⵍⵁⵛ

35. ⴆⴄⵛⴊⴘ
36. ⴘⵀⴊⴍⴅⵛ
37. ⴆⴅⴍⴅⵛ
38. ⵖⵀⴊⵛⴆ
39. ⵛⵄⴘⴘⴊⵖ
40. ⵋⴒⴆⵜⵝ[ⴊⴆ]
41. ⴘ[ⵝⵀⴍⵅⵜⵝⵜ(?)]
42. ⵚ[ⵄⵜⵝⵜⵝⵝ(?)]
43. [ⵛⴆⴆⵅ(?)]

ქვედა ნაწილი, წარწერა იწყება მარცხენა ფილაზე და გრძელდება ქვედაზე


44. ⵅⵝ[...]ⵟⴍⴓⴘⵄⵜⵅⴍⵚⵅⵅⵛⵄⵜⵝ
45. ⵛ ⵟ[ⴆⴍⴓⴘⵄⵜ(?)]ⵅⵝⵛⵟⵚⴘⵛⵀⴊⴍⴅⵛⵄⵛⴆⵖⵝ
46. [ⵛⵀⵟⴍⴅ(?)]ⵛⵄⴍⴅⵝⵝⵛⵖⵅⴘⵋⴆⵛⵚⵄⵛⵅⵝⵝⵅⵝⵛⵝ
47. [ⵚⵖⴘⵝⴘⴘⴍ(?)]ⵖⵝⵝⵚⵖⵅⵝⵛⵄⵚⵛⴘⴘⵀⴘⵝⵝⵝ

**გამოცემები:**


გ. გაგოშიძე. ეპიტაფია კალაურის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან. ჟურნ. „ძველი ხელოვნება დღეს“. №8. 2017. გვ. 124-127 (დედნ. შრიფ.; მხედრ. ტრანსკრ.; ფოტოები; გრაფიკული მონახ. (**გ**).

ლერი თავაძე. კვირიკე III დიდი. თბ. 2020, გვ. 107 (მხედრ. ტრანსკრ.) (**თ**);

სურათები



**საფლავის ქვის ზედა ფილა**
პირველი და მეორე სტრიქონი




**საფლავის ქვის ზედა ფილა**
პირველი და მეორე სტრიქონი




**საფლავის ქვის ზედა ფილა**
პირველი და მეორე სტრიქონი




**საფლავის ქვის მარჯვენა ფილა**
მესამედან მერვე სტრიქონამდე



**საფლავის ქვის მარჯვენა ფილა**
მერვედან მეთერთმეტე სტრიქონამდე




**საფლავის ქვის მარჯვენა ფილა**
წარწერის დაზიანებული მონაკვეთი
ოცდამეორე და ოცდამეოთხე სტრიქონებში შემორჩენილი გრაფემები




**საფლავის ქვის მარცხენა ფილა**
პირველი, მეორე, ოცდამეხუთე და ოცდამეექვსე სტრიქონები



**საფლავის ქვის მარცხენა ფილა**
ოცდაცამეტიდან ორმოცდახუთამდე სტრიქონები



**საფლავის ქვის მარცხენა ფილა**
ორმოცდაერთიდან ორმოცდარვამდე სტრიქონები



**საფლავის ქვის ქვედა ფილა**
ორმოცდაოთხიდან ორმოცდარვამდე სტრიქონები

***Aleksandre Boshishvili***
Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

***Leri Tavadze***
Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

***Eka Kvirkvelia***
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

***Akaki Chikobava***
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

# EPITAPH OF ELENE, DAUGHTER OF KVIRIKE KING OF RANS AND KAKHS

## Summary

On August, 2017 during restoration and rehabilitation work (performed by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia) in St. John the Baptist Three-Church Basilica of Kalauri located in Gurjaani Municipality Region of Kakheti the royal tomb was discovered. St. John the Baptist Basilica of Kalauri contains the royal tomb and unknown inscription engraved on the same tomb. Both, tomb and inscription, were completely unknown to the public. The part of the inscription is damaged but the context is clear. According to the inscription the royal tomb belongs to Elene, the daughter of Kvririke king of Rans and Kakhs ("Rans", inhabitants of "Rani", the population of Kingdom of Hereti; "Kakhs", inhabitants of "Kakheti", the population of Kingdom of Kakheti. Hereti and Kakheti were part of a single kingdom during the rule of Kvirike III the Great from 1014 to 1039. Thus, the title "king of Rans and Kakhs" means the rule over Kakheti-Hereti Kingdom). Based on the context of the inscription, it is an epitaph of Elene. She is named

the Queen, as she was a daughter and a royal heir of Kvirike III the Great. According to the inscription, Queen Elene had a husband, Prince Demetre. Presumably, they were heirs of Kvirike III the Great before Elene passed away.

## English Translation of Epitaph of Elene, Daughter of Kvirike King of Rans and Kakhs

"Christ. By the Divine Providence and the rules of humankind, Queen Elene passed away, she was a daughter of all-mighty King Kvirike, a wife of Prince Demetre... hegumen of this holy Church [Mak]ar. God forgive her [sins] with Cross. By the will and order of the Queen herself, she was buried in this holy shrine of St. John the Baptist. Her dead body was placed in this tomb... by the will of the most invincible Kvirike King of Rans and Kakhs. Now, whoever for whatever reasons will damage this tomb is cursed by God, now and forever!"

## ხსოვნა

# გიორგი ოთხმეზური
# 1954-2021

ქართულმა საზოგადოებამ, საისტორიო მეცნიერებამ, ოჯახმა და ახლობლებმა წელს ძალიან დიდი დანაკლისი განიცადეს – სამწუხარო მოულოდნელობა იყო პროფ. გიორგი ოთხმეზურის გარდაცვალება. ისტორიკოსი პროფ. გიორგი ოთხმეზური ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 2021 წლის 20 იანვარს, 66 წლის ასაკში გარდაიცვალა.

გიორგი ოთხმეზური 1954 წლის 4 აგვისტოს, თბილისში დაიბადა, 1976 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. გახლდათ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (1980), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1999), 1976 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი, 1991 წლიდან მოღვაწეობა თსუ-ში ისტორიის ფაკულტეტზე გააგრძელა, სადაც იკავებდა ჯერ დოცენტის, შემდგომ კი პროფესორის თანამდებობას. პარალელურად იყო საქართველოს ისტორიის კათედრასთან არსებული წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, მოგვიანებით კი მისი ხელმძღვანელი. განათლების რეფორმის შემდგომ, 2005 წლიდან, გიორგი ოთხმეზური უცვლელად იკავებდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის პოზიციას.

გიორგი ოთხმეზურმა მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს, მისი ისტორიის კვლევა-ძიებასა და ცოდნის მომავალი თაობებისთვის გადაცემას მიუძღვნა. იგი იყო ერუდიციით, ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობითა და კეთილსინდისიერებით გამორჩეული პიროვნება. წლების განმავლობაში დაუზარებლად ემსახურებოდა ქართული ისტორული მეცნიერების შესწავლისა და განვითარების საქმეს.

საქართველოს ისტორიის მიმართ ინტერესი გიორგი ოთხმეზურს ბავშვობიდან, ოჯახიდან გამომდინარე, ბუნებრივად გაუჩნდა. ის ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის – მარიამ ლორთქიფანიძის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. დიდწილად ამან განაპირობა მისი ინტერესი წარსულისადმი და სიძველეებისადმი. გიორგი ოთხმეზურის კვლევის განსაკუთრებული ინტერესი ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიის საკითხები იყო, შესაბამისად, ძირითადი ნაშრომები სწორედ ამ მიმართულებით აქვს შესრულებული. წარწერებისადმი ინტერესმა და სიყვარულმა განაპირობა ის, რომ მან 1976 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტში, წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა, სადაც 15 წლის განმავლობაში მუშაობდა და მისი თანაავტორობით მომზადდა XI-XVII საუკუნეების საისტორიო დოკუმენტებში მოხსენიებულ „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ რამდენიმე ტომი.

გიორგი ოთხმეზური სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ეწეოდა. ასევე, ლექციებს კითხულობდა საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. წლების განმავლობაში კითხულობდა სხვადასხვა კურსებს, მათ შორის: საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი); საქართველოს ისტორია (რუსულ ენაზე); საქართველოს ისტორია XV-XVIII სს; ქართული წყაროთმცოდნეობა; ქართული ეპიგრაფიკა და სხვა. აღსანიშნავია მისი ღვაწლი მომავალი თაობების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით არაერთმა ახალგაზრდამ დაიცვა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომი.

გიორგი ოთხმეზური მონაწილეობას იღებდა საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებსა და ღონისძიებებში, სადაც საქართველოს ისტორიისა და ქართული მეცნიერების მიღწევებს წარმოადგენდა, მათ შორის, ხშირად ეროვნული ინტერესების არგუმენტირებულად დაცვაც უწევდა. მისი გამოკვლევები გამოცემულია საქართველოსა და უცხოეთის არაერთ რეიტინგულ სამეცნიერო კრებულსა და პერიოდულ გამოცემაში, ნაშრომები გამოქვეყნებულია: ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ ენებზე.

გიორგი ოთხმეზურის ნაშრომებში, რომელთა საერთო რიცხვი ასზე მეტია, სიღრმისეულად არის შესწავლილი საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის სხვადასხვა აქტუალური საკითხი, ეპიგრაფიკის, პალეოგრაფიისა და ფეოდალური ურთიერთობების, ფეოდალური საგვარეულოების ისტორიის

სხვადასხვა საკვანძი თემა. მათ შორის მეცნიერებისთვის განსაკუთრებით ფასეულია, როგორც მონოგრაფიები, ისე ცალკეული გამოკვლევები:

**„XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო“** (მეცნიერება. თბ. 1981. A5. 135 გვ.); ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული დისერტაცია.

**„შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII საუკუნეები)“.** 1999. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული დისერტაცია.

**კავკასია ქართულ წყაროებში.** უცხო სახელმწიფოები, ტომები, ისტორიული პირები. ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ. 2012. B5 392 გვ. (თანაავტორები: ე. კვაჭანტირაძე, ქ. ნადირაძე, თ. ქორიძე)

**„ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი. I (დმანისის რაიონი)“** (საქართველოს მაცნე. თბ. 2017. B5. 292 გვ.). (თანაავტორები: ა. ბოშიშვილი, შ. მათითაშვილი, ი. მირიჯანაშვილი, ნ. ჟღენტი, ე. ხაინდრავა, დ. ცუცქირიძე)

**უხუცესი ვაზირები და მათი რიგი საქართველოში XII-XIII სს-ის მიჯნაზე, (ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით).** „მაცნე“. ისტორიის სერია, №1. 1979

**ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან – ამირეჯიბი** (თბ. 2009. A4. 67 გვ.)

**Abkhazia's Status as Part of Georgia: Histrical Perspective**. "The Caucasus & Globalization". Volume 4. Issue 1-2. Sweden. 2010. გვ. 178-183 (თანაავტორი მ. ლორთქიფანიძე)

**ქართული პალეოგრაფია-ეპიგრაფიკა.** „საქართველოს ისტორიის კათედრა. 1918-2005“. თბ. 2010, გვ. 229-238

**ნიაბის წარწერები.** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბ. 2011, გვ. 112-123.

**თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობების შესახებ (რელიგიური ასპექტი).** „საისტორიო კრებული“. I. წელიწდეული. თბ. 2011, გვ. 54-67.

**დავით აღმაშენებლის ეპოქის ეპრაფიკული ძეგლები.** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების სპეციალური გამოშვება „დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა“. თბ. 2011, გვ. 26-38.

**ბარანის ციხის წარწერის თარიღისათვის.** „საისტორიო კრებული“. 5. წელიწდეული. თბ. 2015, გვ. 201-215.

**დმანისის რაიონის ეპიგრაფიკული ძეგლენი.** თბ. 2016 და სხვ.

გიორგი ოთხმეზური გარდაცვალებამდე ინტენსიურად მუშაობდა XIV საუკუნის საქართველოს ისტორიაზე. ნაშრომი თემურ ლენგის ლაშქრობების პერიოდის საქართველოს ისტორიის, კონკრეტულად კი ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ის შესახებ დაასრულა, თუმცა გამოცემა ვერ მოასწრო. მეცნიერი, ასევე, ინტენსიურად მუშაობდა სომხეთის ქართული ეპიგრაფიკის საკითხებზე. დაგეგმილი ჰქონდა მთელი სომხეთის ქართული წარწერების გამოცემა.

გიორგი ოთხმეზური საისტორიო საზოგადოების იმ თაობას განეკუთვნებოდა, რომელიც ღირსეულად აგრძელებდა ივანე ჯავახიშვილის დასახულ გზას, ისტორიის კრიტიკული გააზრებისა და კომპლექსური კვლევის მეთოდების გამოყენებით, რაც მის ნაშრომებზეც აისახება. ამიტომ მის კვლევებში განვითარებული მოსაზრებები დღეს აქტუალურია და სამომავლოდაც არაერთი თაობისთვის სახელმძღვანელოდ დარჩება.

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის*
*საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი*